გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადე-  
ბების რაოდენობა – 15 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – ყაზახეთის სსრ  
ყარაგანდის ოლქის ალკკ კომიტეტის საპატიო სიგელი; საქართველოს ალკკ  
კომიტეტი საპატიო სიგელი; “შრომითი მამაცობისათვის” მედალი (1976 წ.); “საპატიო  
ნიშნის” ორდენი (1980 წ.); უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1980წ.).  
საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო “წმინდა გიორგის” ოქროს ორდენი  
(2014წ.), შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის “მადლობის სიგელი” (2015წ.).

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. IV კვარტალი,  
კორპ 2, ბინა 10; ტ. 2 32 31 13 (ბინა), 599 51 88 58.

მოდვაწეობის მიმართულება –მევენახეობა.

1.127 ცაბუროშვილი ბიჭო ნიკოლოზის-ძე



დაბადების თარიღი –10.10.1928;  
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრო-  
ნომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  
დაკავებული თანამდებობა –  
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერ-  
რებათა დოქტორი;  
სამეცნიერო წოდება – პროფესორი, სსმმ აკადემიის  
აკადემიკოსი 26.04.2013;  
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 127, მათ შორის 3  
მონოგრაფია, 6 სახელმძღვანელო;  
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული  
წინადადებების რაოდენობა – 27 რეკომენდაცია, 1 ჯიშის  
ავტორი (1986 წ.);

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – საკავშირო სასოფლო-  
სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობა და ბრინჯაოს მედალი (1974 წ.); რესპუბ-  
ლიკისათვის საკვები კულტურების აგროწესების მომზადება და გამოცემა, ფულადი  
პრემია (1975 წ.); საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის  
პირველი ხარისხის პრემია (1984 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.).

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალეს ქ. 41,  
ბინა 64; ტელ. 2 53 39 61 (ბინა), 5 99 63-12-34.

მოდგაწეობის მიმართულება –აგრონომია (საკვებწარმოება).

1.128 ცანაშა ვალერიან პეტრეს-ძე



დაბადების თარიღი –25.02.1935;  
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგროქიმიკოს-  
ნიადამცოდნე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტი-  
ტუტი;  
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული  
უნივერსიტეტის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების  
ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე;  
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეც-  
ნიერებათა დოქტორი;  
სამეცნიერო წოდება – პროფესორი, აკადემიკოსი 07.09.1995;  
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 207, მათ შორის 3  
მონოგრაფია, 1 სახელმძღვანელო;  
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების  
რაოდენობა – 6 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. –“შრომის წითელი  
დროშის” ორდენი, “ღირსების” ორდენი (1999 წ.).

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. ოზურგეთი, ანასეული, მეცნიერების ქ. №21, ბინა  
12; ტელ. 6 45 38 (ბინა), 599 53 22 25.

მოდგაწეობის მიმართულება –ჩაი და ციტრუსები.

**1.129. ცჰიტიშვილი ზურაბ მიხეილის ძე**



*დაბადების თარიღი* –31.01.1941;  
*სპეციალობა დიპლომის მიხედვით* –სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;  
*დაკავებული თანამდებობა* –*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის* სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;  
*სამეცნიერო ხარისხი* – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;  
*სამეცნიერო წოდება* – სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 27.02.1997;  
*მეცნიერული შრომების რაოდენობა* – 62, მათ შორის 2 წიგნი;  
*გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა* – 1 პატენტი, 17 რაციონალი-

ზატორული წინადადება;

*სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.* – “ღირსების” ორდენი (2001 წ.).

*ბინის მისამართი, ტელეფონი* – ქ. თბილისი, დები იშხნელების №4, ბ.3. ტ.2 37 18 52; 577 57 77 71.

*მოღვაწეობის მიმართულება* – მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგია.

**1.130. ჯალაგანიძე შოთა ივანეს ძე**



*დაბადების თარიღი* –21.05.1933;  
*სპეციალობა დიპლომის მიხედვით* – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  
*დაკავებული თანამდებობა* – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების კონსულტანტი;  
*სამეცნიერო ხარისხი* – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;  
*სამეცნიერო წოდება* – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 16.07.2004;  
*მეცნიერული შრომების რაოდენობა* – 250, მათ შორის 2 მონოგრაფია, 14 წიგნი, 1 ლექსიკონი;  
*გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა* –10 გამოგონება;

*სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.* – ოთხი ორდენი, მათ შორის “მეგობრობის” და “ღირსების”; ორი მედალი; ორი საპატიო ნიშანი; საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში; სსმმ აკადემიის 2013 წლის აგრარულ სფეროში საუკეთესო მეცნიერის წოდება – აგროსაინჟინრო დარგში.

*ბინის მისამართი, ტელეფონი* – ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. 30ა. ბინა 37, ტ. 2 37 06 07 (ბინა), 593 36 48 24;

*მოღვაწეობის მიმართულება* –სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

**1.1.31. ზითანაშა ნოღარ ამბროსისი-ძე**



**დაბადების თარიღი** –10.03.1936;  
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით** – ინჟინერ-მშენებელი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;  
**დაკავებული თანამდებობა** – საქართველოს დ. აღმაშენებლის უნივერსიტეტის სრული პროფესორი;  
**სამეცნიერო ხარისხი** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;  
**სამეცნიერო წოდება** – სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 27.02.1997;  
**მეცნიერული შრომების რაოდენობა** – 113, მათ შორის 12 მონოგრაფია;  
**გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა** –

17 რაციონალიზატორული წინადადება;  
**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.** – “შრომის წითელი დროშის” ორი ორდენი (1973 წ. და 1975 წ.).  
**ბინის მისამართი, ტელეფონი** – ქ. თბილისი, ატენის ქ. 16, ტ. 2 23 37 53 (ბინა), 593 67 64 16.

მოდვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა.

**1.1.32. ჯაბნიძე რეზო ხასანის-ძე**



**დაბადების თარიღი** –18.01.1954;  
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით** – სუბტროპიკული მეურნეობის სწავლული აგრონომი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;  
**დაკავებული თანამდებობა** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე;  
**სამეცნიერო ხარისხი** – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  
**სამეცნიერო წოდება** – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, 03.12.2015;  
**მეცნიერული შრომების რაოდენობა** – 192, მათ შორის 4 სახელმძღვანელო და 3 წიგნი, 8 მონოგრაფია

**გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა** – ოთხი;  
**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.** – – “ღირსების” ორდენი (1999 წ.); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი (2000 წ.); იაკობ გოგებაშვილის სახელობის სიგელი; ხელვაჩაურის რაიონის საპატიო მოქალაქის წოდება; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკეთესო პროფესორის წოდება;  
**ბინის მისამართი, ტელეფონი** – ქ. ბათუმი, მწვანე კონცხი, ტელ. 577-17-97-58, 555-12-64-58

მოდვაწეობის მიმართულება– აგრონომია (ჩაი და ციტრუსები).

## 12. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები

### 12.1 თურმანიძე თამაზ ივანეს-ძე



დაბადების თარიღი – 04.09.1932;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა –

სამეცნიერო ხარისხი – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება – პროფესორი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 15.07.1992;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 203, მათ შორის 2 მონოგრაფია;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა – 1 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.

- “ღირსების” ორდენი (2000 წ.).

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ.თბილისი, საბურთალოს ქ. №35, ბინა 36;

ტელ. 2 38 61 32 (ბინა), 591 17 04 96.

მოღვაწეობის მიმართულება – აგრონომია (ეკოლოგია)

### 12.2. ლიპარტიანი ოთარ ანტონის-ძე



დაბადების თარიღი – 05.12.1932;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მარცვლეული კულტურების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება – პროფესორი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 15.04.1994;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 172, მათ შორის 4 მონოგრაფია, 1 სახელმძღვანელო;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა – 19 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია (1983 წ.); საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებაში (1986 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.). საპატიო სიგელი (2002 წ.); სსმმ აკადემიის 2013 წლის აგრარულ სფეროში საუკეთესო მეცნიერის წოდება – აგრონომიულ დარგში.

ბინის მისამართი, ტელეფონი – მცხეთა, წილკნის საკრებულო სოფ. სელექცია, ტელ. 599 10 51;

მოღვაწეობის მიმართულება – აგრონომია (ერთწლოვანი კულტურების სელექცია, გენეტიკა).

### 1.13. ნიკოლეიშვილი ბიორბი ვასილის-ძე



დაბადების თარიღი – 30.12.1930;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგრონომ-ეკონომისტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა –

სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება – პროფესორი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 07.09.1995;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 168, მათ შორის 12 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –

5 გამოგონება, 5 რეკომენდაცია, 2 პატენტი, 2 ჯიშის

ავტორი;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. - “ღირსების” ორდენი (1999 წ.); ორი მედალი.

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, რ. ერისთავის ქუჩა №3. ბინა 6, 599 56 58 84;

მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა, მეაბრეშუმეობა.

### 1.24. სარიშვილი ღაზით ეშრემის-ძე



დაბადების თარიღი – 24.01.1927;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა –

სამეცნიერო ხარისხი – სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დოქტორი;

სამეცნიერო წოდება – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 27.02.1997;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 21;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა –

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – სსრკ მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედალი (1961 წ.); “შრომითი მამაცობისათვის” მედალი (1966 წ.);

ვ.ი. ლენინის დაბადების 100 წლის აღსანიშნავი საიუბილეო მედალი (1970 წ.); “შრომის წითელი დროშის” ორდენი (1971 წ.); “ოქტომბრის რევოლუციის” ორდენი (1976 წ.); საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება (1981 წ.); საქართველოს სსრ დამსახურებული მექანიზატორის საპატიო წოდება (1981 წ.).

ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, საბურთალოს 30 ა., ტელ. 2 38 20 31 (ბინა), 599 15 85 26.

მოღვაწეობის მიმართულება – სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

1.2.5. ურუშაძე თენგიზ თეოდორუს- ძე



*დაბადების თარიღი* –14.01.1940;

*სპეციალობა დიპლომის მიხედვით* – მეტყვევ ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; თბილისის უცხო ენების სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი – ინგლისური ენის სპეციალისტი;

*დაკავებული თანამდებობა* – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი; საუ-ს მ. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორი;

*სამეცნიერო ხარისხი* – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

*სამეცნიერო წოდება* – პროფესორი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 10.01.1991; საქართველოს მეცნიერე-

ბათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი 03.12.2015;

*მეცნიერული შრომების რაოდენობა* – 403, მათ შორის 41 მონოგრაფია, 20 სახელმძღვანელო;

*გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა* – *სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.* – ვ. ვილიამსის სახ. პრემია (1991 წ.); საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის “უმაღლესი ჯილდო” 2013 წ.

*ბინის მისამართი, ტელეფონი* – ქ. თბილისი, მ. ალექსიძის № 1, ბინა 23,

ტელ. 2 10 20 05 (ბინა), 599 58 25 41.

მოდვაწეობის მიმართულება– აგრონომია (ნიადაგმცოდნეობა).





**თავი 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიური საბჭო**

**2.1 აკადემიური საბჭოს შემადგენლობა**

1. **ალექსიძე ბურაძი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
2. **ჯაფარიძე ბიჭო** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
3. **ქარქაშაძე ნაოლეონი** – აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
4. **ბაღათურია ნუბუარი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
5. **ბუბუშვილი ჯემალი** – აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;
6. **კუნჭულია თამაზი** – აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
7. **მარბველაშვილი გობოლა** – აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
8. **მასაროვლიძე რევაზი** – აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
9. **პაპუნძიძე ბურაძი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
10. **ქუშელაშვილი ომარი** – აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის

- ხელმძღვანელი, აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს–მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
11. **შაფაქიძე ელგუჯა** – აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
12. **ჩაბელიშვილი რევაზი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;
13. **ჩხარტიშვილი ნოდარი** – ი. გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
14. **ცანავა ვალერიანი** – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
15. **ცქიტიშვილი ზურაბი** – აკადემიის სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს–მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი.

**2.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს 2015 წლის სამუშაო გეგმა**

№	აკადემიურ საბჭოზე განსახილველი საკითხები	ბანხილვის დრო	სამეცნიერო განყოფილება, მომხსენებელი (მომხსენებლები)
1	აკადემიის 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმისა და ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ	იანვარი	აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე
2	აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;	იანვარი	აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი
3	აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;	იანვარი	აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი.

4	აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;	იანვარი	აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე
5	აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;	იანვარი	აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია
6	აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;	იანვარი	აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი
7	აკადემიის 2014 წლის ფინანსური საქმიანობის ანგარიში და 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ	თებერვალი	აკადემიის მთავარი ბუღალტერი ნინო სოზიაშვილი
8	აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიში 2014 წელს გაწეული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ	თებერვალი	აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე
9	აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის სამეცნიერო მიმართულებების კონსულტატის აკადემიკოს შოთა ჭალაგანიძის ანგარიში 2014 წელს გაწეული მუშაობისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ	თებერვალი	აკადემიური დეპარტამენტის სამეცნიერო მიმართულებების კონსულტატი აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე
10	აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ	მარტი	აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მთავარი რედაქტორი, აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" პასუხისმგებელი მდივანი მიხეილ შუბითიძე;
11	აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ	მარტი	აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" რედაქტორი, აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; გაზეთ "მაცნეს" რედაქტორის მოადგილე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე;

12	აკადემიის მიერ 2014 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.	მარტი	აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე;
13	აკადემიის ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ;	მარტი	აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს მდივნები
14	იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის აღრემწიფადი ჯიშების აკლიმატიზაციისა და პროდუქტიულობის შესახებ	მარტი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რეზო ჯაბინძე
15	აკადემიის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ	აპრილი	აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე;
16	აკადემიის მულტიმომქმედი გამოფენის მოწყობის ორგანიზაციის მიმდინარეობის შესახებ	აპრილი	აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე;
17	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;	აპრილი	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი დოქტორი ლაშა გოცირიძე
18	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;	აპრილი	აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია

19	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;	აპრილი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორი სოფლის მეურნეობის დოქტორი ლევან უჯმაჯურიძე
20	ქუთაისის აკ. წერეთლის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;	აპრილი	აკ. წერეთლის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი როლანდ კოპალიანი
21	ბუნებათსარგებლობის აქტუალური პრობლემების შესახებ	მაისი	აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე
22	ვაზის ნერგის წარმოების არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ	მაისი	აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი
23	მიწათმოქმედების სისტემათა განვითარების შესახებ	მაისი	აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი
24	საქართველოში მეჩაიეობის დარგის არსებული მდგომარეობისა და მისი აღდგენის ღონისძიებების შესახებ	ივნისი	აკ.წერეთლის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი როლანდ კოპალიანი აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია
25	ქვეყანაში ცხოველთა სადგომებში შექმნილი ვეტერინარიულ-სანიტარიული მდგომარეობისა და მათი გაჯანსაღების ღონისძიებების შესახებ.	ივნისი	აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი მეცნ. დოქტ. გიული გოგოლი
26	ქართული ჭაჭის არყის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ	ივლისი	აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია

27	საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის მუშაობის შედეგების შესახებ (ქ. ვარნა, ბულგარეთი)	ივლისი	აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე
28	საკვები კულტურების მოსაველიანობის ამალღების ღონისძიებების შესახებ	სექტემბერი	აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი
29	ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო “ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსების პროექტის” შესრულების მიმდინარეობა და მოსალოდნელი შედეგები	სექტემბერი	აკადემიკოსი რევაზ ასათიანი
30	საქართველოს გამოწვევები მდგრადი განვითარების გზაზე	სექტემბერი	დოქტორი აკაკი ფანჩულიძე
31	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები	ოქტომბერი	აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი.
32	აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ ტერიტორიებზე გაუდაბნოებისადმი მოწყვლადი ტერიტორიების შესახებ	ოქტომბერი	აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი
33	თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ	ოქტომბერი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი სოფლის მეურნეობის დოქტორი ნარგიზა ბარამიძე, აკადემიის წ/კ ელგუჯა შაფაქიძე
34	საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამალღების ღონისძიებათა სისტემის შესახებ	ოქტომბერი	აკადემიკოსი ნოდარ ჭითანაგა
35	ადგილწარმოშობის დასახელების მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების სანედლეულო ბაზის რეგულაციისა და ახალი მიკროზონების აგროკლიმატური საზღვრების დაზუსტების შესახებ	ნოემბერი	აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი დოქტორი დავით მალრაძე

36	მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები და მათი დანერგვის პერსპექტივები	ნოემბერი	აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე.
37	ყურძნის ნარჩენებიდან ბუნებრივი ბიოსტიმულატორების მიღების შესახებ	დეკემბერი	აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია
38	სოფლად კოოპერაციის პროცესების სტიმულირებისა და განვითარების შესახებ	დეკემბერი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი
39	აკადემიის წევრთა ინფორმაციები მათი ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების შესახებ	პერიოდულად	აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე, სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს მდივნები, აკადემიის წევრები.

### 2.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე 2015 წელს განხილული საკითხები

30 იანვრი - 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიში 2014 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

**მომხსენებლები:** აკადემიკოს- მდივანი გოგოლა მარგველაშვილი – აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოს-მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი – მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოს-მდივანი რევაზ მახარობლიძე - აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოს-მდივანი ნუგზარ ბალათურია სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოს- მდივანი ომარ ქეშელაშვილი ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება;

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება.

**მომხსენებლები:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე;

#### 4. მიმდინარე საკითხები

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებების განხორციელებისა და კონტროლის შესახებ.

**მომხსენებლები:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე;

**25 თებერვალი** - 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს 2014 წლის სამეცნიერო საქმიანობისა და 2015 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

**მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე;

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის წოდების მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში საკონკურსო კომისიების მიერ ფარული კენჭისყრით გამოვლენილი გამარჯვებულების კანდიდატურების დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე;

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ვაკანტურ ადგილზე ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2014 წლის ფინანსური ანგარიში და 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ.

**მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბუღალტერი ნინო სოზიაშვილი;

**27 მარტი** - 1. აკადემიის მიერ 2014 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

**მომხსენებლები:** აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე;

2. აკადემიის ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ;

**მომხსენებლები:** აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნები;

3. იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის აღრემწიფადი ჯიშების აკლიმატიზაციისა და პროდუქტიულობის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რეზო ჯაბნიძე



**24 აპრილი** - აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

**მომხსენებლები:** აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის მთავარი რედაქტორი, აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" პასუხისმგებელი მდივანი მიხეილ შუბითიძე;

2. აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

**მომხსენებლები:** აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" რედაქტორი, აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; გაზეთ "მაცნეს" რედაქტორის მოადგილე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე;

3. აკადემიის მუდმივმოქმედი გამოფენის მოწყობის ორგანიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

**მომხსენებლები:** აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;

**მომხსენებელი:** აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი,

ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია;

**29 მაისი** – 1. ვაზის ნერგის წარმოების არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი.

2. მიწათმოქმედების სისტემათა განვითარების შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი.

3. აგრარულ სფეროში ექსპერტის წოდების მიმნიჭებელი კომისიის დებულების შესახებ.

**მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

**17 ივნისი** – რა უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამერიკული გამოცდილებიდან.

**მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პაატა კოდუაშვილი.

**23 ივლისი** – 1. სოციალიზაცია და ეკონომიკა.

**მომხსენებელი:** აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.

2. საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის (ქ. ვარნა, ბულგარეთი) მუშაობის შედეგების შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე.

**30 სექტემბერი** – 1. ინფორმაცია გლობალური ფორუმის (ისიკ-ყული, ყირ-გიზეთი) მე-6 წლიური თათბირის შესახებ.

**მოსხენებელი:** აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის საქმიანობის შესახებ.

**მომხსენებელი:** აგროსაინჟინრო სამსახურის უფროსი, ტექნიკის

**მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნუგზარ ებანოიძე.**

3. მიმდინარე საკითხები.

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილებისა და მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნების არჩევნების შედეგების შესახებ.

**მოსხენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2015 წლის 6 მარტს აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) ასარჩევად გამოცხადებული დროებით შეჩერებული კონკურსის განახლების შესახებ.

**მოსხენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

**2 ნოემბერი** – 1. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები.

**მომხსენებელი:** სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი.

2. ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო “სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსების პროექტის” შესრულების მიმდინარეობა და მოსალოდნელი შედეგები.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი რევაზ ასათიანი.

3. მიმდინარე საკითხები.

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება” საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

**მომხსენებლები:** აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

**27 ნოემბერი** - 1. ინფორმაცია **CGIAR** - სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის ფონდის საბჭოს მიერ ჩატარებული საერთაშორისო თათბირის შესახებ (ვაშინგტონი აშშ).

**მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ალექსიძე

2. ინფორმაცია ა.წ. 4-6 ნოემბერს ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება” შედეგების შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

3. მეცნიერების დღისადმი მიძღვნილი მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე

4. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად ასარჩევად კანდიდატურის შერჩევის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

**25 დეკემბერი** – 1. ყურძნის ნარჩენებიდან ბუნებრივი ბიოსტიმულატორების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი ნუგზარ ბადათურია

2. სოფლად კოოპერაციის პროცესების განვითარების შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი პაატა კოლუაშვილი.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

**მომხსენებელი:** აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე

4. მიმდინარე საკითხები.

1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ინიცირებული მცენარეულ ცხიმებში ინდუსტრიული ტრანს ცხიმების შემცველობის ნორმატიული აქტის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი:** სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი

#### **2.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

სამეცნიერო საბჭოს 2015 წლის სამუშაო გეგმის (დამტკიცებულია 11.03.2015) მიხედვით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. 2015 წლის 20 მარტს ქვემო ქართლის რეგიონის კუმისის მეფრინველეობის კომპლექსში აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ინიციატივით გაიმართა სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრები და დარგის სპეციალისტები; პროფ. მათა ხუციშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე: “მეფრინველეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში”.

სემინარის დროს დათვალიერებული იქნა კუმისის მეფრინველეობის კომპლექსი, სადაც მოთავსებულია 250000 ფრთა ფრინველი. მეფრინველეობის დარგის პროდუქციული მაჩვენებლების გაზრდის მიზნით, აკადემიის საბჭოს წევრების მიერ გაწეული იქნა მეთოდური დახმარება და პრაქტიკული რჩევები. აღნიშნულ ღონის-

ძიებებს ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს 12 წევრი და 5 მოწვეული მეფრინველეობის დარგის სპეციალისტი;

2. 2015 წლის 03 აპრილს აკადემიის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა მრგვალი მაგიდა მეთევზეობის საკითხებთან დაკავშირებით. მოხსენება თემაზე – “მეთევზეობის განვითარების პერსპექტივები სატბორე მეურნეობაში” გააკეთა პროფ. როინ ბოკუჩავამ. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს 14 წევრი. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, დაისახა ღონისძიებები სატბორე მეურნეობების განვითარების მიმართულებით. მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც დაბეჭდვის შემდეგ გადაეცემა სათანადო მეურნეობებს სახელმძღვანელოდ;

3. 2015 წლის 27 ივნისს აკადემიის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო სესია თემაზე: “ქარსაფარი ზოლების თანამედროვე მდგომარეობა და მათი პრევენციის აუცილებლობა კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე”. მომხსენებელი პროფ. გია გაგოშიძე. საკითხის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გ. ჯაფარიძემ, წევრ-კორესპონდენტმა ე. შაფაქიძემ, დოქტორმა ა. გიორგაძემ და აკადემიური საბჭოს 15 წევრმა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე მიღებული იქნა წინადადება, რათა საქართველოში ფართოდ გაიშალოს ქარსაფარი ზოლების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს და მნიშვნელოვნად გაზრდის ჩაის, სუბტროპიკული ხეების და ხემცენარეების პროდუქტიულობას;

4. სამეცნიერო საბჭოს ორგანიზებით და სამოქმედო პროგრამის მიხედვით 2015 წლის 30 სექტემბერს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “ქართული მეფუტკრეობა და მისი ამოცანები”. მომხსენებელი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გოგი მაძღარაშვილი. სხდომას ესწრებოდნენ და დისკუსიაში მონაწილეობდნენ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკად. ნ. ქარქაშაძე, საბჭოს წევრები, მოწვეული მეცნიერები, მეფუტკრეობის დარგის სპეციალისტები.

დარგის პერსპექტივიდან გამომდინარე, სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებული იქნა მნიშვნელოვანი წინადადებები და რეკომენდაციები; კერძოდ, მეფუტკრეობის დარგში არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა:

- სანაშენე საქმის აღორძინება;
- თაფლოვანი ფლორის წარმოებისათვის სათესლე და სანერგე ნაკვეთების მოწყობა;
- ეკოლოგიურად უსაფრთხო და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნის მიზნით, გადამუშავებისა და შენახვის თანამედროვე მეთოდების გამოყენება;
- ინოვაციების დანერგვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

აღნიშნული სემინარის საფუძველზე მომზადდა და სტამბური წესით გამოიცა რეკომენდაცია “ქართული მეფუტკრეობის აწმყო და მომავლის პერსპექტივები” – ავტორი გ. მაძღარაშვილი, თბილისი, 2015.

**თავი 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
თანამშრომლობა საქართველოს და ადგილობრივ აბრარული  
მიმართულების ორბანიზაციებსა და შერეობებთან**

**3.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
თანამშრომლობა საქართველოს სტრუქტურებთან**

**3.1.1. შხვდრა ბელორუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წარმომადგენელთან**

2015 წლის 4 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას სამუშაო ვიზიტით ესტუმრა ბელორუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგეი ჩიჟიკი. სტუმარი მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ; შეხვედრაში მონაწილეობდნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, დოქტორი ლევან უჯმაჯურიძე. სტუმარმა აკადემიის წარმომადგენლებს გააცნო ბელორუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და გამოთქვა სურვილი, რომ გადრეკვდეს თანამშრომლობა ორ აკადემიას შორის და სხვა სამეცნიერო საკითხებთან ერთად განსაკუთრებით სამეცნიერო დარგობრივი ტურიზმის განვითარების მიმართულებით.



სტუმარი ბელორუსიის მეცნიერების ეროვნული აკადემიიდან.

მარჯვნიდან: დოქტ. ლევან უჯმაჯურიძე - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, აკად. გურამ ალექსიძე - აკადემიის პრეზიდენტი, აკად. სერგეი ჩიჟიკი - ბელორუსიის მეცნიერების ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აკად. გივი ჯაფარიძე - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, დოქტ. ანატოლი გიორგაძე - აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე.

აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და ვიცე-პრეზიდენტმა გივი ჯაფარიძემ გამოთქვეს სურვილი ბელორუს კოლეგებთან აგრარული მიმართულებით სამეცნიერო საქმიანობის აღდგენისა და გადრმაგების შესახებ; შეხვედრის დასასრულს ორივე მხარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ დაიწყოს მზადება ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის მომზადებისათვის ორ აკადემიას შორის და სასურველი იქნებოდა მას მოეწეროს ხელი აპრილის თვეში, როდესაც დაგეგმილია საქართველოში ბელორუსიის წარმომადგენლობითი დელეგაციის სტუმრობა ქვეყნის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით.

### **3.1.2. საერთაშორისო თანამშრომლობა უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე 2015 წლის 12-13 მარტს უკრაინის (ქ.კიევი) ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტში მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში "სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა კვების თეორია და პრაქტიკა", რომელიც მიემდვნა გამოჩენილი მეცნიერის, **აკადემიკოს გრიგორი ბოგდანოვის დაბადებიდან 85-ე წლისთავს**. ვიზიტის დროს საქმიანი შეხვედრა გაიმართა უნივერსიტეტის რექტორთან, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ სვიატოსლავ ნიკოლაენკოსთან, მეცხოველეობისა და წყლის ბიორესურსების ფაკულტეტის დეკანთან, მეცნიერებათა კანდიდატ, დოცენტ ვადიმ ბოიჩუკთან.

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტი ერთ-ერთი უძველესი ტრადიციების მქონეა და შედის უკრაინის უნივერსიტეტების პირველ ხუთეულში, ხოლო აგრარულ უნივერსიტეტებს შორის რეიტინგში პირველია. დღეისათვის ეროვნულ უნივერსიტეტს გააჩნია 12 სასწავლო-სამეცნიერო და 11 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 21 ფაკულტეტი, 3 საცდელი სადგური და 7 სასწავლო-საცდელი მეურნეობა, 2 აგროტექნიკური ინსტიტუტი, 8 კოლეჯი, 2 ტექნიკური სასწავლებელი, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები. იგი ამზადებს კადრებს თითქმის ყველა მიმართულებისა და სპეციალობების მიხედვით. თანამშრომლობს უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ეროვნული აგრარული აკადემიის მრავალ ინსტიტუტთან, რომელთა ბაზაზე ფუნქციონირებს მრავალი კათედრა და ფილიალი. სასწავლო და სამეცნიერ-კვლევითი პროცესები წარმატებით ხორციელდება მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებით, რომელთა შემადგენლობაში ირიცხება 300 მეცნიერებათა დოქტორი, მათ შორის უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული და აგრარული აკადემიების 51 აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი, 700 მეცნიერებათა კანდიდატი, 170 პროფესორი და 680 დოცენტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, **დოქტორი ანატოლი გიორგაძე** გაეცნო უნივერსიტეტის ლაბორატორიებსა და კათედრებს, ასევე ანატომიის მუზეუმს, ვეტერინარულ კლინიკას, მეფუტკრეობის

სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიას, მეცხენეობის, მეთევზეობისა და მეფრინველეობის საცდელ-ექსპერიმენტალურ მეურნეობებს.

13 მარტს ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. პლენარული სხდომა მიჰყავდა მეცხოველეობისა და წყლის ბიორესურსების ფაკულტეტის დეკანს, მეცნიერებათა კანდიდატ, დოცენტ **ვადიმ ბოიჩუკს**. პლენარული სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა და კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **სტანისლავ ნიკოლაენკო**, უნივერსიტეტის პირველი პრორექტორი აკადემიკოსი **იგორ იბატულინი**, უკრაინის ეროვნული აგრარული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი **ნიკოლოზ ბაშენკო**, უკრაინის ეროვნული აგრარული აკადემიის მეცხოველეობის ინსტიტუტის დირექტორი, ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ევგენი რუდენკო**, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე **ანატოლი გიორგაძე**, ბელორუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეცხოველეობის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე, მეცნიერებათა კანდიდატი **იგორ პეტრუშკო**, კომპანია "ოლტეკ-უკრაინას" გენერალური დირექტორი **ნიკოლოზ ტომანი**.



**დოქტორ ა. გიორგაძის მოხსენება კონფერენციის პლენარულ სხდომაზე.**

პლენარული სხდომის შემდეგ მუშაობა გაგრძელდა სექციებში. მუშაობდა ორი სექცია: თანამედროვე მიღწევები სასოფლო სამეურნეო ცხოველთა კვებაში და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია.

უკრაინელმა კოლეგებმა სურვილი გამოთქვეს მაისის თვეში ესტუმრონ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას სამუშაო ვიზიტით თანამშრომლობის ფარგლებში.



კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

### 3.1.3. ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე სტუმრად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2015 წლის 22 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრა ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ გუსაკოვი და ამავე აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აკადემიკოსი სერგეი ჩიუიკი. სტუმრებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან შეხვდნენ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე, აკადემიკოსები რევაზ მახარობლიძე და არჩილ ვაშაქიძე.

საპატიო სტუმრების ვიზიტის მიზანი იყო ორ აკადემიას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის წინ ინფორმაციების გაცვლა, გარკვეულ საკითხებში აზრთა გაზიარება და ხელის მოწერის მოსამზადებელ პერიოდში გარკვეული ორგანიზაციული საკითხების განხილვა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი მოეწერება 2015 წლის 23 აპრილს, როდესაც საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრება ბელარუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო და უმაღლეს დონეზე გაიმართება საქართველოსა და ბელარუსიის რესპუბლიკას შორის ჩარჩო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ცერემონია. აღნიშნული ღონისძიების



ფარგლებში მოხდება აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ცერემონიაც.



**საქმიანი შეხვედრა ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნულ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელებს შორის.**

საპატიო სტუმრები გაეცნენ აკადემიის სტრუქტურას, სამეცნიერო თემატიკას, სამომავლო პერსპექტივებს, რომლებიც მათ გააცნო აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. თავის მხრივ აკადემიკოსმა ვ. გუსაკოვმა ისაუბრა იმ სამომავლო გეგმებზე, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან. აღინიშნა, რომ ბელარუსის მეცნიერებათა აკადემია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საჩუქრად გადმოსცემს წიგნების 1600 ტომს, რომლებშიც სოფლის მეურნეობის ყველა დარგია წარმოდგენილი. სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა და საგამოფენო დარბაზი, რომელიც ექსპონანტების მიღებისათვის არის გამზადებული.



**ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თავმჯდომარე აკადემიკოსი ვლადიმერ გუსაკოვი, აკადემიის პრეზიდენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აკადემიკოსი სერგეი ჩიჟიკი.**

### 3.1.4. ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის ფორუმი ქ. კიევი (უკრაინა)

2015 წლის 21-22 აპრილს ქ. კიევი უკრაინის ეროვნულმა აგრარულ მეცნიერებათა აკადემიამ უმასპინძლა ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის ფორუმს, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ: ჩეხეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ლატვიის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის მეცნიერებათა აკადემია, მოლდოვას მეცნიერებათა აკადემია, რუმინეთის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის მეცნიერებათა აკადემია, უკრაინის ეროვნული აგრარული მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ნორვეგიის სასოფლო სამეურნეო და გარემოს დაცვის ინსტიტუტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას აღნიშნულ ფორუმზე წარმოადგენდა და მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი რევაზ ასათიანი. მოხსენების თემა "სახელმწიფოს პოლიტიკა სოფლის მეურნეობის დაფინანსებაში". ფორუმის დასასრულს მიღებული იქნა დეკლარაცია "ევროპის აგრარული მეცნიერებათა აკადემიების, სამეცნიერო ცენტრებისა და რეგულატორი ინსტიტუტების ერთობლივი ძალისხმევის შესახებ აგრარულ მეცნიერებაში განსახორციელებელ რეფორმებში."



ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის ფორუმი.



ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რევაზ ასათიანი.

### 3.1.5. აგრარული კვლევების საერთაშორისო კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს მე-13 სხდომა

2015 წლის 27-30 აპრილს ქ. ბოგორში (ინდონეზია) ჩატარდა აგრარული კვლევების საერთაშორისო კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს მე-13 სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ, რომელიც არის ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების (ჩ ჩ დ) წარმომადგენელი აღნიშნულ საბჭოში.

საბჭოს თავმჯდომარეა მსოფლიო ბანკის ვიცე – პრეზიდენტი, ბატონი რაშელ კეიტი, რომელიც ამავდროულად არის კლიმატის ცვლილებების საპატიო ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ამერიკის, კანადის, მექსიკის, დიდი ბრიტანეთის, ნორვეგიის, შვედეთის, ნიდერლანდების, ჩინეთის, ავსტრალიის, თურქეთის, იაპონიის, ინდოეთის, ნიგერიის წარმომადგენლები. ამავდროულად საერთაშორისო ორგანიზაციების: ევროპის კავშირის, FAO-ს, ბილ და მელინდა გეიტსის ფონდის, IFAD-ის, მსოფლიო ბანკის, გლობალური ფორუმის და CACAARI-ის წარმომადგენლები, სულ 24 წევრი.

სხდომაზე განხილული იქნა 6 საკითხი: სტრატეგია და მიღებული შედეგები; CGIAR-ის მეორე თაობის კვლევითი პროგრამები; CGIAR-ის სტრუქტურა და სახელმძღვანელო დოკუმენტი; კვლევის რესურსების მობილიზაცია და ინოვაციური დაფინანსება; მშრალი რეგიონების კვლევის CGIAR-ისეული ხედვა და გენბანკების დაფინანსების საკითხები. საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო აკად. გ. ალექსიძემ, რომლის გამოსვლებიც მიმართული იყო რეგიონების ინტერესების დაცვისაკენ. ყოველ საკითხზე მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება, რომელიც გაზიარებული იქნა საბჭოს წევრების მიერ.

მომდევნო სხდომა ჩატარდება ქ. ვაშინგტონში 2015 ნოემბერში.



აკად. გურამ ალექსიძე CGIAR-ის საბჭოს მე-13 სხდომაზე.

3.1.6. USAID-ის წარმომადგენლის საქმიანი ვიზიტი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში.

2015 წლის 8 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრა აშშ-ის ვირჯინიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის და სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიომასალების მდგრადობის დეპარტამენტის პროფესორი ტომ ჰამმეტი, რომელიც ამავედროულად წარმოადგენს USAID-ის (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო) პროექტების მონიტორინგის ხელმძღვანელს და შემფასებელს. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის მხრიდან - პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ, ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ. ჯაფარიძემ, პრეზიდენტის მოადგილემ დოქტ. ა. გიორგაძემ, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძემ, ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის ხელმძღვანელმა აკად. ო. ქეშელაშვილმა და აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველმა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში თ. ეპიტაშვილმა.

შეხვედრაზე ძირითადად განიხილეს აკადემიაში ჩამოყალიბებული ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის საქმიანობა, მისი მიზნები და ამოცანები, სამომავლო პერსპექტივები. აღინიშნა აგრეთვე, რომ ამ საქმიანობაში აუცილებელია აკადემიის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი მუშაობა და ის პერსპექტივები, რომლებიც განხორციელებას პოვებენ USAID-ის და სამინისტროს მხრიდან აკადემიის დახმარებაში, რაც გამოიხატება აკადემიის მიერ 2014-2015 წლებში მომზადებული რეკომენდაციების ფართო ტირაჟირებაში, კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაში, კონსულტაციების მეთოდის დახვეწაში და ა.შ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა აკადემიამ ამ მიმართულებით უახლოეს ვადებში მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტაცია SAID-ის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის შეხვედრა ამერიკელ სტუმართან.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე და შ I -ის პროექტების მონიტორინგის ხელმძღვანელი პროფესორი ტომ ჰამმეტი.

### 3.1.7. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია აზერბაიჯანში

2015 წლის 1-6 ივნისს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა ევრაზიის ქვეყნების ბიომრავალფეროვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა ცხრა ქვეყნის ორასამდე დელეგატი.

პლენარულ სხდომაზე კონფერენცია გახსნა აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა აკიფ ალიზადემ. ფორუმის მონაწილეებს მიესალმნენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ჰაიდარ ასადოვი, თურქეთის რესპუბლიკის რამიკ-კალეს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ჰუსეინ ბაჰჩი, ყაზახეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ირადა ჰუსეინოვა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რეზო ჯაბნიძე, მარდაგიანის დენდროლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ტოფიკ მამმადოვი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვაჟა თოდუა, ბელარუსიის აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი ანა ბულატოვა და სხვები. პროგრამის მიხედვით კონფერენციის ყოველი დღე, გათვლილი იყო, როგორც სექციური, ასევე სავალდებულო და პრაქტიკული მუშაობისათვის.

კონფერენციაზე ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ჰიდრობიოლოგიური კვლევების შედეგების განხილვისა და თანამედროვე ბიოტექნოლოგიური

პროცესების გამოყენების, ასევე მრავალწლიანი და ხეხილოვანი კულტურების, ბიოლოგიური თავისებურებების გენეტიკური, სელექციური, აგროტექნიკური, ჰიდროლოგიური, ეკოლოგიური და მრავალი სხვა მიმართულებით სოფლის მეურნეობაში დანერგვის საკითხებზე.



კონფერენციის პრეზიდენტი - მარცხნიდან მარჯვნივ: თურქეთის რესპუბლიკის რამიკ-კალეს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჰუსეინ ბაჰჩი; აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ჰაიდარ ასადოვი; აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკიფ ალიზადე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ/კორესპონდენტი, ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რეზო ჯაბინძე; მარდაგანის დენდროლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ტოფიკ მამმადოვი.

### 3.1.8. შეხვედრა კორეის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან

2015 წლის 17 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ეწვია კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის დირექტორი, დოქტორი სოკ-იონგ ლი და ამავე ცენტრის უფროსი მკვლევარი, დოქტორი ჰონგ პარკი.

სტუმრებთან შეხვედრას აკადემიის მხრიდან ესწრებოდნენ სსმმ აკადემიის აკადემიკოსები გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ნ. ჩხარტიშვილი, რ. ჩაგელიშვილი, ვ. კვალიაშვილი, გ. მარგველაშვილი, ო. ქეშელაშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ე. შაფაქიძე, თ. თურმანიძე, ო. ლიპარტელიანი, პრეზიდენტის მოადგილე,

დოქტორი ა. გიორგაძე, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწე თ. ეპიტაშვილი, მოწვეული სტუმრები - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან, დოქტორი დ. მაღრაძე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერ-კვლევითი ცენტრის თანამშრომლები.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა და აგრობიომრავალფეროვნების მნიშვნელობასა და მის შენარჩუნებაზე ისაუბრა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ.

თავის გამოსვლაში დოქტორმა სოკ-იონგ ლიმ ისაუბრა კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის სტრუქტურაზე, მის ფუნქციებზე და საქმიანობაზე. ყურადღება გაამახვილა გენეტიკური რესურსების ბანკზე და მის დიდ მნიშვნელობაზე ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში; სურვილი გამოთქვა, რომ მოხდეს ერწლიანი კულტურების კორეული ჯიშების საქართველოში გამოცდა და პირიქით – ქართული ჯიშების კორეაში გამოცდები.

დოქტორ სოკ-იონგ ლის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. მან უპასუხა საკმაოდ მრავალ შეკითხვებს.



მარცხნიდან - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე, კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის დირექტორი, დოქტორი სოკ-იონგ ლი, დოქტორი დ. მაღრაძე.



კორეელი სტუმრები და სსმმ აკადემიის მეცნიერების ერთი ჯგუფი.

### 3.1.9. ჩინეთის მმცნიერებათა საქართველოს სოფლის მეურნეობის მმცნიერებათა აკადემიაში

2015 წლის 19 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთის ნინგხიას ავტონომიური რეგიონის სატყეო სამეცნიერო ინსტიტუტის დელეგაცია დირექტორის, პროფესორ შენ ხიადონგის ხელმძღვანელობით. დელეგაცია ხუთი წევრისაგან შედგებოდა, საიდანაც ოთხი ინსტიტუტის დეპარტამენტების ხელმძღვანელებს წარმოადგენდნენ.

აკადემიის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ა. გიორგაძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე, აკადემიკოსი ო. ქეშელაშვილი, პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო საკითხებში თ. ეპიტაშვილი.

ჩინელი სტუმრები აკადემიას წარუდგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, დოქტორმა ლ. უჯმაჯურიძემ.

აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ სტუმრებს მოკლედ გააცნო აკადემიის სტრუქტურა, ფუნქციები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. აღინიშნა, რომ აკადემიას თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან და დღემდე მათთან დამყარებულია მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები. ასევე აღინიშნა აკადემიის საქმიანობა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, მათ შორის ბოლო შეხვედრა კორეის რესპუბ-



ლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრთან და სხვა.

პროფესორმა შენ ხიადონგმა წარმოადგინა მისდამი რწმუნებული სატყეო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; აღინიშნა, რომ ჩინეთის მხარე დაინტერესებულია მევენახეობით და მეღვინეობით, ინფორმაცია გაკეთდა ამ კუთხით ჩატარებული სამუშაოების შესახებ. ჩინეთის მხარე ძალზე დაინტერესებულია ვენახის ქართული ჯიშებით, ქართული მეღვინეობით და განსაკუთრებით ქვევრის ღვინის წარმოებით. გამოითქვა მოსაზრება შემდგომში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ჩინეთის სატყეო ინსტიტუტის სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ.



ჩინელი მეცნიერების დელეგაციასთან შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში (თბილისი, 19.06.2015)

### 3.1.10. უკრაინელი სტუმრები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2015 წლის 16 ივლისს აკადემიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრა უკრაინის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: **სტანისლავ ნიკოლაენკო** - უკრაინის (ქ. კიევი) ბიორესურსების და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ვადიმ კონდრატიუკი** - ამავე უნივერსიტეტის მეცხოველეობის და წყლის ბიორესურსების ფაკულტეტის დეკანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, **ვადიმ ტაჩუკი** - უნივერსიტეტის საერთაშორისო განყოფილების უფროსი, მეცნიერებათა დოქტორი.

აკადემიის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გურამ ალექსიძემ**, ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გივი ჯაფარიძემ**,

აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიის წ/კორესპონდენტმა ელგუჯა შაფაქიძემ და პრეზიდენტის მოადგილემ, დოქტორმა ანატოლი გიორგაძემ.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. ს. ნიკოლაენკომ ისაუბრა უნივერსიტეტის შესახებ და იმ ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობებზე, რომელიც უკრაინის მხარეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დახმარების მიმართულებით აქვს დაგეგმილი. აღნიშნული უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა უკრაინაში - იგი მიიცავს სამ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს, 13 ფაკულტეტს, 10 სასწავლო-სამეცნიერო ფილიალს უკრაინის სხვადასხვა რეგიონებში. უნივერსიტეტში სწავლობს 26 000 სტუდენტი, 600 ასპირანტი, დოქტორანტი და მაძიებელი. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესს ემსახურება 2600 სასწავლო-სამეცნიერო პერსონალი, მათ შორის 300 პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი, 1000-ზე მეტი დოცენტი და მეცნიერებათა კანდიდატი.

შეხვედრაზე ძირითადად განიხილეს აკადემიასა და უკრაინის ეროვნულ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების ძირითადი დებულებების შესრულების მდგომარეობა;

აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ სტუმრებს გააცნო აკადემიის ისტორია, მისი სტრუქტურა, მუშაობის მიმართულებები, აკადემიის საქმიანობის ძირითადი მომენტები და გამოთქვა სურვილი უკრაინის და საქართველოს აგრარიკოს მეცნიერებს შორის თანამშრომლობის უფრო გაღრმავების შესახებ.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის შეხვედრა უკრაინის (ქ. კიევი) ბიორესურსების და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

### 3.1.11. აკადემიის სტუმრები მეკარტოფილეობის საერთაშორისო ცენტრიდან (CIP)

2015 წლის 11 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე შეხვდა მეკარტოფილეობის საერთაშორისო ცენტრის (CIP) აზიის დირექტორს, დოქტ. ჯულიან პარრის, ამავე ცენტრის ცენტრალური აზიის და კავკასიის (CAC) რეგიონალურ სამეცნიერო კოორდინატორს, დოქტ. რუსუდან მდივანს და ICARDA-ს ცენტრალური აზიის და კავკასიის რეგიონალურ კოორდინატორს, დოქტ. ჯოზეფ ტუროკს. შეხვედრას ესწრებოდა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წ/კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე.

საუბარი შეეხო ამიერკავკასიაში და ძირითადად საქართველოში მეკარტოფილეობის განვითარების საკითხებს, ამ დარგში ახალი ჯიშების და ტექნოლოგიების გამოცდას და დანერგვას ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

ამ მიმართულებით ამიერკავკასიის რეგიონში ძირითადი კოორდინატორის ფუნქცია აკისრია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, რომლის მეთაღყურეობითაც მოხდება კარტოფილის ახალი ჯიშების შემოტანა და დანერგვა. ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი, რომ საჭიროა შეიქმნას მეკარტოფილეობის საერთაშორისო ცენტრის (CIP) განყოფილება რომელიც მოემსახურება ამიერკავკასიის რეგიონს. მომზადდება პროექტი, რომელიც გაითვალისწინებს CIP-დან კარტოფილის ახალი ჯიშების შემოტანას, რომლებიც კოლორადოს ხოჭოსა და ფიტოფტორის მიმართ იქნებიან მედეგი. აღნიშნული პროექტი გამოიგზავნება აკადემიაში აპრობაციის მიზნით და აკადემიის დასკვნის შემდეგ მოხდება მისი განხორციელება.

სტუმრები დაინტერესდნენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციით, რომელიც ჩატარდება 2015 წლის 4-6 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, კონფერენციის თემაა "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება" და სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში.



აკადემიის პრეზიდენტის, აკად. გურამ ალექსიძის შეხვედრა მეკარტოფილეობის საერთაშორისო ცენტრის CIP და ICARDA-ს წარმომადგენლებთან.

### 3.1.12. გლობალური ფორუმის მე-6 წლიური თათბირი

მიმდინარე წლის 14-17 სექტემბერს ყირგიზეთში (ისიკ-ყული) ჩატარდა “სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახურის გლობალური ფორუმის მე-6 წლიური თათბირი”, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის 150-მდე წარმომადგენელმა. თათბირის თემა იყო “სოფლის მეურნეობის სამსახურის გლობალური საუკეთესო პრაქტიკა” და ითვალისწინებდა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სისტემების გაცნობას და მათგან საუკეთესოს გავრცელებას. საქართველოდან თათბირში მონაწილეობა მიიღო – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. საქართველოდან არნისნულ ფორუმში ასევე მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მ. გელაშვილი, იმერეთის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი რ. ძიძიშვილი, დ. ბირკაძე და ლ. ბასიშვილი, საკონსულტაციო ცენტრის (SEAS)-ის ხელმძღვანელი საქართველოში ბ. მიულერი.

თათბირზე წარმოდგენილი იქნა მოხსენება საქართველოში საკონსულტაციო ცენტრების მუშაობის შესახებ, სადაც ცალკე იქნა გამოკვეთილი აკადემიის როლი ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის პროცესებში. აქაც და შემდეგ გამოსვლებშიც სპეციალურად აღინიშნა ის მცდელობა, რასაც აკადემია ანხორციელებს ამ მიმართულებით. გამოცემული აქვს 50-ზე მეტი პრაქტიკული რეკომენდაცია ფერმერებისათვის, ხოლო ახალი წლიდან იწყება კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მუშაობა სპეციალისტებისა და ფერმერებისათვის. კურსების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც აკადემიის წევრები, ასევე მოწვეული სპეციალისტები. გამოითქვა მოსაზრება მომავალ წელს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თათბირის ჩატარების შესახებ საქართველოში აღნიშნულ საკითხებზე.



გლობალური ფორუმის მე-6 წლიური თათბირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე და საკონსულტაციო ცენტრის (SEAS)-ის ხელმძღვანელი საქართველოში ბ.მიულერი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციასთან ერთად

### 3.1.13. მონაწილეობა საერთაშორისო თათბირზე აშშ-ში

მიმდინარე წლის 2-6 ნოემბერს ქ. ვაშინგტონში (აშშ) ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს სხდომა, რომელიც გაიმართა მსოფლიო ბანკის ოფისში. მასში მონაწილეობა მიიღეს ფონდის საბჭოს წევრებმა, CGIAR-ის კვლევითი ცენტრების გენერალურმა დირექტორებმა და მათი საბჭოს წევრებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. პირველ 2 დღეს ჩატარებულ სხდომებში მოხსენებით გამოვიდნენ: ICARDA -ს, CIMIT-ს, BIOVERSITI-ს, ILRI-ს, CIP-ის, ICRISAT-ის, CIAT-ის და სხვათა გენერალური დირექტორები (სულ 15), რომლებმაც წარმოადგინეს მომავალი 5 წლის პროგრამები, რომლებიც წინასწარ იყო დარიგებული ფონდის საბჭოს წევრებს. განსხვავებით წინა წლებისაგან, ახალი პროგრამები შედგენილია ერთი “პორტფელის” პრინციპით, ანუ შემუშავებული იქნა კომპლექსური პროგრამები რომლის შემსრულებლებიც არიან ცენტრები, პრობლემების მიხედვით. ესენია: მშრალ რეგიონებში სამარცვლე პარკოსანი კულტურების შესწავლა; თევზი; ტყე და ტყის ლანდშაფტი; მეცხოველეობა; სიმინდი; ხორბალი; ბრინჯი; ბანანა და ტუბერინი მცენარეები; კლიმატის ცვლილება; გენბანკები; კვება და ჯანმრთელობა; პოლიტიკა და მარკეტინგი; წყალი; ნიადაგები და ეკოსისტემა. ფონდის საბჭოს დანარჩენი სამი სხდომა ჩატარდა სურსათის პოლიტიკის კვლევით ცენტრში (IFPRI), სადაც მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ფონდის საბჭოს წევრებმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ამერიკის, კანადის, მექსიკის, ჩინეთის, იაპონიის, ავსტრალიის, ინდოეთის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, ბელგიის, ნორვეგიის, გერმანიის, ნიდერლანდების, თურქეთის, ნიგერიის, ასევე საერთაშორისო და დონორმა ორგანიზაციებმა: მსოფლიო ბანკი, ევროპის კავშირი, IFAD, FAO, ბილ და მელინდა გეიტსის ფონდი და სხვათა წარმომადგენლები.



სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გალექსიძე სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს სხდომაზე (აშშ, ქ. ვაშინგტონი, 04 ნოემბერი, 2015 წელი)

ფონდის სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად, კიდევ ერთხელ განხილული იქნა CGIAR-ის ცენტრების მიერ მომზადებული წინადადებები. გამოთქმული იქნა შენიშვნები, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული მომავალი სხდომისათვის, რომელიც გაიმართება მომავალ წელს ქ. რომში (იტალია) FAO-ს ოფისში.

ფონდის საბჭოს სხდომაში ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის (CACAARI) სახელით აქტიური მონაწილეობა მიიღო ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ, რომელმაც თავის გამოსვლაში მრავალი საინტერესო მოსაზრება და წინადადებები წარადგინა, რომლებშიც გამოკვეთილი იყო სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების მნიშვნელოვანი ინტერესები.

### **3.1.14. სტუმრები უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან**

2015 წლის 30 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრნენ უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. მიხეილ ბაშენკო და ამავე აკადემიის ვეტერინარული მედიცინის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნიკოლოზ მანდიხრა.

უკრაინელ სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ა. გიორგაძე, პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში თ. ეპიტაშვილი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გ. ბასილაძე, მთავარი სპეციალისტი შ. ფოცხვერია, უფროსი სპეციალისტი მ. ლომინეიშვილი, წამყვანი სპეციალისტები ც. ქილიფთარი და ე. კალანდია.

შეხვედრაზე სტუმრებს აკადემიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს აკად. გ. ალექსიძემ, აკად. გ. ჯაფარიძემ, აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძემ და დოქტორმა ა. გიორგაძემ.

თავის მხრივ შეხვედრის მონაწილეებს უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. მ. ბაშენკომ და აკადემიის წ/კ ნ. მანდიხრამ. უკრაინელმა სტუმრებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს აკადემიის და მასში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, რეგიონალური სამეცნიერო ცენტრების და პრობლემური ლაბორატორიების

სტრუქტურა და კვლევის მიმართულებები, სახელმწიფო სტრუქტურების როლი აკადემიის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელებაში.

მხარეებმა მოსაზრებები გაუზიარეს ერთმანეთს მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეტად აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებზე, რომელიც ეხება ცხოველთა დაავადებებს, ვეტერინარიის სამსახურების მუშაობის თემატიკებს, მეცხოველეობაში რისკის შემცირების ღონისძიებებს. შთამბეჭდავი იყო ამ მიმართულებით უკრაინაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებმა სტუმრებს გააცნეს ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევების შედეგები და ცენტრის სამომავლო ამოცანები.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რათა უკრაინისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებს შორის უახლოეს ხანებში გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ტექსტის მომზადებაში მონაწილეობას მიიღებენ უკრაინელი სტუმრები, ხოლო საქართველოს მხრიდან – აკადემიის წარმომადგენლები. მემორანდუმი ხელს შეუწყობს საქართველოსა და უკრაინის მეცნიერებს შორის საქმიანი კონტაქტების გაძლიერებას, მეცნიერულ თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებში, ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება-გადამზადების ღონისძიებების გაძლიერებას და ა.შ.



**შეხვედრა უკრაინელ სტუმრებთან. აკადემიის შესახებ ინფორმაციას აკეთებს ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გ. ჯაფარიძე**

### 3.1.15. აკადემიის სტუმრები ჩინეთიდან

2015 წლის 10 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრა ჩინეთის ნინსიას მეტყევეობის ინსტიტუტის მცენარეთა ბიონინჟინერიის სახელმწიფო ლაბორატორიის პრეზიდენტი, პროფესორი ლი ჯიანი.

პროფ. ლი ჯიანს და მის თანმხლებ პირებს მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გ. ჯაფარიძე, აკადემიკოსები რ. ჩაგელიშვილი და ე. შაფაქიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, დოქტ. ლ. უჯმაჯურიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფ. გ. გაგოშიძე, აკადემიის პრესსამსახურის თანამშრომლები.

ჩინელმა სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის საგამოფენო დარბაზის ექსპონატები, სტენდებზე გაეცნენ აკადემიის სტრუქტურას და საქმიანობის მიმართულებებს; შემდეგ გაიმართა ორმხრივი დისკუსია, სადაც ერთმანეთს სიტყვით მიმართეს აკად. გ. ალექსიძემ და ქალბატონმა ლი ჯიანმა. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს აკად. გ. ჯაფარიძემ, აკად. რ. ჩაგელიშვილმა და დოქტ. ლ. უჯმაჯურიძემ. ორმხრივ საუბრებში გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებები, სადაც შესაძლებელია საქართველოს და ჩინეთის მეცნიერების ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა, განსაკუთრებით მრავალმხრივი და მრავალფუნქციონალური მცენარის “გოჯი” (Wolf Perri) და მისი სახეობების საქართველოში გამოცდის შესახებ.




ჩინეთის მცენარეთა ბიონინჟინერიის სახელმწიფო ლაბორატორიის პრეზიდენტი, პროფესორი ლი ჯიანი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე





აკადემიის საგამოფენო დარბაზი. აკად. გ. ალექსიძე, პროფ. ლი ჯიანი, დოქტ. ლ. უჯმაჯურიძე.

### 3.1.16. ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ფორუმი აშშ-ში



2015 წლის 8-9 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია დაესწრო ნიუ-იორკში გამართულ ფორუმს, რომელიც მიეძღვნა ინოვაციური ტექნოლოგიების მნიშვნელობას კონკერენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საქმეში. აკად. ნ. ბაღათურიას ჰქონდა საქმიანი შეხვედრები, რომელზედაც უცხოელ სპეციალისტებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ საქართველოს საექსპორტო პოტენციალს და მისი ამოქმედების ინოვაციურ ტექნოლოგიებს. ამერიკელთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ქართული თხილის ზეთის ნიმუშებმა. გამოითქვა მზადყოფნა, რომ გაგ-

რძელდეს ერთობლივი მუშაობა ამერიკის ბაზარზე ქართული თხილის ზეთის ექსპორტის განხორციელების მიზნით.

## 3.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმები

### 3.2.1. მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

2015 წლის 16 იანვარს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში ჩატარდა აკადემიასა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელის მოწერის ოფიციალური ღონისძიება.

აღნიშნულ ღონისძიებას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან ესწრებოდნენ აკადემიური საბჭოს წევრები – აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გ. ჯაფარიძე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკად. ნ. ქარქაშაძე, აკადემიკოსები ო. ქეშელაშვილი, თ. კუნჭულია, ზ. ცქიტიშვილი, ნ. ჩხარტიშვილი, რ. მახარობლიძე, რ. ჩაგელიშვილი, ნ. ბაღათურია, აკადემიკოსი გ. ტყემალაძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე, პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციის უფროსი ა. გიორგაძე, აკადემიის აპარატის თანამშრომელები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან ხელმოწერის ღონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი, აკად. ა. ფრანგიშვილი, უნივერსიტეტის პრორექტორები პროფ. ლ. კლიმიაშვილი, ზ. გასიტაშვილი, თ. ბაციკაძე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სწავლული მდივანი პროფ. გ. სალუქვაძე, აგრარულ მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. გ. ქვარცხავა, მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, პროფ. დ. გურგენიძე, პროფ. ი.ყრუაშვილი.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა აკად. არჩილ ფრანგიშვილმა. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ მემორანდუმის გაფორმებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი წარმოადგენს ჩარჩო-ხელშეკრულებას ორ ორგანიზაციას შორის, სადაც აღნიშნულია თანამშრომლობის ისეთი სფეროები, როგორცაა: სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების და აგრარული პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგიების დამუშავება, აგროსაინჟინრო სისტემებისა და სერვისის სახეების დამუშავება, სატყეო მეურნეობის განვითარება, აგრარული ბიზნესის მართვა, აგრარიკოს სპეციალისტთა მომზადება, გადამზადება და ტრეინინგი; აკადემიის ეროვნულ კოორდინატორთა დარგობრივ საკოორდინაციო ჯგუფებში უნივერსიტეტის წარმომადგენლების აქტიური ჩართვა.

მემორანდუმის თანახმად აკადემიამ და უნივერსიტეტმა უნდა გაატარონ შემდეგი ღონისძიებები: ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სემინარების, კონფერენციების, მრგვალი მაგიდისა და სიმპოზიუმების ორგანიზება; სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების და პროგრამების რეალიზაციაში სასწავლო და საცნობარო ლიტერატურის ერთობლივი მომზადება და გამოცემა; ინფორმაციის გაცემა და თანამონაწილეობა ინიციატივებში, პროგრამებსა და პროექტებში, ორივე მხარის მიერ მათი მოღვაწეობის სფეროსა და ინტერესების შესაბამისად; სამეცნიერო პერსონალის ეფექტური გამოყენება სოფლის მეურნეობის

განვითარების ინოვაციური სისტემების შექმნისათვის და მათში სტუდენტთა აქტიური ჩართვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს აკად. ნ. ქარქაშაძემ, აკად. ნ. ჩხარტიშვილმა, პროფ. თ. ბაციკაძემ, აკად. ზ. ცქიტიშვილმა, პროფ. გ. ქვარცხავამ, აკად. ნ. ბაღათურიამ და აკად. გ. ტყემალაძემ.

შეხვედრის დასარულს აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძემ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკად. ა. ფრანგიშვილმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ხელის მოწერისთანავე.



მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ ხელს აწერენ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკად. ა. ფრანგიშვილი

**3.2.2. მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ უკრაინის (ქ.კიევი) ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე 2015 წლის 12-13 მარტს უკრაინის (ქ.კიევი) ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტში მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში "სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა კვების თეორია და პრაქტიკა", რომელიც მიეძღვნა გამორჩენილი მეცნიერის, **აკადემიკოს გრიგორი ბოგდანოვის დაბადებიდან 85-ე წლისთავს**. ვიზიტის დროს საქმიანი შეხვედრა გაიმართა უნივერსიტეტის რექტორთან, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ სვიატოსლავ ნიკოლაენკოსთან, მეცხოველეობისა და წყლის ბიორესურსების ფაკულტეტის დეკანთან, მეცნიერებათა კანდიდატ, დოცენტ ვადიმ ბოიჩუკთან.

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტს შორის.



**უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტის რექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სტანისლავ ნიკოლაენკო და დოქტორი ანატოლი გიორგაძე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელის მოწერის შემდეგ.**

### 3.2.3. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან

2015 წლის 23 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში, ბელარუსიის პრეზიდენტის, ბატონ ალექსანდრე ლუკაშენკოს საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ოფიციალური ცერემონია. თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ვლადიმერ გუსაკოვმა.

ორი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას **ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი გიორგი მარგველაშვილი და ბელარუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ბატონი ალექსანდრე ლუკაშენკო.**

სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების მიზნებია: მხარეთა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერება; ორივე მხარეს შორის ურთიერთობის გაფართოება; სამეცნიერო თანამშრომლობისა და ერთობლივი სამეცნიერო ნამუშევართა პრაქტიკული რეალიზაციის ხელშეწყობა ორივე მხარისათვის საინტერესო სფეროების მიხედვით.

ამ თანამშრომლობის ძირითადი ამოცანებია: შეთანხმებული პრიორიტეტული მიმართულებების ჩარჩოებში ერთობლივი კვლევებისა და დამუშავებების ორგანიზაცია; საქართველოში, ბელარუსის რესპუბლიკასა და მესამე ქვეყნებში ერთობლივი საქმიანობის შედეგების კომერციალიზაციის, იდეების, ინფორმაციებისა და ტექნოლოგიების გაცვლის და ორივე მხარის მიერ სამეცნიერო ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.



სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელს აწერენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ გუსაკოვი.



სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ. მარცხნიდან - ბელარუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ბატონი ალექსანდრე ლუკაშენკო, ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ გუსაკოვი, საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი გიორგი მარგველაშვილი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

### 3.2.4. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნულ ცენტრთან

აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ.ალექსიძემ და კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, დოქტორმა სოკ-იონგ ლიმ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას 5 წლის ვადით. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია აკადემიასა და კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრს შორის თანამშრომლობის მიმართულებები მემცენარეობაში ახალი ჯიშების გაცვლის, გენეტიკური რესურსების ბანკის სტრუქტურის დახვეწის და საქართველოში ახალი ჯიშების დანერგვის კუთხით, აგრეთვე აგრარული განათლების სრულყოფის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების, ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების გადამზადების და გაცვლითი სამეცნიერო მივლინებების მიმართულებით.



ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესი სსმმ აკადემიასა და კორეის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრს შორის.

### 3.2.5. ხელშეკრულება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და შპს „აგრორემმანქანა“ შორის, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

ხელშეკრულება მომზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ბელორუსის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის 2015 წლის 24 აპრილს სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ძირითადი მოთხოვნებისა და დებულებების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით.

აღნიშნული ხელშეკრულების მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობით და შუამდგომლობით დამყარდეს საქმიანი კავშირები შპს „აგრორემმანქანა“-ს და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადე-

მიის უნიტარული საწარმოს "მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საწარმო ინსტიტუტს" შორის.

ხელშეკრულების მიზანია აგრეთვე მხარეთა შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის დამყარება და გაძლიერება, რაც უნდა გამოვლინდეს აკადემიის სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებისა და კონსტრუქციების შემუშავების მიმართულებით და „აგრორემმანქანის“ მიერ მათი დამზადების, ხოლო შემდგომში აპრობაციასა და პოპულარიზაციაში, აგრეთვე შექმნილი პროდუქციის წარმოებაში დანერგვის მასშტაბების ზრდის ხელშეწყობაში.

ხელშეკრულების თანახმად საჭიროა „აგრორემმანქანამ“ უზრუნველყოს აკადემიის მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასანერგად გამოზნული და შეთავაზებული თანამედროვე სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების და კონსტრუქციების, აგრეთვე მათი ძირითადი სამუშაო ორგანოების დამზადება, ტექნიკურ-ტექნოლოგიური აპრობაცია, მისი პოპულარიზაცია და ფართო რეკლამირება, რისთვისაც აკადემია დაეხმარება მას მოიხილოს საზღვარგარეთიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამზადების ერთობლივი საწარმოების შექმნის მსურველი კომპანიები და პირველ რიგში ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის უნიტარული საწარმოები.

ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2015 წლის მაისს და მას ხელს აწერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე და შპს „აგრორემმანქანა“ - ს დირექტორი გივი ქურდიანი.

### **3.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2015 წელს ჩატარებული ღონისძიებები**

#### **3.3.1. ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრი**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, 2015 წლის 21 იანვარს დაფუძნდა ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრი, როგორც აკადემიის შიდა ფორმირება. მას გააჩნია საკუთარი დებულება, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს გ. ალექსიძის მიერ.

ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

**ცენტრის მიზანია:** ფერმერთა და სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე და მუშაობის მსურველ სპეციალისტთა მრავლმხრივი მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლება, რომელიც დაეყრდნობა მომავალზე ორიენტირებულ, უწყვეტი სწავლების პრინციპებზე აგებულ და ინფორმაციული ტექნოლოგიებით გა-



ჯერებულ სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, დარგობრივ-რეგიონულ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ საფუძვლებს, გრძელვადიან მარკეტინგულ სტრატეგიას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მიერ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებასა და დანერგვას, ეკონომიკური მექანიზმის სწორად გამოყენებას და ამ გზით წარმოების მდგრად განვითარებასა და პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან და დინამიურ ზრდას, მთელი აგრარული სექტორის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებას.

ცენტრი არის პროგრესულ საფუძვლებზე აგებული, მეცნიერებისა და წარმოების დამაკავშირებელი და ურთიერთშეწონასწორებული ინტეგრირებული ფორმა, რომლის ფუნქციონირებამაც დიდი წვლილი უნდა შეიტანოს აგრარული მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებაში, სწავლების ახლებური სისტემის დანერგვაში, ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიციური ფენის მომზადებაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მოდერნიზაციაში.

ცენტრში შემოღებულია 3 თვიანი (ერთჯერადი, ან/და ორჯერადი) სწავლება, სახელმწიფო დაფინანსების (შესაძლოა, მომავალში თვითდაფინანსების) საფუძველზე. ცენტრის მსმენელები, დასწრებული სწავლების ფორმით, შეისწავლიან ისეთ დისციპლინებს, რომელიც უკავშირდება სოფლის მეურნეობის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ კომპლექსს, პროდუქციის გადამუშავების სისტემას, დარგობრივ-რეგიონულ საწარმო-რესურსულ პოტენციალსა და ინფრასტრუქტურას, ბიზნესის ადმინისტრირებას, მენეჯმენტს, მარკეტინგს, ეკონომიკურ მექანიზმს, მიწმომწობას, მიწათსარგებლობას, მიწის დაგეგმარებას, კონსოლიდაციასა და მართვას, საადგილმამულო ურთიერთობათა და მიწის სამართალს, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და სხვ.

სულ შერჩეულია 50 საგანი, აგრონომიის, ზოოტექნიკისა და ვეტერინარიის, აგროსაინჟინრო, პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების და ეკონომიკის სფეროებიდან. ამ საგნების მიხედვით, ერთიანი ფორმით, შედგენილია სასწავლო პროგრამები. მეცადინეობებს ჩაატარებენ აკადემიის ნამდვილი წვრები და წევრ-კორესპონდენტები, აგრეთვე მოწვეული თვალსაჩინო მეცნიერები.

გათვალისწინებულია ცენტრში მოეწყოს საგანგებო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, თვალსაჩინო მასალების ფონდი. სწავლებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფას.

ცენტრის მუშაობა წარიმართება სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი ძალისხმევით.

ცენტრი, პერიოდულად გამოსცემს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლამოყვანისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა შენახვისა და მოვლის ტექნოლოგიებს, აგროწესებს, სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებს და სხვ.

### **3.3.2. შახვედრა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრთან**

2015 წლის 13 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა შეხვედრა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმო-

მადგენლებთან – მინისტრ ზაურ ფუტკარაძესთან და მინისტრის მოადგილე სულიკო ბერიძესთან.

შეხვედრას აკადემიის მხრიდან ესწრებოდნენ აკადემიური საბჭოს წევრები, აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, აკადემიის აპარატის წარმომადგენლები და სტუმრები - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პროფ. ვაჟა თოდუა და საქართველოს მიწათმოქმედთა და მექანიზატორთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი დვალი.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ, რომელმაც დადებითად შეაფასა სამინისტროს ინიციატივა აგრარული დარგის მეცნიერებთან შეხვედრის შესახებ და აღინიშნა, რომ აკადემიას და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის გაფორმებულია მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს შეხვედრის დიდ მნიშვნელობას.

მინისტრმა ზ. ფუტკარაძემ თავის პრეზენტაციაში დამსწრე საზოგადოებას გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა და მისი სამომავლო გეგმები – “სამინისტროს მიერ 2013-2014 წლებში გაწეული საქმიანობა და პერსპექტივები”.

ბატონმა ზ. ფუტკარაძემ აღნიშნა ის უარყოფითი მაჩვენებლები, რაც 2013 წლამდე ახასიათებდა აჭარის სოფლის მეურნეობას, მკაფიოდ გააშუქა პრიორიტეტები, რომელიც გამოკვეთილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაში. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა სოფლის მეურნეობის ძირითად, ტრადიციულ და დამხმარე დარგებზე; აღინიშნა გატარებული ღონისძიებების შედეგები და ტენდენციები (2013 წლის შემდგომ პერიოდში), გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის სამთავრობო პროგრამები, მათ შორის ციტრუსების მიმღებ-გადაამუშავების საწარმოების პროგრამა; სამინისტროსთან არსებული “აგროსერვის ცენტრის” და ლაბორატორიული კვლევითი ცენტრების ფუნქციონირების პროგრამა; შპს “მექანიზატორის” სერვის ცენტრის მიერ გატარებული ღონისძიებები; ექსტენციის (ფერმერთა სწავლება-კონსულტირება) მიმართულებით საქმიანობა; პარტნიორი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით განხორციელებული პროგრამები. პრეზენტაციაში მკაფიოდ გამოიკვეთა სამინისტროს უახლესი გეგმები და პერსპექტივები, აგრეთვე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პერსპექტივები.

მინისტრის მოხსენებამ დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, იყო ბევრი შეკითხვები, რომელზედაც მინისტრმა ამომწურავი პასუხები გასცა. მოხსენების ირგვლივ მოსაზრებები გამოთქვეს და დადებითად შეაფასეს სამინისტროს საქმიანობა აკადემიკოსებმა ნ. ქარქაშაძემ, ნ. ჭითანავამ, გ. პაპუნძემ, რ. მახარობლიძემ, ო. ქეშელაშვილმა, გ. მარგველაშვილმა და ნ. ბაღათურიამ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ე. შაფაქიძემ, თ. თურმანიძემ და რ. ჯაბნიძემ. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გივი ჯაფარიძემ აღნიშნა მინისტრის მეცნიერებთან შეხვედრის მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა, რომ ეს იყო ერთგვარი ანგარიში სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ; მან გამოთქვა სურვილი, რომ აგრარული მიმართულების ორგანიზაციებმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მიებადონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროს, თავიანთი საქმიანობა გახადონ გამჭვირვალე და პერიოდულად პრეზენტაციების და მრგვალი მაგიდის სახით საქმის

კურსში ჩააყენონ აკადემია, რომელიც კანონის საფუძველზე წარმოადგენს მთავრობის მრჩეველს სოფლის მეურნეობის საკითხებში.

შეხვედრა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ, რომელმაც დადებითად შეაფასა სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობა და გამოთქვა სურვილი, რომ მიზანშეწონილია კიდევ უფრო გაღრმავდეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონტაქტები აჭარის რეგიონთან და კერძოდ ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, რომელიც უნდა გახდეს აკადემიის სამეცნიერო და-კვირვებების ობიექტი პარტნიორობის დონეზე, როგორც ეს განსაზღვრულია მემორანდუმით.



აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეხვედრას ხსნის აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე



აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის ზაურ ფუტყარაძის პრეზენტაცია – “სამინისტროს მიერ 2013-2014 წლებში გაწეული საქმიანობა და პერსპექტივები”.

### 3.3.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება აკადემიის საერთო კრება

2014 წლის 27 თებერვალს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. კრების დღის წესრიგი:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2014 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ (მომხს. აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე);

2. აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (აკადემიკოს-მდივნები: აკადემიკოსები გ. მარგველაშვილი, ზ. ცქიტიშვილი, რ. მახარობლიძე, ნ. ბაღათურია, ო. ქეშელაშვილი);

3. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდების მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შესახებ (აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გ. ჯაფარიძე);

4. მიმდინარე საკითხები.

მოხსენებით “საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2014 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ” – გამოვიდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. მომხსენებელმა პირველ რიგში აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 2014 წლის 17 სექტემბერს პრადის (ჩეხეთი) ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების მე-8 ასაბლევზე აირჩიეს ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებიების კავშირის წევრად, რაც აკადემიის საერთაშორისო აღიარებაა და აკადემიისათვის დიდი წარმატება. აღინიშნა აკადემიის სტრუქტურული რეორგანიზაციის საკითხები, სამუშაო გეგმით ჩატარებული საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიებები, მათ შორის ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე”. მოხსენებაში განხილული იქნა აკადემიაში ჩატარებული სემინარები და მრგვალი მაგიდები, თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო და სამთავრობო სტრუქტურებთან, აკადემიის დარგობრივი კოორდინატორების მუშაობა, აკადემიის მიერ ჩატარებული გამსვლელი კონფერენციები, აკადემიის საგამომცემლო საქმიანობა – აღინიშნა, რომ საანგარიშო წელს აკადემიის წევრების მიერ გამოქვეყნებულია 198 სამეცნიერო შრომა, გამოცემულია 3 სახელმძღვანელო 13 მონოგრაფია, მიღებულია 4 პატენტი გამოგონებაზე და მომზადებულია 7 რეკომენდაცია. საანგარიშო პერიოდში გაფორმებული იქნა თანამშრომლობის მემორანდუმები კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან, პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტთან, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტთან და სხვა. აკადემია აქტიურად მონაწილეობდა საკანონმდებლო საქმიანობაში, ჰქონდა მჭიდრო კონტაქტები საქართველოს პარლამენტთან და სამინისტროებთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; გარკვეული წარმატებული სამუშაოები იქნა ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კუთხით, რისთვისაც აკადემიაში ჩამოყალიბებულია სპეციალური კომისია; მომხსენებლის მიერ გაანალიზებული იყო სამომავლო პერსპექტივები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს აკადემიის შემდგომ მუშაობაში.

მოსხენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა სტუმრებმა და აკადემიის წევრებმა – ზ. ტყემალაძემ, გ. ავულაშვილმა, გ. თოფაძემ, პროფ. თ. მარსაგიშვილმა, ი. ნოზაძემ, აკად. ნ. ქარქაშაძემ, აკად. ნ. ჩხარტიშვილმა, პროფ. ლ. კლიშიაშვილმა, პროფ. ვ. სუხიშვილმა, აკად. ჯ. ონიანმა, პროფ. რ. კოპალიანმა.

საერთო კრების მონაწილეებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2014 წლის საქმიანობა შეაფასეს დადებითად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებებით გამოვიდნენ - აკად. გ. მარგველაშვილი, აკად. ზ. ცქიტიშვილი, აკად. რ. მახარობლიძე, აკად. ო. ქეშელაშვილი, აკად. ნ. ბალათურია. კამათში მონაწილეობა მიიღეს აკად. თ. ყურაშვილმა, აკად. გ. პაპუნძემ, ი. აბულაძემ, დოქტ. ლ. უჯმაჯურიძემ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოს-მდივანმა გ.ჯაფარიძემ.

აკადემიკოს-მდივნებმა და სხვა გამომსვლელებმა ისაუბრეს სოფლის მეურნეობის ისეთ პრობლემატურ საკითხებზე, როგორცაა ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებები, მანქანა-ტექნოლოგიური სისტემების გაუმჯობესების მექანიზმების სრულყოფა, მეცხოველეობის და ვეტერინარიის საკითხებზე გაფართოებული მრგვალი მაგიდების დანერგვის ორგანიზაცია, კვების მრეწველობის სახელმწიფო პროგრამაში აკადემიის როლის გაძლიერება, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დარგობრივ სახელმწიფო პროგრამებში აკადემიის მოქმედი ინტელექტუალური პოტენციალის გათვალისწინება, სასურსათო პროდუქტების კონტროლის მექანიზმის დამუშავება, აგრარული სფეროს ეკონომიკის და ბიზნესის მიმართულებების განსაზღვრა-კორექტირება და ა.შ.

განხილულ საკითხებზე საერთო კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილებები და რეკომენდაციები.

**საერთო კრებაზე აბრარულ სფეროში 2014 წლის საუკეთესო მეცნიერებს გადაეცათ დიპლომები:**

- აბრარულ დარგში – აკად. გურამ ალექსიძეს;
- აბროსაინჟინერო დარგში – აკად. ჯემალ კაციტაძეს;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვის და გადამუშავების დარგში – პროფ. ნანა ბებიაშვილს;
- ეკონომიკის დარგში – აკადემიის წევრ კორესპონდენტს პაატა კოღუაშვილს.



საანგარიშო მოხსენებით გამოდის აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე და სტუ-ის პრორექტორი, პროფ. ლ. კლიმიაშვილი.



აკადემიის საერთო კრების პრეზიდიუმი – მარჯვნიდან: ზ. ტყემალაძე, გ. აგულაშვილი, გ. ალექსიძე, ი. ნოზაძე, ლ. კლიმიაშვილი, გ. თოფაძე.



საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყეშელაძე



საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი



საქართველოს პარლამენტის ფრაქციის “ქართული ოცნება-მრევლები” თავმჯდომარე გიორგი თოფაძე



**საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის  
მოადგილე იური ნოზაძე**



**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის  
მოადგილე თამაზ მარსაგიშვილი**



**აკადემიის საერთო კრების მონაწილეები სხდომათა დარბაზში.**



### 3.3.5. სამეცნიერო კონფერენცია

2015 წლის 13 მარტს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის პროექტის ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე:

**"ბიოსისტემების მათემატიკური მოდელირება და მისი გამოყენება ციტრუსების ინტეგრირებულ დაცვაში"** (პროექტის ხელმძღვანელი აკად. გურამ ალექსიძე).

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა, აგრეთვე მოწვეულმა სტუმრებმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა და მოხსენება გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, საგრანტო პროექტის ხელმძღვანელმა, აკად. გ. ალექსიძემ. ძირითადი მოხსენებებით გამოვიდნენ დოქტორი ავთანდილ მურვანიძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და დოქტორი ლერი ნოზაძე (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი).

კონფერენციაზე განხილული საკითხები შეფასდა დადებითად, ხაზი გაესვა შესწავლილი საკითხის მაღალ მეცნიერულ დონეს და მიღებული შედეგების პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობას.



სამეცნიერო კონფერენციაზე შესავალი მოხსენება გააკეთა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ



სამეცნიერო კონფერენციის სხდომათა დარბაზი.

### 3.3.6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბასვლითი სამინარო კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში

2015 წლის 20 მარტს კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ორგანიზებით გაიმართა სემინარი მეფრინველეობის აქტუალურ საკითხებზე. სემინარს ხელმძღვანელობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე დოქტორი ანატოლი გიორგაძე, აკადემიური დეპარტამენტის ფერმერთან ურთიერთობისა და საქმიანობის კოორდინატორი მარიამ მოსაშვილი; მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამროსი ჭკუასელი; დოქტორი, პროფესორი მაია ხუციშვილი; მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გაგოშიძე; მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ კიკვიძე; მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვაჟა ბუჩუკური; მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი მაძღარაშვილი; კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ედიშერაშვილი; დირექტორი გოგიტა მისურაძე, ფაბრიკის მთავარი ვეტექიმი ლალი ოქრიაშვილი.

კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკის საქმიანობა სემინარის მონაწილეებს გააცნო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ედიშერაშვილმა.

სემინარზე ძირითადი მოხსენება გააკეთა დოქტორმა მაია ხუციშვილმა “მეფრინველეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში”.

სემინარზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე,

რომელმაც ისაუბრა მეფრინველეობის განვითარების თანამედროვე მიმართულებებზე და ტენდენციებზე; მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამროსი ჭკუასელი - მან ყურადღება გაამახვილა საკვების ხარისხისა და საკვები რაციონის სწორი დაბალანსების მნიშვნელობაზე მეკვერცხულ მეფრინველეობაში.

გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სემინარის ყველა მონაწილემ.

სემინარის მუშაობა შეაჯამა აკადემიკოსმა ჯემალ გუგუშვილმა. მან აღნიშნა ასეთი გასვლითი სემინარების მნიშვნელობა და მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მუდმივ კავშირში ყოფნის აუცილებლობა. გამოითქვა მოსაზრება, რომ გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკას შორის.

სემინარის მონაწილეებმა დაათვალიერეს ფაბრიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადგილზე გაეცნენ მეფრინველეობის ფაბრიკის საწარმოო პროცესების ტექნოლოგიებს და ტექნიკურ საშუალებებს.



სემინარი კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში;  
სემინარს ხელმძღვანელობს აკად. ჯ. გუგუშვილი.



აკად. ჯ. გუგუშვილი და სსმმ აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე მეფრინველეობის ფაბრიკის სამრეწველო საამქროში.

### 3.3.7. მრგვალი მაგიდა მეთევზეობაში

2015 წლის 3 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ორგანიზებით (სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე, მოადგილე აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი) აკადემიის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა მრგვალი მაგიდა მეთევზეობის პრობლემატურ საკითხებზე. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს, აკადემიკოსებმა: ნაპოლეონ ქარქაშაძემ, იუზა ვასაძემ, გურამ ტყემალაძემ, თენგიზ ყურაშვილმა, გივი ბადრიშვილმა, ჯემალ გუგუშვილმა, ომარ ქეშელაშვილმა, ჯემალ კაციტაძემ, დოქტორმა ანატოლი გიორგაძემ. მოწვეულმა სტუმრებმა, მეცნიერებათა დოქტორებმა: გიორგი გაგოშიძემ, ამროსი ჭკუასელმა, გიორგი მაძღარაშვილმა, რამაზ კიკვიძემ, ვაჟა ბუჩუკურმა, რამაზ ჭანტურიძემ; დოქტორებმა: როინ ბოკუჩავამ, მაია ხუციშვილმა, კობა ნაცვალაძემ, ნანა მაისურაძემ.

მრგვალი მაგიდა მიჰყავდა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძეს. ძირითადი მომხსენებელი იყო სოფლის მეურნეობის დოქტორი როინ ბოკუჩავა. მან მოკლედ მიმოიხილა საქართველოს მეთევზეობის სიმძლავრეები წარსულში, ისაუბრა თანამედროვე მდგომარეობასა და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე.

გაიმართა დისკუსისა.

გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს კვალიფიციური კადრების ნაკლებობაზე და ახალი ტექნოლოგიების გავრცელებისა და გამოყენების პრობლემებზე მეთევზეობაში.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიკოსმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ.



მრგვალი მაგიდის სხდომის მიმდინარეობა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში



მრგვალი მაგიდის მონაწილეთა ერთი ჯგუფი - მარჯვნიდან: აკადემიკოსები გ. ბაღრიშვილი, ჯ. გუგუშვილი, ნ. ქარქაშაძე (სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე), ი. ვასაძე, თ. ყურაშვილი.

### 3.3.8. მრგვალი მაგიდა - აგროინჟინერიის საბანმანათლებლო პროგრამის შესახებ

2015 წლის 13 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: “აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ”.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა რ. მახარობლიძემ და აკადემიკოსმა

ა. დიდებულიძემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა ე. შაფაქიძემ; აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორმა, დოქტორმა ა. გიორგაძემ; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს წარმოადგენდნენ პროგრამის ავტორები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორი სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის მიმართულებით, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი ირაკლი ყრუაშვილი და სას. სამ. ჰიდრომელიორაციის დარგობრივი ჯგუფის წევრი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი ზურაბ ლობჯანიძე;

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სტუ-ს თანამშრომელებმა – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დ. გუბელაძემ, დოქტორებმა დ. ორმოცაძემ, ლ. მაისაშვილმა და კ. ბზიავამ.

განხილული საგანმანათლებლო პროგრამის ირგვლივ გაიმართა დისკუსია, გა-  
მოითქვა შენიშვნები და წინადადებები, რომელიც მთლიანად გაიზიარეს პროგრამის  
ავტორები.

ზემოთ აღნიშნული მრგვალი მაგიდა და საგანმანათლებლო პროგრამის გან-  
ხილვა გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და  
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ ურთიერთთანამშრომ-  
ლობის მემორანდუმის საფუძველზე.



**მრგვალი მაგიდის ფარგლებში საგანმანათლებლო  
პროგრამის განხილვა**

### **3.3.9. კონფერენცია**

#### **“საქართველოს მდგრადი განვითარება”**

2015 წლის 15 მაისს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სახლის სააქტო  
დარბაზში გაიმართა კონფერენცია თემაზე: “საქართველოს მდგრადი განვითარება.”  
მისი ორგანიზატორი იყო ჩეხეთის სათვისტომო საქართველოში (პრეზიდენტი  
ჰაროლდ შმალცელი). კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქარ-  
თველოს საპატრიარქოს, საქართველოში ჩეხეთის საელჩოს, საქართველოს უშიშ-  
როების საბჭოს და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
წარმომადგენლებმა.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: ჰაროლდ შმალცელი - "საქარ-  
თველოს მდგრადი განვითარება", საქართველოს სოფლის მეურნეობის მეც-  
ნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი - "სასურსათო უსაფრ-  
თხოება საქართველოში" და ევროკავშირის ექსპერტი ნინო გუნია - "საქართველოს

კულტურის პოლიტიკის განვითარების ეტაპები". კონფერენციის მეორე ნახევარში მოხსენებების ირგვლივ გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პაატა კოლუაშვილმა.

### **3.3.10. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “საქართველოს მთის ტყეების დღევანდელი მდგომარეობა”.**

2015 წლის 20 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის კომისიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეტყვეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების ორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “საქართველოს მთის ტყეების დღევანდელი მდგომარეობა”.

კონფერენციაზე მოხსენებით “სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპები” გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეტყვეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორი რევაზ ჩაგელიშვილი. საქართველოში სატყეო განათლების საკითხებზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეტყვეობის მიმართულების ეროვნულმა კოორდინატორმა, პროფესორმა გიორგი გაგოშიძემ. ტყის დაცვითი ფუნქციების შესახებ მოხსენება გააკეთა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეტყვეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის ჯგუფის წევრმა, მეცნიერებათა დოქტორმა ლაშა დოლიძემ. ასევე მოხსენებებით გამოვიდნენ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ კანდელაკი, თავისუფალი ექსპერტი მერაბ დვალი.

### **3.3.11. საერთაშორისო სემინარი**

მიმდინარე წლის 28 მაისს კომპანია “ლომთაგორაში” გაიმართა საშემოდგომო ხორბლის გაუმჯობესების programa IWWIP-ს საერთაშორისო სემინარის (აზერბაიჯანი – საქართველო) გახსნა, რომლის მიზანია საერთაშორისო მიღწევებისა და გამოცდილების გაზიარება. სემინარზე წარმოდგენილი იყო მონაწილე ქვეყნების პრეზენტაციები აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით. სემინარი ორგანიზებული იყო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, სიმიტის და იკარდის მიერ. მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის 40-მდე წარმომადგენელმა (საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, ყაზახეთი, უბეკეთი და სხვა). სემინარის გახსნას ესწრებოდნენ: სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის, სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის, არასამთავრობო ორგანიზაციები და ფერმერები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: აკადემიკოსები ომარ ქეშელაშვილი და ჯემალ გუგუშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეც-

ნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე, საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი თინათინ ეპიტაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ „ლომთაგორას“ უკვე შექმნილი და დარეგისტრირებული აქვს უხვმოსავლიანი და დაავადებებისადმი გამძლე სიმინდისა და ხორბლის ჯიშები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ზღვის დონის მიხედვით ითესება და უხვმოსავლიანობით გამოირჩევა.

დღეს, შეიძლება ითქვას, რომ „ლომთაგორა“ მეთესლეობის სფეროში ქვეყანაში ერთადერთი სპეციალიზებული საწარმოა, რომელიც საქმიანობის სფეროს სულ უფრო აფართოებს.

საწარმომ წლეულს იაფი კრედიტის ფარგლებში შემოიტანა და უკვე დაასრულა „TUDORS“ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მარცვლეულის შესანახი სილოსების მშენებლობა-მონტაჟი, სადაც ერთდროულად 2000 ტონა მარცვლეულის შენახვაა შესაძლებელი. თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილი 1000, 500 და ორი 200-ტონიანი მოცულობის მარცვლეულის შესანახი ბუნკერიავეტომატურ რეჟიმში ანხორციელებს მარცვლეულის შრობას, შენახვასა და დახარისხებას. დღეს ქვეყანაში განსაკუთრებით აქ ტუალური სიმინდის მარცვლის დაბინავებაა, რადგან სიმინდის შრობის პროცესს და მისი ტენიანობის ტექნოლოგიურ კონდიციამდე - 12-14%-მდე დაყვანას დაშენარჩუნებას ხა რისხიანი პროდუქციის მისაღებად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ლომთაგორას მარცვლეულის საწარმო ფერმერებს სწორედ ასეთი ტექნოლოგიით გამართულ გარანტირებულ მომსახურებას სთავაზობს. მთავარია, ფერმერმა მოწვეული მარცვლეული საწარმომდე მიიტანოს, სადაც იგი სპეციალურ სასწორზე აიწონება, გაიზომება მარცვ ლისტენიანობა და ავტომატურად ჩაიტვირთება საშრობში. სასურველ კონდიციამდე გაშრობის შემდეგ იგი გადავა გასაგრილებელ ბუნკერებში და თუპატრონი სურვილს გამოთქვამს, ავტომატურად ჩაიტვირთება სილოსში – მარცვლეულის შესანახ ბუნკერში, სადაც მის ხანგრძლივი დროით მაღალხარისხიან შენახვას კომპიუტერული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს. მარცვლეულის შესანახი სილოსების კომპიუტერული აღჭურვილობა აკონტროლებს ტენიანობას, საჭიროების შემთხვევაში რთავს საშრობ საწარმოებს და თუ ესეც არ იქნება საკმარისი, ავტომატურად იწყებს მარცვლეულის ამობრუნებას საათში 50 ტონის წარმადობით და უზრუნველყოფს ტენიანობის მითითებულ დონემდე დაყვანას. რისკვაქტორი, რომ მარცვალი გაფუჭდეს, ფაქტობრივად არ არსებობს.

კიდევ ერთი სიახლე, რასაც „ფირმა ლომთაგორა“ სთავაზობს ფერმერებს, უახლესი გერმანული ტექნოლოგიებით დამუშავებული ხორბლის თესლია. ხორბლისა და სხვა მარცვლეული კულტურების გადასამუშავებელი საწარმო, რომელიც ახლახანს ამოქმედდა ლომთაგორაში, მარცვლეულის გაწმენდა-დახარისხებას ევროპული ტექნოლოგიების შესაბამისად ანხორციელებს.

ყანიდან შემოსული მარცვლეული ჯიშების მიხედვით სილოსებში ჩაიტვირთება და დასამუშავებლად ქარხანაში გადადის, სადაც მიმდინარეობს მისი პირველადი გაწმენდა, დაკალიბრება, შეწამვლა და კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად 25 ან 50-კილოგრამიანი ტომრებში შეფასოვდება.

„ფირმა ლომთაგორა“ ფერმერებს სთავაზობს უმაღლეს დონეზე დამუშავებულ გენეტიკურად და კონდიციურად კლასის ადგილობრივი საწარმოების სხვადასხვა ჯიშის ხორბლის თესლს, რომელებსაც რეგიონების, ზღვის დონის შესაბამისად,



გავლილი აქვთ ჯიშთა გამოცდა-ადაპტირებულია შესაბამის ზონისა და კლიმატური პირობებისადმი.



სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი, სსმმ აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე

### 3.3.12. მრგვალი მაგიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში.

2015 წლის 23 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: "აგრარულ სფეროში მეცნიერებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ".

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები) გ. ჯაფარიძე, რ. მახარობლიძე, ა. დიდებულიძე, ა. ვაშაკიძე, თ. ყურაშვილი, ზ. ცქიტიშვილი, ნ. ბალათურია, ჯ. ონიანი, გ. გუგუშვილი, რ. ჩაგელიშვილი, ი. ვასაძე, ვ. კვალიაშვილი, გ. მარგველაშვილი, ო. ქეშელაშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ე. შაფაქიძე, თ. თურმანიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ა. გიორგაძე და მოწვეული სტუმრები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი პროფ. გ. ქვარცხავა, ფაკულტეტის თანამშრომლები პროფ. ი. ყრუაშვილი, გ. გაგოშიძე, ზ. ლობჯანიძე, გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ვ. სუხიშვილი.

მრგვალ მაგიდას უძღვებოდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა საკითხის აქტუალობა, ტექნიკური უნივერსიტეტის ძალისხმევა აგრარული განათლების აღორძინებისათვის და იქ გახსნილი აგრარული მიმართულების ფაკულტეტის სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამებისა და ამ მიმართულებით აკადემიის როლის და ძირითადი ხედვების შესახებ.

სტუ-ის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გიგა ქვარცხავამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო უნივერსიტეტში ახლად გახსნილი ფაკულტეტის სტრუქტურა, მისი ფუნქციები, სტუდენტთა შემადგენლობა, ფაკულტეტის განვითარების პერსპექტივები და აღნიშნა ამ ტიპის საკითხებით აკადემიის დაინტერესების დიდი მნიშვნელობა.

დისკუსიაში მონაწილე ყველა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ქვეყანა განიცდის აგრარული დარგის სპეციალისტების დეფიციტს, საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამები ეყრდნობოდნენ საზღვარგარეთის წამყვანი აგრარული მიმართულების უნივერსიტეტების გამოცდილებას და პროგრამებს, საჭიროა გამოინახოს სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტები და საწარმოები თბილისთან ახლოს. მიზანშეწონილია აკადემიის მეცნიერების გამოყენება ახალი სალექციო კურსების შესაქმნელად და მათი მოწვევა ლექციების ჩასატარებლად, მეცნიერების პოტენციალის გამოყენება სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებით მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.



**მრგვალ მაგიდას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე.**

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მოიწონეს წინადადებები, რომ სტუ-ს აგრარული მიმართულების ფაკულტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამები განხი-

ლული იქნეს აკადემიის დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების მიერ, როგორც ეს მოხდა აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებაში აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის განხილვისას. ეს ღონისძიებები კიდევაც არის ასახული აკადემიისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ მემორანდუმში.



**მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილე აკადემიის წევრები და მოწვეული სტუმრები.**

### **3.3.13. მრგვალი მაგიდა საქართველოში ქარსაფარი ზოლების შესახებ**

2015 წლის 24 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ინიციატივით ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა საქართველოში ქარსაფარი ზოლების არსებულ მდგომარეობას და სამომავლო ამოცანებს.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ. ჯაფარიძემ, აკად. ე. გუგუშვილმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. შაფაქიძემ, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, დოქტორმა ა. გიორგაძემ, სამეცნიერო საბჭოს წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა.

მრგვალი მაგიდის მუშაობას უძღვებოდა აკად. ე. გუგუშვილი. ძირითადი მოხსენება “საქართველოში ქარსაფარი ზოლების არსებული მდგომარეობა და ამ მიმართულებით სამომავლო პერსპექტივები” გააკეთა აკადემიის ეროვნულმა კოორდი-

ნატორმა სატყეო მიმართულებით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. გაგოშიძემ. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს აკად. გ. ჯაფარიძე, აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორებმა ლ. დოლიძემ და გ. მაძღარაშვილმა, პროფესორებმა რ. რუსიეიშვილმა, ვ. ბუჩუკურმა და თ. ჭუმბურიძემ.

მომხსენებელმა და გამომსვლელებმა აღნიშნეს ის საგანგაშო მდგომარეობა, რომელიც დღეისათვის შექმნილია ქარსაფარი ზოლების მიმართულებით. ითქვა, რომ თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით სოფლის მოსახლეობის მიმე ეკონომიკური პირობების გამო განადგურებულია ქარსაფარი ზოლები, რომელმაც მიმე დადი დაამჩნია სოფლის მეურნეობის ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ზრდა-განვითარებას და შესაბამისად მოსავლიანობას. საჭიროა სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის სამინისტროებში, მათ დაქვემდებარებულ დეპარტამენტებში გატარდეს ქმედითი ღონისძიებები ამ მიმართულებით, ხოლო საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით დაიწყოს კანონის “ქარსაფარი ზოლების შესახებ” განხილვა, რომელიც აკადემიის ძალისხმევით არის მომზადებული. საჭიროა ჩატარდეს მოსახლეობაში ძალზე დიდი განმარტებითი ღონისძიებები ქარსაფარი ზოლების მნიშვნელობის, მათი აღდგენის და რეაბილიტაციის მიმართულებით, განემარტოს მოსახლეობას ქარსაფარი ზოლების სასიკეთო მნიშვნელობის შესახებ. დაევალა სამეცნიერო საბჭოს მრგვალი მაგიდის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები და შესაბამისი დასკვნები აცნობოს ზემოთ აღნიშნულ ორივე სამინისტროს და საქართველოს პარლამენტს.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიკოსმა ელგუჯა გუგუშიძემ, რომელმაც აღნიშნა განხილული საკითხის ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა და ამ მიმართულებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის როლისა და ფუნქციების შესახებ.



მრგვალი მაგიდის ხელმძღვანელი აკად. ე. გუგუშიძე და ძირითადი მომხსენებელი, ს. მ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გ. გაგოშიძე.



მრგვალ მაგიდის მუშაობაში მონაწილე მეცნიერები და მოწვეული სტუმრები

### 3.3.14. მრგვალი მაგიდა რეგიონებში აბროსაინჟინრო სფეროს მდგრადობის შესახებ

2015 წლის 29 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: “აგროსაინჟინრო სფეროში რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების როლის გაზრდის შესახებ”.

აკადემიიდან მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გ. ჯაფარიძემ, აგროსაინჟინრო და ეკონომიკური სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნებმა - აკად. რ. მახარობლიძემ და ო. ქეშელაშვილმა, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, საგრანტო პროექტის FR/454/10-140/14 ხელმძღვანელმა - აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძემ, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, დოქტ. ა. გორგაძემ, აკადემიკოსებმა ჯ. კაციტაძემ და ა. დიდბუღიძემ, აკადემიური დეპარტამენტის თანამშრომლებმა და აკადემიიდან წარდგენილი ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო-სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის: “ტექნოლოგიური პროცესების ენერგოდანახარჯების გაანგარიშების საფუძველზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი ტექნიკის ნომენკლატურისა და რაოდენობის განსაზღვრის მეთოდის დამუშავება რეგიონში კულტურათა სახეობებისა და დაკავებული ფართობების მიხედვით” ძირითადმა და დამხმარე პერსონალმა გ. ჩიტაიამ, გ. მოსაშვილმა, რ. ჯაფარიძემ, კ. ბოძაშვილმა და მ. მოსაშვილმა.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოწვეული სტუმრები: აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ი. აბულაძე, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელები – რ. ძიძიშვილი, ნ. კიკნაველიძე, მ. ლომსაძე, ო. ჩხარტიშვილი და ა. მიქავა, დმანისის, საგარეჯოს,

ახალქალაქის, ონის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის უფროსები – ნ. ციხელაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, რ. გოგალაძე, ტ. ლობჯანიძე, მ. ნიჟარაძე, ა. ვაშაყმაძე, ს. შერვაშიძე, ა. კაკალაძე და რ. შანთაძე; ჟურნალ “ახალი აგრარული საქართველოს” რედაქტორი შ. მაჭარაშვილი.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებს აკადემიის აკადემიური საბჭოს სახელით მიესალმა აკად. გ. ჯაფარიძე; რეგიონებში აგროსაინჟინრო სამსახურის როლსა და პერსპექტივებზე ისაუბრა აკად. რ. მახარობლიძემ, რაიონებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ფართობების მიხედვით ტექნიკის ნომენკლატურის და რაოდენობის განსაზღვრის მნიშვნელობასა და მეთოდოლოგიაზე ისაუბრა აკადემიის წ/კ და საგრანტო პროექტის ხელმძღვანელმა ე. შაფაქიძემ, ფერმერების და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა აკად. ო. ქეშელაშვილი.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქმეს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილემ ი. აბულაძემ, რეგიონების და რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელებმა რ. ძიძიშვილმა, ნ. კიკნაველიძემ, მ. ლომსაძემ, ო. ჩხარტიშვილმა, ა. მიქავამ, ნ. ციხელაშვილმა, ნ. ჯავახიშვილმა, რ. გოგალაძემ და ტ. ლობჯანიძემ; საგრანტო პროექტის ძირითადმა შემსრულებელმა გ. მოსაშვილმა.

რეგიონების და რაიონების წარმომადგენლებმა აღნიშნეს ის საკითხები, რომლებიც პრობლემატურია რაიონებში, მათ შორის:

- ტექნიკური პერსონალის (ოპერატორები, მექანიზატორები) მომზადების დაბალი დონე და ამის გამო ის პრობლემები, რომელიც თან ახლავს თანამედროვე სას. სამ. ტექნიკის მართვისა და ექსპლუატაციის საკითხებს;

- მოხდეს მუნიციპალიტეტში ტერიტორიული ორგანოების მიხედვით საჭირო ტექნიკის ნომენკლატურის დადგენა, რითვისაც მიზანშეწონილია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას მიეწოდოს რაიონების საწვისი პარამეტრები და არსებული ტექნიკის და მათი ტექნიკური მდგომარეობის სრული სურათი;

- შეიქმნას რაიონებში მცირე სიმძლავრის მექანიზაციის სერვის-ცენტრები და მოხდეს მათი საჭირო მარაგ-ნაწილებით და საწვავით შეუფერხებელი მომარაგება;

- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები რათა არ ჰქონდეს ადგილი ტექნიკის მოცდენას – სეზონის განმავლობაში ერთი ტრაქტორის საშუალო დატვირთვა არ უნდა იყოს 150 ჰა-ზე ნაკლები;

- საზღვარგარეთიდან საქართველოში ტექნიკის შემოყვანამდე მოხდეს მისი საველე გამოცდა რეგიონების ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით;

- საქართველოში განხორციელდეს მინი ტრაქტორებით (განსაკუთრებით ვენახის მცირე სიმძლავრის ტრაქტორებით) და მოტობლოკებით ფერმერების ფართო მომარაგება მათთვის მისაღები ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით;

- სასურველია კოოპერატივებისათვის გაგრძელდეს მოტობლოკების შედავათიან პირობებში შესყიდვის პროექტი, რაც ხელს შეუწყობს მცირე კონტურიანი ნაკვეთების დამუშავებას;

- გაძლიერდეს და გაფარდოვდეს აგრარეკოს მეცნიერების მიერ რეგიონებში გამსვლელი სემინარების და პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობების ჩატარების პრაქტიკა;

- დასამუშავებელია რეგიონების მექანიზატორთა და საერთოდ სოფლის მეურნეობის მუშაკთა სწავლების საკითხები და ამ მიმართულებით მისასალმებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩამოყალიბება და სასწრაფოდ უნდა მოხდეს მისი პრაქტიკული განხორციელება.



**მრგვალი მაგიდის მონაწილეებს მიესალმება აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე**



**მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილე რეგიონების და რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების ხელმძღვანელები და აკადემიის თანამშრომელები.**

### 3.3.15. მრგვალი მაგიდა თემაზე: "სეზონისაგან დაზიანებული ვენახის მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ".

2015 წლის 14 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მევენახეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის აკად. ნ. ჩხარტიშვილის და მისი ჯგუფის ინიციატივით ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: "სეტყვისაგან დაზიანებული ვენახის მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ".

მრგვალ მაგიდას უძღვებოდა სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსები გ. მარგველაშვილი, გ. ბადრიშვილი, ი. ვასაძე, ჯ. ონიანი, გ. ცაგურიშვილი, რ. ჩაგელიშვილი, შ. ჭალაგანიძე, რ. მახარობლიძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ე. შაფაქიძე, ო. ლიპარტელიანი, თ. თურმანიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ა. გიორგაძე და დოქტორი გ. მოსაშვილი; მოწვეული სტუმრები - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი გ. სამანიშვილი, სააგენტოს თანამშრომლები პროფ. დ. მაღრაძე და ი. მდინარაძე, გ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფერული ფიზიკის სექტორის გამგე ა. ამირანაშვილი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ვ. ჩიხლაძე, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის უფროსი პროფ. ნ. ებანოიძე, დეპარტამენტი მევენახე და გამომგონებელი ა. ორჯონიკიძე და სხვები.

მრგვალ მაგიდაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: პრობლემების აქტუალურობა, საქართველოში განხორციელებული ღონისძიებების შედეგები, არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები (აკად. ნ. ჩხარტიშვილი), სეტყვისაგან დაზიანებული ვენახის მოვლა (ი. მდინარაძე), სეტყვის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გამოცდის შედეგები, მდგომარეობა და პერსპექტივები (ა. ამირანაშვილი და ვ. ჩიხლაძე), ვენახის სეტყვადამცავი ბადეებით გადახურვის შედეგები საქართველოში და სამომავლო პერსპექტივები (ნ. ჩხარტიშვილი).

აღნიშნულ საკითხებზე აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსებმა შ. ჭალაგანიძემ, ი. ვასაძემ, ჯ. ონიანმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ე. შაფაქიძემ, ო. ლიპარტელიანმა, თ. თურმანიძემ, მოწვეულმა სტუმრებმა დ. მაღრაძემ და ა. ორჯონიკიძემ.

მრგვალ მაგიდაზე გაკეთებული მოხსენებების, გამოთქმული შენიშვნების და მოსაზრებების საფუძველზე მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება, რომელიც გადაეგზავნება სახელისუფლო ორგანოებს.

აღინიშნა აგრეთვე, რომ მგავსი ღონისძიება აკადემიის ინიციატივით და იგივე შემადგენლობით მიზანშეწონილია ჩატარდეს საქართველოს კახეთის, ქვემო და შიდა ქართლის და სხვა რეგიონებში.





მრგვალი მაგიდის სხდომათა დარბაზი. შესავალი სიტყვით  
გამოდის აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე.



მრგვალ მაგიდაზე ძირითადი მოხსენებით  
გამოდის აკად. ნ. ჩხარტიშვილი.

### 3.3.16. გამსვლელი სემინარი ჟილკანში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების ინიციატივით 2015 წლის 15 ივლისს მოეწყო გამსვლელი სემინარი სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ექსპერიმენტულ ბაზაში.

აკადემიიდან სემინარში მონაწილეობდნენ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე, აკადემიკოსები გ. მარგველაშვილი, ნ. ჩხარტიშვილი, გ. ცაგურიშვილი, რ. ჩაგელიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ო. ლიპარტელიანი და ე. შაფაქიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ი. ნოზაძემ, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილემ, პროფ. გ. ბასილაძემ, დეპარტამენტის უფროსმა, დოქტ. ნ. კაკაბაძემ, სამსახურის უფროსებმა - პროფ. ნ. ებანოიძემ და დოქტ. გ. წერეთელმა, ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, დოქტ. ქ. მჭედლიშვილმა და სხვა.

სემინარზე ძირითადი მოხსენებით გამოვიდა ერთწლოვანი კულტურების კვლევის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, აკადემიის წ/კორესპონდენტი ო. ლიპარტელიანი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ერთწლოვანი კულტურების (ხორბალი, სიმინდი და ა.შ) სელექცია-მეთესლეობის შედეგები და წარმოადგინა საქპატენტში დარეგისტრირებული სიმინდის ახალი ჯიშების დახასიათება.

სემინარზე ინფორმაციები გააკეთეს ი. ნოზაძემ, გ. ბასილაძემ, ნ. კაკაბაძემ, აკად. გ. ალექსიძემ, ნ. ჩხარტიშვილმა, გ. ცაგურიშვილმა, გ. მარგველაშვილმა და სხვა.

მოეწყო საჩვენებელი გასვლა უშუალოდ საცდელ ნაკვეთებში, სადაც იცდებიან სიმინდის, ხორბალის, ქერის, ლობიოს, თამბაქოს და სხვა კულტურების სხვადასხვა ჯიშები; სემინარის მონაწილეებს სამეცნიერო-კვლევითი და ჯიშთაგამოცდის საკითხებზე ესაუბრებოდნენ ნ. კაკაბაძე, ო. ლიპარტელიანი, გ. წერეთელი, ნ. ებანოიძე. მათ აგრეთვე გააცნეს ექსპერიმენტულ ბაზაში სათბურში გამოყვანილი ბოსტნეული კულტურების (კიტრი, პომიდორი) ახალი ჯიშები და მიმდინარე სელექციური მუშაობის დეტალები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ მიზანშეწონილია აკადემიის ინიციატივით აღნიშნული ტიპის გამსვლელი სემინარები მოეწვოს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების სელექციური და ჯიშთა გამოცდის აქტუალურ საკითხებზე და საერთოდ, აკადემიამ და სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა ერთობლივად უნდა აწარმოონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა სოფლის მეურნეობის ყველა მიმართულებით.



სემინარის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე გ. ბასილაძე.



სემინარის მონაწილეებს სელექციურ მუშაობასა და ჯიშთა გამოცდაზე ესაუბრება სელექციონერი, აკადემიის წ/კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი.



სემინარის მონაწილეები საცდელ ნაკვეთში. მარცხნიდან: ა. გიორგაძე, ო. ლიპარტელიანი, გ. ცაგურიშვილი, გ. ალექსიძე, გ. მარგველაშვილი, ი. ნოზაძე, ნ. ჩხარტიშვილი, ე. შაფაქიძე, გ. ბასილაძე.

**3.3.17. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიენტისა და საქართველოს პარლამენტის აბრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის შეხვედრა**

მიმდინარე წლის 9 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში გაიმართა შეხვედრა კომიტეტის თავმჯდომარეს გელა სამხარაულსა და აკადემიის პრეზიდენტ გურამ ალექსიძეს შორის. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ კომიტეტის აპარატის უფროსი ივერი ახალბედაშვილი და აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

შეხვედრაზე აგრარული სექტორის სამეცნიერო პოტენციალსა და განვითარების პერსპექტივებზე, ასევე სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებული კვლევების ეფექტურობაზე იმსჯელეს. აღინიშნა, რომ ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სფეროში დაგროვილი მეცნიერული გამოცდილებისა და კვლევების პრაქტიკაში გამოყენება თითქმის აღარ ხდება. სოფლებში სავალლო ვითარება შეიქმნა, ფერმერებს საბაზისო, თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა არ გააჩნია, რამაც დღის წესრიგში ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და შესაბამისი ცოდნით აღჭურვის საკითხი დააყენა.

გელა სამხარაულის განცხადებით, მოქმედი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოადგენს, ხოლო საბოლოოდ წარმატებები კი ამ დარგში მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირით

მიიღწევა. ეს შეხვედრაც ამ მიზნით მოეწყო. იგი აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით გაიმართა, რომელსაც მიაჩნია, რომ აგრარულ სექტორში სამეცნიერო-პოტენციალის გამოყენებას ალტერნატივა არ გააჩნია.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა გურამ ალექსიძემ კომიტეტის ხელმძღვანელობას აკადემიის სტრუქტურის, საქმიანობის მთავარი მიმართულებების, განხორციელებული კვლევების, საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა დაფერმერებთან თანამშრომლობისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის დეტალებზე ისაუბრა. მან ასევე აკადემიის მიერ მომზადებულ რამდენიმე პროექტზე ინფორმაცია წარმოადგინა, რომლითაც საქართველოს მთავრობაცაა დაინტერესებული.

შეხვედრაზე საკანონმდებლო კუთხით თანამშრომლობაზეც ისაუბრეს. აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ ამ მიმართულებით გარკვეული წინადადებებიც წარმოადგინა, რომლებსაც კომიტეტი უახლოეს დროში განიხილავს.



**შეხვედრა პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში**

**3.3.18. მრგვალი მაგიდა  
რუსთაველის ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებული  
საგრანტო თემების შესახებ**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში 2015 წლის 29 სექტემბერს გაიმართა მრგვალი მაგიდა: “რუსთაველის ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებული საგრანტო თემების შესახებ”.

მრგვალი მაგიდის ფორმატში განხილვა შეეხო რუსთაველის ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებულ შემდეგ საგრანტო თემებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ან მათ შესრულებაში იღებენ მონაწილეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები.

1. პროექტი “დარტემის თეორიისა და რეოლოგიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო პროცესების, მანქანების და იარაღების დამუშავებაში.” ხელმძღვანელი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახარობლიძე. შესრულების ვადები 2013-2016 წელი; “სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფერდობზე მუშაობის ფიზიკური და მათემატიკური მოდელირების მეთოდების დამუშავება.” ხელმძღვანელი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ მახარობლიძე. შესრულების ვადები 2014-2017 წელი;

2. პროექტი “ტექნოლოგიური პროცესების ენერგოდანახარჯების გაანგარიშების საფუძველზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი ტექნიკის ნომერკლატურისა და რაოდენობის განსაზღვრის მეთოდის დამუშავება რეგიონში კულტურათა სახეობებისა და დაკავებული ფართობების მიხედვით”. ხელმძღვანელი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელგუჯა შაფაქიძე. შესრულების ვადები 2015-2018 წელი;

3. პროექტი “თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაზრდის რესურსდამზოვი ინოვაციური ტექნოლოგიების თეორიულ-ექსპერიმენტული გამოთვლა და ოპტიმიზაცია.” ხელმძღვანელი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯემალ კაციტაძე. შესრულების ვადები 2015-2018 წელი;

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა რევაზ მახარობლიძემ. გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნულ თემაზე მრგვალი მაგიდის ჩატარება აკადემიაში მოხდეს პერიოდულად საგრანტო თემების მონიტორინგის მიზნით.

### **3.3.19. მრგვალი მაგიდა “სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები”**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში 2015 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა მრგვალი მაგიდა: “სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები”. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა: ო. ქეშელაშვილმა, თ. კუნჭულიამ, ნ. ბადათურიამ, ნ. ქარქაშაძემ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პაატა კოლუაშვილმა. მსჯელობა შეეხებოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს, გადამამუშავებელი მრეწველობის საექსპორტო შესაძლებლობებს და მოცულობებს, არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის ღონისძიებებს.

**3.3.20. სამეცნიერო სემინარი**  
**“აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში.”**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში 2015 წლის 29 ოქტომბერს გაიმართა სამეცნიერო სემინარი: “აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში.”**

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. თურმანიძემ. კლიმატის თანამედროვე ცვლილებებსა და მასთან დაკავშირებული სოფლის მეურნეობისათვის საშიში სტიქიური მოვლენების შესახებ მოხსენება გააკეთა მეცნიერებათა დოქტორმა მ. შვანგირაძემ (გარემოს დაცვის სამინისტროს კლიმატის ცვლილებების სააგენტოს ხელმძღვანელი) და მეცნიერებათა დოქტორმა ბ. ბერიტაშვილმა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). კლიმატის ცვლილების გავლენაზე აღმოსავლეთ საქართველოში მოხსენება გააკეთა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. თურმანიძემ. მეცნიერებათა დოქტორმა ა. სიხარულიძემ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) თავის მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის მოდელირების საკითხებზე. კლიმატის ცვლილების გავლენაზე საქართველოს სუბტროპიკულ კულტურებზე თავის მოხსენებაში ისაუბრეს მეცნიერებათა დოქტორებმა გ. მელაძემ და მ. მელაძემ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტეოროლოგიის ინსტიტუტი). მეცნიერებათა დოქტორის გ. გოგიჩაიშვილის (გარემოს დაცვის სამინისტროს აგრო მელიორაციის დეპარტამენტი) მოხსენება შეეხებოდა კლიმატის ცვლილებით განპირობებული სტიქიური მოვლენების ზეგავლენას საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერებაზე. დოქტორანტმა გ. თეთრაძემ მოხსენება გააკეთა კლიმატის ცვლილების გავლენაზე სასოფლო-სამეურნეო მიწების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსები: ზაურ ჩანქსელიანი და ნოდარ ჩხარტიშვილი.

სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანმა გოგოლა მარგველაშვილმა.

**3.3.21. მმცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული საქართველო 2015**

პირველად საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ტარდება მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეული. მისი ჩატარების თარიღი სიმბოლურია. იგი გაიხსნა 10 ნოემბერს, მეცნიერების საერთაშორისო დღეს და მთავრდება 17 ნოემბერს, სტუდენტების საერთაშორისო დღეს.

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის გახსნასთან დაკავშირებით საგამოფენო ცენტრ "ექსპო-ჯორჯიაში" მოეწყო მეცნიერებისა და ინოვა-

ციების გამოფენა, უახლესი სამეცნიერო გამოცემებისა და პროექტების პრეზენტაციები, საჯარო ლექციები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გამოფენაზე ღირსეულად წარსდგა თავისი ინტელექტუალური პროდუქციით - ბოლო ხუთ წელიწადში გამოცემული აკადემიის წლიური ანგარიშებით, აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებულებით "მოამბე", 2013, 2014 და 2015 წლების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებით, აკადემიის წევრების მიერ მომზადებული სოფლის მეურნეობის დარგების პრაქტიკული რეკომენდაციებით და მათი მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო შრომებით. გამოფენაზე წარმოდგენილი ბანერები ასახავდა აკადემიის ლოგოს, სტრუქტურას, აკადემიის კავშირებს მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხოეთის საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან და სხვა.

აკადემიის საგამოფენო სტენდების დამთვალიერებთა შორის ბრძანდებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ქალბატონი თ. სანიკიძე, პარლამენტარები, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, თბილისის მერი, ბატონი დ. ნარმანია, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გ. ალიბეგაშვილი, სხვადასხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერები და სტუდენტები.

სტუმრებს აკადემიის შესახებ ინფორმაციები მიაწოდეს აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ, ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გ. ჯაფარიძემ, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძემ, პრეზიდენტის მოადგილემ, დოქტ. ა. გიორგაძემ და პრეზიდენტის თანაშემწემ, მაგისტრმა თ. ეპიტაშვილმა.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია მეცნიერებისა და ინოვაციების გამოფენაზე (10.11.2015)





მარცხნიდან: სსმმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. გ.ჯაფარიძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ი.ღარიბაშვილი, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გ.ალიბეგაშვილი, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა მინისტრი ს.სუბარი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თ.სანიკიძე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გ.აგულაშვილი, სსმმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გალექსიძე



მარცხნიდან: დოქტ. ა.გიორგაძე, აკად. გ.ჯაფარიძე, აკად. გალექსიძე, აკადემიის წ/კ ე.შაფაქიძე, აკად. ო.ქეშელაშვილი

### 3.3.22. სამეცნიერო კონფერენცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2015 წლის 13 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები”. კონფერენცია მიემდგვნა თბილისში მიმდინარე “ინოვაციებისა და მეცნიერების საერთაშორისო კვირეულს – საქართველო 2015” (2015 წლის 10-17 ნოემბერი), რომელიც ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით და მხარდაჭერით.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე, ვიცე-პრეზიდენტი აკად. გ. ჯაფარიძე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკად. ნ. ქარქაშაძე, აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, მოწვეული სტუმრები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან და აგარარული მიმართულების სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან კონფერენციას ესწრებოდა სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსი, ბატონი ნ. ჩიტაია.

კონფერენციას ხელმძღვანელობდა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე. კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიკოსები ნ. ჩხარტიშვილი და ვ. კვალიაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები გ. გაგოშიძე, ვ. თოდუა, თ. კაჭარავა და სოფლის მეურნეობის დოქტორი დ. მაღრაძე. მომხსენებლებმა ამომწურავად უპასუხეს კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოების მრავალრიცხოვან შეკითხვებს. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა რ. ჩაგელიშვილმა, გ. ბადრიშვილმა და ზ. ჩაქსელიანმა, დოქტორმა ნ. გოგინაშვილმა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ. ჯაფარიძემ, სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსმა ნ. ჩიტაიამ და აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ.



სამეცნიერო კონფერენციის გახსნა. თავმჯდომარე სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე.



სამეცნიერო კონფერენციის სხდომათა დარბაზი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსის ნ.ჩიტაიას გამოსვლა

3.3.23. სამეცნიერო კონფერენციის (13.11.2015) შრომათა კრებული



საქართველოს ბანათლებისა და  
მეცნიერების სამინისტრო

MINISTRY OF EDUCATION AND  
SCIENCE OF GEORGIA



მეცნიერება და ინოვაცია  
საერთაშორისო კონგრესი-საერთაშორისო 2015  
INTERNATIONAL SCIENCE  
AND INNOVATION WEEK-GEORGIA 2015



საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია  
ACADEMY OF AGRICULTURAL  
SCIENCE OF GEORGIA

## შრომათა კრებული

სამეცნიერო კონფერენციის მასალები  
“საქართველოს მცენარეთა მრავალფლოვანი კულტურებისა და  
სახეობების ბენეტიკური რესურსები”



თბილისი  
13 ნოემბერი, 2015 წელი.

2015 წლის 13 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები”.

კონფერენცია მიეძღვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით ჩატარებულ “მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულს –საქართველო - 2015” (10 – 17 ნოემბერი, 2015).

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის და აგრარული მიმართულების სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერებმა, აგრეთვე ამავე მიმართულების მაგისტრებმა და დოქტორანტებმა.

წინამდებარე შრომათა კრებულში წარმოდგენილია ის სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც გამორჩეოდნენ კონფერენციის თემატიკით გათვალისწინებული საკითხების მეცნიერული ღირებულებებით და მსმენელთა მოწონება დაიმსახურეს.

რედაქტორები:	გივი ჯაფარიძე- მეცნიერებათა პრეზიდენტი, აკადემიკოსი;	საქართველოს სოფლის აკადემიის	მეურნეობის ვიცე-
ელგუჯა	შაფაძიძე მეურნეობის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;	- საქართველოს მეცნიერებათა	სოფლის აკადემიის
ანატოლი	გიორგაძე მეურნეობის სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი.	- საქართველოს მეცნიერებათა	სოფლის აკადემიის

## სარჩევო

- 1 ნოდარ ჩხარტიშვილი, ნინო ჩხარტიშვილი 4  
აბორიგენული ვაზის გენეტიკური რესურსების  
კვლევა და დაცვა.  
**Nodar Chkhartishvili, Nino Chkhartishvili**  
**RESEARCH AND PROTECTION OF GEORGIAN**  
**VINE GENETIC RESOURCES IN GEORGIA.**
- 2 ვაჟა კვალიაშვილი 9  
ქართული ხეხილის გენეტიკური რესურსები.  
**Vazha Kvaliashvili**  
**GEORGIAN FRUIT GENETIC RESOURCES.**
- 3 გივი ჯაფარიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, გიორგი 16  
ბაბოშვიძე  
საქართველოს ტყეების გენეტიკური  
რესურსები.  
**Givi Japaridze, Revaz Chagelishvil<sup>1</sup>, Giorgi Gagoshidze**  
**GEORGIAN MEDICINAL PLANTS GENETIC**  
**RESOURCES GEORGIAN FORESTS GENETIC**  
**RESOURCES.**
- 4 თამარ კაჭარავა 20  
საქართველოს სამკურნალო მცენარეების  
გენეტიკური რესურსები.  
**Tamar Kacharava**  
**GEORGIAN MEDICINAL PLANTS GENETIC**  
**RESOURCES.**
- 5 ვაჟა თოდუა 23  
საქართველოს ველური ხილის გენეტიკური  
რესურსები და მათი მრავალფეროვნება.  
**Vazha Todua**  
**GENETIC RESOURCE AND THE DIVERSITY OF**  
**GEORGIAN WILD FRUIT**

### 3.3.24. სამეცნიერო კონფერენცია აკადემიაში

2015 წლის 04 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა გაეროს მიერ გამოცხადებული ნიადაგის საერთაშორისო წლის ფარგლებში ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში”.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ო. დანელიამ, მინისტრის მოადგილემ გ. გალგაშვილმა, მინისტრის მრჩეველებმა თ. კუნჭულიამ, ო. კაჭარავამ და შ. კიკალიშვილმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თ. მარსაგიშვილმა, ამავე სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსმა ნ. ჩიტაიამ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიწის რესურსების დაცვისა და ნიადაგების სამსახურის უფროსმა ნინო ჩიქოვანმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლ. უჯმაჯურიძემ, დირექტორის მოადგილემ გ. ბასილაძემ, ცენტრის თანამშრომლებმა, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის, აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

კონფერენცია გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე;

კონფერენციაზე მისასაღამებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ო. დანელია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თ. მარსაგიშვილი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სამსახურის უფროსი ნ. ჩიქოვანი.

კონფერენციაზე მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ სსმმ აკადემიის აკადემიკოსი გ. მარგველაშვილი, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თ. ურუშაძე და დოქტორი თ. ქერივიშვილი, თსუ-ს პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის წარმომადგენელი, მეცნიერებათა დოქტორი თ. ჩხეიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გ. გაგოშიძე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსები რ. მახარობლიძე და პ. კოლუაშვილი, გარემოს დაცვის სააგენტოს წარმომადგენელი, დოქტორი გ. გოგიჩაიშვილი.

კონფერენციაზე საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის წარმომადგენელმა ლ. ლლიღვაშვილმა, დოქტორმა ლ. უჯმაჯურიძემ, აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა, მეცნიერების დოქტორმა ვ. თოდუამ და სხვა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამეს და შეაფასეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსმა ნ. ჩიტაიამ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ. ჯაფარიძემ.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი დადგენილება და რეკომენდაციები; აღინიშნა, რომ მიზანშეწონილია კონფერენციის მასალების გამოქვეყნება შრომათა კრებულის სახით აკადემიის შესაძლებლობის ფარგლებში.



კონფერენციის გახსნა. მარჯვნიდან – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ო.დანელია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ.ალექსიძე და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. გ.ჯაფარიძე

### 3.2.25. სამეცნიერო კონფერენციის (04.12.2015) შრომათა კრებული

*2015 წლის 04 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “ნიადაგების რელიეფის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების და მსოფლიო სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში”.*

*კონფერენცია მიეძღვნა ბაერუს მიერ გამოცხადებული ნიადაგის საერთაშორისო წლის შარბლებში ნიადაგის მსოფლიო დღეს.*

*კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის და აბრარული მიმართულების სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერებმა, აბრეთვე ამავე მიმართულების მამბისტრებმა და დოქტორანტებმა.*

*წინამდებარე შრომათა კრებულში წარმოდგენილია ის სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც გამორჩეოდნენ კონფერენციის თემატიკით გათვალისწინებული საკითხების მეცნიერული ღირებულებებით და მსმენელთა მოწონება დაიმსახურეს.*





საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია  
ACADEMY OF AGRICULTURAL  
SCIENCE OF GEORGIA



საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტრო  
MINISTRY OF EDUCATION AND  
SCIENCE OF GEORGIA



საქართველოს გარემოსა  
და ბუნებრივი რესურსების  
დაცვის სამინისტრო

# შრომათა კრებული

სამეცნიერო კონფერენციის მასალები  
"ნიადაგების რთლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის,  
ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის  
მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში"



თბილისი  
04 დეკემბერი, 2015 წელი

	<b>სარჩემო</b>	<b>88.</b>
<b>1.</b>	<b>Резолюция, принятая Генеральной Ассамблеей 20 декабря 2013 года;</b> <b>68/232. Всемирный день почв и Международный год почв.</b>	<b>5</b>
<b>2.</b>	<b>გ. მარგველაშვილი</b> <b>ნიადაგის როლი ბიოსფეროში და ადამიანის</b> <b>სიცოცხლეში.</b> <b>G.margvelashvili</b> <b>THE ROLE OF SOIL IN THE BIOSPHERE AND HUMAN LIFE.</b>	<b>8</b>
<b>3.</b>	<b>T. F. Urushadze, T.O. Kvrivishvili, R.G. Kakhadze</b> <b>FIELD SCHOOL IN SOIL SCIENCE: RESULTS AND PROSPECTS.</b> <b>თ. ურუშაძე, თ. ქვრივიშვილი, რ. კახაძე</b> <b>საველე სკოლა ნიადაგმცოდნეობაში: შედეგები და</b> <b>პერსპექტივები.</b>	<b>12</b>
<b>4.</b>	<b>თ. ჩხეიძე, ქ. ქველაძე</b> <b>სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი</b> <b>საშუალება მიწაა თუ ნიადაგი!?</b> <b>T. Chkheidze, K. Kveladze</b> <b>MAIN INPUTS FOR AGRICULTURAL PRODUCTION – LAND OR</b> <b>SOIL?</b>	<b>20</b>
<b>5.</b>	<b>გ. ჯაფარიძე, რ. ჩაგელიშვილი, გ. გაგოშიძე</b> <b>საქართველოს წაბლის ტყის ნიადაგები.</b> <b>G. Japaridze, R. Chagelishvili, G. Gagoshidze</b> <b>OF CHESTNUT FOREST SOILS.</b>	<b>30</b>
<b>6.</b>	<b>რევაზ მახარობლიძე</b> <b>სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ნიადაგის ტკეპნა</b> <b>და მისი შემცირების ტექნოლოგიური და</b> <b>კონსტრუქციული ღონისძიებანი.</b> <b>R. Makharoblidze</b> <b>AGRICULTURAL EQUIPMENT WHICH FLATTENS THE SOIL</b> <b>AND TECHNOLOGICAL AND CONSTRUCTIVE MEASURES</b> <b>FOR ITS REDUCING.</b>	<b>37</b>
<b>7.</b>	<b>პაატა კოღუაშვილი</b> <b>მიწის მართვის გაუმჯობესების საჭიროება.</b> <b>Paata Koghuashvili</b> <b>THE NEED FOR LAND MANAGEMENT IMPROVEMENT.</b>	<b>42</b>

8. გ. გოგიჩაიშვილი 45  
 არიდულობის ინდექსისა და აორთქლებადობის  
 სიმრცობრივი განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე.  
 G.Gogichaishvili  
**DISTRIBUTION OF THE INDEX OF ARIDITY AND SPREAD IN  
 GEORGIA.**
9. თ. ყურაშვილი, ე. ღვალაძე, ი. არსენაშვილი 49  
 ნიადაგი, როგორც დაავადების აღმძვრელის მეორადი  
 წყარო.  
 T.kyrashvili, E.Ghvaladze, I.Arsenashvili  
**SOIL-THE CASE OF DISEASE AGENTS SECONDARY SOURCE**
10. ლ. გეგენავა 53  
 მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების  
 მაქსიმალური უკუგებით გამოყენების საკითხისათვის.  
 L. Gegenava  
**LAND, AS THE PRODUCTION OF FIXED ASSETS MAXIMUM  
 BENEFIT OF USING THE ISSUE OF**

### 3.2.26. უმეცნიერო სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე

2015 წლის 29 დეკემბერს სასურსათო უსაფრთხოების რეკომენდაციების შემუშავების მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა გაფართოებული შეხვედრა გამართა და შემაჯამებელი რეკომენდაციები განიხილა. აღნიშნული რეკომენდაციების შემუშავება საერთაშორისო ორგანიზაცია „ოქსფამის“ ტექნიკური დახმარებით განხორციელდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიკოსები: ნოდარ ჭითანავა, ჯემალ გუგუშვილი, თამაზ კუნჭულია; პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საფუძვლად დაედება მომავალ წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასურსათო უსაფრთხოების კუთხით მიმდინარე საქმიანობას.

სამუშაო ჯგუფს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გონა ცოფურაშვილი ხელმძღვანელობდა. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ თემატიკა ფართოა, ბევრი


ნიუანსია გასათვალისწინებელი და მთავარია, ყველაფერი სისტემურად დაიგეგმოს და თანმიმდევრულად განხორციელდეს.

„სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები, შემსრულებელი ორგანოები და თანმიმდევრულად განხორციელდეს სამუშაოები“, - აღნიშნა გონა ცოფურაშვილმა.

როგორც შეხვედრაზე "ოქსფამის" სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის პროგრამის მენეჯერმა, ლევან დადიანმა აღნიშნა, იმისათვის, რომ აღნიშნული რეკომენდაციები სასურსათო უსაფრთხოების კუთხით პრაქტიკაში განხორციელდეს, საჭიროა გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა და უწყებათაშორისი კოორდინაცია.

გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ; ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ; აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ.

სასურსათო უსაფრთხოების რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შექმნილი ჯგუფი აერთიანებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი უწყებების, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს.



თავი 4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია  
“გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება”



საქართველოს განათლებისა  
და  
SCIENCE OF GEORGIA



შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი  
SHOTA RUSTAVELI NATIONAL  
SCIENCE FOUNDATION



საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF  
AGRICULTURAL SCIENCES

**პროგრამა    ПРОГРАММА    PROGRAM**

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია  
**International Scientific Conference**  
Международная научная конференция



“გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება ”.

“ Global Warming and Agrobiodiversity ”

“ Глобальное потепление и агробиоразнообразие ”



4-5-6 ნოემბერი, 2015 წელი, თბილისი, საქართველო  
November 4-5-6, 2015, Tbilisi, Georgia  
4-5-6 Ноябрь 2015 года, Тбилиси, Грузия






❖ კონფერენცია ტარდება შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (CF/36/14-  
814/15)

❖ By Financial support of Shota Rustaveli National Science Foundation  
(CF/36/14-814/15)










❖ Конференция проводится при финансовой поддержке Национального Научного Фонда им.  
Шота Руставели (CF/36/14-814/15)







#### 4.1. საორგანიზაციო კომიტეტი

1.  აკადემიკოსი ალექსიძე გურამი  
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სსმმ აკადემიის პრეზიდენტი;
2.  აკადემიკოსი ჯაფარიძე გივი  
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსმმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი;
3.  აკადემიკოსი ქარქაშაძე ნაპოლეონი  
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსმმ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;
4.  სსმმ აკადემიის წ/კ შაფაქიძე ელგუჯა  
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი;
5.  დოქტორი გიორგაძე ანატოლი  
საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, სსმმ აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი.

#### საორგანიზაციო კომიტეტის წევრები

1.  პროფესორი კუნერიავეი ვიტალი  
ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტი, (უკრაინა)
2.  აკადემიკოსი ლოგინოვი ვლადიმერ  
ბელორუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტის მთ. მეც. მუშაკი, მინსკი, ბელორუსი აზერბაიჯანის ზოოლოგიის ინსტიტუტი, დირექტორის მოადგიე (აზერბაიჯანი)
3.  დოქტორი მამედოვი ზაქარია  
პოზნანის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ინსტიტუტის პრორექტორი, პოლონეთი.
4.  პროფესორი პიკული იან  
BACSA-ს ეროვნული კოორდინატორ ტაჯიკეთში, ქ. ხუჯანდი, ტაჯიკეთის რესპუბლიკა.
5.  დოქტორი სალიმუანოვი სანგინჟონი  
ბიორესურსების და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
6.  პროფესორი პოვოზნიკოვი ნიკოლოზ  
სსმმ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივანი. (საქართველო)
7.  აკადემიკოსი მარგველაშვილი გოგოლა  
სსმმ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივანი. (საქართველო)
8.  აკადემიკოსი ცქიტიშვილი ზურაბ  
სსმმ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივანი. (საქართველო)
9.  აკადემიკოსი გუგუშვილი ჯემალი  
სსმმ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივანი.

- |     |   |  |
|-----|---|--|
| 10. |  აკადემიკოსი მახარობლიძე რევაზ | (საქართველო)<br>სსმმ აკადემიის სამეცნიერო<br>განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.  |
| 11. |  აკადემიკოსი ბაღათურია ნუგზარ  | (საქართველო)<br>სსმმ აკადემიის სამეცნიერო<br>განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.  |
| 12. |  აკადემიკოსი ქეშელაშვილი ომარ  | სსმმ აკადემიის სამეცნიერო<br>განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.  |
| 13. |  ეპიტაშვილი თინათინ            | სსმმ აკადემია, პრეზიდენტის<br>თანაშემწე-საერთაშორისო<br>ორგანიზაციებთანკავშირის და<br>საქმიანობის კოორდინატორი,<br>საქართველო. |

**კონფერენციის სამუშაო ენები:** ქართული, ინგლისური, რუსული .

#### 4.2. კონფერენციის მიზანი და ამოცანები

ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე ბოლო საუკუნის განმავლობაში  $0.74 \pm 0.18$  °C-ით გაიზარდა. [კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ჯგუფის \(IPCC\)](#) დასკვნით "დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა მე-20 საუკუნის შუა წლებიდან სავარაუდოდ განპირობებულია ანთროპოგენური (ანუ ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი) [სათბურის აირების](#) კონცენტრაციის ზრდით", რომლის შედეგადაც ძლიერდება ატმოსფეროს [სათბურის ეფექტი](#), რაც დედამიწის ქერქისა და ქვემო ატმოსფეროს გახურებას იწვევს. 21-ე საუკუნეში მოსალოდნელია დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის შემდგომი ზრდა  $1,1 - 6,4$ °C-ით. სათბური აირების კონცენტრაციის ზრდის შეჩერების შემთხვევაშიც კი ეს დათბობა კიდევ ათას წელს გაგრძელდება. მხოლოდ ამის შემდეგ არის მოსალოდნელი დარღვეული წონასწორობის ხელახალი დამყარება და საშუალო ტემპერატურის დასტაბილურება.

ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა გამოიწვევს [ზღვის დონის](#) აწევას, [კატასტროფულად](#) გაიზრდება [კლიმატური](#) მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე, შეიცვლება [ნალექების](#) რაოდენობა და განაწილება. შედეგად - შემცირდება [მყინვარები](#), გადაშენდება ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი სახეობები, გაიზრდება [დაავადებათა](#) რიცხვი; აღნიშნულ კონტექსტში საგრძნობლად უარყოფითად შეიცვლება დედამიწის აგრობიომრავალფეროვნება, რაც ბუნებრივია გამოიწვევს სოფლის მეურნეობაში მკვეთრ ცვლილებებს, რომელმაც შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეამციროს მოსავლიანობა, რაც დედამიწაზე შიმშილის სახით კატასტროფას გამოიწვევს.

ჯერჯერობით უცნობია დედამიწის რომელი რეგიონი უფრო მეტად დაზარალდება ამ ცვლილებების შედეგად. [სახელმწიფოთა](#) უმრავლესობამ ხელი მოაწერა [კიოტოს ოქმს](#), რომელიც ატმოსფეროში სათბურის აირების გაფრქვევათა შემცირებას ისახავს მიზნად. თუმცა არ წყდება დებატები იმის შესახებ, თუ რა უფრო რაციონალურია: გლობალური დათბობის შეჩერების ან შემოტრიალების მცდელობა, თუ [ადაპტაცია](#) არსებულ და მოსალოდნელ ცვლილებებისადმი.

საერთაშორისო ორგანიზაცია "Global Humanitarian Forum"-ის, მონაცემებით, ამჟამად გლობალური დათბობის გამო მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 300 ათასი ადამიანი იღუპება. საქმე ისაა, რომ კლიმატის ცვლა ბუნებრივი სტიქიური მოვლენების რაოდენობის ზრდას იწვევს, ისეთების, როგორცაა გვალვა და წყალდიდობა. ამას გარდა ცვალებადი კლიმატი გავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობაზეც, რასაც შიმშილობამდე მივყავართ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2030 წლისათვის დათბობის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად 500 ათასამდე გაიზრდება.

24	კლიმატის ცვლილებებით განპირობებული სტიქიური მოვლენების მონიტორინგის თეორიული და პრაქტიკული ხედვები	სექტემბერი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე	
25	საკვები კულტურების მოსავლიანობის ამაღლების ღონისძიებების შესახებ	სექტემბერი	აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი	
26	აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ ტერიტორიებზე გაუდაბნოებისადმი მოწყვლადი ტერიტორიების შესახებ	ოქტომბერი	აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი	
27	ვაზის ჯიშების სასელექციო სამუშაოების მდგომარეობის შესახებ	ნოემბერი	აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი	
28	ადგილწარმოშობის დასახელების მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების სანედლეულო ბაზის რეგულაციისა და ახალი მიკროზონების აგროკლიმატური საზღვრების დაზუსტების შესახებ	ნოემბერი	აკადემიკოსი ნ. ჩხარტიშვილი, სოფლის მეურნეობის დოქტორი დ. მაღრაძე.	

**აბრონომიული სამეცნიერო განყოფილების 2015 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების ბეზმა**

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	2	3	4	5	6
1	აგროქიმიური ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა საქართველოში	მრგვალი მაგიდა	მარტი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	

2	ნიადაგების დაცვისა და მათი ნაყოფიერების აღდგენა- გაუმჯობესების ღონისძიებები	მრგვალი მაგიდა	აპრილი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
3	სეტყვისაგან დაზიანებული ვენახების მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ.	მრგვალი მაგიდა	ივნისი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
4	სიმინდის სელექციაში მიღწეული შედეგები და მათი გამოყენების შესაძლებლობები	გასვლითი სემინარი (წილკანი)	ივლისი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	
5	აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში	სემინარი	ოქტომბერი	აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება	

განყოფილებაში 2015 წელს ჩატარდა 11 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 15 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოს მდივანი გოგოლა მარგველაშვილი; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2. აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოს მდივანი გოგოლა მარგველაშვილი; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებული კონკურსის - აგრარულ სფეროში აგრონომიულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერის გამოსავლენი საკონკურსო კომისიის დასკვნის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოს მდივანი გოგოლა მარგველაშვილი

მეორე სხდომა ჩატარდა 18 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ლიპარტელიანის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. სოფ-

ლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის სამუშაო პროგრამის შესახებ; **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი.

მესამე სხდომა ჩატარდა 26 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ; **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული მიმართულების ეროვნული კოორდინატორები. 2. იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის ადრემწიფადი ჯიშების აკლიმატიზაციისა და პროდუქტიულობის შესახებ; **მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რეზო ჯაბნიძე. 3. აკადემიკოს ვალერიან ცანავას ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 4. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ თურმანიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

მეოთხე სხდომა ჩატარდა 16 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს გივი ცაგურიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 20 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. ვაზის ნერგის წარმოების არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი. 3. მიწათმოქმედების სისტემათა განვითარების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი.

მექვსე სხდომა ჩატარდა 10 ივნისს (გაერთიანებული აგროსაინჟინრო განყოფილებასთან) და განხილული იქნა საკითხები: 1. მოქალაქე ვასილ ჩხიკვაძის წერილის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; 2. აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს იუზა ვასაძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 4. აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 5. აკადემიკოს გივი ბადრიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 15 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ჯუმბერ ონიანის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რევაზ ჯაბნიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მერვე სხდომა ჩატარდა 16 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. საკვები კულტურების მოსავლიანობის ამალღების ღონისძიებები. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი. 2. კლიმატის ცვლილებებით განპირობებული სტიქიური მოვლენების მონიტორინგის თეორიული და პრაქტიკული ხედვები. **მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 26 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: ნიადაგების როლი აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში.

**მომხსენებელი: აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.**

მეათე სხდომა ჩატარდა 16 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რეზოლუციის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ; 2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რეზოლუციის სამეცნიერო სამუშაოს ნამდვილი წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ. (ფარული კენჭისყრა).

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 23 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ვაზის ჯიშების სასელექციო სამუშაოების მდგომარეობის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი.** 2. ადგილწარმოშობის დასახელების მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების სანედლეულო ბაზის რეგულაციისა და ახალი მიკროზონების აგროკლიმატური საზღვრების დაზუსტების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი.**

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, დ. ნ. პრიანიშნიკოვის პრემიის ლაურეატის, პროფესორ **ოთარ ონიანის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო**; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ **ნოდარ ჩხარტიშვილის დაბადებიდან 85-ე და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო**; თბილისის ინოვაციებისა და მეცნიერების საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, გაიმართება სამეცნიერო კონფერენცია: **“საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები.**” გაეროს მიერ გამოცხადებული ნიადაგის საერთაშორისო წლის ფარგლებში, ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: **“ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში.”**

სემინარი - **“სიმინდის სელექციაში მიღწეული შედეგები და მათი გამოყენების შესაძლებლობები.”** (გასვლითი სემინარი - მცხეთის მუნიციპალიტეტი, წილკანი); **“აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში.”**

მრგვალი მაგიდა – **“სეტყვისაგან დაზიანებული ვენახის მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ”**

## 5.1.2. აბრონომიული სამეცნიერო განყოფილების წევრების მოკლე ანბარიშეუბი

### 5.1.2.1. აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.



2015 წლის 23 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში, ბელარუსიის პრეზიდენტის, ბატონ ალექსანდრე ლუკაშენკოს საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ოფიციალური ცერემონია. თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თავ-

მჯდომარემ, აკადემიკოსმა ვლადიმერ გუსაკოვმა.

ორი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას **ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი გიორგი მარგველაშვილი და ბელარუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ბატონი ალექსანდრე ლუკაშენკო.**

სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების მიზნებია: მხარეთა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერება; ურთიერთობის გაფართოება; სამეცნიერო თანამშრომლობისა და ერთობლივი სამეცნიერო ნამუშევართა პრაქტიკული რეალიზაციის ხელშეწყობა ორივე მხარისათვის საინტერესო სფეროების მიხედვით.

ამ თანამშრომლობის ძირითადი ამოცანებია: შეთანხმებული პრიორიტეტული მიმართულებების ჩარჩოებში ერთობლივი კვლევებისა და დამუშავებების ორგანიზაცია; საქართველოში, ბელარუსის რესპუბლიკასა და მესამე ქვეყნებში ერთობლივი საქმიანობის შედეგების კომერციალიზაციის, იდეების, ინფორმაციებისა და ტექნოლოგიების გაცვლის და ორივე მხარის მიერ სამეცნიერო ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

2015 წლის 27-30 აპრილს ქ. ბოგორში (ინდონეზია) ჩატარდა აგრარული კვლევების საერთაშორისო კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს მე-13 სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძემ, რომელიც არის ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების (CACAARI) წარმომადგენელი აღნიშნულ საბჭოში.

საბჭოს თავმჯდომარეა მსოფლიო ბანკის ვიცე – პრეზიდენტი, ქალბატონი რაშელ კეიტი, რომელიც ამავდროულად არის კლიმატის ცვლილებების საპატიო ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:



ამერიკის, კანადის, მექსიკის, დიდი ბრიტანეთის, ნორვეგიის, შვედეთის, ნიდერლანდების, ჩინეთის, ავსტრალიის, თურქეთის, იაპონიის, ინდოეთის, ნიგერიის წარმომადგენლები. ამავდროულად საერთაშორისო ორგანიზაციების: ევროპის კავშირის, FAO-ს, ბილ და მელინდა გეიტსის ფონდის, IFAD-ის, მსოფლიო ბანკის, გლობალური ფორუმის და CACAARI-ის წარმომადგენლები, სულ 24 წევრი.

სხდომაზე განხილული იქნა 6 საკითხი: სტრატეგია და მიღებული შედეგები; CGIAR-ის მეორე თაობის კვლევითი პროგრამები; CGIAR-ის სტრუქტურა და სახელმძღვანელო დოკუმენტი; კვლევის რესურსების მობილიზაცია და ინოვაციური დაფინანსება; მშრალი რეგიონების კვლევის CGIAR-ისეული ხედვა და გენბანკების დაფინანსების საკითხები. საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო აკად. გ. ალექსიძემ, რომლის გამოსვლებიც მიმართული იყო რეგიონების ინტერესების დაცვისაკენ. ყოველ საკითხზე მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება, რომელიც გაზიარებული იქნა საბჭოს წევრების მიერ.

მომდევნო სხდომა ჩატარდა ქ. ვაშინგტონში 2015 ნოემბერში.

2015 წლის 17 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ეწვია კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის დირექტორი, დოქტორი სოკ-იონგ ლი და ამავე ცენტრის უფროსი მკვლევარი, დოქტორი ჰონგ პარკი.

აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გალექსიძემ და კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, დოქტორმა სოკ-იონგ ლიმ ხელი მოაწერეს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებას 5 წლის ვადით. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია აკადემიასა და კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრს შორის თანამშრომლობის მიმართულებები მემცენარეობაში ახალი ჯიშების გაცვლის, გენეტიკური რესურსების ბანკის სტრუქტურის დახვეწის და საქართველოში ახალი ჯიშების დანერგვის კუთხით, აგრეთვე აგრარული განათლების სრულყოფის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების, ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების გადამზადების და გაცვლითი სამეცნიერო მივლინებების მიმართულებით.

2015 წლის 14-17 სექტემბერს ყირგიზეთში (ისიკ-ყული) ჩატარდა “სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახურის გლობალური ფორუმის მე-6 წლიური თათბირი”, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის 150-მდე წარმომადგენელმა. თათბირის თემა იყო “სოფლის მეურნეობის სამსახურის გლობალური საუკეთესო პრაქტიკა” და ითვალისწინებდა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სისტემების გაცნობას და მათგან საუკეთესოს გავრცელებას. საქართველოდან თათბირში მონაწილეობა მიიღო – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. ფორუმში ასევე მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაცია, საკონსულტაციო ცენტრის და SEAS-ის ხელმძღვანელი საქართველოში ბ. მიულერი.

თათბირზე წარმოდგენილი იქნა მოხსენება საქართველოში საკონსულტაციო ცენტრების მუშაობის შესახებ, სადაც ცალკე იქნა გამოკვეთილი აკადემიის როლი ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის პროცესებში. აქაც და შემდეგ გამოსვლებშიც სპეციალურად აღინიშნა ის მცდელობა, რასაც აკადემია ანხორციელებს ამ მიმართულებით. გამოცემული აქვს 50-ზე მეტი პრაქტიკული რეკომენდაცია ფერმერებისათვის, ხოლო ახალი წლიდან იწყება კვალიფიკაციის ამაღ-

ლების კურსების მუშაობა სპეციალისტებისა და ფერმერებისათვის. კურსების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც აკადემიის წევრები, ასევე მოწვეული სპეციალისტები. გამოითქვა მოსაზრება 2017 წელს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თათბირის ჩატარების შესახებ საქართველოში აღნიშნულ საკითხებზე.

2015 წლის 2-6 ნოემბერს ქ. ვაშინგტონში (აშშ) ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს სხდომა, რომელიც გაიმართა მსოფლიო ბანკის ოფისში. მასში მონაწილეობა მიიღეს ფონდის საბჭოს წევრებმა, CGIAR-ის კვლევითი ცენტრების გენერალურმა დირექტორებმა და მათი საბჭოს წევრებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. პირველ 2 დღეს ჩატარებულ სხდომებში მოხსენებით გამოვიდნენ: ICARDA-ს, CIMMYT-ს, BIOVERSITI-ს, ILRI-ს, CIP-ის, ICRISAT-ის, CIAT-ის და სხვათა გენერალური დირექტორები (სულ 15), რომლებმაც წარმოადგინეს მომავალი 5 წლის პროგრამები, რომლებიც წინასწარ იყო დარიგებული ფონდის საბჭოს წევრებზე. განსხვავებით წინა წლებისაგან, ახალი პროგრამები შედგენილია ერთი “პორტფელის” პრინციპით, ანუ შემუშავებული იქნა კომპლექსური პროგრამები რომლის შემსრულებლებიც არიან ცენტრები, პრობლემების მიხედვით. ესენია: მშრალ რეგიონებში სამარცვლე პარკოსანი კულტურების შესწავლა; თევზი; ტყე და ტყის ლანდშაფტი; მეცხოველეობა; სიმინდი; ხორბალი; ბრინჯი; ბანანა და ტუბერიანი მცენარეები; კლიმატის ცვლილება; გენბანკები; კვება და ჯანმრთელობა; პოლიტიკა და მარკეტინგი; წყალი; ნიადაგები და ეკოსისტემა. ფონდის საბჭოს დანარჩენი სამი სხდომა ჩატარდა სურსათის პოლიტიკის კვლევით ცენტრში (IFPRI), სადაც მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ფონდის საბჭოს წევრებმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ამერიკის, კანადის, მექსიკის, ჩინეთის, იაპონიის, ავსტრალიის, ინდოეთის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, ბელგიის, ნორვეგიის, გერმანიის, ნიდერლანდების, თურქეთის, ნიგერიის, ასევე საერთაშორისო და დონორმა ორგანიზაციებმა: მსოფლიო ბანკი, ევროპის კავშირი, IFAD, FAO, ბილ და მელინდა გეიტსის ფონდი და სხვათა წარმომადგენლები.

ფონდის სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად, კიდევ ერთხელ განხილული იქნა CGIAR-ის ცენტრების მიერ მომზადებული წინადადებები. გამოთქმული იქნა შენიშვნები, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული მომავალი სხდომისათვის, რომელიც გაიმართება მომავალ წელს ქ. რომში (იტალია) FAO-ს ოფისში.

ფონდის საბჭოს სხდომაში ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის (CACAARI) სახელით აქტიური მონაწილეობა მიიღო ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ აღექსიძემ, რომელმაც თავის გამოსვლებში საინტერესო მოსაზრება და წინადადებები წარადგინა, რომლებშიც გამოკვეთილი იყო სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების მნიშვნელოვანი ინტერესები.

აკად. გ. აღექსიძე ხელმძღვანელობას უწევდა აკადემიასთან არსებულ “აგრო-ბიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრს”, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც გაფორმდა ხელშეკრულება სამხრეთ კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “აგრობიომრავალფეროვნების ცენტრთან”. მათივე ურთიერთთანამშრომლობით ჩატარდა ექსპედიცია საქართველოში, სადაც შეგროვილი იქნა 600-მდე ბოსტნეული, ბაღხეულის ჯიშები, რომლებიც ამჟამად ინახება კორეის მცენარეთა გენეტიკურ ბანკში.

2015 წელს გ. ალექსიძე ხელმძღვანელობას უწევდა ერთ დოქტორანტს ს. გიგოლაშვილს, რომლის სადოქტორო დისერტაციის საჯარო დაცვა ჩატარდება მომავალი წლის დასაწყისში ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე. თემის დასახელებაა: “სამკურნალო მცენარეების მავნებლები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები”.

აკად. გ. ალექსიძის საზოგადოებრივი საქმიანობა:

1. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
2. ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის დარგის ხელმძღვანელი;
3. ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სოფლის მეურნეობის კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
4. CGIAR-ის კონსორციუმის ფონდის საბჭოს წევრი;
5. ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების საბჭოს წევრი;
6. FAO-ს ტროპიკული ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და სხვა.

აკად. გ. ალექსიძის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოქვეყნდა კატალოგი “საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება”, სადაც შესულია საქართველოში გავრცელებული 3500-მდე მცენარეთა ჯიშები და ცხოველთა სახეობები. კატალოგი გამოქვეყნებულია: ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ლათინურ ენებზე.

აკად. გ. ალექსიძის მიერ მიმდინარე წელს გამოქვეყნებული იქნა 15 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 3 უცხოეთის გამოცემებში (ინგლისურ ენაზე).

მისი მონაწილეობით მომზადდა ორი პრაქტიკული ხასიათის ნაშრომი: “ხეხილის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები” და “ვაზის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები”, სადაც მის მიერ მომზადებული იქნა “მცენარეთა დაცვის მავნებელ-დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები”.

აკად. გ. ალექსიძე აქტიურად მონაწილეობდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის “კლიმატის ცვლილების გავლენა ვაზის განვითარებასა და მოსავალზე საქართველოში (კახეთი)” შესრულებაში. მიმდინარე წელს შესრულებული იქნა რიგი სამუშაოები, რომლებიც ეხებოდა ვაზის ფენოლოგიას და მავნებელ-დაავადებათა გავრცელებას.

აღნიშნულ საკითხებზე გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი, აკადემიის მოამბესა და საერთაშორისო კონფერენციის მასალებში.

აკად. გ. ალექსიძე ხელმძღვანელობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება", რომელიც ჩატარდა 2015 წლის 4-6 ნოემბერს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით; მან აქტიური მონაწილეობა მიიღო კონფერენციის საბოლოო დოკუმენტის "დეკლარაცია-თბილისი 2105" შედგენასა და რედაქტირებაში.



### 5.1.2.2. აკადემიკოსი ბიზი ბადრიშვილი



2015 წლის საანგარიშო პერიოდში ძირითადად მუშაობდა საქართველოს ნერვის წარმოების და ხეხილის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიაზე, რომელიც წარდგენილია გამოსაცემად აგროწესების სახით.

გამოქვეყნებულია მონოგრაფია „სკრის ხეობის და მეხილეობის საცდელი სადგურის ისტორია“, თბილისი, 2015 წელი. წიგნში პირველ ნაწილში აღწერილია სკრის ხეობის ისტორიული ძეგლები, მოსახლეობა, მიწათმოქმედება, სამამულო ომში მონაწილეები. სკრის თემის დვაწლმოსილი ადამიანები და სპორტსმენები. ნაშრომის მეორე ნაწილი მოიცავს საცდელი სადგურის ისტორიას

1886 წლიდან 2012 წლის ჩათვლით. განხილულია საცდელის ადგურის მეცნიერთანამშრომელთა დვაწლი მეხილეობის განვითარებაში.

მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენციის მუშაობაში. "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება". ქ. თბილისი, 4-6 ნოემბერი, 2015 წელი.

მომზადებულია საკითხი მეხილეობის ასლი ტექნოლოგიების შესახებ სამეცნიერო განყოფილებაში განსახილველად, რომელიც წარდგენილი იქნება განსახილველად აკადემიის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე.

#### **წინადადებები:**

მეხილეობის დარგის განვითარებისთვის საჭიროა შეიქმნას საქართველოს კუთხეების მიხედვით სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრები საცდელი ნაკვეთებით. ჩატარდეს ხეხილის მოქმედი სანერგეების დაფიქსირება და აღწერა. შემოღებული და კანონის სახე უნდა მიეცეს ნერვის სტანდარტის შემოღებას და დაცვითი გარემო პირობების გათვალისწინებით ზონების მიხედვით ხეხილის ნარგაობის მოვლას; უნდა ჩატარდეს ხეხილის ნარგაობის სხვა-ფორმირება რეგიონების მიხედვით. აუცილებელია სხვლის კურსების მომზადების ორგანიზაცია და ჩატარება, ხეხილის ბაღების გაშენება სხვა კულტურებთან შეთანწყობით და მეცხოველეობის განვითარებისათვის საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის საკითხების ფართოდ დანერგვა.

აკად. გ. ბადრიშვილი მონაწილეობდა "მეხილეობის აგროწესები"-ს მომზადებაში, რომელიც უნდა განიხილოს აკადემიის აგრონომიულმა სამეცნიერო განყოფილებამ და აკადემიის აკადემიურმა საბჭომ თავის სხდომაზე.



### 5.1.2.3. აკადემიკოსი იუზა ვასაძე



1. დასაქმების ადგილი – საქართველოს, “მედიცინა, მევენახეთა და მებაღეთა კავშირის” პრეზიდენტი (არასამთავრობო ორგანიზაცია, საიდენტიფიკაციო კოდი 404918292).

2. გამოქვეყნებული შრომათა რაოდენობა 156, მათ შორის მიმდინარე წელს 12.

**2.1. საქართველოს აგრომრავალფეროვნება** (კატალოგი) ავტორები ი. ვასაძე, გ. ბადრიშვილი, ვ. კვალიაშვილი (ხეხილი). საქართველოს სსმ აკადემიის გამომცემლობა. აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი. თბილისი 2015 წელი (ISBN 978-99 41 0-8245-0);

წიგნში გამოყენებულია მასალები, რომლებიც წლების განმავლობაში ისწავლებოდა იმ ცნობილი მეცნიერების მიერ, რომელთა სახელებიც შემორჩენილია მათ წიგნებსა და სამეცნიერო შრომებში, რომელთაც ჩვენ დღეს სიამაყით მოვიხსენიებთ: ნ. კეცხოველი, ა. ჩოლოყაშვილი, ნ. ხომიზურაშვილი, ნ. რამიშვილი, ვ. ქანთარია და სხვები. კატალოგი შედგენილია ქართულ, ლათინურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

**2.2. “ხეხილის გენეტიკური რესურსები საქართველოში”.** ი. ვასაძე, დ. მალრაძე, საქართველოს აგრომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი. სსმ აკადემიის გამომცემლობა, გვ. 52-55, თბილისი 2015 წ. ISBN 978-9141-0-8245-0. ნაშრომში განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები როგორცაა: ადგილობრივი ჯიშები და მათი ველური წინაპრები; ჯიშების დაცვა (კოლექციებში); ჯიშების აღწერა-პომოლოგია და ადგილობრივი ჯიშების გენეტიკურ-რელიეფური ღირებულება და გამოყენება.

**2.3. სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზირებული მიმართულებები მევენახეობასა და მეხილეობის დარგში.** ავტორები: გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ო. ქეშელაშვილი, ი. ვასაძე, გ. ბადრიშვილი, ვ. კვალიაშვილი. სსმ აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ყოველ კვარტალური რეფერირებული ჟურნალი №4 (29) გვ. 36-38. თბილისი 2015 წ. (ISBN 1987-96335). სტატიაში განხილულია მევენახეობისა და მეხილეობის დარგების გადაუდებელი ამოცანები და ამ დარგების მეცნიერული უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები.

### 3. რეკომენდაციები

**3.1. თხილის ნერგის გამოყვანა, ბაღების გაშენება და მოვლა:** ავტორები: ი. ვასაძე, გ. ბადრიშვილი, ნ. შენგელია, ნ. მიროტაძე, გ. მიროტაძე, ლ. გოგინავა, ნ. მიქაძე (ISBN 987-9941-0-3807-5), თბილისი, 2015 წ.

**3.2. კივის კულტურის (Actinidi) ნერგის გამოყვანა, ბაღების გაშენება და მოვლა.** ავტორები: ი. ვასაძე, გ. ბადრიშვილი, ი. ბასილია, ნ. შენგელია, ლ. გოგინავა, ნ. მიროტაძე, ნ. მიქაძე სსმ აკადემიის გამომცემლობა თბილისი 2015 წ. (ISBN 978-9941-3808-2);

**3.3. ლეღვის კულტურის (Ficus Caricae) ნერგის გამოყვანა, ბაღების გაშენება და მოვლა.** ავტორები: ი. ვასაძე, გ. ბადრიშვილი, ნ. შენგელია, ნ. მიროტაძე, ლ. გოგინავა, ნ. მიქაძე სსმ აკადემიის გამომცემლობა (ISBN 978-9941-0-3808-2). თბილისი, 2015 წელი;

3.4. ფეიგოას კულტურის (*Feigoa saltowiana Beza*) ნერგის გამოყვანა, ბადის გაშენება და მოვლა. ი. ვასაძე, გ. ბადრიშვილი ლ. შენგელია, ნ. მიროტაძე, ი. ბესელია, ლ. გოგინავა. ნ. მიქაძე. სსმმპაკადემიის გამომცემლობა, (ISBN 978-9941-0-3808-2). თბილისი, 2015 წელი;

3.5. “ქაცვის ნერგის წარმოების, გაშენებისა და მოვლის ტექნოლოგია”. ავტორები: ი. ვასაძე, გ. ბადრიშვილი, ნ. შენგელია, ი. ბასილია, ნ. მიროტაძე, ლ. გოგინავა, ლ. მიქაძე, თ. კურტანიძე სსმმპაკადემიის გამომცემლობა (ISBN 978-9341-0-3808-2). თბილისი, 2015 წელი;

3.6. “ბროწეულის კულტურის (*Panica grantatum*) ნერგის წარმოება და ბაღების გაშენება”. ავტორები: ი. ვასაძე, გ. ბადრიშვილი, თ. ტრაპაიძე, ნ. მიროტაძე, ლ. გოგინავა, ნ. მიქაძე. სსმმპაკადემიის გამომცემლობა (ISBN 978-9341-0-3809-9). თბილისი, 2015 წელი;

3.7. აღმოსავლური ხურმის (*Diospiros kakil*) ნერგის გამოყვანა, ბაღების გაშენება და მოვლა”. ავტორები: ი. ვასაძე, გ. ბადრიშვილი, მ. მიროტაძე, ნ. მიროტაძე, ლ. გოგინავა, ნ. მიქაძე. სსმმპაკადემიის გამომცემლობა (ISBN 978-9341-0-3806-8). თბილისი, 2015 წელი;

3.8. “ნუშის კულტურის (*Amadeus Communics*) ნერგის გამოყვანა, მიღების გაშენება და მოვლა”. ავტორები: ი. ვასაძე, გ. ბადრიშვილი, ნ. შენგელია, ნ. მიროტაძე, ნ. მიქაძე. სსმმპაკადემიის გამომცემლობა. (ISBN 978-90941-0-3807-5). თბილისი, 2015 წელი;

3.9. “მარწყვის კულტურის (*Fragazia vesca*) ბაღების გაშენება და მოვლა”. ავტორები: ი. ვასაძე, ნ. შენგელია, ნ. მიროტაძე, ლ. გოგინავა, ნ. მიქაძე. სსმმპაკადემიის გამომცემლობა (ISBN 978-9941-0-3808-2). თბილისი, 2015 წელი.

4. აკადემიის დავალებით შესრულებულია და წარმოდგენილია ნაშრომი “ხეხილის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები”. ავტორები: აკადემიკოსები: გ. ალექსიძე, გ. ბადრიშვილი, ი. ვასაძე, ვ. კვალიაშვილი, ჯ. ონიანი, ე. შაფაქიძე, რომლის გამოცემასაც განახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

5. დოქტორანტებთან მუშაობა სპეციალობის “მეხილეობა” მიხედვით; დაცულია სამი საკანდიდატო და ცხრა სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტის და საქართველოს სუბტროპიკულ მეურნეობათა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე. ასევე ხუთი დისერტაცია დაცულია აგრარულ უნივერსიტეტში.

6. მონაწილეობა: კონფერენციებში – 3; სიმპოზიუმი – 2; სესია – 16.

აკად. ი. ვასაძის მოხსენებები ზემოთ ჩამოთვლილ კონფერენციებზე, სიმპოზიუმსა და სესიებზე ძირითადად ეხებოდა მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობასა და განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შ. რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის პროექტი NGNSF/ST07//8-276;

8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეფერირებული ჟურნალის “აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ს სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრი;

9. საქართველოს, “მეღვინეთა, მევენახეთა და მებაღეთა კავშირის” ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალის მთავარი რედაქტორი.

10. გამოგონება - 7; პატენტი - 5;

11. "საპატიო ნიშნის" ორდენი, "საპატიო ნიშნის" მედალი;

12. სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორის მუშაობის ხაზით. გასულ წელს (სექტემბერი-ოქტომბერი) შესწავლილია გურიის და აჭარის მაღალ მთიანი ჩოხატაურის რაიონის და ქობულეთის რაიონის მეხილეობის მდგომარეობა. კონტინენტალური მეხილეობის მხრივ. შეხედულებები და დასკვნები წარმოდგენილი იქნება აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე 2016 წლის მეორე კვარტალში. საკითხის შესწავლაში მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები იოსებ ბასილია და ნადეჟდა მიროტაძე. ამავე დროს რაიონში სექტემბრის თვეში ჩატარდა მრგვალი მაგიდა-სემინარი მაღალმთიანი სოფლების ზოდსა და სურებში მცხოვრები ფერმერებისათვის, რომელიც მიეძღვნა რეგიონში მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებს.

13. აკად. ი. ვასაძის ხედვა დარგის განვითარების შესახებ მომავალში – იგი მყარად დგას იმ კონცეფციაზე, რომელიც შეიმუშავეს მეხილე მეცნიერებმა – აკადემიკოსებმა გ. ბადრიშვილმა, ვ. კვალიაშვილმა აკად. ი. ვასაძის მონაწილეობით, ასევე ს.მ. დოქტორებმა ნ. შენგელიამ, ნ. მიროტაძემ, ი. ბასილიამ, ლ. გოგინავამ, აკადემიურმა დოქტორებმა გ. ბარბაქაძემ, ნ. მიქაძემ, ე. ბობოქაშვილმა და სხვებმა, რომელიც განხილული, მოწონებული და დამტკიცებული იქნა საქართველოს სსმ აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიერ. ამ კონცეფციის ცხოვრებაში გატარება იქნება ი. ვასაძის პირადი ძირითადი ამოცანა და იგი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მის შესრულებაში;

14. საქართველოს სსმ აკადემიის პერსპექტივებიდან გამომდინარე აკად. ი. ვასაძეს მიაჩნია დაასახელოს მეხილეობის დარგის ის პერსპექტიული მეცნიერები – სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი დოქტორები, რომელთა აკადემიაში შერჩევის (კონკურსი) გზით მოსვლა, ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას. ასეთებად მიაჩნია მეხილეობაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები – ნუგზარ შენგელია, ნადეჟდა მიროტაძე, ლალი გოლინავა, ხოლო შენახვა – გადამუშავების განხორციელების სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები: ზაირა შაფათავა, იოსებ ბასილია და მერაბ ჟღენტი.

### 2016 წელს სსმმ აკადემიის გრონომიულ სამეცნიერო გაყოფილებაში და აკადემიის აკადემიურ საბჭოზე განსახილველი საკითხები

1. მთავრობის დადგენილების “კახეთში 2015 წელს მოსული სეტყვის შედეგების შესახებ შესრულების მიმდინარეობა (მარტი-აპრილი);

2. მცხეთა-მთიანეთის მეხილეობის ზონის მეხილეობის მდგომარეობის შესწავლა და პერსპექტივების დასახვა (იუნისი-აგვისტო);

3. დუშეთის რაიონის მთის სოფლების ფერმერებისათვის სემინარის ჩატარება მეხილეობის საკითხებზე (მაისი-ივნისი);

4. შიდა ქართლში მოქმედი სანერგეების აღწერა და მათი მდგომარეობის შესწავლა.



#### 5.1.2.4. აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი



საანგარიშო პერიოდში პროგრამის შესაბამისად გაგრძელდა მუშაობა ვაზის და ხეხილის სელექციაში ს. წედისის (ატენის ხეობა) საცდელ ბაღში და ქ. გორში.

მიმდინარე წელს შიდა ქართლის კლიმატი უჩვეულო იყო. გაზაფხულის ყინვებმა და წაყინვებმა მნიშვნელოვნად დააზიანეს ხეხილი როგორც ტირიფონის ვაკეზე, ისე მის ჩრდილო და სამხრეთ ხეობებში. თითქმის უმოსავლოდ დარჩა ვაშლი, მსხალი, კომში, ატამი, გარგარი, ქლიავები (ჭანჭური, ტყემალიც კი); კაკალი, იმდენად დაზიანდა მავნებელ-დაავადებებისგან, რომ ხეობაში არავის დაუბერტყია, ხეზე გვიანობამდე დარჩა დაავადებული ნაყოფები.

გაზაფხულზე უხვმა ნალექებმა, ზაფხულში ხანგრძლივმა გვალვამ, სარწყავი წყლის სიმცირემ, ცხელმა ქარებმა და სეტყვამ, ისედაც მცირე მოსავალი გაანადგურეს. უხილობის გამო გორის კონცენტრატების ქარხანამ არ იმუშავა.

- გადარჩა: ხურმა (100%), ბალი (60-70%) და ყურძენი - (70-80%, მცირე წვენი).
- აღნიშნული სრულად შეეხო ატენის ხეობის ბაღ-ვენახებს.

**ხეხილის სელექცია.** ატმის ჰიბრიდული ჯიშებიდან კარგი განვითარებითა და მოსავლიანობით გამოირჩა: *გორის ყვითელი, მარია ჯორჯანა, ნუგურა და ვაჟური*; - სხვა ჯიშები და ფორმები მეტ-ნაკლებად დაზიანდა. ატმის და ვაშლის ჰიბრიდულ თესლნერგებს ჩაუტარდათ სათანადო მოვლა; გამორჩეული ატმის ფორმები დაიმყნო კერძო საწარმოებში, სკრაში; გასული წლის ნამყენი ნერგით გაზაფხულზე შეივსება ატმის ნარგაობა.

- გორში და მის შემოგარენში კვლავ გრძელდება ძებნა და დაკვირვება სხვადასხვა ხეხილის საინტერესო თესლნერგ ფორმებზე;

- 4 წლის დაკვირვებით საინტერესოა ატამი, რომელიც აღმოცენდა 2010 წელს ქ. გორში (გაზონზე). იგი ისწავლება პირობითი სახელით – **გორული საპობი**. ხე საშუალოზე ძლიერი ზრდისაა, მომრგვალო-გადაშლილი ვარჯით (h-4,6 მეტრი, d-4,0მეტრი). საკმაოდ ხშირი დატოტვითა და შეფოთვლით. **წლიური ნაზარდი** მწვანეა, მზის მხარეს მოვარდისფროდ შეფერილი. **ფოთლის** ფირფიტა გრძელი ლანცეტისებრია, მუქი მწვანე, ზედა მხარე უფრო მუქია და პრიალა, ბრტყელი და სწორმდგომია ან მცირედ დანაოჭებული, წვერთან ქვემოთაა დახრილი; სიგრძე - 10-12 სმ, სიგანე- 3,0-3,8ს მ, ყუნწი საშუალოდ - 9-10 მმ-ია. კიდები დაკბილულია მომრგვალო-ხერხისებრად. ფირფიტის ბოლოზე, ყუნწთან, 2-3 თირკმლისებრი ჯირკვალი ზის.

პირველი მსხმოიარობა იყო 2013 წელს. სრულ მსხმოიარობაში 2015 წლიდან შევიდა. ისხამს უხვად, ნაყოფები ტოტზე ხშირად ჯგუფურად სხედან და ერთმანეთს ხელს უშლიან განვითარებაში, ამიტომ საჭიროებს გამოხშირვას (ნაყოფის დამ-



სხვილების მიზნით შევაცალეთ 10 კგ-მდე წვრილი ნაყოფები; ამის გარდა განივითარა 35კგ ნაყოფი.

სიმწიფე დაიწყო 10 სექტემბრიდან (სიმწიფე გვალვამ დააჩქარა). მწიფდება არათანაბრად, სრულ მწიფობაში შევიდა 20 სექტემბერს; ბოლო ნაყოფი მოიკრიფა 2 ოქტომბერს.

**ნაყოფი** მრგვალია, მცირედ მობრტყო ( $h - 45\text{მმ}$ ,  $d_1 - 51\text{მმ}$ ,  $d_2 - 50\text{მმ}$ ), მსხვილი, საშუალო მასა 150 გ შეადგენს, გვხვდება 175 გ ნაყოფებიც; კანის ძირითადი ფერი ღია მწვანე-მოყვითალოა, მცირე მოვარდისფრო ლაქებით, მზის მხარეზე საკმაოდ ინტენსიურადაა წითლად შეფერილი. დაფარულია თხელი ქეჩისებრი ბუსუსით. სიმწიფეში კანი რბილობს ადვილად ეცლება. მუცლის მხარეზე ღარი კარგადაა გამოსახული და ფართო ძაბრისებრი ყუნწის ღრუდან გასდევს ნაყოფის წვერამდე, რომელიც მცირე ჩაღრმავებაში ზის.

**რბილობი** თეთრი-კრემისფერია მომწვანო-მოყვითალო ელფერით, ბოჭკოსებრი კონსისტენციის. სიმწიფის დასაწყისში მკვრივია, სიმწიფეში საშუალოდ წვნიანი, ნაზი, არომატული და გემრიელი ხდება; საპობია; შაქარი-10,3%, სიმჟავე -0,35%.

**კურკა** პატარაა - 5,5 გ (3,7%), მოწითალო-ყავისფერი ღარებითა და ღრმულებითაა დაფარული; ადვილად ეცლება რბილობს. კურკის ბუდე ვარდისფერია, ირგვლივ რბილობი წითელი ლაქებითაა დაფარული.



გორული საპობი მსხვილნაყოფა სადესერტო ატმის საყურადღებო ფორმაა. გამრავლებულია სანერგეში. ფართოდ გამოსაცდელად დაირგვება წედისში.

**ვაზის სელექცია.** სელექციის სასუფრე-სადვინე ყურძნის ფორმა „წელი-სურა“ კვლავ უხვმოსავლიანი იყო. რაიმე დაავადება მასზე არ აღნიშნულა.

- გასული წლის ჰ/წიპვა გაზაფხულზე დაითესა ყუთებში (ქ. გორში). მიღებულია თესლნერგები. წინა წლების ჰ/თესლნერგების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

### სამეცნიერო შ რ ო მ ე ბ ი:

1. ვ. კვალიაშვილი, მ. ულენტი, ლ. გულუა, თ. თურმანიძე – *”საქართველოში გავრცელებული ნექტარინის ზოგიერთი ჯიშის შენახვისუნარიანობა”* -სსმმა-ის უურნალი „მოამბე“, №35, 2015;

- ნაყოფის შენახვისუნარიანობა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორთა რთული ერთობლიობით. ძირითადად კი ჯიშზეა დამოკიდებული, რომლის ინდივიდუალური თავისებურებანი გენეტიკურად არის განპირობებული. ნექტარინი, ისევე როგორც სხვა კურკოვნები (ატამი, ქლიავი), განეკუთვნება კლიმაქტერიქსულ ნაყოფებს. მათ ახასიათებთ სუნთქვის ინტენსივობის მომატება, პიკის მიღწევის შემდეგ დგება სამომხმარებლო სიმწიფის ფაზა გარკვეული დროის მანძილზე, რომლის შემდეგ იწყება ნაყოფის დამწიფების პროცესი. შენახვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია სუნთქვის მაქსიმუმის მიღწევის პერიოდზე.

ნაშრომში მოტანილია საქართველოში გავრცელებული ნექტარინის ჯიშების: *მაქსი-7-ის, მორსიანი-60-ის და კალდეზი-2000-ის* ბიოქიმიური კვლევის შედეგები. შესწავლილია სუნთქვის ინტენსივობის დინამიკა და დადგენილია დანაკარგები შენახვის დროს ცალკეული ჯიშების მიხედვით.

2. ვ. კვალიაშვილი, მ. ულენტი, ლ. გულუა, თ. თურმანიძე – *”ქოლოს პერსპექტიული ჯიშების ქიმიური შედგენილობა და ანტიოქსიდანტური აქტივობა* - სსმმა-ის უურნალი „მოამბე“, № 35, 2015.

- კენკროვან კულტურებს გააჩნიათ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებები.

მათში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, განსაკუთრებით კი პოლიფენოლები, ვიტამინი C, მნიშვნელოვნად ამცირებენ რიგი ქრონიკული დაავადების რისკ-ფაქტორებს.

კენკროვანთა შორის ბიოლოგიური აქტივობით განსაკუთრებით გამოირჩევა ქოლო, რაც უპირველესად გამოიხატება მისი ანტიოქსიდანტური აქტივობით.

სტატიაში განხილულია საქართველოში გავრცელებული ქოლოს პერსპექტიული ჯიშების ქიმიური შედგენილობის კვლევის შედეგები. შესწავლილია პოლიფენოლების, მინომერული ანტოციანების, ვიტამინი C-ს რაოდენობრივი შემცველობა. თითოეული ჯიში შეფასებულია ანტიოქსიდანტური აქტივობის თვალსაზრისით.

3. **PEACH INDUSTRY IN GEORGIA – PRESENT SITUATION, CHALLENGES, PROSPECTIVE AND RESEARCH APPROACHES.**- Bobokashvili, Z., Maghradze, D.,Kvaliashvili, V., Mdinardze, I. and Abashidze, E. (2015). (სტატია წარდგენილი იქნა 2013 წ. - ატმის VIII საერთაშორისო სიმპოზიუმზე; იტალია. ქ. მატერა);

- სტატიაში განხილულია ატმის კულტურის მდგომარეობა და ისტორია საქართველოში. წარმოების სიტუაცია, მთავარი მწარმოებელი რეგიონები და გავრცელებული ჯიშები. აღწერილია არსებული სირთულეები ატმის წარმოებაში, კვლევების შედეგები, სამეცნიერო მუშაობა და სასელექციო კუთხით მოპოვებული წარმატებები;

4. ვ. კვალიაშვილი – *ქართული ხეხილის გენეტიკური რესურსები* – სამეცნიერო კონფერენციის „*საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები*“- მასალები. სსმმა, თბილისი, 13.11.2015;

სტატიაში განხილულია ხეხილოვანთა ქართული ენდემური სახეობებისა და აბორიგენული ფორმების გამოვლინების, შეგროვების, საკოლექციო ნაკვეთებში განთავსების, დაცვისა და შესწავლის, პერსპექტიული ჯიშების და ფორმების გამოყოფის, სელექციაში მათი და ინტროდუცირებული ჯიშების გამოყენებით მიღებული შედეგები.

5. ვ. კვალიაშვილი - *ხეხილის გენეტიკური რესურსები საქართველოში* თესლოვნები, კურკოვნები, კაკლოვნები, კენკროვნები, 35 გვ. ნაშრომი - *საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება* (კატალოგი) – რედაქტორი და ავტორი აკად. გალექსიძე. სსმმა. თბილისი, 2015.

#### **წინადადებები:**

1. **1990-2000-იანი წლების პოლიტიკურმა აშლილობამ და ეკონომიკურმა კრიზისმა, უაზროდ გატარებულმა მიწის პრივატიზაციამ, სოფლად შრომის ორგანიზაციის მოშლამ და უცოდნელობით, მის ნაცვლოდ ახლის არ შეთავაზებამ, დააბეჩავა ერთ დროს ღონიერი და ქალაქის მკვებავი სოფელი. დაუსაქმებელი და ნახევრად მშვიერი სოფლის ახალგაზრდობა სამუშაოს ძებნაში განუდგა საკუთარ კერას და მისგან შორს, ხშირად მონური შრომის საფასურად, არჩენს ოჯახს...**

სოფელში დარჩა ძველი თაობა, სოფელი „მოხუცდა.“ ცალკეული დახმარებების მიუხედავად სოფელს უჭირს და შეველას ითხოვს და რაც მალე დავეხმარებით, მით მალე გაღონიერდება ქვეყანა.

ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია:

➤ **აკადემიასთან შეიქმნას სათათბირო** (ვიცე-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით), რომელშიც ნებაყოფლობით ითანამშრომლებენ აკადემიის წევრები, სხვადასხვა დარგების მეცნიერები და სპეციალისტები, იურისტები, სოფლად მცხოვრები ფერმერები, ინდივიდუალურად დასაქმებული გლეხები და სხვ.

სათათბირო განიხილავს „სოფლის გასაჭირს“, მოაწიებს გასვლას ადგილებზე, შეიმუშავეს სათანადო წინადადებებს და მათ მიაწოდებს ხელმძღვანელობას ცნობისა და რეაგირებისათვის;

➤ **სასურველია, აკადემიის აკადემიურმა საბჭომ** (სამეცნიერო გაყოფილებების მონაწილეობით) სხვადასხვა დროს (განრიგით) მოისმინოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განყოფილებების ინფორმაცია მათ მიერ ჩატარებულ კვლევებზე და მიღებულ შედეგებზე, მომავლის ამოცანებზე.

ინფორმაციების მოსმენა უნდა ატარებდეს აზრთა გაზიარების ხასიათს და არ უნდა იყოს ოფიციალური. მიგვაჩნია რომ იგი მნიშვნელოვნად დააახლოვებს აკადემიას სამეცნიერო ცენტრთან, იქნება ურთიერთსასარგებლო და ნაყოფიერი პრაქტიკული შედეგების მომტანი, რაც შედის თვით სამინისტროს და სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესებში.

## ვაზის სელექციის მდგომარეობა საქართველოში

ვაზის ხალხური სელექცია საქართველოში მრავალ ათასწლეულს ითვლის და მისი შედეგები კარგადაა ცნობილი საზოგადოებისათვის. ხალხური სელექციის გზით მიღებული 500-ზე მეტი ჯიში შემოგვინახა წინაპარმა ქართველმა მევენახემ. აქედან 414 აღწერილია ქართულ და რუსულ ამპელოგრაფიებში (*Ампелография СССР - 1946-1970*, დ. ტაბიძის - *კახეთის ვაზის ჯიშები*, მ. რამიშვილის - *გურიის, სამეგრელოსა და აჭარის ვაზის ჯიშები*, თ. კვარაცხელიას - *აფხაზეთის ვაზის ჯიშები*, ნ. კეცხოველის, მ. რამიშვილის და დ. ტაბიძის - *საქართველოს ამპელოგრაფია*, ა. მიროტაძის - *რაჭა-ლეჩხუმის ვაზის ჯიშები*, ნ. ჩახნაშვილის და რ. კიკანიშვილის - *ქართლის ვაზის ჯიშები* და სხვ.);

ხალხური სელექციის შედეგად შეიქმნა ქართლის, კახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურია-სამეგრელოს, აფხაზეთის, აჭარისა და მესხეთ-ჯავახეთის ვაზის ჯიშების ჯგუფები, რომლებიც გამოიყენებოდა საწარმოო დანიშნულებით.

ფეოდალური კარნაკეტილობის რღვევამ და კაპიტალიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო ქვეყნის შიგნით რეგიონებს შორის, შემდგომ კი ქვეყნებს შორის სამეურნეო-კულტურული ურთიერთობის, მათ შორის მცენარეული კულტურების ჯიშების გაცვლის გაძლიერებას.

ცნობილია რომ, ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა ჰიბრიდიზაციის მეთოდებით ამერიკაში დაიწყო, სადაც, ველური ფორმების მრავალფეროვნების მიუხედავად, არ იყო კულტურული ჯიშები. 1616 წლიდან *ვიტის ვინიფერას* სახეობის ჯიშების ამერიკაში გადატანის მრავალი მცდელობა, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უშედეგო აღმოჩნდა იქ ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების მასობრივი გავრცელების გამო. ვერც თავისუფალი დამტკვერვის გზით მიღებული ჰიბრიდული ფორმების გამორჩევით მოხერხდა ახალი ჯიშების მიღება, რომელთა გამძლეობა მაღალი იყო, ხოლო პროდუქციის ხარისხი - დაბალი.

ახალი ჯიშების მისაღებად მუშაობა დაიწყო საფრანგეთში, სადაც 1818 წელს გამოჩნდა *იზაბელა*, ხოლო 1823 წელს ჯიში - *კატაგა*. ორივე ჯიში *ვ. ლაბრუსკას* და რომელიღაც ევროპულ ჯიშთანაა ნაჯვარი.

სახეობათაშორის შეჯვარებების გზით ახალი ჯიშები მიიღეს ფრანგმა სელექციონერებმა (ბაკო, ზეიბელი, კუდერკი, სეივ-ვილარი და სხვა). მიღებული ჯიშები ხასიათდებოდნენ ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების მიმართ შედარებითი გამძლეობით, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გამოირჩეოდა პროდუქციის მაღალი ხარისხით.

მოგვიანებით გერმანიაში, იტალიაში, უნგრეთში, რუმინეთში, რუსეთში, უკრაინაში, შემდგომ საქართველოში, სომხეთში და შუა აზიის ქვეყნებშიც დაინტერესდნენ ამ საქმით და უამრავი ჰიბრიდული ჯიში (სახეობათაშორისი ჰიბრიდი) იქნა მიღებული, მაგრამ დღემდე არც ერთი არ არის, რომ მოსავლის ხარისხით *ვიტის ვინიფერას* სახეობის ჯიშებს უტოლდებოდეს და მავნებელ-დაავადებების მიმართ ამერიკული ვაზის სახეობების გამძლეობა ჰქონდეთ.

ამავე დროს, ქართველი (პროფ. ნ. ალექსიძე) და უცხოელი მეცნიერების მიერ შემჩნეული იქნა ქართულ ვაზის ჯიშებში შედარებითი გამძლეობა ფილოქსერის და სოკოვანი დაავადებების მიმართ.

სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციით ვაზის სამრეწველო ჯიშების მიღება ვერ მოხერხდა, მაგრამ მისი მეშვეობით გადაწედა ფილოქსერის პრობლემა და მსოფლიო მევენახეობა ჰიბრიდულ საძირებზე დამყნობილი ჯიშების გაშენებაზე გადავიდა, კარგი სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებების მქონე ახალი ჯიშების მიღება კი **ვიტის ვინიფერას** სახეობის ჯიშთაშორის შეჯვარებების გზით გაგრძელდა. ამ მიმართულებით დიდი როლი შეასრულა ქართულმა ჯიშებმა. რომლებიც ფართოდ იყო ჩართული საბჭოთა რესპუბლიკებში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი) აქტიურად მიმდინარე ვაზის სელექციაში და მათი მონაწილეობით 300-ზე მეტი ახალი ჯიში იქნა მიღებული და დარეგისტრირებული.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (საქარის და ვაზისუბნის საცდელი სადგურები, მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო ს/კ ინსტიტუტი და სხვ.) დაარსების შემდეგ ფართოდ გაიშალა მუშაობა როგორც აბორიგენული ჯიშების შეგროვებისა და შესწავლის, ისე ჰიბრიდიზაციის და კლონური სელექციის გზით მათ გასაუმჯობესებლად.

**ვიტის ვინიფერას** შიდასახეობრივი - ქართული და უცხოური ჯიშთაშორისი შეჯვარებები 1904-1905 წლებში ჩაატარა სელექციონერმა ვ. ბესტავაშვილმა, რის შედეგადაც მიღებული იქნა ჯიშები: **ბესტავაშვილის თეთრა** (ჩინური x შასლა), **ხიდისთავის წითელი** და **წედისური შავი** (თავკვერი x საფერავი), **ანა ბესტი** (განჯური x საფერავი), **წვრილმარცვალა** და **გორული თეთრი** (შასლა x გორული მწვანე) და სხვა 50-ზე მეტი პერსპექტიული ჰიბრიდული ფორმა, რომლებიც აღწერა და წიგნად (*მიხურინელი ვ. ბესტავაშვილი*. - თბილისი, 1950 წ.) წარმოადგინა პროფ. მ. რამიშვილმა. აღნიშნულიდან განადგურებას გადაარჩენილი 17 ჯიში და ჯიშის კანდიდატი დღეს ს. ჯიღაურას კოლექციაშია განთავსებული და ისწავლება.

1940-იანი წლებიდან სელექციაში ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრა (ვალერიან ქანთარია, ნადია ჩახნაშვილი, მაქსიმე და რევაზ რამიშვილები და სხვ.).

- ვ. ქანთარიამ და ნ. ჩახნაშვილმა რქაწითელთან x ალექსანდრიის მუსკატის შეჯვარებით გამოიყვანეს და დაარაიონეს ჯიშები: „**თბილისური**“ (სასუფრე) და „**მუსკატური რქაწითელი**“.

- მ. და რ. რამიშვილებმა ალექსანდრიის მუსკატთან x განჯურის შეჯვარებით მიიღეს და დარეგისტრირეს ჯიშები: **ჩინებული**, **ვაშლაჯვარი**, **კოლხური** და **ვარძია**.

რ. კიკაჩიშვილმა ნიმრანგისა და ალექსანდრიის მუსკატის შეჯვარებით მიიღო ჯიში „**სამო**“. საინტერესო მუშაობას აწარმოებდა თელავში ვ. ლოლაძე და სხვ.

ვაზის ჰიბრიდიზაციაში დიდი შრომა გასწია მმსსკი-ის ვაზის სელექცია-ჯიშთამცოდნეობის განყოფილების გამგემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დიმიტრი ტაბიძემ, რომელმაც თელავის საცდელ სადგურში

და თბილისში - ვაშლაჯვარის ბაზაზე შეჯვარებები მრავალი კომბინაციით ჩაატარა. თვითონ რამდენიმე ჯიშის (*ქართული საადრეო, მთის ვაზი, წითელი ბუდეშური*) შერჩევა და დარეგისტრირება მოასწრო.

ვ. ბესტავაშვილმა, დ. ტაბიძემ და მ. რამიშვილმა მომდევნო თაობას ჰიბრიდული თესლნერგების მდიდარი ფონდი დაუტოვეს, რომლისგანაც მრავალი ჯიშის გამოვლენა მოხერხდებოდა, მაგრამ შემდგომი პერიოდის სუბიექტურმა ფაქტორებმა, განსაკუთრებით კი 1990-2000-იანი წლების ეკონომიკურ-პოლიტიკურმა კრიზისმა სხვა მეცნიერულ წამოწყებებთან ერთად გაანადგურა ჰიბრიდული ფონდი თბილისში, ზესტაფონში, თელავში, გაღაგანში, სერაში.

1970-1975 წლებში მმსკი-ის ვაზის სელექცია-ჯიშთამცოდნეობის განყოფილებაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ვაჟა გოცირიძემ ჩაატარა კვლევები ქართული ვაზის ჯიშების უმთავრეს სოკოვან დაავადებათა (*მილდიუმი, ოიდიუმი, სიღამპლე*) მიმართ გამძლეობის დასადგენად, ვაზის კოლექციებში, საველე პირობებში (დილოში, ზესტაფონში და გუდაუთში). დადგინდა, რომ კოლხური ეკოლოგიურ-გეოგრაფიული კერის ჯიშები დაავადებათა მიმართ სხვადასხვა გამძლეობით ხასიათდებიან.

ფოთლისა და ნაყოფის დაზიანების ხარისხის 3 ბალიანი სისტემით აღრიცხვის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს აბორიგენული ჯიშების ყველა ქვეკერაში (*ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, აჭარა, აფხაზეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი*) გამოირჩევა შედარებით გამძლე, საშუალოდ გამძლე და მიმღებიანი ჯიშები.

ჭრაქის და ნაცრის მიმართ შედარებით გამძლე ჯიშების პროცენტი მეტია იმ რეგიონებში, სადაც მოსული ნალექების რაოდენობა დიდია (*გურია, აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, კახეთი, ქართლი*). კეთილშობილი სიღამპლის მიმართ გამძლე ჯიშებია კაჭიჭი, ჩხავერი, ოჯალეში, ჭვიტილური და სხვ. ჭრაქის მიმართ უფრო მიმღებიანი აღმოჩნდა ჩხავერი, კახური მწვანე, ხიხვი და სხვ.

დადგინდა, რომ შედარებით გამძლე ჯიშების სელექცია ჰიბრიდიზაციის მეთოდებით შესაძლებელია წარმოებდეს შედარებით გამძლე ქართული ჯიშების ურთიერთშეჯვარებით, რის საფუძველზედაც მმსკი-ის ხელმძღვანელობამ შექმნა იმუნო სელექციის ჯგუფი ვ. გოცირიძის ხელმძღვანელობით.

1990 წლამდე ჯგუფმა შეჯვარებები ჩაატარა 200-ზე მეტი კომბინაციით, როგორც ქართულ ჯიშთა ჯგუფებს შორის, ისე სხვადასხვა ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფებს შორის. მიღებული ათასობით თესლნერგის შესწავლის და ანალიზის საფუძველზე გამორჩეული თესლნერგებიდან მოსავლის რაოდენობისა და ხარისხის და სოკოვან დაავადებათა მიმართ გამძლეობის მიხედვით გამოყოფილი იქნა პერსპექტიული 177 ფორმა, რომლებიც გაშენდა თელავის საცდელ სადგურში, ინსტიტუტის ვაშლაჯვარას ბაზაზე, ოკამის ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე და სერის საცდელ სადგურში.

წინა მთავრობის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებით ინსტიტუტის გაუქმებამ და მისი ქონების კერძო პირებისათვის გადაცემამ, სამეცნიერო ბაღ-ვენახების და სელექციური ნარგაობების გაჩანაგების მსგავსად, მთლიანად მოსპო ჯგუფის მრავალ-

წლიანი სელექციო მუშაობის შედეგები. შესაძლებელი გახდა მხოლოდ 15 ახალი ჯიშის კანდიდატის გადარჩენა და განთავსება ჯილაურას კოლექციაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის მეცნიერების ჩამოყალიბების (XIX საუკუნე) დაწყებიდანვე სწავლულთა თაობებმა დიდი შრომა გასწიეს მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დასანერგად, რამაც დიდად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის აღორძინებას და მისი რენტაბელობის ზრდას.

რაც შეეხება ვაზის სელექციას, თუ იგი ადრე ხალხურ მეთოდს ემყარებოდა და ჯიშების გაუმჯობესება ათასწლეულობით გრძელდებოდა, ამჟამად იგი მეცნიერულ საფუძველზე უნდა იდგეს და სრულად მუშაობდეს წარმოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ზემოთ ითქვა, რომ საქართველოში გასულ საუკუნეში დიდი მუშაობა ჩატარდა აბორიგენული ვაზის ჯიშების შეგროვებისა და მათი სამეურნეო და სამეცნიერო გამოყენების მიმართულებით. რეგიონების მიხედვით შეირჩა და დარაიონდა ვაზის საძირეები, რაც არის შედეგი იმ ღრმა მეცნიერული კვლევებისა, რომლებიც ჩაატარეს ვლ. სტაროსელსკიმ, აკად. სოლომონ ჩოლოყაშვილმა, პროფ. დიმიტრი ტაბიძემ, პროფ. მაქსიმე რამიშვილმა, პროფ. ვალერიან ქანთარია, პროფ. ნიკოლოზ ახვლედიანმა, აკად. ნოდარ ჩხარტიშვილმა, დოც. აკაკი მენაღარიშვილმა და სხვა მეცნიერებმა.

1930-1990-იან წლებში აბორიგენული ჯიშების სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებების ფართო მასშტაბით შესწავლის შედეგად გამოირჩა საუკეთესოები და განისაზღვრა რეგიონების და ქვეყნის ვაზის ჯიშების სამრეწველო სორტიმენტი, რომელიც დღეს 34 ჯიშს, მ.შ. - 27 ადგილობრივ და 7 ინტროდუცირებულ ჯიშს აერთიანებს. ამათ გარდა სორტიმენტშია სასუფრე 13 ჯიში, რომელთაგან ქართულია - 8 (აბორიგენული 4 და სელექციური 4) ჯიში და ინტროდუცირებული 5 ჯიში; სულ სორტიმენტშია 47 ჯიში.

ახალი ჯიშების სელექციას საფუძველი ჩაუყარეს და თესლნერგების დიდი გენოფონდი შექმნეს ვასილ ბესტავაშვილმა, დიმიტრი ტაბიძემ, მაქსიმე რამიშვილმა, ვალერიან ქანთარია, ნადია ჩახნაშვილმა, ვასილ ლოლაძემ, ალექსანდრე მიროტაძემ და სხვებმა.

მათთან ერთად და მათი ხელმძღვანელობით მუშაობდნენ სელექციონერები: რ. რამიშვილი, ნ. ცერცვაძე, ნ. ტოგონიძე, რ. კიკაჩიშვილი, ჩ. რობაქიძე, გ. კუტუბიძე, ლ. ვაშაკიძე, ც. ესაკია, ვ. გოცირიძე, ვ. კვალიაშვილი, ლ. სიხარულიძე და სხვ.

მრავალი კომბინაციის შიდასახეობრივი შეჯვარების შედეგად მიღებული პერსპექტიული თესლნერგების ფონდის 1990-2000-იან წლებში განადგურებით, სამწუხაროდ, წყალში ჩაიყარა სელექციონერთა მთელი თაობების ნამუშევარი.

ძალიან დასანანია, რომ თელავის საცდელი სადგური, სადაც 1930-იან წლებში მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო ინსტიტუტი იყო და კვლევების წარმოების საუკეთესო ტრადიციები შეიქმნა, ისე გაიყიდა წინა მთავრობის მიერ, რომ დღემდე უცნობია ვინ გახდა მისი მფლობელი. შედეგი კი ცნობილია: საცდელი სადგურის

ტერიტორიაზე არსებული ქართული ვაზის ჯიშების, როგორც ძველი, ისე ახალი კოლექცია და ქართული სელექციური ჯიშების გენოფონდი განადგურდა.

ამჟამად ვაზის სელექცია საქართველოში მთლიანად შეწყვეტილია, რაც შაჰ-აბასის შემოსევების დროს ვენახების განადგურების მცდელობაზე გაცილებით უფრო მძიმე დარტყმა დარგის განვითარებაზე.

პოსტსაბჭოთა სივრცეში, საქართველოს გარდა, არც ერთ რეგიონში არ მომხდარა მეცნიერების უგულვებელყოფა - ჩარეცხვა. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები განაგრძობენ მუშაობას ყველა ყოფილ რესპუბლიკებში.

მევენახეობა-მეღვინეობის 32 სამეცნიერო ინსტიტუტი, დაწესებულება არსებობს საფრანგეთში, 28 – იტალიაში, ამდენივე ესპანეთში, გერმანიაში და სხვაგან.

აქვე უნდა ითქვას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შესახებ:

- დიდმა მამულიშვილმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ს.ჯილაურაში ვაზისა და ხეხილის ახალი კოლექციისა და სანერგე მეურნეობის შექნით გააკეთა უდიდესი პატრიოტული საქმე – დაღუპვისაგან გადაარჩინა და მომავალ თაობებს შემოუნახა ქართული ვაზისა და ხეხილის ჯიშები.

ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება მოხდა მმსკ ინსტიტუტის კადრებითა და ბაზების გამოყენებით და ბატონ ბიძინას უშურველი დაფინანსებით. შედეგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და შეუფასებელი აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან იყო ჩაფიქრებული. საქმე იმაშია რომ მ. სააკაშვილმა, ყველასთვის მოულოდნელად და შეუთანხმებლად, ერთი ხელის აქნევით ჩარეცხა საქართველოს მეცნიერება, რაც ადრე აზრადაც არავის მოუვიდოდა თავში. გაუქმდა ინსტიტუტები, გაიყიდა და განადგურდა მათი ქონება, ან გადაეცა მედროვეთა კასტას.

- უპატრონოდ დარჩენილი ვაზისა და ხეხილის ჯიშების კოლექციები დაიღუპა ისე, რომ ვერაფერს უშეგლა. იმ დროს ერთადერთი კოლექცია, რომელიც გადაურჩა ბოროტებას, აღმოჩნდა ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ ს.ჯილაურაში გაშენებული კოლექცია, სადაც ქართულმა გენოფონდმა საიმედო თავშესაფარი ჰპოვა, რასაც ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს.

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი კოლექციის არსებობა საკმარისი არ არის, საერთაშორისო ნორმებით ჯიშის განთავსებული უნდა იყოს 3 კოლექციაში მაინც, რომ იგი საკმაოდ დაცულად ითვლებოდეს. ამიტომ სამეცნიერო ცენტრს ალბათ მოუწევს ამ საკითხზე მუშაობა, რათა ერთი კოლექცია გაშენდეს იმერეთში, მეორე კი – კახეთში.

ამას წინათ, ღვინის სააგენტოს შენობაში გაიხსნა ვაზისა და ღვინის მუზეუმი, სადაც გამოიფინა ყოფილი მეზადეობის, მევენახეობის, მეღვინეობის ინსტიტუტის (მმსკი) მფარველობაში არსებული ექსპონატები. ამით ერის სახელოვან წარსულთან დაკავშირებული დიდებული საქმე გაკეთდა. იქვე გაჟღერდა რომ გადაწყვეტილია ახალი მუზეუმის აშენება. ამ განზრახვას ალბათ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და საზოგადოება მიესალმება, მაგრამ ადგილის შერჩევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ფართო საზოგადოებამ და სპეციალისტებმა



(მეცნიერებმა, არქეოლოგმა-ისტორიკოსებმა), რადგან საკითხი ეხება ერის ისტორიულ ყოფა-ცხოვრებას, სრულიად ეროვნულს.

საქმე იმაშია რომ არსებობს ვერსია – მუზეუმი აშენდეს ს.ჯილაურაში, ვაზის კოლექციის გვერდით.

მიგვაჩნია, რომ საგურამო ან ჯილაურა არ არის მევენახეობა-მეღვინეობის ის რეგიონი, სადაც ასეთი ფართო ინტერესის დაწესებულება უნდა არსებობდეს.


ჩვენი აზრით მუზეუმი უნდა აშენდეს ან თელავში, ან თბილისში. უმჯობესი კი იქნება აგვეშენებინა იქ სადაც მმსკი-ის ბაზა იყო თბილისში (ვაშლაჯვარა. - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოპირდაპირე მხარეს). ამ ტერიტორიაზე (15 ჰა) წინა ხელისუფლებას სურდა ბაზრობის მოწყობა, მაგრამ ეს ღია მიტოვებულია და არავინ იცის ვინ არის მისი მესაკუთრე, ან რაში გამოიყენებენ.

ეს ადგილი არა მარტო მუზეუმის შენობას, არამედ კავკასიური ვაზის ჯიშების კოლექციასაც (დაახლოებით 800 ერთეული) დაიტევს, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანსა და მიმზიდველს გახდის ამ ობიექტს არა მარტო მეცნიერებისა და მევენახე-მეღვინე ფერმერებისათვის, არამედ ტურისტებისთვისაც.

ქართული ვაზის გენოფონდის მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით მუდმივად იზრდება როგორც სელექცია – ჯიშთაგაუმჯობესების, ისე საწარმოო დანიშნულებით მათი გამოყენების მხრივ, რაც დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ითხოვს მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის აღდგენას, სასელექციო მუშაობის განახლებას, თანამედროვე ტიპის ახალი კოლექციების გაშენებას და კვლევისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. სხვაგვარად წარმოუდგენელია ვაზისა და ღვინის სამშობლო.



### 5.1.2.5. აკადემიკოსი ბობოლა მარბველაშვილი



გამოქვეყნებულია ექვსი სამეცნიერო შრომა:

1. „მცენარის მინერალური კვების თეორიის შესახებ“. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“; №5, 2015 წ;

შრომაში აღნიშნულია, რომ აგრონომიული ქიმიის მე-XIX საუკუნეში ახალ აღმავლობას განიცდიდა. იქმნებოდა ახალი თეორიები და ადგილი ჰქონდა შეხედულებათა წინააღმდეგობას. გერმანელი მეცნიერის ალბერტ თეერის აზრით მცენარე მისთვის საჭირო საკვებ ნივთიერებას ითვისებს ორგანული ნივთიერების სახით. თეერის მცენარის კვების ჰუმუსოვანი თეორია გააკრიტიკეს ჟ. ბუსენგომ და ი. ლიბიხმა, რომლებმაც დაუპირისპირეს მას მცენარის მინერალური კვების

თეორია. მინერალური სასუქების გამოყენების 150 – წლიანმა მსოფლიო გამოცდილებამ, მათი გამოყენების საფუძველზე მიღწეულმა წარმატებებმა დაადასტურეს მინერალური კვების თეორიის სიმართლე.

2. “მცენარეთა ზრდის სტიმულატორების გამოყენება სოფლის მეურნეობაში”. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი “ახალი აგრარული საქართველო”; №5, 2015 წ;

შრომაში განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ფიტოჰორმონები, ისეთები, როგორცაა აუქსინები, გიბერელინები და ა.შ. მნიშვნელოვნად ააქტიურებენ მცენარეთა მიერ ნიადაგიდან საკვები ნივთიერებების გამოტანას, ამიტომ, ნიადაგის გაღარიბების თავიდან ასაცილებლად პირველ რიგში აუცილებელია მისი განოყიერება სათანადო რეგლამენტების მკაცრად დაცვით. მის გარეშე დაუშვებელია ყოველგვარი ზრდის სტიმულატორის (რეგულატორის, ბიოენერგორეგულატორის) გამოყენება.

3. “საშემოდგომო ხორბლის ბაზოებზე მოყვანის მაღალეფექტიანი ტექნოლოგია სარწყავი პირობებისათვის”. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი “ახალი აგრარული საქართველო”; №8, 2015 წ;

შრომაში აღნიშნულია, რომ გარე კახეთის ზეგანის სარწყავ შავმიწა ნიადაგზე ჩატარებული მინდვრის ცდის შედეგები მიუთითებენ ბაზოებზე თესვის წესის უპირატესობაზე ტრადიციული თესვის წესთან შედარებით. საშემოდგომო ხორბლის მოყვანის ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებების – თესვის წესისა და ნორმის-კორექტირება საშუალებას გვაძლევს გამოვლინდეს ამ კულტურის პოტენციური შესაძლებლობა.

4. “ნიადაგის როლი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებაში”. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება” – შრომათა კრებული; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია; თბილისი; 2015 წელი.

შრომა ეხება ნიადაგის მრავალმხრივ მნიშვნელობას ბუნებისა და ადამიანის სიცოცხლეში; საუბარია ნიადაგის ისეთ ზოგადბიოლოგიურ ფუნქციებზე, როგორცაა: ნიადაგის ფუნქცია – როგორც სიცოცხლის არსებობის უნიკალური არე; – როგორც დამაკავშირებელი რგოლი ნივთიერებათა გეოლოგიურ და ბიოლოგიურ წრებრუნვებს შორის მიწისზედა ბიოგეოცენოზებში და რა თქმა უნდა, ნიადაგის ფუნქცია – მისი ბიოლოგიური პროდუქტიულობა, რომელიც სოფლის მეურნეობაში ნაყოფიერებად იწოდება.

5. „ნიადაგის როლი ბიოსფეროში და ადამიანის სიცოცხლეში“; ნიადაგის მსოფლიო დღისადმი (5 დეკემბერი) და ნიადაგის საერთაშორისო წლისადმი (2015 წ.) მიძღვნილი კონფერენციის შრომათა კრებული; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია; თბილისი; 2015 წელი;

შრომაში მოტანილ მოკლე მიმოხილვაში ნაჩვენებია თუ რამდენად დიდია და შეუცვლელია ნიადაგის ეკოლოგიური როლი ბიოსფეროში და ადამიანის ცხოვრებაში და რამდენად რეალურია საფრთხე მსოფლიოს ნიადაგური საფარის დეგრადაციის სულ უფრო მზარდი პროცესის.

6. “სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები ნიადაგის დაცვისა და მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების ხაზით”. ურნალი “აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები”, თბილისი, №4 2015 წ.

სტატიაში აღნიშნულია რომ საქართველოში მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავს დაბალნაყოფიერ ნიადაგებს რომელთა გაუმჯობესებისა და ნაყოფიერების ამაღლების გარეშე მათზე სასოფლო-სამეურნეო წარმოება წამკებიანია. აუცილებელია აღნიშნული ნიადაგების პასპორტიზაციის ჩატარება არსებული მდგომარეობის დადგენის მიზნით და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაგრძელება აღნიშნული ნიადაგების გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვისათვის.

მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო ნაშრომის – “სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზი” – მომზადებაში. არის აღნიშნული ნაშრომის მე-7 თავის 7.7 პარაგრაფის ავტორი.

მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება” – მუშაობაში, 4-5-6 ნოემბერი, 2015 წ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი; იყო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და დარგობრივი სექციის - „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება მემცენარეობაში” – თავმჯდომარე. კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით - „ნიადაგის როლი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში”.

აკად. გ. მარგველაშვილმა ორგანიზება გაუკეთა ნიადაგის მსოფლიო დღისადმი და ნიადაგის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას – “ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში” – 4 დეკემბერი, 2015 წ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია; კონფერენცია გამოირჩეოდა მონაწილეთა მრავალრიცხოვნებით. კონფერენციაზე აკად. გ. მარგველაშვილი წარდგა ძირითადი მოხსენებით - „ნიადაგის როლი ბიოსფეროში და ადამიანის სიცოცხლეში”;

მონაწილეობა მიიღო აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების მიერ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ექსპერიმენტულ ბაზაზე ორგანიზებულ გამსვლელი სემინარის მუშაობაში. სემინარზე ძირითადი მოხსენებით გამოვიდა ერთწლოვანი კულტურების კვლევის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო.ლიპარტელიანი. მოეწყო საჩვენებელი გასვლა უშუალოდ საცდელ ნაკვეთებში, სადაც იცდება სიმინდის, ხორბლის, ქერის, ლობიოს და სხვა კულტურების სხვადასხვა ჯიშები.

ორგანიზება გაუკეთა და ხელმძღვანელობდა აგრონომიული და ეკონომიკური სამეცნიერო განყოფილებების ერთობლივ მრგვალ მაგიდას, რომელიც ჩატარდა 2015 წლის 5 მარტს. მრგვალი მაგიდის მუშაობაში ზემოთ აღნიშნული განყოფილებების

წევრების გარდა მონაწილეობა მიიღეს და მოხსენება გააკეთეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ, აკადემიკოსმა პ. კოლუაშვილმა და მობრძანებულმა სტუმრებმა – მამუკა გიორგაძემ, პროფესორებმა – მიხეილ ჯიბუტიმ, ანზორ მესხიშვილმა და სხვ. ძირითადი სადისკუსიო თემა იყო - „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა. მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში და გამოითქვა აკად. გ. მარგველაშვილის უარყოფითი დამოკიდებულება ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისებასთან დაკავშირებით.

აკადემიკოს ოთარ ონიანის დაბადებიდან 85 წლისადმი მიძღვნილ ხსოვნის საღამოზე აკად. გ. მარგველაშვილი გამოვიდა ძირითადი მოხსენებით იუბილარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის დაბადებიდან 85 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე აკად. გ. მარგველაშვილი გამოვიდა ძირითადი მოხსენებით იუბილარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

– აკად. გ. მარგველაშვილი არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. ამ მიმართულებით:

– ჩატარებულია განყოფილების 12 სხდომა.

– სხდომებზე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე მოხმენილი იყო განყოფილების აკადემიკოსების და წევრ-კორესპონდენტების 24 მოხსენება. დამტკიცებული იქნა აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების 2016 წლის სამუშაო გეგმა და ჩასატარებელი ღონისძიებები.

– აკად. გ. მარგველაშვილი არის:

ა) აკადემიური საბჭოს წევრი და აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში. საბჭოს სხდომაზე გაკეტილია მოხსენება აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების მიერ 2015 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;

ბ) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ “მოამბე“-ს რედკოლეგიის წევრი და მონაწილეობს მის მუშაობაში;

გ) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ეროვნული კოორდინატორი აგროქიმიკ- ნიადაგმცოდნეობის დარგში.

– საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში – „ნიადაგის დაცვის შესახებ“ კანონში (1994 წ) და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ კანონში (2003 წ) ცვლილებების შემტანი კომისიის წევრი;

– ო. ლიპარტელიანის მიერ მომზადებული მეთოდური სახელმძღვანელოს - „სიმინდის ახალი ქართული ჰიბრიდის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია“ – რეცენზენტი. სამომავლო გეგმები:

➤ მოხსენება **განყოფილების სხდომაზე**: „სასუქების როლი ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებაში“. 2016 წელი, ნოემბერი.

➤ **ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე**, ძირითადი მოხსენება – „ნაყოფიერი ნიადაგი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველია“; დეკემბერი, 2016 წელი.



### 5.1.2.6. აკადემიკოსი ჯუმბერ მნიანი



2015 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბეში” (თბილისი, №34) გამოქვეყნებულია ოთხი შრომა.

1. "ყავისფერი კარბონატული ყამირი ნიადაგების ვენახებისათვის გამოყენების გავლენა, ჰუმუსისა და საკვები ელემენტების შემცველობაზე".

#### ნაშრომებში მოცემულია:

1.1. კაპიტალური ცდების ხანგრძლივად წარმოების შედეგად, მიღებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები წარმოებაში დასანერგად. რეკომენდაციების შემოწმება უნდა ხდებოდეს მოსავლიანობით, მიღებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლებითა და ნიადაგში მიმდინარე თვისებათა ცვლილებების მიხედვით, წარმოებაში დასანერგი რეკომენდაციის ხანგრძლივად გამოყენების შედეგად თუ ნიადაგის თვისებები უარესდება, ასეთი რეკომენდაციის წარმოებაში დანერგვა დაუშვებელია (იძულებითი ღონისძიებების გარდა), თუ გინდა იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოსავლიანობას ზრდიდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მომავალ თაობებს გაუარესებულ (დეგრადირებულ) ნიადაგებს ვუტოვებთ. ამ დარგში მოღვაწე მეცნიერთა ვალია ის, რომ მომავალ თაობებს მაღალნაყოფიერი ნიადაგები დაუტოვოთ;

1.2. აღნიშნულის შესაბამისად შემუშავებული და შემოწმებული, ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული რეკომენდაციების ერთობლიობა გვაძლევს სისტემას. მაგალითად - ნიადაგების მოვლის, სასუქების გამოყენების, წყლისმიერ თვისებათა რეგულირების, სხვა-ფორმირების, მცენარეთა დაცვის, მანქანა-იარაღების გამოყენების სისტემებს;

1.3. ზემოთ აღნიშნული სისტემების გარკვეული წესითა და თანმიმდევრობით განხორციელებული ერთობლივობა იძლევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის მეცნიერულად დადასტურებულ ტექნოლოგიებს.

2. "სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ნიადაგების პირველადი დამუშავების სიღრმის შესახებ".

#### ნაშრომში მოცემულია:

2.1. ნიადაგების დამუშავების ოპტიმალურ სიღრმეს განსაზღვრავს: ჰუმუსოვანი ფენის სისქე, ნიადაგის ქვედაფენების ქიმიური, ფიზიკური, წყლიური და ბიოლოგიური თვისებები, ნამარხი, კირიანი, და ქვიანი ფენების მდებარეობა, უარყოფითად მომქმედი მარილებისა და ჩონჩხის შემცველობა, გრუნტის წყლების დგომის დონე და მისი დამლაშების ხარისხი და მრავალწლოვანი კულტურებისა და ჯიშების ფესვთა სისტემის განლაგების ხასიათით და არა გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატური

პირობებითა და ფერდობების დახრილობით, როგორც ეს მრავალწლოვანი კულტურების აგროწესებშია მოცემული;

2.2. ტიპური ნიადაგების ოპტიმალურ სიღრმეზე ღრმად დამუშავება (პლანტაჟი) ვენახების ინდივიდუალური ზრდა-განვითარების მთელ პერიოდში ინარჩუნებს ოპტიმალურ სიმკვრივეებს, სიმკვრივეთა ოპტიმალური პარამეტრებია: მძიმე, საშუალო და მსუბუქი თიხა მექანიკური შედგენილობის ნიადაგებისათვის 0,80 – 1,05; 1,00 - 1,14 და 1,10 - 1,24; მძიმე, საშუალო და მსუბუქი თიხნარი მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებისათვის 1,5 – 1,30; 1,25 - 1,40; 1,35 - 1-50 გ/სმ<sup>3</sup>;

2.3. ნიადაგების დეტალური გამოკვლევების საფუძველზე დგინდება ნიადაგის დაპლანტაჟების ოპტიმალური სიღრმეები. ოპტიმალურ სიღრმეზე დაპლანტაჟება ქმნის ვაზის ზრდა-განვითარებისათვის უკეთეს პირობებს და ვენახების ამორტიზაციამდე 10-15% ზრდის მოსავლიანობას, ზედმეტი დანახარჯების გარეშე.

3. "ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა მდელოს ალუვიურ ნიადაგებში ჰუმუსისა და ..... შემცველობაზე და მარაგებზე".

**შრომაში მოცემულია:**

3.1. მდელოს ალუვიური ნიადაგების ვენახებისთვის 25 წლის განმავლობაში გამოყენების შედეგად 0-30 სმ ფენაში, გაყამირებული ნიადაგის იმავე ფენასთან შედარებით მცირდება: ჰუმისი - 24,8 ტ/ჰა; საერთო აზოტი - 3,06 ტ/ჰა; საერთო ფოსფორი - 1,18 ტ/ჰა და საერთო კალიუმი - 19,4 ტ/ჰა;

3.2. მცენარისათვის შესათვისებელი საკვები ელემენტები ჰიდროლიზური აზოტი – 8,1; შესათვისებელი ფოსფორი - 25 და გაცვლითი კალიუმი - 18,59 კგ/ჰა მცირდება;

3.3. ქვედაფენები აღნიშნული კანონზომიერების საწინააღმდეგო სურათს იძლევიან, რაც ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვედაფენები ნაკლებად განიცდიან ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენას;

3.4. მანავის მდელოს ალუვიური ნიადაგების ქვედაფენებში ჰუმისისა და საკვები ელემენტების შემცველობები და მარაგები ძირითადად დამოკიდებულია მდინარე ჩაილურის ნატანებში მათ შემცველობაზე.

4. "ზებრისებური თიხების რეკულტივაციის შესახებ".

**შრომაში მოცემულია:**

4.1. ზებრისებური თიხების 45 სმ დამუშავება, მინერალი და ორგანული სასუქების რაციონალური გამოყენება აუმჯობესებს დამუშავებული ფენის ქიმიურ, ფიზიკო-ქიმიურ, ფიზიკურ, წყლიერ და ბიოლოგიურ თვისებებს;

4.2. ნიადაგის დამუშავებულ ფენაში, ნიადაგის თვისებათა გაუმჯობესება, ზებრისებურ თიხებს მორფოლოგიური ნიშან-თვისებებით ნორმალური წითელი მიწების იერსახეს აძლევს;

4.3. ზებრისებურ თიხებში 63 წლის განმავლობაში მინერალი და ორგანული სასუქების რაციონალური გამოყენების შედეგად ჩაის პლანტაციის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა ათასი პროცენტით იზრდება, უსასუქო ვარიანტთან შედარებით;

4.4. ზებრისებური თიხების რეკულტივაციის (გაკულტურების) შედეგად, მათი სოფლის მეურნეობის სამსახურში ჩაყენების რეალური პირობები იქმნება, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

**ამ შრომის აქტუალობიდან გამომდინარე შედგენილია რეკომენდაცია:**

ძლიერ ეროზირებული (A-B კორიზონტალები მოხსნილი) ზებრისებური თიხების 45 სმ სიღრმეზე დაპლანტაჟებულ ნიადაგზე, კორიზონტალობის მიხედვით ჩაის პლანტაციების გაშენება, მის შეკვრამდე მინერალური და ორგანული სასუქების, ხოლო შეკვრის შემდეგ მხოლოდ მინერალური სასუქების აგროწესების მიხედვით გამოყენების შედეგად ვღებულობთ ნორმალურ ჩაის პლანტაციებს, რომელთა საშუალო წლიური საპექტარო მოსავლიანობა 40-41 ც/ჰა შეადგენს.

ჩაის პლანტაციების კორიზონტალობის მიხედვით გაშენება განაპირობებს ნიადაგების თვითდატერასებას, რომლის შედეგადაც ფართობი არ იკარგება და მთლიანად გამორიცხავს ზედაპირულ **დენებს** და ეროზიულ მოვლენებს. ამ რეკომენდაციის განხორციელების შედეგად შესაძლებელი ხდება სოფლის მეურნეობის სამსახურში ჩავაყენოთ ჩაის ახალი პლანტაციები და **200 დაქანებულ** ფერდობებზე თავიდან ავიცილოთ ეროზიული მოვლენები.

2015 წლის ზაფხულში გაფართოებულ საბჭოს სხდომაზე აკად. ჯ. ონიანმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: "მიწათმოქმედების სისტემების შესახებ".

საერთოდ ცნობილია, რომ მიწათმოქმედების განვითარების მთელი ისტორია ხუთ სისტემას მოიცავს: ახოიანს ანუ ცეცხლოვანს, ნასვენთანს, ანეულიანს, ნაყოფთაცვლის და ნათესბალახიან სისტემებს. ახოიანი, ნასვენიანი და ნაყოფთაცვლითი სისტემები მოკლედ იყო განვიხილული, ხოლო ნათესბალახიან სისტემას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმიტომ, რომ ეს სისტემა სადღეისოდ ყველაზე რაციონალური სისტემაა და მას მთელი მსოფლიო იყენებს. ამ სისტემის მემინდვრეობაში გამოყენება გაადვილებულია. მემინდვრეობაში მისი რაციონალური გამოყენებით იზრდება ნიადაგების ნაყოფიერება, მოსავლიანობა და წმინდა შემოსავალი, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა იგი საქართველოში მაინც არ გამოიყენება, რაც არამართებულად მიგვაჩნია.

აკად. ჯ. ონიანის მიერ წარმოებული მრავალწლიანი კვლევების შედეგად შემუშავდა მრავალწლოვანი კულტურებისათვის გამოსაყენებელი და გამოყენებული ნიადაგების ნაყოფიერების აღმდგენელი და გაუმჯობესებული ნათეს-ბალახების რაციონალურად გამოყენების ისეთი სისტემები, რომლებიც გარანტირებულს ხდიან ნიადაგების ნაყოფიერების რეგულირებას და მოსავლიანობის ზრდას.



### 5.12.7. აკადემიკოსი რევაზ ჩაბელიაშვილი



მიუხედავად აღიარებული სამთო მეტყვეობის სათაო ინსტიტუტის განადგურებისა, კვლავ გრძელდება მცდელობა და პატივისცემა დიდი მეცნიერის, საქართველოს ტყეებისა და ბუნების დიდი ქომაგის, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ისევე როგორც წინა წლებში, ვ. გულისაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით 2015 წლის 5 მაისს, საგარეჯოში, მისსავე ოდაბუდეში, კვლავ ჩატარდა თბილისიდან ჩასული ვ. გულისაშვილის მოწაფეებისა და გარეჯელი მეტყვეების შეკრება. ვ. გულისაშვილის სხვადასხვა თაობის მოწაფეებმა და კოლეგებმა საქმიანი სჯაბაასი გამართეს ამჯერად, ცნობილი მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის შემოგარენში, რომლის დაარსებასაც თავის დროზე დიდი ამაგი დასდო აკადემიკოსმა ვ. გულისაშვილმა.

გულისტკივილით აღინიშნა, რომ სატყეო მეურნეობასა და სახელმწიფო ნაკრძალში, ისევე როგორც სართიჯალის სატყეო სანერგეში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე კვლავ ინიშნებიან დარგის უცოდინარი, გამოუცდელი და შემთხვევითი ადამიანები.

შეკრებას უძღვებოდნენ აკადემიის სატყეო მიმართულების ეროვნული კოორდინატორი, აკადემიკოსი რ. ჩაბელიაშვილი და ვ. გულისაშვილის გარეჯელი მოწაფე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ა. ჯაფიძე

2015 წლის 20 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო მიმართულების ეროვნული კოორდინატორის წევრებმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის კომისიასთან ერთობლივად, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კომფერენცია თემაზე: "საქართველოს მთის ტყეების დღევანდელი მდგომარეობა".

სხდომას უძღვებოდა ეროვნული აკადემიის მაღალმთიანეთის კომისიის ხელმძღვანელი აკადემიკოსი ავთანდილ არაბული.

სხდომაზე მოხსენებით – “სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპები” გამოვიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო მიმართულების ეროვნული კოორდინატორი, აკადემიკოსი რევაზ ჩაბელიაშვილი.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნა სატყეო დარგში სადღეისოდ შექმნილი მდგომარეობა სამ განზომილებაში – რა იყო, რა გვაქვს დღეს და რა გვინდა რომ გვქონდეს სამომავლოდ. მოხსენებას თან ერთვოდა გასატარებელ ღონისძიებათა რეკომენდაციები. სხდომას ესწრებოდა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაღალმთიანეთის კომისიის სრული შემადგენლობა, ცნობილი აკადემიკოსები, პროფესორები და მოწვეული სტუმრები.



პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამოსხენებით გამოვიდნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო მიმართულების ეროვნული კოორდინატორის ჯგუფის წევრები: პროფესორები, თ. კანდელაკი, გ. გაგოშიძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ლ. დოლიძე, სატყეო დარგის ცნობილი სპეციალისტი, პრაქტიკოსი მეტყევე, დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი მერაბ დვალი და სხვა.

– მიმდინარე წლის 4,5,6 ნოემბერს ქალაქ თბილისში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება.” აკად. რ. ჩაგელიშილის და პროფ. ლ. გვაზავას ერთობლივი მოხსენების თემა კონფერენციაზე იყო “გლობალური დათბობა, ტექნიკური პროგრესი და მწვანე საფარი”.

ამავე კონფერენციის გამოქვეყნებულ მასალებში (შრომათა კრებულში) დაიბეჭდა ერთობლივი სტატია ამავე სახელწოდებით. კონფერენცია ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (CF /36 /14-814/15) ქ. თბილისი, საქართველო, 2015 წელი გვ. 349;

– საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ 2015 წელს მოამზადა დასაბეჭდად და გამოსცა რეკომენდაციები: “სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე ქარსაცავი ზოლების გაშენებისა და მოვლისათვის.” ავტორები: აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. რ. ჩაგელიშილი, პროფ. გ. გაგოშიძე და პროფ. გ. ხარაიშილი;

– შესრულდა უაღრესად შრომატევადი სამუშაო დოქტორ ვ. თოდუას მრავალფორმიან, გამოსაცემად გამზადებულ ნაშრომზე „საქართველოს ტყის ხილ-კენკროვანი სამკურნალო მცენარეების შესწავლა, მათი არელების, მარაგების, დადგენისა და საოჯახო პირობებში გამოყენების მიზნით“. მთავარი რედაქტორი აკად. რ. ჩაგელიშილი;

– საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ძალისხმევით გამოიცა სამეცნიერო კონფერენციის მასალები “საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები”, სადაც დაბეჭდილია აკად. გ. ჯაფარიძის, აკად. რ. ჩაგელიშილის და პროფ. გ. გაგოშიძის ერთობლივი სტატია- „საქართველოს ტყეების გენეტიკური რესურსები“, გვ. 25-31; (თბილისი, 13 ნოემბერი 2015 წელი).

2015 წლის 4 დეკემბერს ქალაქ თბილისში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ჩატარდა გაეროს მიერ გამოცხადებული ნიადაგის საერთაშორისო წლის ფარგლებში ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ ნიადაგის როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში.“ მოხსენების თემა „საქართველოს ტყის ნიადაგები“, მომხსენებლები: აკადემიკოსი გ. ჯაფარიძე აკად. რ. ჩაგელიშილი და პროფ. გ. გა-

გოშიძე. კონფერენციის მასალები დაბეჭდილია შრომათა კრებულის სახით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ.

– აკად. რ. ჩაგელიშვილის მიერ შესრულდა რეცენზენტის საპასუხისმგებლო მოვალეობა სატყეო დარგში გამოსაცემად მომზადებული სამეცნიერო სტატიების (გ. ვაჩნაძე, ზ. ტიგინაშვილი, გ. წერეთელი), რომლებიც დაიბეჭდა საქართველოს სოფლის მეურ. მეცნიერებათა აკადემიის "მოამბეში", თბილისი, №33,34, 2014-2015 წლები;

– მიიღო აქტიური მონაწილეობა, როგორც აკადემიური საბჭოს წევრმა, გეგმიური საკითხების მომზადება-განხილვაში, აგრეთვე აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო აგრარულ განყოფილების საქმიანობაში;

– არის სატყეო დარგში გამომავალ ერთადერთი საერთაშორისო ბეჭდვითი ორგანოს „საქართველოს სატყეო მოამბის“ რედაქციის წევრი. როგორც რეცენზენტი, აქტიურად თანამშრომლობს გამოსაცემი შრომების ავტორებთან .

– მომზადებულია და მზადაა დასაბეჭდათ პუბლიკაცია „გუფროხილდებით ტყეს, ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს?“ და რეკომენდაციები სატყეო სექტორის მართვასთან და მის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით.

– 2010-1013 წლებში განხორციელებული კვლევებისა და ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე მომზადებულია და ელოება დამფინანსებელს უაღრესად მნიშვნელოვანი 6 პროექტი მთის ტყეების დაცვითი ფუნქციების რეალიზაციის თვალსაზრისით, დამყარებული სტაციონალური და სამარშრუტო კვლევების მასალებზე და სხვა.



### 5.1.2.8. აკადემიკოსი ზაურ ჩანძელიანი



1. 2015 წლის სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის სამეცნიერო სამოქმედო გეგმით აკად. ზ. ჩანძელიანი ხელმძღვანელობდა ორ პროექტს: 1.1. ალაზნის დამლაშებული ნიადაგების (ე.წ. “ჯუგაანის მიწების”) ნიადაგური კვლევა მისი ნაყოფიერების აღდგენა გაუმჯობესებისა და შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით;

1.2. სიმინდის ჰიბრიდის „წილკანი-1“-ის კულტურაზე კომპლექსური მინერალური და ორგანულ-ბაქტერიული სასუქების გავლენა მის მოსავლიანობასა და ხარისხზე.

2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოქტორანტის საგანმანათლებლო პროგრამით ასწავლის დისციპლინას "აგროქიმიკა-ნიადაგთმცოდნეობა" და ასევე არის დოქტორანტის ხელმძღვანელი საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში, რომლის თემაა: "მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რადიოეკოლოგიური დახასიათება";

3. ჟურნალ „მოამბეში“ (2015 წელი, №35) გამოსაქვეყნებლად გადაცემულია 3 სტატია: 3.1. "ლენტეხის რაიონის ტერიტორიაზე ალუვიური ნიადაგების პირობებში რადიონუკლიდებისა და მძიმე ლითონების მონიტორინგი და აღნიშნული ტიპის ნიადაგების ნაყოფიერების მართვა". **ანოტაცია** - ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე ცხენისწყლის პირას გავრცელებულ (ალუვიური) ნიადაგების აკუმულაციურ ფენაში რადიონუკლიდებისა და მძიმე ლითონების ხვედრითი წილი ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციაზე ბევრად დაბალია. ასევე იგი ღარიბია მცენარისთვის შესათვისებელი ძირითადი საკვები ელემენტებით და საჭიროებს გადაუდებელ ქიმიზაციას სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლების მიზნით;

3.2. "ოსპის კულტურის ბიოლოგიური თავისებურებები და მისი პროდუქტიულობა".

**ანოტაცია** – ოსპი შეიცავს A და C ჯგუფის ვიტამინებს, უჯრედის, ცილებს, ნახშირწყლებს, ფლავანოიდებს, ფოლიუმის მჟავას (რომელიც იცავს ორგანიზმს სიმსივნის უჯრედების განვითარებისაგან), კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, თუთიას, რკინას, ფოსფორს;

მეცნიერთა აზრით ოსპი ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა პროდუქტია, რადგან ის არ აგროვებს ტოქსიკანტებს,მათ შორის რადიონუკლიდებს და ნიტრატებს. ამიტომ საინტერესოა სწორედ მისი განოყიერების სისტემის შემუშავება-გაუმჯობესება;

3.3. "ბაბანეურის ნაკრძალის ძელქვის კორომის ქვეშ (ახმეტის მუნიციპალიტეტი) გაადგილებული ყომრალი ნიადაგების ძირითადი ქიმიური მაჩვენებლების დადგენა მისი ნაყოფიერების თვალსაზრისით".

**ანოტაცია** – ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი ახმეტის მუნიციპალიტეტში კავკასიონის მთავარი ქედის კალთების ძირში მდინარე ალაზნის ნაპირზე მდებარეობს ზღვის დონიდან 600 მეტრამდე და მისი ფართობი შეადგენს 747 ჰა და იქ გავრცელებულია კავკასიური ძელქვის-მესამეული ხანის რელიქტის სახით ყომრალი

ნიადაგების პირობებში. ამიტომ მნიშვნელოვანი ამ ნიადაგების ქიმიური თვისებების მონიტორინგი.

4. აკად. ზ. ჩაქსელიანი არის სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო –კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი და სსმმ აკადემიის ჟურნალ „მოამბე“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი;

5. **სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დაჩქარებისათვის ნიადაგების ეფექტურად გამოყენებისა და მისი ნაყოფიერების ამაღლების თვალსაზრისით აუცილებელია:** ნიადაგის შესახებ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანა; ნიადაგების ინვენტარიზაციის ჩატარება და მისი ბონიტირება; ნიადაგების აღრიცხვიანობის მოწესრიგება რეესტრში; სასუქებისა და სხვა საშვალეების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი; დეგრადირებული ნიადაგების აღდგენა-გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის შედგენა; ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგი (განსაკუთრებით ჰუმუსისა და საკვები ელემენტების) და მისი შენარჩუნება-აღდგენის ღონისძიებების შემუშავება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობით;

6. **საკითხი 2016 წელს განსახილველად.**

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის ლაბორატორიის მუშაობისა და მისი პერსპექტივების შესახებ.

აღნიშნული საკითხი სასურველია განხილული იქნას აკადემიის აგრონომიული და სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილებებში და შემდგომ აკადემიურ საბჭოს სხდომაზე.



### 5.1.2.9. აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი



სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით გაწეული მუშაობა:

საანგარიშო პერიოდში მუშაობას აგრძელებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კონსულტანტის სტატუსით. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მუშაობაში მონაწილეობდა ორი მიმართულებით:

**თემა 1** - ვაზის საკოლექციო ნარგაობაში (სოფ. ჯიდაურა, საგურამო, მცხეთა) ქართული-აბორიგენული ვაზის ჯიშების იდენტიფიკაცია, პერსპექტიული ჯიშების გამორჩევა (რეგიონალურ ასპექტში - ეთნიკურ-გეოგრაფიული ჯგუფების მიხედვით) სამრეწველო (სამეწარმეო) სორტიმენტის სრულყოფა-გაუმჯობესების მიზნით. (ხელმძღვანელი, პროფესორი

ლ. უჯმაჯურიძე, შემსრულებელი აკადემიური დოქტორი ლ. მამისახლისაშვილი, კონსულტანტი აკადემიკოსი ნ. ჩხარტიშვილი)

საანგარიშო წელს ყურადღება იქნა გამახვილებული: კახეთის, მესხეთის, შიდა ქართლის ვაზის ჯიშთა ფონდიდან გამორჩეული ჯიშების ძირითადი ამპილოგრაფიული (ბოტანიკური) ნიშნების და სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებების გამოკვლევაზე; კერძოდ, კახეთის ჯიშთა ჯგუფიდან გამოიყო „შავი“ რქაწითელი და ასევე წითელყურძნიანი ჯიში - "სიმონასეული". განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „შავი“ რქაწითელის გენეტიკური (ნათესაური) კავშირის დადგენა ძირითადად სამრეწველო ჯიშთან თეთრ და ვარდისფერ რქაწითელთან; ასევე საყურადღებოა კახეთის წითელყურძნიანი სორტიმენტის გასამდიდრებლად, "სიმონასეულის" სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებები, რომელიც ისწავლება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტის პროფესორების, გ. ჯავახიშვილისა და ნ. ვეფხიშვილის მონაწილეობით.

შიდა ქართლის წითელყურძნიანი ვაზის ჯიშის "დანახარულის"-ა და ლეჩხუმის ეთნიკურ-გეოგრაფიული ჯგუფიდან "ორბელური ოჯალეშის" მიმართ ინტერესი გამოიჩინა „შატო მუხრანის“ მეღვინეობამ; მიკრომეღვინეობის ფარგლებში დამზადდა ღვინის ნიმუშები. პირველადი შესწავლის შედეგები დადებითია; ღვინოების საბოლოო შეფასება მოხდება ერთობლივად მეღვინე-დეგუსტატორების მონაწილეობით. წინასწარი მონაცემებით, შესაძლებელია შიდა ქართლის წითელყურძნიან ჯიშთა ჯგუფს შეემატოს ზემოაღნიშნული ჯიშებიც.

**თემა 2** - ადგილწარმოშობის დასახელების ხაშმის მიკროზონის (საგარეჯოს რაიონი, გარე კახეთი) აგროკლიმატური რესურსების გამოკვლევა და გეოგრაფიული საზღვრების დაზუსტება (ხელმძღვანელი პროფ. ლ. უჯმაჯურიძე, შემსრულებელი აკად. დოქტორი მ. მირველაშვილი, სპეციალისტი გ. გოლაბრელიძე, კონსულტანტი აკად. ნ. ჩხარტიშვილი. 2015 წლის მეორე ნახევრიდან ჩატარდა აღნიშნულ მიკროზონაში წამყვანი ჯიშის "ბუდეშურისებრი საფერავის" ნარგაობის ინვენტარიზაცია, ნარგაობის მდგომარეობის შეფასება, მოსავლიანობა და ყურძნის ხარისხობრივი მაჩვენებლები, ისწავლება ნიადაგის მახასიათებლები და მიკროკლიმატის განმსაზღვრელი ფაქტორები და შესრულებული სამუშაოს ეტაპობრივი ანგარიში ჩაბარდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს.

**დანერგვა-კონსულტაციების სფეროში გაწეული მუშაობა.** აკად. ნ. ჩხარტიშვილი კონსულტანტის სტატუსით მუშაობას აგრძელებდა შპს „ხარებასა“ და შპს „შატო მუხრანთან“; ორივე ობიექტზე ყურადღება გამახვილებულია ყურძნის რაოდენობის რეგულირებასა და ხარისხის მართვის აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებზე: გაშენების სქემა, ვაზის ღონისძიებათა სისტემები და სხვ. მიღწეულია სასურველი შედეგები; შპს „ხარებას“ ღვინის ქარხნებში გადამამუშავდა 4000 ტონამდე საკუთარი მამულებიდან წარმოებული მაღალხარისხოვანი ყურძენი; ასევე, „შატო მუხრანმა“ დაკრიფა და გადამამუშავა 1000 ტონამდე მრავალფეროვანი, ხარისხოვანი სასურველი კონდიციის ყურძენი.

ამავე დროს, ორივე კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, დიდი მოცულობის საკონსულტაციო სამუშაო ჩატარდა ჩაილურის ვაზის სანერგეში (ხელმძღვანელი ზურაბ მჭედლიშვილი, საგარეჯოს რ-ნი) სახელშეკრულებო დაკვეთით გამოყვანილი იქნა 1,5 მლნ მეტი ხარისხოვანი ვაზის ნერგი. მეურნეობა განუხრელად ხელმძღვანელობდა ადრეულ პერიოდში (2010 წლამდე) მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემუშავებული რეკომენდაციებით, ტექნოლოგიებით და ტექნიკით. სასურველი შედეგიც იქნა მიღწეული - დამკვეთებმა მაღალხარისხოვანი ნამყენი ნერგი მიიღეს.

**პედაგოგიური მუშაობა** - აკად. ნ. ჩხარტიშვილი აგრძელებს (2007 წლიდან) მუშაობას თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტში, აგრონომიული და სასურსათო ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, სრული პროფესორის თანამდებობაზე; კითხულობს სალექციო კურსს საგნებში: მევენახეობა, ამპელოგრაფიასელექციის საფუძვლებით, ვაზის ეკოლოგია, მცენარეთა სელექცია, სასათბურე მეურნეობა...

მონაწილეობს სასწავლო პროგრამის შედგენაში: საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული სწავლების საფესურებისათვის. დამხმარე სახელმძღვანელოს ფორმატით გამოსაცემად მომზადებულია წიგნი - „მევენახეობის აგროტექნოლოგია“.

### **გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, სტატიები.**

1. ვაზის ქართული ჯიშები; (გადაეცა გამოსაცემად გასულ - 2014 წელს გამოცემა 2015 წ.); საქართველოს ენციკლოპედია, ტომი 3, შრომა გაფორმებულია ენციკლოპედიური ნორმების ფარგლებში; გაშუქებულია ვაზის ქართული ჯიშების ეთნიკურ-გეოგრაფიული ჯგუფები; მათი გავრცელება და ადგილი სამრეწველო სორტიმენტში; აბორიგენულ ჯიშებთან ერთად განხილულია ახალსელექციური ქართული ჯიშები და სხვ.

2. „ვაზი“, მ. რამიშვილი, ნ. ჩხარტიშვილი; საქართველო ენციკლოპედია, ტომი 3 გადამამუშავებული, განახლებული სტატია - ენციკლოპედიური ფორმატით. განიხილება ვაზი მცენარეულ სამყაროში. მისი ადგილი ბოტანიკური ოჯახში; მისი ბიოლოგიური თავისებურებანი, გარემო ფაქტორებთან კავშირში; სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობა და სხვ.

3. ქართული ვაზის გენეტიკური რესურსი - ნ ჩხარტიშვილი, საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენციის მასალები, 2015 წ. თბილისი;

შრომაში გაშუქებულია მსოფლიოში უმდიდრესი და უძველესი ქართული, აბორიგენული ვაზის ჯიშების როლი მსოფლიო გენოფონდის საგანძურში; ქართული ამპელოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დარგის ჩასახვა განვითარების ეტაპები; საუბარია ახალი სელექციის ქართულ ვაზის ჯიშებზე; ქართველ ამპელოგრაფთა, მეც-

ნიერთა დეაწლზე ქართული ვაზის გენოფონდის მოძიებისა და დაცვის საქმეში და სხვ.

4. აბორიგენული ვაზის გენეტიკური რესურსის კვლევა და დაცვა - ნ. ჩხარტიშვილი, ნინო ჩხარტიშვილის, საქართველოს მცენარეთა მრავალწლიანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები – მოსმენილი იქნა მოხსენება. სტატიას თანდართული აქვს ღონისძიებები და წინადადებები; ხაზგასმულია გენეტიკური რესურსების დაცვის თანამედროვე მდგომარეობა და სამომავლო ღონისძიებები; გამოთქმულია სურვილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გენეტიკური რესურსების კვლევისა და დაცვის საკოორდინაციო ორგანოს შექმნის თაობაზე; აუცილებელია საკოლექციო ნარგაობისათვის სტატუსის მინიჭება და რეგისტრაცია.

5. ვაზის გენეტიკური რესურსები საქართველოში, ნ. ჩხარტიშვილი; დაიბეჭდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით, 2015 წ. ქ. თბილისი; კატალოგი – ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა 414 დასახელების ქართული, აბორიგენული ვაზის ჯიშის ჩამონათვალი, ძირითადი ნიშნებით, მათი კლონებით, ჯიდაურას საკოლექციო ნარგაობაში განლაგებულია 278 დასახელების ინტროდუცირებული ჯიშები.

**საერთაშორისო და საქართველოში გამართული სიმპოზიუმებში სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობა:**

- მონაწილეობა მიიღო თბილისში, საქართველოში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივითა და ორგანიზებით, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში - „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“; სტატია თემაზე - „ქართული ვაზის გენეტიკური რესურსი“ დაიბეჭდა კონფერენციის მასალების კრებულში; აგრეთვე, მონაწილეობა მივიღე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში პრობლემაზე - „ ქართული ვაზის გენეტიკური რესურსები“, დაიბეჭდა კონფერენციის მასალებში, კრებულში;

- აკად. ნ. ჩხარტიშვილი არის სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი, საანგარიშო პერიოდში აკადემიურმა საბჭომ მოისმინა მის მიერ მომზადებული საკითხები: საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სტრატეგიული მიმართულებები, სათანადო ღონისძიებებითა და წინადადებებით. მ.შ. სამთავრობო ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და მიღების შესახებ;

- მოსმენილ იქნა აგრეთვე წინადადება სარგავი მასალების არსებული მდგომარეობა და პრობლემების შესახებ; მწვავედ დაისვა საკითხი ქვეყანაში ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადღეს დეფიციტის დაძლევის ღონისძიებების შესახებ. აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე მოსმენილი იქნა აკად. ნ. ჩხარტიშვილის მოხსენება – მევენახეობა-მეღვინეობაში არსებული მდგომარეობისა და სამომავლო მიმართულებების შესახებ.

ეროვნული კოორდინატორის ჯგუფის მიერ შესრულებული ღონისძიებებიდან უნდა გამოიყოს მრგვალი მაგიდის ფორმატით განხორციელებულ სხდომა, საქართველოს გეოფიზიკისა და მექანიკის ინსტიტუტის მეცნიერებთან და მეღვინეობის სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად. მოსმენილი იქნა მოხსენებები ვენახების სექციისაგან აქტიური (რაკეტული სისტემის) და პასიური (ბადეების გადახურვის) ღონისძიებების შედეგების შესახებ; აგრეთვე მოსმენილი იქნა ინფორმაცია სექცი-

საგან დაზიანებული ვაზის (ვენახის) მოვლის ღონისძიებების თაობაზე (ნ. ჩხარტიშვილი, ირმა მდინარაძე).

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სექციისაგან ვენახების დაცვის ერთობლივი პროგრამის შემუშავება და განხორციელება. ხაზგასმით აღინიშნება სექციისაგან ვენახების განარტირებული დაცვის -ბადეებით გადახურვის საცდელი პროექტების აღდგენა - განხორციელება;

**საზოგადოებრივი საქმიანობა.** აკად. ნ. ჩხარტიშვილი არის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და სასურსათო ტექნოლოგიების საკვალიფიკაციო-სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წევრი, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული უვნებლობის საბჭოს წევრი, გამომცემლობა – საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის კომისიის წევრი – ექსპერტი.

საანგარიშო წელს აკად. ნ. ჩხარტიშვილმა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „მადლობის სიგელი“, 2013-2015 წლებში ფონდის სამეცნიერო საბჭოში გაწეული მუშაობისათვის.

**წინადადებები.** სოფლის მეურნეობის განვითარება და წინსვლა წარმოუდგენელია მეცნიერების გარეშე; სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კვლევითი ცენტრის შექმნა საკმარისი არ არის და ვერ შეასრულებს დარგობრივი მეცნიერების ფუნქციებს. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს რამოდენიმე (წამყვანი დარგების) დარგობრივი კვლევითი ინსტიტუციებისა და მათ სამეცნიერო-ტექნიკური ბაზების აღდგენა-განვითარების თაობაზე;

- უნდა დაჩქარდეს ვენახების ინვენტარიზაციის, აღწერა-პასპორტიზაციის - „კადასტრის“ პროცესი, რომლის ბაზაზე უნდა შემუშავდეს დარგის (დარგები) განვითარების მოკლე და გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები;

- კვლავ პრობლემატურია ქვეყანაში ეროვნული, მაღალკვალიფიციური აგრონომიული კადრების მომზადების საკითხი, აგრარულ უნივერსიტეტს უნდა დაუბრუნდეს თავისი ფუნქციები;

**სამომავლო ღონისძიებები.** აკადემიურ საბჭოზე მოსმენილი უნდა იქნას ინფორმაცია ვაზისა და ღვინის კანონში ცვლილებების პროექტის შესახებ; ინფორმაცია ეთხოვოს ღვინის ეროვნულ სააგენტოს;

- მომზადდეს და აკადემიურ საბჭოზე განხილულ იქნას წინადადება მრავალწლიანი კულტურების ჯიშთა გამოცდის სამსახურის აღდგენის თაობაზე;

- მოსმენილ იქნას ინფორმაცია „ვენახის კადასტრის“ მიმდინარეობის შესახებ; (ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით);

განყოფილების სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1. მოსმენილ იქნას ინფორმაცია (ნ. ჩხარტიშვილი) ქვეყანაში ფიოქსერაგამძლე საძირეთა სადედეების არსებული მდგომარეობისა და განვითარების ღონისძიებების შესახებ;

2. ჩატარდეს გამსვლელი კონფერენცია კახეთში წარმატებული მეწარმეების ბაზაზე რუბრიკით – „მეცნიერები- მევენახეებთან“.





### 5.1.2.10. აკადემიკოსი ბიზი ცაგურიშვილი



აკად. გ. ცაგურიშვილი საანგარიშო წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების მუშაობაში, გაკეთდა ორი მოხსენება „შუალედური კულტურები და მათი მნიშვნელობა სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების საქმეში“ და მეორე მოხსენება მიეძღვნა თემას „ქართულ მიწას მეტი ყურადღება სჭირდება“.

მონაწილეობას ღებულობდა კომისიაში, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ არის შექმნილი და საკვებწარმოების სრულყოფისა და შემდგომი განვითარების საკითხებს ეხება.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შეუწყნარებლადაა ჩამორჩენილი აგრარული დარგი, რომლის ერთ-ერთი მიზეზია ის რეალობა, რომ არ ხდება სოფლის მეურნეობის

მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვა. სამწუხაროდ, არ არსებობდა დანაყოფი ან ორგანიზაცია ისეთი, რომელიც ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმეს შეასრულებდა.

ამჟამად, როცა ქვეყნის მასშტაბით 60 რაიონში შეიქმნა საკორდინაციო საინფორმაციო სამსახური, რომელიც კონკურსის წესით დაკომპლექტდა საშუალოდ 6-7 პირის შემადგენლობით, საფუძველი შეიქმნა აღნიშნული პროგრესული გეგმის პრაქტიკულ განხორციელებისათვის.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აკადემიაში შექმნილი კორდინატორთა ინსტიტუტი, რომელიც 20 სხვადასხვა მიმართულებითაა წარმოდგენილი, დაკომპლექტებულია მაღალი კატეგორიის სპეციალისტებით და მათ მიერ წარმოების მუშაკების უფასო დახმარებისათვის სასარგებლო მუშაობა მიმდინარეობს. საიმედოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი ორგანიზებული დანაყოფის ერთობლივი მუშაობით საიმედო საფუძველი იქმნება აგრარული დარგის მეცნიერულ ღონეზე მართვისათვის.

აგრარული დარგის ჩამორჩენის მიზეზია ასევე ის რეალობა, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელო დამხმარე ლიტერატურით, აგროწესებით, რეკომენდაციებით, ბუკლეტებით, მეთოდური მითითებებით და სხვა დამხმარე მასალებით, რომელიც მათ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს შრომის ორგანიზაციის პროცესში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ტელევიზია და რადიო თითქმის არაფერ სასიკეთოს აკეთებს ამ მიმართულებით, თუმცა მათ ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ.

ამ ნაკლის შევსების მიზნით მიმდინარე წელს ჩვენი აკადემიის დახმარებით აკად. გ. ცაგურიშვილის მიერ მომზადებულია ორი მეტად საჭირო ბროშურა გასამრავლებლად და ფერმერებზე დასარიგებლად: 1. საქართველოში მინდვრის კულტურების სწორი მორიგეობის საფუძველზე შემოდებული თესლბრუნვის სანიმუშო სქემების შესახებ (რეკომენდაციები) და 2. შუალედური კულტურები და მათი როლი წლის განმავლობაში ორი და მეტი მოსავლის მისაღებად (რეკომენდაციები).

აღნიშნული შრომის სამეცნიერო წესით იმ რაოდენობის გამოსაცემად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა პიროვნება, რომელიც აგრარული დარგის ერთ-წლოვანი მინდვრის კულტურების მოვლა-მოყვანითაა დაინტერესებული, ეცნობა სა-

ქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომლის ფუნქცია და მოვალეობაა რეკომენდაციების გამოცემა, რაც მათ საქმიანობაში შედის.

რეცენზირება გაუკეთდა შენიშვნებით "მეხილეობის აგროწესებს", რომელიც ახალი გამოცემისათვის მოამზადეს აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ, გ. ბადრიშვილმა, ი. ვასაძემ.

მიწათმოქმედების დარგში აკადემიის ეროვნული კოორდინატორი კახეთის რეგიონში ბონდო ბულდაშვილი ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა აღნიშნული რეგიონის ფერმერებისა და აგრარულ დარგში დასაქმებული პირებისათვის ჩატარებულ კონფერენციაში, რომლის მიზანი იყო მარცვლელი კულტურების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიების შემუშავება და პრაქტიკული განხორციელების საკითხები.

არჩეულია დამოუკიდებელი სასამართლოს ექსპერტიზის ცენტრის ვექტორის წევრად, რომლის დირექტორია ალექსანდრე გეჯაძე.

საქართველო, როგორც ცნობილია ერთ-ერთი მცირე მიწიანი ქვეყანაა. ამდენად სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენება აუცილებლად საჭიროა საკუთარი წარმოების საკვებით უზრუნველყოფის საქმეში. ძირითადი და შუალედური კულტურების მეცნიერულად დასაბუთებული შეთანაწყოება საშუალებას გვაძლევს სახნავი მიწა მთელი წლის განმავლობაში დაკავებული იყოს მოსავლის ქვეშ ორი და ზოგჯერ სამი მოსავლის მისაღებად.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საიმედო საფუძველს გვაძლევს ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი გარემო-კლიმატური პირობები ადრეული გაზაფხული და გვიანი შემოდგომა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის სიდიდე (4000-45000) სარწყავი წყალი და უმეტეს შემთხვევაში ბუნებრივი ნალექები.

შუალედური კულტურები არ საჭიროებენ სპეციალურად გამოყოფილ ადგილს, ითესებიან და მოსავალს იძლევიან ძირითადი კულტურებისაგან განთავისუფლებულ ფართობებში. აღნიშნული პირობები საშუალებას გვაძლევს ქვეყანაში თითქოს ყველგან, განსაკუთრებით კი დაბლობ ნაწილში, მოვიყვანოთ ყველა ტიპის შუალედური კულტურა, ადრე გაზაფხულზე ძირითადი კულტურის თესვამდე, თავთავიანი პურეულის ადების შემდეგ ნაწვერალებზე შემოდგომაზე და შემოდგომა-ზამთარში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული სრულ გარანტიას იძლევა რაციონალურად გამოვიყენოთ სახნავი მიწა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მუშახელი, წყლის რესურსები და სხვა საშუალებანი, რაც საბოლოოდ განაპირობებს შრომის მწარმოებლობის მაღალ დონეს.

შუალედური კულტურები 1972 წლამდე მცირე ფართობზე ითესებოდა; ამ წლიდან მოყოლებული 1985 წლამდე ყოველწლიურად იზრდებოდა და 1985 წლისათვის თითქმის 100,0 ჰექტარს მიაღწია.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩატარებული დაკვირვებები სრულ გარანტიას გვაძლევს იმისას, რომ მომავალში აღნიშნული ფართობი გავაორმაგოთ და 180,0 - 200,0 ჰექტარამდე ავიყვანოთ.

აკად. გ. ცაგურიშვილის მუშაობის ძირითად საქმეს წარმოადგენდა და მომავალშიც იქნება შუალედური კულტურების თესვა-მოყვანის სწორი ორგანიზაცია, რომელიც მყარ საფუძველს მოგვცემს მომავალში უზრუნველყოთ ჩვენი ქვეყანა საკუთარი წარმოების ეკოლოგიურად სუფთა კულტურებით.



### 5.12.11. აკადემიკოსი ვალერიან ცანავა



1. საანგარიშო წელს გრძელდებოდა სუბტროპიკულ ნიადაგებში შეტანილი აზოტიანი სასუქების ტრანსფორმაციის შესწავლა. ცნობილია, რომ ნიადაგში მიმდინარე პროცესები გავლენას ახდენენ სასუქების აზოტის გამოყენების კოეფიციენტზე. შეტანილი აზოტის მხოლოდ ნაწილი შეითვისება მცენარის მიერ. მინდვრის ცდის პირობებში ის 30-40%-ს არ აღემატება, ხოლო სავეგეტაციო ცდის პირობებში ის 30-40%-ს არ აღემატება, ხოლო სავეგეტაციო ცდაში ის 50-60 % ფარგლებშია.

კვლევის საგანს, სწორედ არამწარმოებლური დანაკარგები წარმოადგენენ. ნიშანდებული აზოტიანი სასუქების გამოყენება ამის საშუალებას გვაძლევს. გამოყოფილია ნიადაგში დარჩენილი სასუქის აზოტის ფრაქციები. ქიმიური ანალიზები სრულად ჩატარებულია და ნიმუშები მომზადებულია იზოტოპიური ანალიზისათვის, რაც მოგვცემს საშუალებას გავარკვიოთ გარდაქმნაში სასუქის აზოტის ხვედრითი წილი. გასული წლის ანალიზებიდან გამომდინარე ნიადაგში დარჩენილი სასუქის აზოტის დიდი ნაწილი სხვადასხვა ხსნადობის ორგანულ ნივთიერებას წარმოადგენს წლევეანდელი ნიმუშების იზოტოპიური ანალიზი გვიჩვენებს როგორია შეფარდება სასუქის აზოტისა ნიადაგში ორგანული ნივთიერების აქტიურ და პასიურ ფაზებს შორის.

2. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“, გამოქვეყნებულია სტატია თანაავტორებთან ერთად „ნიადაგის როლი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და აღდგენის საქმეში“, თბილისი, 2015 წ.

3. აკად. ვ. ცანავა მუშაობდა მონოგრაფიაზე ციტრუსოვანთა განოყიერების საკითხებზე. თანაავტორია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი შ. ლომინაძე. ძირითადი ტექსტი მზადაა, მიდის დახვეწა.

მონოგრაფიაში გაანალიზებულია ციტრუსოვანთა განოყიერებაზე გამოქვეყნებული მასალები და ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მრავალწლიანი ცდების და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები, სადაც განხილულია აზოტიანი სასუქების ნიადაგში გარდაქმნის, სავეგეტაციო პირობებში სასუქის გამოყენების კოეფიციენტი და საერთოდ აზოტის და მათ შორის სასუქის აზოტის ბალანსი. ნიადაგზე გავლენა, როგორც საერთო აგროქიმიური მაჩვენებლებზე, ისე კონკრეტულად ნიადაგში აზოტის მინერალურ და ორგანულ ფრაქციებზე.

სასუქების გამოყენების ოპტიმიზაციის, არამწარმოებლური დანაკარგების შემცირების და საერთოდ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების თვალსაზრისით აუცილებელია სასუქების და პირველ რიგში აზოტიანი სასუქების ტრანსფორმაციის დეტალური განხილვა. ყურადღების გამახვილება ორგანო-მინერალური სასუქების

გამოყენებასა და რაც მთავარია ბუნებრივი რესურსების (ტორფი, მურა ნახშირი, ცეოლითები, ფილიფსიტები) ფართო გამოყენება.

4. აკად. ვ. ცანავა არის საქართველოს ნიადაგმცოდნეობის საზოგადოების გამგეობის წევრი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით მონაწილეობდა მეჩაიეობის და მეციტრუსეობის რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების პროგრამის მომზადების კომისიების მუშაობაში. მეჩაიეობის რეაბილიტაციის სამუშაოების დაწყება გათვალისწინებულია 2016 წლიდან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა ერთობლივად განიხილეს მეციტრუსეობის პროგრამა მიმდინარე წლის მაისში სპეციალისტების და მწარმოებლების ერთობლივ შეხვედრაზე ქობულეთში.

მონაწილეობდა ნიადაგის დაცვის კანონის ახალი რედაქციის მომზადებაში. არის ურნალ „კვალის“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

5. აკად. ვ. ცანავა არჩეულია ქ. ოზურგეთის საპატიო მოქალაქედ.

ჩაის და ციტრუსოვანთა განვითარების პროგრამების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პროდუქციის ხარისხსა და ალიმენტარისის კოდექსის შესაბამისად ორგანული წარმოების გაფართოებაზე. დასაბუთებულია, რომ საქართველოს ამის შესანარჩუნებლად ბუნებრივი რესურსები და სანედლეული ბაზა გააჩნია.

6. წინადადებები. 2016 წელს მეჩაიეობის განვითარების პროგრამის რეალიზაციის დაწყებასთან დაკავშირებით აუცილებელი იქნება წლის განმავლობაში აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების ვადების შესაბამისად სემინარებისა და მრგვალი მაგიდების მოწყობა საკვანძო საკითხებზე. პრაქტიკულად 2016 წლის შედეგები განსახდვრავენ, თუ როგორი იქნება ხელშეწყობის შემდგომი მასშტაბები.



### 5.1.2.12. აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე



1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე კითხულობს ლექციების კურსს ბაკალავრებთან და მაგისტრანტებთან შემდეგ დისციპლინებში:

- ა) სუბტროპიკული კულტურები;
- ბ) მეჩაიეობა;
- გ) სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები;
- დ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიები.

2. საზღვარგარეთ და საქართველოს რეცენზირებად საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია:

2.1. რ. ჯაბნიძე; ი. გაფრინდაშვილი, მ. მამულაძე - გაყინული კენკრა - უკეთ შენარჩუნებული ხარისხი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2015 წელი, გვ. 233-237;

2.2. ვ. თოდუა; ს. ცქვიტაია; რ. ჯაბნიძე; ს. ბერიძე - Forgotten and less explored wild pear in Georgia Village Dighomi, Tbilisi and Kobuleti (Adjara). The scientific proceedings of the international network AgroBioNet. Agrobiodiversity for improving nutrition, health and life quality. Part II. Pg. 669-672. 2015;

2.3. Р. Джабнидзе, З. Путкарадзе, С. Беридзе - Продовольственная безопасность и задачи агропромышленного комплекса Грузии. Материалы международной научно-практической конференции. «Обучение и применение креативных промышленных технологий». Ст. 298-301, Азербайджан, Ганджа. 2015;

2.4. რ. ჯაბნიძე - კლიმატის ცვლილებების გავლენა კეთილშობილური დაფნის (Laurus Nobilis) ზრდა-განვითარებასა და პროდუქტიულობაზე. მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“. გორი, 2015 წელი, გვ. 183-186;

2.5. მ. ცეცხლაძე; რ. ჯაბნიძე – საინვესტიციო პრობლემები და პერსპექტივები სოფლის მეურნეობის განვითარებაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“. თბილისი, 2015 წელი, გვ. 361-364;

2.6. Р. Джабнидзе, Н. Джабнидзе, С. Беридзе - Глобальное изменение климата и на развитие отраслей в растениеводстве. Еревански Гос. Унив. Армения, Г. Ереван, 21-23 Апреля. 2015. Ст. 112-118;

#### 3. მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში

3.1. The scientific proceedings of the international network AgroBioNet. Agrobiodiversity for improving nutrition, health and life quality. Part II. 2015.

3.2. Азербайджан, Ганджа. Материалы международной научно-практической конференции. «Обучение и применение креативных промышленных технологий». 2015.

3.3. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“. 12-14 სექტემბერი, 2015 წელი;

3.4. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“. თბილისი, 2015 წელი.

3.5. Еревански Гос. Унив. Армения, г. Ереван, 21-23 Апреля 2015.

#### **4. სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების რედაქტორობა და რეცენზირება.**

- 2013 წლიდან დოქტორანტ გულადი თხილაიშვილის სადოქტორო ნაშრომის: „აჭარის აგრარული პროდუქციის საგარეო ბაზარზე გასვლისა და დამკვიდრების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“ -მეცნიერ ხელმძღვანელი;

- 2014 წლიდან დამტკიცებულია დოქტორანტ სოფიო გიგოლაშვილის სადოქტორო ნაშრომის: „სამკურნალო მცენარეთა მავნებლები, უმთავრესი მათგანის გამოვლინება და ბრძოლის ღონისძიებების დამუშავება საქართველოში“, თანახელმძღვანელად (ხელმძღვანელი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე);

- 2015 წელს დამამტკიცეს დოქტორანტ სოფო ხუხუნაიშვილის სადოქტორო ნაშრომის: „იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარნის ადრემწიფადი ფორმების აგროეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა აჭარის პირობებში“ მეცნიერ ხელმძღვანელად;

- 2015 წელს - პროფესორების ზაურ ფუტყარაძისა და რომან მარგალიტაძის სახელმძღვანელოს: „სასოფლო-სამეურნეო მანქანა - იარაღები“, რედაქტორი;

- 2015 წელს პროფესორების რომან მარგალიტაძისა და ვახტანგ გოლიაძის მონოგრაფიის: „მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები“, რედაქტორი;

- პროფესორების ლელა ებრაღიძისა და შოთა ლომინაძის სახელმძღვანელოს „მეზოსტენობის“, რედაქტორი;

- არჩეული იყო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრად, რომელიც ჩატარდა ქ. ქუთაისში 2015 წლის 15-20 სექტემბერს, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

- არჩეული იყო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრად, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დღის წესრიგით: „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“. თბილისი, 2015;

- 2015 წლის თებერვლის თვიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით დანიშნულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აკადემიის პრეზიდენტის წარმომადგენლად;

- 2015 წლის 3 დეკემბერს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური საბჭოს სხდომაზე ფარული კენჭისყრით რეზო ჯაბნიძე აირჩიეს ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

#### **5. მონაწილეობა სხვადასხვა კომისიების, საბჭოებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.**

- 2015 წლის 17 ივნისს ფარული კენჭისყრით მეორე ვადით აირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ;

- 2015 წლის 26 ივნისს ქ. ქუთაისის წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში იყო შემფასებელი (ოპონენტი) დოქტორანტ ნატალია სანთელაძის სადოქტორო დისერტაციისა თემაზე: „ფეიჭოას კულტურის აგროსაწარმოო დაჯგუფება იმერეთის რეგიონის ალუვიური ნიადაგების აგროეკოლოგიურ გარემოში“;

- 2015 წლის 18 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დაესწრო აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის 80 წლის იუბილეს.

- 2015 წლის 17 თებერვალს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა აკადემიკოს ვანო პაპუნის 75 წლის იუბილე, სადაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელით აკად. რ. ჯაბნიძემ გააკეთა მილოცვა;

- 2015 წლის 28 მაისს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა ბაკალავრთა და მაგისტრანტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც აკად. რ. ჯაბნიძის ხელმძღვანელობით მომზადებულმა ორმა სტუდენტმა ლაშა მელაძემ და მარიამ ცეცხლაძემ დაიკავე პირველი ადგილი და გადაეცათ სერთიფიკატები;

- 2015 წლის ოქტომბრის თვის ჟურნალ „ახალ აგრარულ საქართველოში“ გამოქვეყნებულია საიუბილეო სტატია, გამოჩენილ პედაგოგზე და საზოგადო მოღვაწეზე ნურუ ნიუარაძეზე - „უნივერსიტეტის ყველაზე ახალგაზრდა რექტორი“, ამავე ჟურნალის მომდევნო ნომერში აკადემიკოს ვალერიან ცანავას 80 წლისთავთან დაკავშირებით ვრცელი სტატია;

- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის საიუბილეო ღონისძიებასთან მიძღვნილ სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე იყო ტექნოლოგიური მიმართულების სექციის თავმჯდომარე.

- 2015 წლის 30-31 ოქტომბერს ტექნოლოგიური ფაკულტეტისა და საკურატორო ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა ქ. ბათუმში საერთაშორისო გამოფენაზე „აგრარული დარგის მიღწევები -ბათუმი 2015“;

- 2015 წლის 9 ივნისს სოფ. გვარას სადემონსტრაციო საკონსულტაციო ცენტრის შენობაში დაიდო მემორანდუმი უნივერსიტეტსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის უთიერთთანამშრომლობის შესახებ, სადაც გამოვიდა სიტყვით;

- 2015 წლის 23 თებერვალს ბათუმში ჩატარდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის როსტომ აბაშიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. იმის გამო, რომ როსტომ აბაშიძე დაიბადა და აღიზარდა მწვანე კონცხზე, ხოლო მისი მამა ომერ აბაშიძე 30 წელი მუშაობდა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რ. ჯაბნიძემ მათ მიუძღვნა ვრცელი პუბლიკაცია გაზეთ „აჭარაში“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“;

- 2015 წლის 27 თებერვალს მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური ანგარიშის განხილვაში;

6. აკად. რ. ჯაბნიძე არჩეულია:

- ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის „ეკონომიკა“, სარედაქციო კოლეგიის წევრად. ქ. თბილისი;

- ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელად (2014-2019 წწ.);

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროქიმიანიადაგმცოდნეობის მიმართულების ეროვნულ კოორდინატორად;

- პერიოდულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ხანძთა“-ს რედკოლეგიის წევრად;

- სომხეთის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად;

- აზერბაიჯანის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად;

- საქართველოს დაცული ტერიტორიების, მტირალას ეროვნული პარკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად;

- ენციკლოპედია „აჭარა“, სარედაქციო კოლეგიის წევრად;

- ჟურნალ „აგრარული საქართველოს“ რედკოლეგიის წევრად;

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის აგრარულ საკითხთა კომისიის წევრად;

- ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, აგრონომიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელად.

- დამტკიცებულია სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით ორი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელად:

1. „ჩაის ახალი სელექციური ფორმების ( 59, 62, 102) შესწავლა, სამეურნეო და აგრობიოლოგიური ნიშან-თვისებების შეფასება“, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის სოფლის მეურნეობის დოქტორი.

2. „აქტინიდიის (კივი) მცენარის ზრდა განვითარების, პროდუქტიულობისა და გამრავლების საკითხები“. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის სოფლის მეურნეობის დოქტორი (დადგენილება თან ერთვის).

2015 წლის 26 მარტს - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, აკადემიის საბჭოს სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით: „იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ადრემწიფად ჯიშებზე დაკვირვების შედეგები“;

2015 წლის მარტ-აპრილის თვეში უნივერსიტეტში სტუდენტთა მოზიდვის მიზნით, აგრონომიული სპეციალობის მიმართულებით ლექციები წაიკითხა აჭარის რეგიონის შვიდ სკოლაში;

2015 წელს, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომისიასთან არსებული სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრი და ფერმერული მეურნეობის განვითარების, ფერმერთა სწავლება კონსულტირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი, ხუთჯერ მიიღო მონაწილეობა უმაღლესი საბჭოს სხდომებში;

2015 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობით გამოცემული აქვს ექვსი რეკომენდაცია: „ციტრუსების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია“; „ბამბუკის გაშენების აგროტექნოლოგია“; „კივის კულტურის ინტენსიური აგროტექნოლოგია“; „დაფნის კულტურის გაშენება და მოვლა“ და „ვეკალიპტის კულტურა“.

7. დამსახურება და ჯილდოები:

- დაჯილდოვებულია "ღირსების ორდენით";

- იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით და საპატიო სიგელით;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით;

- ხელვაჩაურის რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ხელვაჩაურის რაიონის საპატიო მოქალაქის წოდება;

- 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადმომეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს ადრესი, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოლოცვები, აჭარის პედაგოგთა კავშირის სიგელი, აჭარის მამულიშვილთა კავშირის ადრესი, საქართველოსა და აჭარის ჭიდაობის ფედერაციების დიპლომი;

- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაეცა საპატიო სიგელი: „წარმატებული სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის“.

8. სამეცნიერო თემატური გეგმით გათვალისწინებული კვლევები:

მეციტრუსეობა არის პრიორიტეტული მიმართულება სუბტროპიკულ მემცენარეობაში, სადაც იგი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქვეყნის ეკონომიკაში. აგროეკოლოგიურ ფაქტორთა გათვალისწინებით და აგროტექნიკური ღონისძიებების სწორად განხორციელებით, ჰექტარზე შესაძლებელია 35-40 ტონა ნაყოფის მიღება. ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებული, უხემოსავლიანი, ადრემწიფადი ჯიშების წარმოებაში დანერგვას.



პრობლემის გადასაჭრელად აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ა(ა)იპ აჭარის აგროსერვისცენტრის სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების სამსახურის ციტრუსონთა სანერგე მეურნეობაში, იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის სხვადასხვა ჯიშებზე, ძირითადი ფენოლოგიური დაკვირვებები მიმდინარეობდა ჩაქეში, იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის 11 ჯიშზე: ნიჩინანი, იურა-ვასე, ტაგუში ვასე, მიაგავა ვასე, კავადა, ნანკანი-20, ოპოცუ ვასე, უენო ვასე, აუშიმა, ოკიცუ ვასე, მუკაიამა.

ექსპერიმენტი ტარდებოდა 25-35 გრადუს დახრილობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე, სადაც მცენარეები დარგულია 4X2,5 მეტრის კვების არით, ზღვის დონიდან 35-40 მეტრის სიმაღლეზე. საცდელი მცენარეების ქვეშ ნიადაგი წითელმიწაა, თითოეულ ვარიანტში აღებული იყო ათ-ათი მცენარე, ხოლო ცდები და დაკვირვებები აწარმოეს 110 მცენარეზე. დაკვირვებები მიმდინარეობდა რ. ჯაბნიძის მიერ შედგენილი სქემისა და მეთოდის მიხედვით. ყველა საცდელი მცენარე დაინომრა, გაუკეთდა ეტიკეტირება, მიღებული მონაცემები შექონდათ სპეციალურ ჟურნალში, სადაც აღირიცხება თითოეული მცენარის ყველა ის მონაცემი, რაც ფენოლოგიური დაკვირვებებით არის გათვალისწინებული.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში: პირველად იქნება შესწავლილი ინტროდუცირებული მანდარინის თერთმეტი ჯიშის აგროეკოლოგიური და აგროტექნოლოგიური თავისებურებები, მათი პროდუქტიულობისა და რეგენერაციული უნარის ამალგების მიზნით, ასევე სამეურნეო ნიშან-თვისებები, რომელსაც მიეცემა რეკომენდაცია, როგორც საუკეთესო ჯიშებს, ფერმერულ მეურნეობებში დასანერგად.

კვლევის სიახლეა ისიც, რომ ინტენსიური ტექნოლოგიების კომპლექსში ჩართულია საორგანიზაციო-სამეურნეო ღონისძიებები და ეკონომიკური საკითხები, რომელიც მიმართულია დარგის ორგანიზაციისა და მართვის ძირეული გაუმჯობესებისაკენ;

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: მანდარინის ადრემწიფადი ჯიშების გაშენებით უახლოეს მომავალში ინტენსიურად გაიზრდება მათი ფართობები და შესაბამისად მოსავლიანობაც.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, აგრონომიის სპეციალობის სტუდენტები სავსე პირობებში სისტემატიურად ეცნობოდნენ ფენოლოგიური დაკვირვებების მიმდინარეობას. ხდებოდა ფოტოგრაფირება როგორც მსხმოიარე მცენარეების, ასევე ნაყოფებისა კრეფის მიმდინარეობის დროს. მცენარის სხვადასხვა ექსპოზიციიდან აღებული ნაყოფების ბიოქიმიური შედგენილობის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა ხდებოდა უნივერსიტეტში.

თითოეულ ჯიშზე იკვლევდნენ: - კვირტების გაღვიძებას, ვეგეტაციის დასაწყისსა და დასასრულს, მასიურ ყვავილობას, გამონასკვას, ნაყოფების მომწიფების დასაწყისს და ნაყოფების მასიურ მომწიფებას, მსხმოიარობას (ცალობა, კგ-მი), ერთი ნაყოფის საშუალო წონას (გრ-მი), ნაყოფის შეფერილობას, კანის რბილობიდან მოცილების ხასიათს, რბილობში წილაკოვანთა რაოდენობას, შეფოთვლას და სხვა (ცხრილი 1).

ასევე შეისწავლეს მანდარინის ჯიშებზე ბიომეტრიული მაჩვენებლები 2014-2015 წლებში, სადაც ისწავლებოდა მცენარის სიმაღლე სმ-ში, საძირისა და სანამყენის დიამეტრი მმ-ში (ცხრილი 2).

მანდარინის სხვადასხვა ჯიშებზე ძირითადი ფენოლოგიური  
დაკვირვების მონაცემები (2014-2015 წწ.)

ცხრილი 1

N	ჯ ი შ ი	მე-2 ზრდის დასასრული		ნაყოფების მომწიფების დასაწყისი		ნაყოფების მასიური მომწიფება		მსხმოიარობა				ერთი ნაყოფის საშ. წონა (გრ)		რბილობაში წილაკ. რაოდენობა (ცალით)	
								ცალიობა		კვ-ში					
								2014	2015	2014	2015				
1	2	3		4		5		6		7		8		9	
		2014	2015	2014	2015	2014	2015	2014	2015	2014	2015	2014	2015	2014	2015
1	ხიჩინანი	აგვი II დევ	აგვი III დევ	სექტ I დევ	სექტ III დეკა	სექტ III დევ	ოქტ II დეკა	329	369	19,6	20,5	57,7	58,2	11	11
2	იურავასე	აგვი I დეკა	აგვი II დევ	სექტ I დევ	სექტ III დეკა	სექტ III დევ	ოქტ II დეკა	452	503	19,9	21,4	44,3	43,4	11	11
3	ტაგუჩივასე	აგვი I დეკა	სექტ I დეკა	სექტ II დევ	ოქტ II დეკა	ოქტ I დევ	ოქტ III დევ	320	390	26,7	31,4	82,5	87,4	10	10
4	მიაგავევასე	აგვი II დევ	სექტ II დეკა	ოქტ I დეკა	ოქტ III დეკა	ოქტ III დევ	ოქტ III დევ	465	521	26,8	29,1	55,9	61,1	12	12
5	კავადა	აგვი II დევ	აგვი III დევ	სექტ III დეკა	ოქტ II დეკა	ოქტ II დევ	ოქტ II დევ	249	262	20,3	28,4	80,2	85,3	11	11
6	ნან კანი-20	აგვი I დევ	აგვი III დევ	სექტ III დეკა	ოქტ III დეკა	ოქტ II დევ	ოქტ III დევ	246	264	18,7	22,5	73,1	76,2	10	10

7	ოპოცელვასე	აგვი III დევ	აგვი III დევ	ოქტ II დეკა	ოქტ III დეკა	ნოემ I დევ	ნოემ III დეკა	226	261	18,5	21,7	78,1	79,5	11	11
8	უენოვასე	აგვი II დევ	აგვი III დევ	სექტ II დეკა	ოქტ I დეკა	ოქტ I დევ	ოქტ II დეკა	355	376	21,3	27,5	59,2	66,5	10	10
9	აომიმა	აგვი III დევ	აგვი III დევ	ოქტ I დეკა	ოქტ III დეკა	ნოემ I დევ	ნოემ III დეკა	56	61	5,4	7,1	90,1	92,2	10	10
10	ოკიცელვასე	აგვი I დეკა	აგვი III დევ	სექტ III დეკა	ოქტ I დეკა	ოქტ I დევ	ოქტ II დეკა	334	352	21,2	29,3	62,8	67,7	12	12
11	მუკაიამა	აგვი II დევ	აგვი III დევ	სექტ III დეკა	ოქტ II დეკა	ოქტ II დევ	ოქტ III დევ	287	301	17,8	26,5	62,1	74,1	13	13

**მანდარინის სხვადასხვა ჯიშებზე ძირითადი ფენოლოგიური  
დაკვირვების მონაცემები (2015 წ.)**

**ცხრილი 1 (გაგრძელება)**

	ჯიში	კვირტების გალვობა	პირველი ვებეტაცია	მასიური ყვავილობა	გამონასკვა	მეორე ვებეტაციის დასაწყისი
1	ნიჩინანი	მარტის I დეკადა	აპრილის II დეკადა	აპრილის II დეკადა	მაისის III დეკადა	აგვისტოს II დეკადა
2	იურა- ვასე	მარტის I დეკადა	აპრილის II დეკადა	აპრილის II დეკადა	მაისის II დეკადა	აგვისტოს II დეკადა
3	ტაგუჩი- ვასე	მარტის I დეკადა	აპრილის III დეკადა	მაისის III დეკადა	ივნისის III დეკადა	აგვისტოს II დეკადა
4	მიაგავე- ვსე	მარტის II დეკადა	აპრილის III დეკადა	აპრილის III დეკადა	ივნისის I დეკადა	აგვისტოს II დეკადა
5	კავადა	მარტის III დეკადა	აპრილის III დეკადა	მაისის II დეკადა	ივნისის II დეკადა	აგვისტოს III დეკადა

6	ნან კანი-20	მარტის III დეკადა	აპრილის III დეკადა	მაისის II დეკადა	ივნისის II დეკადა	აგვისტოს III დეკადა
7	ოპოცუ ვასე	აპრილის I დეკადა	მაისის I დეკადა	მაისის III დეკადა	ივნისის III დეკადა	აგვისტოს III დეკადა
8	უენო ვასე	მარტის II დეკადა	აპრილის II დეკადა	აპრილის III დეკადა	ივნისის I დეკადა	აგვისტოს II დეკადა
9	აოშიმა	აპრილის I დეკადა	მაისის I დეკადა	მაისის III დეკადა	ივნისის III დეკადა	აგვისტოს III დეკადა
10	ოკიცუ-ვასე	მარტის III დეკადა	აპრილის III დეკადა	აპრილის III დეკადა	ივნისის II დეკადა	აგვისტოს II დეკადა
11	მუკაიამა	მარტის III დეკადა	აპრილის III დეკადა	ივნისის I დეკადა	ივნისის II დეკადა	აგვისტოს II დეკადა

**იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის ახალი ჯიშებით გაშენებულ ნაკვეთზე აგროქიმიური მაჩვენებლები ( 20.10.2014)**

**ცხრილი 3**

ნიმუშის №	ნიუშის აღების ადგილი	სიღრე 1-ობით	Ph kcl	კირის დოზა ტ.	საერთო ჰუმუსი %	საერთო აზოტი %	მომრავი საკვები გ/100 გ-ში	
							P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	K <sub>2</sub> O
1	ნიჩინანი 1	0-40	5,0	20	6,1 საშ.	0,3 ღარიბ.	5,0 ძლი. მცირე	7,6 საშ.
2	იურა-ვასე	0-40	4,6	26	6,8 საშ	0,28 ღარიბ.	6,0 ძლი. მცირე	7,2 საშ.
3	კავადა	0-40	4,7	23	7,8 საშ.	0,40 ღარიბ.	11,0 მცირე	4,7 დაბა.
4	მუკოიამა	0-40	5,0	20	6,1 საშ.	0,31 ღარიბ.	23,5 საშ.	7,6 საშ.
5	ნანკან 20	0-40	4,7	25	4,9 მცირ.	0,24 ღარიბ.	5,0 ძლი. მცირე	7,6 საშ.
6	ოპოცუ	0-40	5,2	16	5,4 მცირ.	0,27 ღარიბ.	11,0 მცირე	7,6 საშ.
7	ტაგუჩი ვასე	0-40	5,2	16	6,1 საშ.	0,30 ღარიბ.	7,5 მცირე	9,0 საშ.
8	უენო ვასე	0-40	4,4	25	3,3 მცირ.	0,16 ღარიბ.	35,0 მაღალი	9,5 საშ.
9	ოკიცუ ვასე	0-40	4,6	23	6,7 საშ.	0,33 ღარიბ.	2,5 ძლი. მცირე	9,5 საშ.
10	მიაგავა ვასე	0-40	4,7	23	6,3 საშ.	0,31 ღარიბ.	18,5 საშ.	9,0 საშ.
11	აოშიმა	0-40	4,6	23	5,7 საშ.	0,28 ღარიბ.	5,0 ძლი. მცირე	10,0 საშ.

**შენიშვნა:** კალიუმი გაკეთებულია პეივეს; ჰუმუსი-ტიურინის; აზოტი-კელდალის მეთოდებით



სტუდენტებთან და იაპონელ მეციტრუსებთან შეხვედრა (2015 წელი)



**5.1.2.13. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე**



კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი მიზანია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე არსებული და მოსალოდნელი ეკოლოგიური სიტუაციების შესახებ მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის მოპოვების, მისი ობიექტური შეფასებისა და საშიში ეკოლოგიური სიტუაციების შერბილების და მათი თავიდან აცილების სისტემის შემუშავება. ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის, როგორც ერთიანი სისტემის შემუშავება და რეალიზაცია აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს შემდეგი ქვესისტემების შემუშავებასა და რეალიზაციას:

**I ეტაპზე:**

- არსებული და მოსალოდნელი აგროეკოლოგიური სიტუაციების შესახებ ინფორმაციის შეკრების, დამუშავებისა და ანალიზის ქვესისტემა, ანუ კომპლექსური აგროეკოლოგიური მონიტორინგის სახელმწიფო სამსახური, ეკოლოგიურ მონაცემთა ბანკის შექმნით;

**II ეტაპზე:**

- არსებული და მოსალოდნელი ეკოლოგიური სიტუაციების მიმართ ქვეყნის მიწის რესურსების, სოფლის მეურნეობისა და სასოფლო დასახლებების მგრობობიარობის და მოწყვლადობის შეფასება;

- არსებული და მოსალოდნელი ეკოლოგიური სიტუაციების მიმართ ქვეყნის სოფლის მეურნეობის ადაპტაციის შესაძლებლობათა შეფასება;

### III ეტაპზე:

- კლიმატის და მოსალოდნელი ცვლილების ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე და აგროსამრეწველო კომპლექსზე ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილებისა და შერბილების სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების შემუშავება.

ჩამოთვლილი ქვესისტემების რეალიზაციის სირთულე განპირობებულია შემდეგი ძირითადი გარემოებებით:

- ყოველი ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილი მიმდინარე და მოსალოდნელი ეკოლოგიური სიტუაციები განპირობებულია გლობალური, რეგიონალური ნაციონალური მასშტაბების მოვლენებითა და პროცესებით, როგორებიცაა ატმოსფეროში ჩ 2-ის კონცენტრაციის განუხრელი ზრდა და კლიმატის ცვლილება, მუავე წვიმები, სტიქიურ მოვლენათა გახშირება - გამწვავება (გვალვები, წყალდიდობები, ქარიშხლები და ა. შ.) რეგიონალურ და ლოკალურ (ნაციონალურ) დონეებზე ამას ემატება ტყეების გაჩეხვის შედეგად ეროზიული მოვლენების გაძლიერება, რადიონუკლიდებით, ქიმიური სასუქებით, პესტიციდებითა და მძიმე მეტალებით ატმოსფეროსა და წყლების (ნიადაგების) დაბინძურება.

ჩვენი აზრით, ეკოლოგიური უსაფრთხოების ეროვნული კონცეფციის ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ძირითადი შემადგენელი ნაწილის (ქვესისტემის) და შემმუშავებული (მოთავე) ორგანიზაციები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. ეკოლოგიური ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის ქვესისტემა ანუ კომპლექსური აგროეკოლოგიური მონიტორინგის სამსახური; კომპლექსური ეკოლოგიური მონიტორინგი ეწოდება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მიმდინარე ბუნებრივი და ანთროპოგენური ხასიათის ცვლილებების შესწავლის და შეფასების ღონისძიებათა სისტემას.

აგროეკოლოგიური მონიტორინგის შემდეგ ასპექტებს არჩევენ:

➤ მიზნობრივი ასპექტი:

ბუნებრივი რესურსების მონიტორინგი.

➤ სივრცობრივი (ტერიტორიული) ასპექტი:

გლობალური მონიტორინგი.

რეგიონალური მონიტორინგი.

➤ დროებითი ასპექტი:

ოპერატიული მონიტორინგი (გარემოს მდგომარეობის შეფასება დროის მოკლე მონაკვეთებში დღე-ღამე, კვირა, თვე, სეზონი და წელიწადი);

რეჟიმული მონიტორინგი - (გარემოს მდგომარეობის შეფასება ხანგრძლივი პერიოდისათვის - ხუთწლედ, ათწლედ და ა. შ.)

➤ კომპონენტური ასპექტი:

მუავე წვიმების მონიტორინგი:

ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგი.

კომპლექსური აგროეკოლოგიური მონიტორინგის კონცეფცია აგროეკოსისტემებს განიხილავს, როგორც მრავალკომპონენტულ სისტემებს, რომლებშიც ერთდროულად მიმდინარეობენ ბუნებრივი და ანთროპოგენური წარმოშობის პროცესები.

კომპლექსური აგროეკოლოგიური მონიტორინგი შეიცავს შემდეგ აუცილებელ ღონისძიებათა ერთობლიობას:

- დაკვირვება (ვიზუალური და ინსტრუმენტული, კონტაქტური და დისტანციური);
- დაკვირვებათა მასალების შეკრება დამუშავება;
- დაკვირვებათა მასალების რაოდენობრივი ანალიზი;
- აგროეკოსისტემების მდგომარეობის შეფასება;
- აგროეკოსისტემებში მოსალოდნელი ცვლილებების ეკოლოგიური შეფასება.

კომპლექსური აგროეკოლოგიური მონიტორინგის კონცეფცია ითვალისწინებს აგრეთვე შემდეგი საკითხების შესწავლას:

საველე და ლაბორატორიული ცდებით კვლევის ობიექტზე „დოზა - საპასუხო რეაქცია“-ის დადგენა;

აგროეკოსისტემების მოდელირება;

კომპლექსური აგროეკოლოგიური მონიტორინგის დასკვნით ეტაპს წარმოადგენს აგროეკოლოგიურ მონაცემთა ბანკის შექმნა. აგროეკოლოგიურ მონაცემთა ბანკი შეიცავს ქვეყნისა და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ეკოლოგიური სიტუაციების ამსახველ ინფორმაციას, დამუშავებულსა და გადატანილს ტექნიკურ მატარებლებზე (დისკეტებზე სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკში არსებული ინფორმაცია უნდა ექვემდებარებოდეს ავტომატიზირებულ გაცემას, გამრავლებას და შემდგომ ანალიზს სათანადო პროგრამების პაკეტების საშუალებით).

**ეკოლოგიური სიტუაციების მიმართ მიწის რესურსებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მგრძობიარობის შეფასება.**

ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილი და მოსალოდნელი სიტუაციების მიმართ ქვეყნის მიწის რესურსების -ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, მცენარეული და ცხოველური რესურსების, აგრეთვე ჩამოთვლილი რესურსების გამოყენებაზე დამოკიდებული ეკონომიკის დარგების მგრძობიარობის შეფასება, ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის აუცილებელი ნაწილია. ასეთი ხასიათის შეფასება უნდა განახორციელონ დარგობრივი სამინისტროების სისტემებში შემავალმა სამეცნიერო-კვლევითმა და საპროექტო ინსტიტუტებმა.

კლიმატის ცვლილებების მიმართ აგროსამრეწველო კომპლექსის ცალკეული დარგების მგრძობიარობა უნდა შეფასდეს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

კლიმატის ცვლილების გავლენა ატმოსფერული ჰაერის, სასმელი და ტექნიკური წყლის ხარისხზე და ნიადაგის ნაყოფიერებაზე;

გარემოს დაბინძურების გავლენა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხზე და წარმოების მოცულობაზე, საბაზრო ურთიერთობაზე;

ატმოსფეროში სათბურის გაზების (ნახშირჟანგი, მეთანი, აზოტის ქვეჟანგი და სხვ.) ემისიით განპირობებული კლიმატის ცვლილებების გავლენა სოფლის მეურნეობაზე, წყლის რესურსებზე, მცენარეულ და ცხოველურ ბიომრავალფეროვნებაზე;

ეკოლოგიური ცვლილებების გავლენა სასურსათო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოცულობაზე და პროდუქციის თვითღირებულებაზე, სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

აღნიშნული საკითხების შესწავლა-შეფასება მოითხოვს სისტემური კვლევების განხორციელებას პირველ ეტაპზე ცალკეულ (დარგობრივ) სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ხოლო მიღებული შედეგები თავმოყრილ უნდა იქნას მოთავე სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში (ან დროებით მეცნიერულ კოლექტივში), სადაც ჩატარდება შემაჯამებელი ანალიზი და სათანადო შეფასებები.

**შექმნილი და მოსალოდნელი ეკოლოგიური სიტუაციების მიმართ აგროსამრეწველო კომპლექსის ადაპტაციის შესაძლებლობათა შეფასება.**

ცნობილია ბიოსფეროს მთლიანად და მის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებს ეკოსისტემების ევოლუციის პროცესში გამოუმუშავდათ შეცვლილი გარემო პირობებისადმი ადაპტაციის გარკვეული შესაძლებლობები (სპონტანური ადაპტაცია).

გარდა ამისა, ადამიანის ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების პასუხად (ანთროპოგენური ზემოქმედება) ბიოსფერო ამჟღავნებს (გარკვეულ ფარგლებში) შეცვლილი პირობების მიმართ ადაპტაციის უნარს. მაგალითად, დღეისათვის ბიოსფეროში მიმოქცევა 90 მლნ ტონა აზოტი. აქედან ბუნებრივი წარმოებისაა 60 მლნ ტონა, ხოლო დანარჩენი მლნ ტონა ანთროპოგენური წარმოებისაა - ქიმიური სინთეზის შედეგად არის მიღებული. მეცნიერთა შეფასებით, ბიოსფეროს შეუძლია 30 მლნ ტონიდან „შეითვისოს“ დაახლოებით 10 მლნ ტონა, დანარჩენი 20 მლნ ტონა „ზედმეტი“ აზოტი აბინძურებს ჩვენს პლანეტას და იწვევს მასში ნეგატიურ ეკოლოგიურ ცვლილებებს. ამგვარად ადაპტაციის შესაძლებლობები შეცვლილი გარემო პირობებისადმი (იძულებითი ადაპტაცია) გააჩნია მეტნაკლებად ყველა ეკოსისტემას. აუცილებელია ყველი მათგანის ადაპტაციის უნარის დადგენა ამა თუ იმ ეკოლოგიურ სიტუაციის მიმართ. იგივე შეიძლება ითქვას ცალკეულ ცხოველურ და მცენარეულ ორგანიზმებზე.

ზემოთ ჩამოთვლილ სამეცნიერო დაწესებულებათა ამოცანა მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკის თითოეული დარგისა და ბუნებრივი ეკოსისტემების შეცვლილი პირობებისადმი ადაპტაციის უნარის შესწავლა - შეფასება, ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალის შენარჩუნების მიზნით.

**შექმნილი და მოსალოდნელი ეკოლოგიური სიტუაციებისაგან აგროსამრეწველო კომპლექსის მოწყვლადობის შეფასება.**

მოწყვლადობა („ვულნერაბილიტე“) წარმოადგენს ეკოლოგიური მოვლენებისა და პროცესების ისეთ შეთანაწყობას, რომელთაც შედეგად მოყვება ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილზე შეუქცევადი ხასიათის ეკონომიკური და სოციალური პროცესები და მოვლენები. მაგალითად, კლიმატის ცვლილება და მისგან განპირობებული კატასტროფული გვაღვეები, წყალდიდობები, დიდთოვლიანობა, ზღვის დონის აწევა და ა.შ.

მოწყვლადობას განაპირობებს შეცვლილი ეკოლოგიური პირობების მიმართ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და ეკონომიკის მგრძობიარობისა და ადაპტაციის უნარის ურთიერთ შეფარდება. ე.ი. რაც უფრო მგრძობიარეა სისტემა და დაბალია მისი ადაპტაციის უნარი, მით უფრო მაღალია მოწყვლადობის ხარისხი და მძიმეა მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები. რაოდენობრივად მოწყვლადობის ფორმულა შემდგენაირად გამოისახება:

$$V=S/A$$



სადაც: V - არის მოწყვლადობის ხარისხი;

S - მგრძობიარობა;

A - ადაპტაციის უნარი.

აგროსამრეწველო სექტორის მოწყვლადობის ხარისხის დადგენა - შეფასება დაკავშირებულია წინა ორი მახასიეთებლის (მგრძობიარობა, ადაპტაცია) შეფასებასთან და იგი უნდა შეასრულონ სათანადო პროფილის სამეცნიერო კვლევითმა დაწესებულებებმა. ჩატარებული შეფასებების საფუძველზე უნდა გამოიყოს ყველაზე უფრო მოწყვლადი ტერიტორიები და დარგები. შედეგს სათანადო სქემები, რუკები და ა. შ. რითაც საფუძველი მომზადდება მოსალოდნელი ეკოლოგიური სიტუაციებით განპირობებული მატერიალური ზარალისა და ადამიანთა მსხვერპლის თავიდან აცილების ღონისძიებათა შესასრულებლად.

**მოსალოდნელი არახელსაყრელი კლიმატური, მათ შორის სტიქიური მოვლენები და თავიდან აცილების სტრატეგია.**

შექმნილი და მოსალოდნელი ეკოლოგიური სიტუაციები და ქვეყნის ეკონომიკაზე მათი ზემოქმედება ძალზე მრავალფეროვანი ხასიათისა არიან. ისინი ძირითადად გამოიხატებიან კლიმატის ცვლილებაში, რაც თავის მხრივ განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალურ სფეროზე მეტად მძაფრ, ზოგჯერ კატასტროფული ხასიათის ნეგატიურ ზეგავლენას.

მოსალოდნელი არახელსაყრელი ეკოლოგიური სიტუაციებისა და კატასტროფების შერბილებისა და თავიდან აცილების სტრატეგია ითვალისწინებს:

იურიდიულ-საკანონმდებლო;

ნორმატიულ-საზედამხედველო;

სამეცნიერო-ტექნიკური;

საპროექტო-ტექნოლოგიურ ღონისძიებების დამუშავებასა და რეალიზაციას.

სადღეისოდ ჯერ არა გვაქვს ბუნებრივ გარემოზე და ცალკეულ ეკოსისტემებზე ზღვრულად დასაშვები ეკოლოგიური დატვირთვების ნორმატივები.

შერბილებისა და თავიდან აცილების სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს:

ატმოსფეროში და ჰიდროსფეროში CO<sub>2</sub>-ის, მეთანის, აზოტისა და გოგირდის ჟანგეულების, აგრეთვე სხვა დამაბინძურებელი რეაგენტების ემისიის შემცირებას;

CO<sub>2</sub>-ისა და სხვა აირების შთანთქმის წყაროების გაძლიერებას (მწვანე ნარგაობა და სხვ.);

ეროზიული მოვლენებისა და პროცესების შესუსტება -შეჩერებას;

ენერგეტიკის ალტერნატიული დარგების - მზის, ქარის, ბიომასის, თერმული წყლების ენერჯის გამოყენებას;

სასმელი და სარწყავი წყლის რესურსების დაცვას;

სოფლის მეურნეობაში ბიორგანული მეთოდების დანერგვას;

საშიში და განსაკუთრებით საშიში ბუნებრივი მოვლენების (გვალვები, ყინვები, წყალმოვარდნები, დიდთოვლობა, დამაბინძურებელ ნივთიერებები) შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად შეკრებას და გავრცელებას;

მოსახლეობის ფართო მასებში ეკოლოგიური ცოდნის გავრცელებას;

აღნიშნული კონცეფციის რეალიზაციისთვის აუცილებელია შემუშავებულ იქნას შესაბამისი პროგრამა და ხარჯთაღრიცხვა. ასეთი პროგრამა უნდა დამტკიცდეს

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი დადგენილებით, ხოლო საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს იგი დაფინანსებით.

წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ თურმანიძის მიერ შედგენილი ზამთრის ყინვების სეზონური პროგნოზი.

### **2015-2016 ზამთრის ყინვების პროგნოზი**

ზამთრის ყინვების გრძელვადიან (სეზონურ) პროგნოზს საფუძვლად უდევს თამაზ თურმანიძის მიერ დადგენილი კორელაციური კავშირები შემოდგომისა (ოქტომბერ-ნოემბერი) და ზამთრის მინიმალურ ტემპერატურებს შორის. წარმოდგენილი მეთოდი საშუალებას იძლევა შემოდგომის ჰაერის ტემპერატურაზე დაყრდნობით გამოვთვალოთ ზამთრის ყინვების მოსალოდნელი სიდიდეები.

2015 წლის ოქტომბრის თვის ყველაზე დაბალმა ტემპერატურამ (აბსოლიტური მინიმუმი) შეადგინა ქვეყნის რაიონების მიხედვით: შიდა ქართლში (გორი, ხაშური)-0-2 გრადუსი; ალაზნის ველზე -2-4 ; ქვემო ქართლში -3-4 გრადუსი;

ჰაერის დღეღამური საშუალო ტემპერატურის 5<sup>0</sup> ქვემოთ გადასვლას ადგილი ქონდა: ახალქალაქსა და წალკაში- ოქტომბრის ბოლოს; მესხეთში და შიდა ქართლში -5-10 ნოემბერს; საგარეჯოში -25-30 ნოემბერს და ა.შ.

მოყვანილ თარიღების თამაზ თურმანიძის მიერ შედგენილ შესაბამის განტოლებებში ჩასმით და სათანადო გათვლების ჩატარებით, მივიღებთ 2015-2016 წლის ზამთრის მოსალოდნელი დაბალი ტემპერატურის სიდიდეებს:

იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმისათვის -15-17<sup>0</sup> ;

ალაზნის ველისათვის -15-18<sup>0</sup> ;

ქვემო ქართლისათვის -15-16<sup>0</sup> ;

შიდა ქართლისათვის -20-23<sup>0</sup> ;

მესხეთ-ჯავახეთისათვის - 25-28<sup>0</sup> ;

მთიანი აჭარარისათვის -12-14<sup>0</sup>.

ასეთ დონემდე ჰაერის ტემპერატურის დაცემა მოყინვის საფართოეს უქმნის სითბოსმოყვარულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, მათ შორის ციტრუსებს, ვაზსა და ხეხილის ბაღებს, საშემოდგომო ნათესებს.

აუცილებელია ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მოამზადონ ყინვისაგან დაცვის მათ ხელში არსებული ღონისძიებები და საშუალებები.



#### 5.1.2.14. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი



საანგარიშო წლის განმავლობაში ო. ლიპარტელიანის მონაწილეობით და ხელმძღვანელობით სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წილკნის ბაზაზე მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები თემაზე „სიმინდის სელექცია და პირველადი მეთესლეობა საქართველოში“, დაწყება 1986 წელი, დამთავრება 2015 წელი (გარდამავალი).

თემის მიხედვით კვლევა წარმოებდა სამ პროექტში: 1. „საქართველოს ურწყავი შემადღებული და მთის ზონისათვის სიმინდის საადრეო და საშუალო საადრეო, სავეგეტაციო პერიოდი 90-105 დღე ჰიბრიდებისა და ჯიშების გამოყვანა და დანერგვა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 7-10 ტონა

ჰექტარზე“;

პროექტის შემსრულებელი ო.ლიპარტელიანი ფ. ბეგოიძე, 2. საქართველოს სარწყავი და ტენით უზრუნველყოფილი ზონისათვის სიმინდის საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმების, სავეგეტაციო პერიოდი 120-135 დღე, ჰიბრიდებისა და ჯიშების გამოყვანა და დანერგვა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 12-15 ტონა ჰექტარზე“; პროექტის შემსრულებელი ო.ლიპარტელიანი, გიორგი ჭონქაძე. 3. „სიმინდის დარაიონებული ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესება ინცუხტის გამოყენებით“. პროექტის შემსრულებელია ო.ლიპარტელიანი, მანანა ირიაული.

თემის მიზანია გამოვიყვანოთ და დანერგოთ წარმოებაში სიმინდის უხვმოსავლიანი საადრეო და საგვიანო სამარცვლე სასურსათო და საკვები მიმართულების, ხარისხიანი პროდუქციის მომცემი ჩაწოლისა და დაავადება-მავნებლების მიმართ გამძლე, ინტენსიური ტექნოლოგიით მოყვანისადმი ხელსაყრელი ჰიბრიდები და ჯიშები. თემის მიზანია აგრეთვე ადგილობრივი დანერგილი სიმინდის ჯიშების გაუმჯობესება და მშობლიური ხაზების და ჯიშების პირველადი მეთესლეობა.

თემის მიხედვით წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოყვანილი და დანერგილია წარმოებაში სიმინდის 9 ჰიბრიდი და ერთი ჯიში, რომლებიც სტანდარტთან შედარებით 0,7-1,2 ტონით მეტ მოსავალს იძლევიან ჰექტარზე მარცვალში. აქედან სამი ჰიბრიდი და ერთი ჯიში დანერგილია უცხოეთშიც. ჰიბრიდმა ენგურმა უზბეკეთში 24 ტონა მოსავალი უჩვენა საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში. 2012 წელს დაპატენტებულ იქნა სიმინდის ორი მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი წილკანი 1 და წილკანი 2, ერთი სინთეტიკური ჰიბრიდი ბექა, რომლებიც სტანდარტულ ფორმებთან შედარებით 1-1,8 ტონით მეტ მოსავალს იძლევიან საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში.

2013 წელს საქ. პატენტს გადაეცა კიდევ ორი მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი კახურა და საბა. კახურა არის თეთრმარცვლიანი. სტანდარტთან შედარებით დასახელებული ჰიბრიდები სამი წლის საშუალო მონაცემებით 1,0-1,9 ტონით მეტ მოსავალს იძლევიან ჰექტარზე მარცვალში. ეს 2 ჰიბრიდი და წილკანი 1 – არის უნივერსალური მიმართულების, როგორც სამარცვლე ასევე სასურსათო და ისინი რეკომენდირებულია აღმოსავლეთ საქართველოს, როგორც სარწყავი, ასევე დასავლეთ საქართველოს დაბლობი ტენით უზრუნველყოფილი რაიონებისათვის.

2015 წელს დაპატენტებულ იქნა სიმინდის ახალი მაღალლიზინიანი ჯიში "ქართული კრუგი", რომელიც რეკომენდირებულია აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი რაიონებისათვის, როგორც საფურაუე, ასევე სასურსათოდ.

**კვლევის აგროტექნიკა.** სიმინდის სელექციური ცდები დაითესა ნახორბლარზე, ნიადაგის მზრადად დამუშავება ჩატარდა 2014 წლის ნოემბერში. თესვისწინა კულტივაცია მოეწყო 25 აპრილს. თესვა დავიწყეთ 27 აპრილს და დავამთავრეთ 30 აპრილს. საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმები დაითესა სისშირით 52000 მცენარე ჰექტარზე, ხოლო საადრეოები 62000 მცენარე ჰექტარზე. თესვა ჩატარდა ხელით პუნქტირებული წესით, ბუნდაში ჩაითესა 2 მარცვალი და აღმოცენების შემდეგ დატოვებული იქნა თითო მცენარე. ნათესების პირველი თოხნა ჩატარდა 3-4 ფოთლის ფაზაში 21-25 მაისს. ხოლო მეორე თოხნა კი 24-27 ივნისს. პირველი მორწყვა მოეწყო 2-5 ივლისს, წვეთოვანი სისტემით მცენარეთა ყვავილობის წინ, ხოლო მეორე მორწყვა 19-20 ივლისს მცენარეთა ყვავილობის დამთავრების შემდეგ.

**ცდის ტექნიკა და მეთოდისა.** საკონკურსო გამოცდები მოეწყო 10 კვ.მ. დანაყოფზე ოთხ განმეორებაში, წინასწარი და საკონტროლო გამოცდები ორ განმეორებაში, დანარჩენი სანერგეები საკოლექციო და თვითდამტვერილი ხაზების დაითესა 2-2 მწკრივში განმეორების გარეშე. თესვა ჩატარდა საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმების 70X30 სმ, ხოლო საადრეობის და საშუალო საადრეობის 70X27 სმ.

**კვლევის მეთოდისა.** კვლევით პროცესში გამოვიყენეთ სელექციის ძირითადი მეთოდები: გამორჩევა ჰიბრიდიზაცია, ინცუხტი და სიბსური სელექცია. ჰიბრიდების მისაღებად წყვილთა შერჩევა და ინცუხტი ვაწარმოეთ ფიზიოლოგიური და ანალიზური მეთოდით, ხოლო ჰიბრიდების მიღება მარტივი ხაზთაშორისი, ჯიშხაზური და სამხაზოვანი დაწვილებით. მშობლიური ფორმების გამორჩევას ვაწარმოებდით სასურველი ხარისხობრივი და რიცხობრივი ნიშანთვისებების მცენარეთა თვითდამტვერვით და სიბსური გამრავლებით.

**საწყისი მასალა.** სელექციის საწყის მასალად გამოყენებულია სიმინდის ადგილობრივი ჯიშები, მათგან მიღებული სხვადასხვა თაობის ხაზები და უცხოური ფორმები მსოფლიო კოლექციიდან: ამერიკა, არგენტინა, მექსიკა, საფრანგეთი, იუგოსლავია, იტალია, უკრაინა და რუსეთი. გამოცდის შედეგები შევაფასეთ ტარო მარცვლის ბოტანიკური მაჩვენებლების, ხოლო სამეურნეო მონაცემები ხმელი მარცვლის წონით დანაყოფზე. მოსავლის აღება, აღრიცხვა და დამუშავება ჩატარდა ჯიშთა გამოცდის მეთოდის მიხედვით.

**კლიმატური პირობები.** აპრილისა და მაისის მეორე ნახევარი ხასიათდებოდა წვიმიანი ამინდებით, ასევე ნალექიანი იყო ივლისის პირველი ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი და აგვისტოს პირველი ნახევარი იყო უნალექო გვაღვიანი. იმის გამო, რომ ჩვენ გვქონდა კარგად გამართული სარწყავი სისტემა – წვეთოვანი მორწყვა, ამინდებს ჩვენთვის ხელი არ შეუშლია.

თემის მიხედვით 2015 წელს კვლევა მიმდინარეობდა პროექტების შესაბამისად შემდეგ ცდებში.

**პირველი პროექტის მიხედვით მოწყობილი ცდები**

**ცხრილი 1**

#	ცდის დასახელება	ნომრების რიცხვი	ცდის ფართობი, მ <sup>2</sup>
1	საკოლექციო სანერგე	91	273
2	თვითდამტვერილი ხაზების სანერგე	230	690
3	საკონტროლო ჯიშთა გამოცდა	12	72
4	წინასწარი ჯიშთა გამოცდა	14	140
5	საკონკურსო ჯიშთა გამოცდა	14	140
6	საჰიბრიდიზაციო სანერგე	2	400
	<b>ჯამი</b>	<b>377</b>	<b>1775</b>

შესაბამისად პირველი პროექტისა ისწავლებოდა 377 ნომერი 1745 კვ.მ. ფართობზე.

ცხრილ 2-ში მოტანილია პირველი პროექტის მიხედვით საკონკურსო გამოცდის შედეგები.

ცხრილი 2

№	გამოცდილი ნომრების დასახელება	ხმელი მარცვლის მოსავალი ტ/ჰა	გადახრა სტანდარტიდან		სავეგეტაციო დღეთა რიცხვი
			ტ/ჰა	%-ში	
1	სიმ. 44Xმო-17	8,0	-0,6	-7,0	103
2	ქართ.კ4. 44Xბი 37	12,6	+4,0	+46,5	103
3	ლაფსკ9Xმო-17	10,4	+1,8	+20,9	103
4	სიმ.44Xლაფსკ.9	10,6	+2,0	+23,3	103
5	წილკანი 2	15,0	+6,4	+74,4	103
6	ბექა	12,4	+3,8	+44,4	103
7	ქართული 9 სტანდარტი	8,6	±0,0	±0,0	103
8	ფრანგული ნ/კ ყვითელი	13,8	+5,2	+60,5	103
9	იტალიური კაჟ. ყვითელი	7,6	-1,0	-11,6	103
10	ფრანგული კაჟ. ყვითელი	9,2	+0,6	+7,0	103
11	მესტია ნ/კ ყვითელი	3,2	-5,4	-62,8	103
12	ფას. 13550	13,8	+5,2	+60,5	103
13	ფას 13560	7,6	-1,0	-11,6	103
14	ფრანგული	13,2	+4,6	+53,5	109

საკონკურსოში იცდებოდა 14 ნომერი, მათ შორის 9 მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი, ერთი სინთეტიკური და 4 ჰიბრიდი. მათ შორის ყველაზე მაღალი მოსავალი უჩვენა წილკანი ორმა და ფრანგულმა ჰიბრიდმა ფაზ-13550, რომლებმაც სტანდარტს აჯობეს შესაბამისად 6,4-5,2 ტონით საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში. უკეთესი ფორმების შესწავლა გაგრძელდება საკონკურსო გამოცდაში.

**პირველი პროექტის მიხედვით სიმინდის საადრეო ფორმების  
წინასწარი ჯიშთა გამოცდის შედეგები**

ცხრილი 3

№	გამოცდილი ნომრების დასახელება	სმელი მარცვლის მოსავალი ტ/ჰა	გადახრა სტანდარტიდან		სავგებულებო დღეთა რიცხვი
			ტ/ჰა	%-ში	
1	სიმ. 44Xმო-17	6,4	-3,2	-33,3	109
2	ლაფსკ9Xმო-17	14,4	+4,8	+50,0	100
3	სიმ.44Xლაფსკ.9	9,6	±0,0	±0,0	109
4	წილკანი 2	16,4	+6,8	+58,5	109
5	იტალიური კაჟ. ყვითელი	9,2	-0,4	-4,2	109
6	ქართული 9 სტანდარტი	9,6	±0,0	±0,0	109
7	ფრანგული კაჟ. ყვითელი	7,2	-2,4	-25,0	109
8	მესტია ნ/კ ყვითელი	2,2	-7,4	-14,6	109
9	ფრანგული ნ/კ ყვითელი	11,2	+1,6	+16,7	109
10	იტალიური კაჟა ყვითელი	8,0	-0,8	-16,7	109
11	იტალიური კაჟა ყვითელი	9,2	+0,4	-4,2	109
12	ფრანგული ნ/კ ყვითელი	13,2	+3,6	+37,5	109

საადრეო ფორმების წინასწარ ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა 12 ნომერი. მათ შორის 5 მარტივი ხაზთაშორისი, 3 ფრანგული, 3 იტალიური და 1 მესტიის ნახევრად კბილა ყვითელი. ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა წილკანი 2-მა და მარტივმა პიბრიდმა ლაფსკ9Xმო-17, რომლებმაც სტანდარტს აჯობეს საშუალოდ 6,8-4,8 ტონით ჰექტარზე. უკეთესი პიბრიდები მომავალ წელს გამოიცდებიან საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში.

პროექტი 2-ის მიხედვით მოწყობილი ცდები 2015 წელს.

ცხრილი 4

№	ცდის დასახელება	ნომრების რიცხვი	ცდის ფართობი მ <sup>2</sup>
1	საკოლექციო სანერგე	91	273
2	თვითდამტვერილი ხაზების სანერგე	230	690
3	საკონტროლო ჯიშთა გამოცდა	12	72
4	წინასწარი ჯიშთა გამოცდა	10	10
5	საკონკურსო ჯიშთა გამოცდა	12	140
6	საპიბრიდიზაციო სანერგე	1	100
	<b>ჯამი</b>	<b>356</b>	<b>1375</b>

მეორე პროექტის მიხედვით კვლევა მიმდინარეობდა 356 ნომერზე, 1375 მ<sup>2</sup> ფართობზე.

მეორე პროექტის მიხედვით საკონკურსო ჯიშთა გამოცდის შედეგები 2015 წელს

ცხრილი 5

№	გამოცდილი ნომრების დასახელება	ხმელი მარცვლის მოსავალი ტ/ჰა	გადახრა სტანდარტიდან		სავეგეტაციო დღეთა რიცხვი
			ტ/ჰა	%-ში	
1	აბაშური ყვ. 30Xმლ-17	13,0	+2,0	1,8	124
2	ქართ.კრ. 44Xიმ-18	11,2	+0,2	2,8	134
3	ქართ.კრ. 44Xიმ-47	9,0	_2,0	_17,4	134
4	იმ18Xბი-73	9,6	_1,4	_11,9	134



5	პ31 27X აჯამეთი თეთრი	12,8	+1,7	17,5	137
6	წილკანი 1	14,0	+3,0	28,5	124
7	ივერია 70 სტანდარტი	11,0	±0,0	100	124
8	საბა (ბი73X იმ.18)	12,4	+1,4	13,8	134
9	კახურა (პ.31X აჯ.თ.2)	13,0	+2,0	19,3	134
10	ქართ. კრუგი მაღალლიზინიანი	10,4	+0,6	_4,5	134
11	აჯამეთის თეთრი	11,0	±0,0	100	137
12	აბაშური ყვითელი	9,4	_1,6	_13,7	134
13	ქართული კრუგი	7,2	_3,8	_33,9	134
14	პაპაშვილი 3	9,6	_1,4	_11,9	139
15	იმერული ჰიბრიდი	7,2	_3,8	_33,9	139

საკონკურსოში სტანდარტიანად იცდებოდა 15 ნომერი. მათ შორის 8 მარტივი ხაზთასორისი ჰიბრიდი და 6 ჯიში. ყველაზე მაღალი შედეგები უჩვენა წილკანი პირველმა და კახურამ. მათ შესაბამისად 14-13 ტონა მოსავალი მოგვცეს ჰექტარზე მარცვალში და სტანდარტს აჯობეს 3-2 ტონით ჰექტარზე. საინტერესო შედეგებია მიღებული ჯიში ქართული კრუგი მაღალლიზინიანისაგან, რომელმაც ჯიშ ქართულ კრუგს აჯობა 3,2 ტონით.

უკეთესი ფორმების გამოცდა გაგრძელდება მომავალ წელს საკონკურსო გამოსავალში.

**სიმინდის საგვიანო ფორმების წინასწარი ჯიშთაგამოცდის  
შედეგები 2015 წელი**

**ცხრილი 6**

№	გამოცდილი ნომრების დასახელება	ხმელი მარცვლის მოსავალი ტ/ჰა	გადახრა სტანდარტიდან		საგეგმვითი დღეთა რიცხვი
			ტ/ჰა	%-ში	
1	აბაშური ყვ. 30Xმ-17	10,0	-2,8	-21,9	127
2	იმ.18Xბი-73	11,6	-1,2	-9,4	132
3	აბაშური ყვ. 30Xმ-17	14,4	+1,6	+12,5	127
4	საბა (ბი-73Xიმ-18)	12,4	-0,4	-3,2	135
5	წილკანი 1 სტანდარტი	12,8	±0,0	±0,0	130
6	პ31 27X	12,4	-0,4	-3,2	130
7	ქართ. კრუგი მაღალლიზინიანი	13,2	+0,4	+3,1	132
8	იმერული ჰიბრიდი	6,8	-6,0	-46,9	138
9	კახურა (პ.31Xაჯ.თ.2)	14,8	+2,0	+15,6	135
10	ქართული კრუგი მაღალლიზინიანი	12,8	±0,0	±0,0	132

საგვიანო ფორმების წინასწარ ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა 10 ნომერი, მათ შორის 7 მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი და 3 ჯიში. ყველაზე კარგი შედეგი უჩვენა ჰიბრიდმა კახურამ, რომელმაც სტანდარტს აჯობა 2 ტონით საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში. უკეთესი ფორმების შესწავლა გაგრძელდება მომავალ წელს საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში.

სიმინდის საადრეო ფორმების საკონტროლო გამოცდაში ისწავლებოდა 12 ნომერი, ხოლო საგვიანო ფორმების საკონტროლო გამოცდაშიც 12 ნომერი. საადრეოებიდან სტანდარტს ქართულ 9-ს აჯობა 8 ნომერმა, მათ შორის ყველაზე მაღალი მოსავალი უჩვენა ორმა მარტივმა ხაზთაშორისმა ჰიბრიდმა ქართული კრუგი 44Xსმი-44 და სმი 44Xლაფსკ.9, რომლებმაც სტანდარტს შესაბამისად 1,7-1,5 ტონით აჯობეს საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში, ხოლო საგვიანო ფორმების საკონტროლოში სტანდარტს ივერია 70-ს აჯობა 8 ჰიბრიდმა. მათ შორის ყველაზე მაღალი

მოსავალი უზვენა ჰიბრიდმა ქართული კრუგი 44 შეჯვარებული იმ 47-თან და მაღალლიზინიანმა ქართულმა კრუმმა. მათ სტანდარტთან შედარებით 1,5-1,1 ტონით მეტი მოსავალი უზვენეს ჰექტარზე მარცვალში. ეს ჰიბრიდები მომავალ წელს გამოცდებიან წინასწარ და საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში.

სიმინდზე სელექციური ცდები გეკონდა 5 რეგიონში. აქედან დღეისათვის ნორმალურია საგარეჯოში 2 ჰექტარი და თელავში 2,5 ჰექტარი. რაც შეეხება ახმეტას ნათესი ვერ მოირწყო და ამბროლაურში ნათესი დაზიანდა პირუტყვისაგან.

**სიმინდის ახალი ჰიბრიდების მოსავლიანობა 2015 წელს  
თელავის რაიონის სოფ. გულგულაში**

**ცხრილი 7**

№	დასახელება	მარცვლის მოსავალი ტ/ჰა-ზე	გადახრა სტანდარტიდან ტ/ჰა
1	წილკანი 1	5,2	±0,0
2	წილკანი 2	5,4	+0,2
3	ენგური სტანდარტი	5,2	±0,0
4	კახურა	5,0	-0,2

სტანდარტთან შედარებით 0,2 ტონით მეტი მოსავალი მოგვცა ჰიბრიდმა წილკანი 2-მა, გაუტოლდა მას მოსავლიანობით წილკანი-1, რომელმაც ჰექტარზე 5,2 ტონა შეადგინა საშუალოდ.

**სიმინდის ახალი ჰიბრიდების მოსავლიანობა საგარეჯოს  
რაიონის სოფელ დუზაგრამაში**

**ცხრილი 8**

№	დასახელება	მარცვლის მოსავალი ტ/ჰა-ზე	გადახრა სტანდარტიდან ტ/ჰა
1	წილკანი 1	4,0	±0,0
2	წილკანი 2	4,1	+0,1
3	ენგური სტანდარტი	4,0	±0,0
4	კახურა	4,3	+0,3

სტანდარტ ენგურს გაუტოლდა მოსავლიანობით წილკანი 1 და აჯობა მას წილკანი 2-მა, 0,1 ტონით საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში.

მესამე პროექტის მიხედვით მიმდინარეობდა კვლევა სიმინდის 5 ადგილობრივ ჯიშზე და ღარაიონებული ჰიბრიდების 8 მშობლიურ ხაზზე.

მოწვობილი იყო თითოეულისათვის შერჩევითი სანერგე, სადაც ჩატარდა მცენარეთა ყვავილობამდე უკეთესი მცენარეების გამორჩევა და თვითდამტვერვა. მიღებულია სულ თითოეულ ხაზზე და ჯიშზე 5-100 ტარო.

გასული წლის შემოდგომაზე მოეწყო ექსპედიცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორ ფილარეტ ბეგოიძის მონაწილეობით, რომელმაც მოაგროვა სიმინდის ადგილობრივი ჯიშების ნიმუშები სამ რეგიონში. აღნიშნული ჯიშების შესწავლა ტარდება წილკანის ბაზაზე სხვადასხვა ცდებში.

2015 წელს ო. ლიპარტელიანის მიერ თანაავტორობით გამოქვეყნებულია 9 შრომა:

1. სიმინდის ახალი ქართული ჰიბრიდები – ჟურნალი "ახალი აგრარული საქართველო", №2(46). 2015 წ. სტატიაში მითითებულია ზონების მიხედვით ახალ ჰიბრიდთა სავარაუდო მოსავლიანობა;

2. მეთოდური სახელმძღვანელო-"მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია", სადაც მოცემულია მარცვლეული კულტურების მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღების აგროლონისძიებები;

3. "სასილოსე და სანაწვერალო სიმინდის სელექციის შედეგები საქართველოში". გამოვლენილია სასილოსედ და სანაწვერალოდ უკეთესი ჯიშები და ჰიბრიდები;

4. სიმინდის ახალი ჯიშის თანაავტორი „ქართული კრუგი მაღალლიზინიანი – საქართველოს პატენტი, მოცემულია ჯიშის ბიომორფოლოგიური და სამეურნეო თვისებები; 5. სახელმძღვანელო - "მარცვლოვანი და სამარცვლე პარკოსანი, ბოსტნეული, კარტოფილის და საკვები ბალახების მეთესლეობა საქართველოში". აქ დეტალურად არის მოცემული თუ როგორ უნდა წარიმართოს თითოეული კულტურის პირველადი და მეორადი მეთესლეობა ჩვენს ქვეყანაში;

6. მეთოდური სახელმძღვანელო-"სიმინდის ახალი ქართული ჰიბრიდების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია"; მოცემულია თითოეული ჰიბრიდის და მისი მშობლიური ფორმების მეთესლეობის ძირითადი საკითხები;

6. მეთოდური სახელმძღვანელო – "სიმინდის ახალი ქართული ჰიბრიდების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია"; მოცემულია თითოეული ჰიბრიდის და მისი მშობლიური ფორმების მეთესლეობის ძირითადი საკითხები;

7. "სიმინდის ადრეული და საშუალო საადრეო ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა". სოფლის მეურნეობის მეცნიერების პროგნოზი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 2015 წ. მოცემულია სიმინდის ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების მიღების გზები და მათი მნიშვნელობა.

8. სიმინდი *кыкурыза Maise*, კატალოგი საქართველოს აგრომრავალფეროვნებით. მოტანილია სიმინდის თანამედროვე გენოფონდი.

9. "საშემოდგომო და საგაზაფხულო ქერის წარმოების ბიოლოგიური მეთოდები". მოტანილია კვლევითი მონაცემები ქიმის გარეშე ბიოლოგიური მეთოდებით ქერის მოსავლიანობისა და ხარისხის გადიდებაზე.

15 ივლისს მოეწყო სადემონსტრაციო დღე, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლობა პრე-

ზიდენტ გურამ ალექსიძესთან ერთად, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბატონი იური ნოზაძე. მათ დაათვალიერეს სიმინდის სელექციური ცდები, მოისმინეს ო. ლიპარტელიანის მოხსენება „სიმინდის გენეტიკა, სელექცია მეთესლეობის დღევანდელ მდგომარეობაზე, მის შედეგებზე და მომავლის პერსპექტივებზე“. იყო შეკითხვები, რაზედაც გაცემული იყო სათანადო პასუხები. სემინარის წარმომადგენლებმა დადებითი შეფასება მისცეს, როგორც სიმინდის სელექციურ ცდებს, ასევე სიმინდზე წარმოებული გენეტიკური სელექციური და მეთესლეობით ჩატარებულ სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს.

ო. ლიპარტელიანმა მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით გამოვიდა სამეცნიერო კონფერენციაზე, თემა - „სიმინდის სელექციის შედეგები საქართველოში“, სადაც მოტანილია მასალები სიმინდის იმ ჯიშებზე და ჰიბრიდებზე, რომლებიც გამოყვანილია საქართველოში.

2015 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოეწყო ტელეგადაცემა ორ არხზე სიმინდის სელექციის შედეგებზე და მეთესლეობის თანამედროვე მდგომარეობაზე.



**5.1.2.15. აბაღშიის წებრ-კორესკონდენტი თენგიზ შრუშაძე**



სამეცნიერო თემა: "სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონის შედგენა" - თემის ხელმძღვანელი;

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციების კურსს საგანში „ნიადაგმცოდნეობა“;

გამოქვეყნებული სტატიები:

1. Peculiarities of Andolos of the Adjara-Trialeti Range (აჭარა-თრიალეთის ქედზე ანდოსოლების თავისებურებანი) ჟურნალში "Annals of Agrarian Science (აგრარული მეცნიერების მაცნე)", № 2, 2015; გამოკვლევებით დადგინდა, რომ მაღალმთიანეთის ზოგიერთ ზონებში გავრცელებულია ნიადაგები, რომელიც უკავშირდება მსოფლიოს ნიადაგური რესურსების საერთაშორისო კორელაციური ბაზის ნიადაგს. სტატიაში

მოცემულია ანდოსოლების დახასიათება, რომელთა არეალი ემთხვევა მთა-მდელის ნიადაგებს;

2. "Field School in Soil Science: Results and Prospects (საველე სკოლა ნიადაგმცოდნეობაში: შედეგები და პერსპექტივები) ჟურნალში Annals of Agrarian Science (აგრარული მეცნიერების მაცნე)", № 3, 2015; სტატიაში მოცემულია საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დაარსებული საველე სკოლის რამდენიმე წლის შედეგები. სკოლა, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები და პედაგოგები (მათ შორის უცხოელები) საკმაოდ დიდ პოპულარობით სარგებლობს. დაგეგმილია საველე სკოლაში უცხოელი სტუდენტების მონაწილეობა.

3. მონოგრაფია „მიწის კადასტრი“ (თანაავტორები ნაუმ ტურაბელიძე, ფატიმა ქვაცაბაია, თამარ ქვრივიშვილი) მოცულობით 215 გვერდი. მონოგრაფიაში იხილება

შემდეგი საკითხები: მიწის კადასტრის ფორმირების ისტორიული ასპექტები, მიწების აღრიცხვა, მიწის რეფორმა, ნიადაგის ბონიტირება, მიწის ეკონომიკური შეფასება, მიწის ფასის განსაზღვრა, მიწის გადასახადი, გეოინფორმაციული უზრუნველყოფა, მიწების რეგისტრაცია.

ჩატარებული ღონისძიებები:

2015 წლის ივლისში ახალციხეში ჩატარებული ტრენინგის "ნიადაგების შესწავლის და დაცვის საკითხები" - ხელმძღვანელი;

2015 წლის 16 ნოემბერს კაჭრეთში ნიადაგების საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ძირითადი მომხსენებელი და ნიადაგების დემონსტრირების უზრუნველყოფის საკითხები;

მონაწილეობა საგრანტო პროექტებში:

1. ფოლსფაგენის ფონდის (გერმანია) საერთაშორისო გრანტი - „Scenario development for Sustainable Land Use in the Greater Caucasus, Georgia” (მთავარ კავკასიონზე, საქართველო, მიწების მდგრადი გამოყენების განვითარების სცენარი” - მონაწილე;

2. საქართველოს ნიადაგების ეროვნული ატლასის შექმნა - (მოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი) - ხელმძღვანელი;

3. *Beauveria bassiana*-ს შტამების ეკომდგრადობის შესწავლა ბიოპესტიციდების წარმოებისა და ბიოტექნოლოგიის ოპტიმიზაცია - მონაწილე.

საერთაშორისო ჟურნალი „Annals of Agrarian Science (აგრარული მეცნიერების მაცნე) მთავარი რედაქტორი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რედაქციის წევრი; გერმანიის, ინდოეთის, მექსიკის, გერმანიის სამეცნიერო ჟურნალების რედაქციის წევრი. საქართველოს ნიადაგმცოდნეთა საზოგადოების პრეზიდენტი. არასამთავრობო ორგანიზაციის „ქელქვა“ პრეზიდენტი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ეკოლოგიის უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარე; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული მიწების მართვის კომისიის თავმჯდომარე; იუნესკოს „ადამიანის და ბიოსფეროს“ საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარე.

ნიადაგმცოდნეობაში ქვეყნის სტუდენტთა ოლიმპიადის, საშუალო სკოლების მოწაფეების ოლიმპიადის, ნიადაგმცოდნეობაში რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება. ნიადაგების საერთაშორისო წელთან - 2015, დაკავშირებით სპეციულური მარკების დაბეჭდვის აუცილებლობის საკითხის დაყენება „საქართველოს ფოსტის“ წინაშე.

წინადადება:

აუცილებელი ნიადაგმცოდნეობის, როგორც დარგის პოპულარიზაცია, პირველ რიგში საკანონმდებლო ინიციატივის გამოვლენა.



**5.2. მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილება**

**აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი  
სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი  
ანატოლი გიორგაძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილებას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა **მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილება**. აკადემიკოს მდივნად არჩეულია აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი. აღნიშნულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა აკადემიკოს-მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი, რომელიც არჩეულია სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნად. აკადემიის წესდების შესაბამისად განყოფილებას დაემატა ახალი წევრი, აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი, რომელიც ასევე არის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების წევრი. დღეისათვის განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 4 წევრი, 4 აკადემიკოსი.

**აკადემიკოსები:** გუგუშვილი ჯემალი, ტყემალაძე გურამი, ყურაშვილი თენგიზი, ცაგურიშვილი გივი.

**5.2.1. მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის სამუშაო გეგმა**

№	საკითხების (თემების დასახელება)	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2014 წელს გაწეული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ	იანვარი	აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე	

2	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცხოველეობის დეპარტამენტის მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის სამუშაო გეგმის შესახებ	თებერვალი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტ. გივი ბასილაძე	
3	ქვეყანაში ცხოველთა სადგომებში არსებული ვეტერინარულ-სანიტარული მდგომარეობა და მათი გაჯანსაღების გზები	თებერვალი	აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტ. გიული გოგოლი	
4	აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ	მარტი	ეროვნული კოორდინატორები	
6	ქართული მთის ძროხის პოპულაციების ექსპედიციური შესწავლის შედეგები და ჯიშობრივი გაუმჯობესების მიმართულებები	აპრილი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ცისანა ქილიფთარი	
7	კახური და სვანური ღორის ექსპედიციური შესწავლა, მათი სრულყოფის ღონისძიებები.	აპრილი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი როლანდ მიტიჩაშვილი.	
8	აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი	
9	აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი	



10	ჰოლშტინური ჯიშის ძროხის აკლიმატიზაცია დას. საქართველოს დაბლობ ზონაში.	მაისი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ლევან თორთლაძე.	
11	აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი	
12	ინვაზიურ დაავადებათა ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის შესახებ.	მაისი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი შადიმან ფოცხვერია	
13	მეცხვარეობის არსებული მდგომარეობა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები.	ივნისი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. სოფლის მეურნეობის დოქტორი გივი ბელელური.	
14	ცხოველთა დაწყურების არსებული პირობები და მისი ორგანიზაციის ღონისძიებები.	ივნისი	აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი	
15	მძიმე ლითონების გავლენა რძისა და რძის პროდუქტების უვნებლობაზე	ივლისი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. სოფლის მეურნეობის დოქტორი ერნა კალანდია	
16	ქათმის ადგილობრივი ჯიშების გენოფონდის შენარჩუნების ღონისძიებებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ	ივლისი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. სოფლის მეურნეობის დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი	
17	პასტერიზაციის რეჟიმის ეფექტი რძემჟავა პროდუქტების წარმოების დროს, ჰომოგენიზაციამდე და ჰომოგენიზაციის შემდეგ	სექტემბერი	აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი	

18	საქართველოში ბოლო 20 წლის მანძილზე გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ახალი დაავადებები.	სექტემბერი	აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი	
19	სასოფლო სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა კვებაში ბიოქიმიური კვლევების პრიორიტეტების შესახებ	ოქტომბერი	აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე	
20	მეზოცვრების განვითარების პერსპექტივების შესახებ ქვემო ქართლის მაგალითზე	ოქტომბერი	აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი	
21	თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდის შენარჩუნებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ	ოქტომბერი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი სოფლის მეურნეობის დოქტორი ნარგიზა ზარამიძე	
22	საქართველოში აკვაკულტურის განვითარების პერსპექტივების შესახებ.	ნოემბერი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. მაგისტრი ელდარ კაშია	
23	ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის არსებული მდგომარეობა და მუხურის საჯიშე მეურნეობის აღდგენის პერსპექტივები.	ნოემბერი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი სოფლის მეურნეობის დოქტორი მათა ფეიქრიშვილი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ალექსანდრე კორძაძია.	
24	ბუნებრივი საკვების სავარგულების არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ.	დეკემბერი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი იოსებ სარჯველაძე.	
25	აკადემიკოს გურამ ტყემალაძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	დეკემბერი	აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე	

**მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო  
განყოფილების 2015 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა**

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	2	3	4	5	6
1	ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები	მრგვალი მაგიდა	აპრილი	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება	
2	მეფრინველეობის დარგის სიახლეები, პრობლემები, განვითარების პერსპექტივები	გასვლითი მრგვალი მაგიდა (კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკა)	ივნისი	ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი ჯემალ ბუბუშვილი	
3	მსხვილი რქოსანი პირუტყვის სასაკლაოების არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები	გასვლითი სემინარი (მარნეულის მრკ სასაკლაო)	ივლისი	ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი ჯემალ ბუბუშვილი	

განყოფილებაში 2015 წელს ჩატარდა 11 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 12 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების; კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი

**ანატოლი გიორგაძე;** საქართველოში მეძროხეობის განვითარების პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;**

მეორე სხდომა ჩატარდა 12 თებერვალს და განხილული იქნა საკითხი: ქვეყანაში ცხოველთა სადგომებში არსებული ვეტერინარულ-სანიტარული მდგომარეობა და მათი გაჯანსაღების გზები. **მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიული გოგოლი;**

მესამე სხდომა ჩატარდა 23 მარტს და განხილული იქნა საკითხები: აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ;

**მომხსენებლები: მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორები.**

მეოთხე სხდომა ჩატარდა 20 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცხოველეობის დეპარტამენტის მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გივი ბასილაძე; თანამომხსენებლები: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ცისანა ქილიფთარი; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი როლანდ მიტიჩაშვილი;**

მეხუთე სხდომა ჩატარდა 13 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მექვსე სხდომა ჩატარდა 12 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ცხოველთა სუფთა წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებების მნიშვნელობის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.** 2. საქართველოში მეცხოველეობის განვითარების მეცნიერული ასპექტები. **მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი გივი ბედელური**

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 1 ივლისს და განხილული იქნა საკითხი: “ფრინველის გრიპის” პრევენციული ღონისძიებების შესახებ. **მომხსენებელი: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს რისკების განყოფილების გამგე, ვეტ. მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი.**

მერვე სხდომა ჩატარდა 10 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნის, აკადემიკოს ზურაბ

ცქიტიშვილის შესახებ. მომხსენებლები: აკადემის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე. 2. ინფორმაცია მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების სახელწოდების შესახებ. მომხსენებლები: აკადემის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე. 3. მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნის არჩევნები (ფარული კენჭისყრა).

მეცხრე სხდომა ჩატარდა 15 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. სასოფლო სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა კვებაში ბიოქიმიური კვლევების პრიორიტეტების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე. 2. მე-ბოცვრეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ ქვემო ქართლის მაგალითზე. მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი 3. თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი სოფლის მეურნეობის დოქტორი ნარგიზა ბარამიძე

მეათე სხდომა ჩატარდა 25 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოში აკაკულტურის განვითარების პერსპექტივების შესახებ.. მომხსენებელი: მაგისტრი ელდარ კაშია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. 2. ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის არსებული მდგომარეობა და მუხურის საჯიშე მეურნეობის აღდგენის პერსპექტივები. მომხსენებელი: დოქტორი მაია ფეიქრიშვილი, დოქტორი ალექსანდრე კორძახია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 22 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს გურამ ტყემალაძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. ბუნებრივი საკვები სავარგულების არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი იოსებ სარჯველაძე.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების აკადემიკოს მდივნის ზურაბ ცქიტიშვილის მიერ აკადემიის სახელით ინიცირებული იქნა ნორმატიული აქტი ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის რეგულაციის შესახებ. ჩატარდა ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოები განყოფილების მიერ. მიმდინარე წლის 27 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მოაწერა ხელი განკარგულებას, რომელშიც განისაზღვრა სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის რეგულაცია. იხილეთ განკარგულება №2567. ამ განკარგულებით განისაზღვრა: 1. მცენარეულ ცხიმში ინდუსტრიული ტრანსცხიმების დასაშვები რაოდენობა, ყოველ 100 გრამ მცენარეულ ცხიმში 2 გ ტრანსცხიმი; 2. აიკრძალა ამ ცხიმების შემცველობა ბავშვთა კვებაში; 3. აუცილებელი გახდა ეტიკეტირება

## 5.2.2. მეცხოველეობის, ვებინარებისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების წევრების მოკლე ანბარიშეგი

### 5.2.2.1. აკადემიკოსი ჯემალ ბუბუშვილი



გამოქვეყნებული სტატიები:

1. "მიკროკლიმატის გავლენა ბოცვრის აღწარმოებით უნარზე"; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება", თბილისი, 2015; კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში გავრცელებული რუხი გოლიათის, ქართული სახორცე-საქურქე და ახალზელანდიური თეთრის ხალასჯიშისანი. ორი და სამჯიშისანი ნაჯვარი ბოცვრების აღწარმოებით მახვენებლების შესწავლა დახურულ სამრეწველო კომპლექსებში. დადგენილია, რომ მიკროკლიმატის ცვალებადობას ხალასჯიშისანი ცხოველები უფრო კარგად ეგუებოდნენ, ვიდრე ნაჯვარი ცხოველები.

2. "სოფლის მეურნეობის მეცნიერების პროგნოზული მიმართულებები მეცხოველეობის ხაზით". საერთაშორისო სამეცნიერო მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეფერირებული ჟურნალი - "აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები", №4, 2015. კვლევის ძირითადი მიმართულებები მოიცავს, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ადგილობრივი ჯიშების რეაბილიტაციისა და კონსერვაციის საკითხებს, აგრეთვე ორგანული მეცხოველეობის განვითარების პრობლემებს.

3. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალში "ახალი აგრარული საქართველო", 2015 №12. გამოაქვეყნა სტატია "ღვაწლი", რომელიც მიეძღვნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გოგოთურ აგლაძის ხსოვნას.

4. მომზადებულია ორი რეკომენდაცია:

4.1. ჯიშთაშორისი შეჯვარების მეთოდები და მისი გამოყენება მებოცვრეობაში. 2015, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. აღნიშნული რეკომენდაცია მოიცავს ჯიშთაშორისი ორი, სამი და შთანთქმითი შეჯვარების შედეგად ბოცვრის პროდუქტიულობის გაზრდას, ნაყოფიერების შენარჩუნების, ცოცხალი მასის, სახორცე და ტყავ-ბეწვეული პროდუქტიულობის მახვენებლებით; 4.2. სახორცე ტყავ-ბეწვეული ჯიშური ჯგუფის მეთოდოლოგია. 2015, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. რეკომენდაციაში განხილულია ქართული სახორცე-საქურქე ბოცვრის ჯიშის გამოყვანის მეთოდოლოგია, საახალჯიშო შეჯვარების გამოყენებით. რომელშიც მონაწილეობდა საქართველოში გავრცელებული საბჭოური შინშილა და აშშ-დან მოყვანილი სახორცე პროდუქტიულობის ახალზელანდიური თეთრი ჯიშის ბოცვრები.

მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში – “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება”, 4, 5, 6 ნოემბერი, 2015. კონფერენციაზე იყო დარგობრივი სექციის – “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება მეცხოველეობაში” თავმჯდომარე. კონფერენციაში მონაწილეობდნენ: უკრაინის, ყაზახეთის, ბელარუსის, ტაჯიკეთის, პოლონეთის, საქართველოს აგრარიკოსი მეცნიერები. მეცხოველეობის საკითხებთან დაკავშირებით გაკეთდა 17 მოხსენება. აკად. ჯ. გუგუშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე – “მიკროკლიმატის გავლენა ბოცვრის აღწარმოებით უნარზე”.

მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს მიერ ჩატარებულ 4 ღონისძიებაში - 2015 წლის 20 მარტს კუმისის მეფრინველეობის კომპლექსში; 2-3 აპრილს მეთევზეობის საკითხებთან დაკავშირებულ მრგვალი მაგიდის მუშაობაში; 3 – 27 ივნისს, სემონარში “ქარსაფარი ზოლების მდგომარეობის შესახებ”; 4 – 30 სექტემბერს, მრგვალი მაგიდის – “ქართული ფუტკარი და მისი სამომავლო ამოცანები” – მუშაობაში. აღნიშნული დარგების პარსპექტივიდან გამომდინარე, მომზადდა მნიშვნელოვანი წინადადებები და რეკომენდაციები.

2015 წლის 3 აგვისტოს რეცენზია გაუკეთდა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ ამოცანას 1.2 – “მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა ჯიშთგანახლების ინიციატივების განხორციელებით”. წარმოდგენილი სტრატეგიული ამოცანა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ითვალისწინებდა აჭარაში ჯერსის და ბრაუნის ჯიშების შემოყვანას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მსხვილი რქოსანი პირუტყვის პროდუქტიულ მაჩვენებლებს.

აკად. ჯ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის მეცადინეობების პროგრამა მეფუტკრეობაში.

ამზადებს მონოგრაფიას თემაზე: -“ჯიშთაშორისი შეჯვარების თეორია და პრაქტიკა მეცხოველეობაში”.

აკად. ჯ. გუგუშვილი არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოების განყოფილების გამგე, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ეროვნული კოორდინატორი მეცხოველეობის მიმართულებით. საერთაშორისო სამეცნიერო მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ჟურნალის სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრი.

### **წინადადებები.**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი მიმართულებებია მემცენარეობა და მეცხოველეობა, ორივე შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს, მაღალი სამეურნეო მაჩვენებლების საფუძველზე კულტურის ან ჯიშის შერჩევა. აღნიშნულიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ენდემური ჯიშების და პოპულაციების შენარჩუნებას, აღდგენას, გაუმჯობესებას, გენეტიკური და საინფორმაციო ბანკის შექმნას. ცხოველთა

ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს ფერმერული სანაშენე მეურნეობები. მომზადდეს ისეთი სასელექციო პროგრამები და სტანდარტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ცხოველთა მაღალ პროდუქტიულობაზე. მეცხოველეობის ხარჯების ძირითად ნაწილს კვებაზე და შენახვაზე გამოყოფილი რესურსი შეადგენს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საკვები ბაზის ორგანიზებას და ცხოველთა შენახვის პირობებს.

ქვეყანაში მწვავედ დგას მეცხოველეობის დარგის მცოდნე სპეციალისტების ნაკლებობა და ახალგაზრდების დაინტერესების პრობლემები. ფერმერების უმრავლესობა მოძველებული მეთოდებით მუშაობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ფერმერებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების, პროგრამების გაცნობის და შესწავლის მიზნით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მოეწიოს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რაც ხელს შეუწყობს ფერმერების, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკული ცოდნის ამაღლებას. მეცხოველეობისა და ვეტერინარიის დარგის კვალიფიციური ცოდნის მქონე სპეციალისტების დეფიციტის აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ აღსდგება საქართველოს ზოგვეტერინარული უნივერსიტეტი.



**5.2.2.2. აკადემიკოსი ბურამ ტყემალაძე**



I. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე ხელმძღვანელობდა დოქტრანტურის საგანმანათლებლო პროგრამას “აგრარული ტექნოლოგიები”. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი (1-3) და არჩევითი (4-5) საგნები:

1. მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების აგროტექნოლოგიები;
2. აგრარულ კულტურათა ბიოქიმია;
3. მცენარეთა იზოლირებული კულტურების ბიოტექნოლოგიები;
4. აგრარული ტექნოლოგიების ფერმენტული მექანიზმები;

5. აგროქიმია-ნიადაგთმცოდნეობა.

II. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს საგნებში:



1. აგრარულ კულტურათა ბიოქიმია – აგრარული ტექნოლოგიების დოქტორანტიებისათვის;

2. სტრუქტურები და რეაქციები ბიოქიმიურ პროცესებში – აგრონომიისა და მეცხოველეობის სპეციალობის ბაკალავრებისათვის;

3. ბიოქიმიის საფუძვლები – აგრარული ტექნოლოგიების სპეციალობის ბაკალავრებისათვის.

III. 2015 წელს მონაწილეობდა სამ კონფერენციაში:

1. სტუ-ს ბაზაზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში, "საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა" (03 - 05 ნოემბერი), რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავს. მოხსენების თემა: "მზის ენერჯის ბიოლოგიური კონვერსია";

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მესამე კონფერენციაში - "სამეცნიერო ტერმინოლოგია" (16-17 ნოემბერი). მოხსენების თემა: "კვლავ უცხო ტერმინთა დაწერილობისათვის";

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის (სსმმ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში - "გლობალური დათბობისაგან ცოცხალი სამყაროს დაცვის ბიოქიმიური საფუძვლები (4 – 6 ნოემბერი)".

IV. 2015 წელს გამოაქვეყნა სამეცნიერო შრომები:

1. პროფესორებთან ბესარიონ დოჭვირთან და გია სოხაძესთან ერთად - ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალში, Open Journal Of Biochemistry - "A New Approach To The Estimation Of The Parameters Of The Michaelis-Menten Equation".

2. აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციის შრომებში - "მზის ენერჯის ბიოლოგიური კონვერსია" (გვ. 303-309);

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება – შრომებში - "გლობალური დათბობისაგან ცოცხალი სამყაროს დაცვის ბიოქიმიური საფუძვლები" (გვ. 32-41);

4. სამეცნიერო ჟურნალში, საქართველოს საინჟინრო სიახლენი, ტ.76 №4 - "О Кинетике Бимолекулярной Химической Реакции."

V. საანგარიშო პერიოდში გურამ ტყემალაძემ დაასრულა მუშაობა 2013 წელს გამოცემული წიგნების: "ბიოქიმიის საფუძვლები" და "ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ენციკლოპედიური ლექსიკონი" მეორე გადამუშავებულ და სრულყოფილ გამოცემაზე.

მომზადდა ელექტრონული ვერსიები:

1. "ბიოლოგიური ქიმიის განმარტებითი ლექსიკონი" (350გვ.);

2. "ლაბორატორიული სამუშაოები ბიოქიმიაში" (120გვ.).

VI. საანგარიშო პერიოდში, კერძოდ, 2015 წლის 15 ოქტომბერს აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების

გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე გააკეთა მოხსენება თემაზე: "სასოფლო სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა კვებაში ბიოქიმიური კვლევის პრიორიტეტების შესახებ".

VII. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში გურამ ტყემალაძე არჩეულ იქნა:

1. აკადემიური საბჭოს 2015 წლის 15 ივლისის №1607 დადგენილებით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრად;

2. 2015 წლის 1 დეკემბერს - სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერიინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ.

VIII. 2015 წლის სექტემბერში გურამ ტყემალაძემ აიმაღლა კვალიფიკაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და აშშ-ს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივ პროექტში: Teachers Training In New Methodology Of Teaching And Learning.

IX. 2015 წელს გურამ ტყემალაძის რედაქციით გამოიცა რუსუდან ხუსუ-ნაიშივილის სახელმძღვანელო, "მოლეკულური ბიოლოგია".

X. აკად. გურამ ტყემალაძის ხელვა, ზოგადად, ბიოქიმიისა და ბიოქიმიური კვლევის შესახებ აგრარულ მეცნიერებებში.

1. დღეს, გლობალური დათბობის სულ უფრო და უფრო მზარდი საშიშროების პირობებში, მცენარეულმა სამყარომ, რომელსაც თავად ემუქრება არანაკლები საშიშროება, განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ადამიანისა და, საერთოდ, ეკოსისტემის გადასარჩენად. გაეროს ბოლო, 2001-2014 წლების მონაცემებით და 95%-იანი აღბათობით დადასტურდა, რომ სამყაროს გლობალური დათბობა ადამიანის ანთროპოგენური საქმიანობით არის გამოწვეული და განპირობებულია, ე.წ. სათბურის ეფექტით. რადგან მცენარეული სამყაროს გარეშე ვერ იარსებებს ადამიანი (მცენარე იარსებებს ადამიანის გარეშე), ცხადია, ადამიანის უპირველესი ამოცანაა მცენარის გადარჩენა. მცენარის ფოტოსინთეზური შესაძლებლობები ძალიან მაღალია. ატმოსფეროში ნახშირორჟანგის რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება მისი შთანთქმის ინტენსივობაც და აღწევს მაქსიმუმს ნახშირორჟანგის 0,8 – 1,0% კონცენტრაციის დროს – ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დღევანდელი კონცენტრაცია შეადგენს დაახლოებით 0,040%-ს. ეს კი ნიშნავს, რომ მცენარეებს აქვს ნახშირორჟანგის შთანთქმის გაცილებით მეტი პოტენციალი, ანუ შეუძლია მეტი წინააღმდეგობა გაუწიოს ნახშირორჟანგის დაგროვებას ატმოსფეროში. ცხადია, მკვეთრად უნდა შემცირდეს ადამიანის ანთროპოგენური საქმიანობის შედეგად ატმოსფეროს დაბინძურება სათბურის გაზებით და, განსაკუთრებით, ნახშირორჟანგით. ამიტომ არა მარტო გლობალური დათბობის შიშის გამო, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ის, უბრალოდ, ჩვენი და ცოცხალი სამყაროს სიცოცხლისთვის აუცილებელია დღეიდანვე: მინდვრების, საძოვრების, მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, ტბორების, დასახლებული პუნქტების, მეცხოველეობის ფერმების, დიდი და მცირე ქალაქების გარშემო, დედეებსა და ხეებში, ხრამებსა და მთის გახრიოკებულ ფერდობებზე, რკინიგზის, ავტომაგისტრალებისა და სარწყავი არხების გასწვრივ, ყველგან, სადაც ეს ფიზიკურად შესაძლებელია, ტყის დამცავი ზოლებისა და ხეთა რიგების შექმნა.

მხოლოდ ამ გზით, ნაწილობრივ მაინც, გახდება შესაძლებელი ჰაერში გაფრქვეული ნახშირორჟანგის კონცენტრაციების შემცირება.

2. გლობალურ დათბობას რადგან უპირობოდ მოჰყვება ხანგრძლივი გვალვიანობა, ბუნებრივია, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ გვალვაგამძლე მცენარეების გაშენება, რომლებიც ადვილად იტანს გაუწყლოებასა და გადამეტხურებას. ჩვეულებრივ, ხანგრძლივი გვალვიანობა (ნიადაგისა და ჰაერის დაბალი ტენიანობის გამო) ცუდად მოქმედებს მცენარეთა უმრავლესობაზე: ირღვევა წყლის რეჟიმი, ფესვური კვება, ფოთლებიდან ხდება უფრო მეტი ტენის აორთქლება, ვიდრე ფესვებიდან ტენის შთანთქმა, ფოტოსინთეზური აქტივობა, სუნთქვა, პირველადი (ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების) და მეორეული მეტაბოლიტების (ეთერზეთების, პოლიფენოლების, სტეროიდების, ალკალოიდებისა და სხვ.) სინთეზი, რაც მათი მაკატალიზებელი ფერმენტების მოქმედების დროებითი გაძლიერებით და შემდეგ მათი, ასევე სწრაფი ინაქტივირებით არის გამოწვეული. ირღვევა პირდაპირ და უკუკავშირებზე დამყარებული რეგულაციები; ადგილი აქვს აზოტშემცველი უპირველესი ნაერთების – ამინომჟავების, ცილების, ნუკლეინის მჟავების – დეგრადაციას, რასაც თან სდევს ქსოვილებსა და უჯრედებში ამონიაკის დაგროვება, ინტოქსიკაციები, სუბუჯრედული სტრუქტურების რღვევა და მცენარეთა დაღუპვა.

მცენარეების გვალვაგამძლეობას განაპირობებს მათი ფიზიოლოგიური და ანატომიურ-მორფოლოგიური თავისებურებები, რაც გამოიხატება წყლის მიმართ მოთხოვნილების შემცირებაში, უჯრედების შეკუმშვის, შემჭიდროვებისა და ნიადაგიდან წყლის შეწოვის კარგ უნარში. მთავარი მაინც მათი უნარია, ადვილად გადაიტანოს წყლის ნაკლებობა – მათი ციტოპლაზმური სტრუქტურების კოლოიდური ნაერთების მაღალი ჰიდროფილურობისა და მათში შაქრებისა და ლორწოვანი სითხეების არსებობის გამო. მცენარეთა გვალვაგამძლეობას ხელს უწყობს, ე.წ. მშრალი მორწყვა – ნიადაგის ფარცხვა, გაფხვიერება და კალიუმისა და ფოსფოროვანი სასუქების დროული შეტანა. მცენარეების გვალვაგამძლეობა ძირითადად განპირობებულია მათი მემკვიდრეობითი თავისებურებებით.

ამოცანის გადაწყვეტამდე საჭიროა დადგინდეს, თუ როგორ „ავაძულოთ“ მცენარე გაუძლოს მაღალი ტემპერატურის გავლენას. კვების რა რეჟიმი, რომელი მინერალური და ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და როგორი პროცენტული თანაფარდობით, რომელ ნიადაგზე და როგორი გარემო პირობები შევუქმნათ მცენარეს, როგორ ვცვალოთ აგროქიმიური, აგროტექნიკური და მელიორაციული ღონისძიებები, რომ მცენარემ ნორმალურად იმუშაოს შეცვლილ პირობებში. რა გენეტიკურ-სელექციური ღონისძიებები უნდა გატარდეს დასახული ამოცანის გაადვილების მიზნით და ა.შ. მეთოდოლოგიური მხარე ამ და სხვა მსგავსი კვლევებისა თავად მეცნიერებმა უნდა განსაზღვრონ. ზოგადად, მიდგომა ასეთია: ჯერ უნდა დადგინდეს რომელ მცენარეზე, როგორ არასასურველ გარემო პირობებში, როგორ გავლენას ახდენს სხვადასხვა მზარდი ტემპერატურები მცენარის ფიზიოლოგიურ, მორფოლოგიურ და ანატომიურ მახასიათებლებზე, მათს ზრდა-განვითარებაზე. პარალელურად უნდა იქნეს შესწავლილი მცენარის ძირითადი ბიოქიმიური

პარამეტრები, მაგალითად, სუნთქვისა და ფოტოსინთეზის მახასიათებლები: სუნთქვის მარგი ქმედების კოეფიციენტი, გამოყოფილი სითბოს რაოდენობა, ჟანგვითი და ფოტოსინთეზური ფოსფორილების ინტენსივობა, სუნთქვის ენერგეტიკული ეფექტი, ადფ/ატფ-ისა და სუნთქვის კოეფიციენტი, ცილების, ცხიმების, ნახშირწყლებისა და სხვა მნიშვნელოვანი ნაერთების (მაგალითად, ქლოროფილის, ვიტამინების) სინთეზის უნარი და ა.შ. უნდა დადგინდეს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ტემპერატურის გავლენა ძვეს ობიექტის ტოლერანტობის ზონაში, თუ იწვევს დაზიანებას. უნდა დადგინდეს რადიკალური წერტილები – რომელ ტემპერატურაზე იწყება და წყდება ფოტოსინთეზი და სუნთქვა, რომელ ტემპერატურაზე აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობებს, ე.ი. კვლევა უნდა ტარდებოდეს ისე, რომ იცვლებოდეს ტემპერატურაც, ექსპოზიციაც და მოქმედების პერიოდიც.

3. უნდა გამკაცრდეს მოთხოვნები ყველა გადამამუშავებელი, დიდი თუ პატარა, ქარხნის, ფაბრიკისა თუ საწარმოს, ინდივიდუალური, გლეხური თუ ფერმერული მეურნეობის მიერ წარმოებული ყველა სახის პროდუქტის უვნებლობაზე. ამასთან, ყველა ალიჭურვოს თანამდროვე გამწმენდი ნაგებობებით და მათზეც დაწესდეს სათანადო სახელმწიფო რეგულირება. სახელმწიფოს მიერ აგრეთვე უნდა დაწესდეს ატმოსფეროსა და წყლების მუდმივი ქიმიურ-ბიოქიმიური, ტოქსიკოლოგიური და მიკრობიოლოგიური კონტროლი. აიკრძალოს ხმარებიდან ამოღებული და ვადაგასული პესტიციდებისა და შხამ-ქიმიკატების გაუაზრებელი, თვითნებური გამოყენება.

4. საკვები მცენარეების პროდუქტიულობისა და უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა განხორციელდეს: ახალი სერტიფიცირებული ბუნებრივი დანამატების შექმნა, შერჩევა და გამოყენება სხვა პროდუქტებთან კომბინირების გზით; აგროტექნიკური, აგროქიმიური და მელიორაციული ღონისძიებების გაუმჯობესება; ნიადაგის ბიოქიმიურ-მიკრობიოლოგიური შესწავლა; მცენარეებში ენერჯისა და ნივთიერებების (ამინომჟავების, ცილების, ნახშირწყლების, ვიტამინებისა და სხვ.) ცვლასა და მათს ფოტოსინთეზურ აქტივობაზე მინერალური მარილების, ორგანული სასუქების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, სხვადასხვა ბიოპრეპარატებისა და სტიმულატორების გამოცდა-გამოყენება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

5. თვით სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაზე საკვებში შეტანილი სხვადასხვა მცენარეული, ცხოველური თუ მიკრობიოლოგიური დანამატის ბიოქიმიური გავლენის შესწავლა – ასაკის, სეზონურობის, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატის გათვალისწინებით და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების გაცემა. ცხადია, აღნიშნული დანამატებისა და დანამატიანი საკვების ტოქსიკოლოგიური, მიკრობიოლოგიური გამოკვლევების, აგრეთვე დანამატების ფარმაკოდინამიკისა და ფარმაკოკინეტიკის შესწავლის საფუძველზე.

ამგვარად, ბიოქიმია – აგრარულ მცენარეთა ბიოქიმიის, ცხოველთა და ფრინველთა კვების ბიოქიმიის, რძისა და რძეპროდუქტების ბიოქიმიის, ხორცისა და ხორცპროდუქტების ბიოქიმიის, ნიადაგის ბიოქიმიის, მიკროორგანიზმთა ბიოქიმიისა

და სხვათა სახით ემსახურება ნიადაგში, მცენარესა და ცხოველში საკვები პროდუქტებისა და საკვები ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებში მიმდინარე ქიმიური და ბიოქიმიური პროცესების მიზანდასახული მართვისა და რეგულირების მექანიზმების შესწავლას; ახალი ინოვაციური ბიოქიმიური მეთოდების დამუშავებასა და სხვ; რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება აგრარული კულტურების ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ამადლებას; საკვები პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური სქემების ოპტიმიზაციას; უვნებელი პროდუქციის წარმოებას; მათს რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას; ნიადაგის დაცვას გამოფიტვისაგან; ჰაერისა და წყლების დაცვას დაბინძურებისაგან; ჯანმრთელი გარემოს შექმნას, ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და, უპირველესად, აგროკულტურებისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებში, მცენარეთა და ცხოველთა კვებაში, საკვებწარმოებასა და ვეტერინარიაში ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების, მეთოდებისა და მიდგომების დამუშავებას. აღნიშნულ დარგებში ინოვაციებს კი საფუძველად უნდა დაედოს კვლევის ქიმიური, ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური შესაძლებლობები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი ქართული პროდუქციის წარმოება და მსოფლიო ბაზარზე ღირსეული ადგილის დაკავება.

ზემოთქმულის განხორციელებას დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ახლად შექმნილი ფაკულტეტი.



### 5.2.2.3. აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი



სამეცნიერო თემა: „რძის შემგროვებელ და გადამამუშავებელ საწარმოებში ნედლეულის ბრუცელოზზე კეთილსაიმედობის კონტროლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავება“. პროექტის ხელმძღვანელი;

პედაგოგიური დატვირთვა:

1. მე-4 და მე-5 კურსის სტუდენტებისათვის საგნები:

1.1. ზოონოზები;

1.2. ცხოველთა ინფექციური დაავადებები.

მე-3 კურსის სტუდენტებისათვის საგანი:

1.3. ეპიზოოტოლოგია ინფექციური დაავადებების საფუძვლებით.

2. გამოქვეყნებული სტატიები:

2.1. ყურაშვილი თ., გოდერძიშვილი დ., ფაღავა ნ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის პირველი კერები კავკასიაში. – სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კვალიფიციური სპეციალისტი – წარმატების გარანტი“-ს მასალები. თბილისი 2015, გვ. 58–60;

2.2. მალლაკელიძე გ., ყურაშვილი თ., გოდერძიშვილი დ. რძის შემგროვებელ და გადამამუშავებელ საწარმოებში ნედლეულის კონტროლი ბრუცელოზზე. – სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კვალიფიციური სპეციალისტი – წარმატების გარანტი“-ს მასალები. თბილისი 2015, გვ. 61–63;

2.3. ყურაშვილი თ., ღვალაძე ე. გლობალური დათბობა და ცხოველთა ჯანმრთელობა. – საერთაშორისო კონფერენციის „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“-ს მასალები. თბილისი 2015, გვ. 443-445;

2.4. ყურაშვილი თ., ღვალაძე ე. გვალვის გავლენა ცხოველთა ჯანმრთელობაზე და პროდუქტიულობაზე. – საერთაშორისო კონფერენციის „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“-ს მასალები. თბილისი 2015, გვ. 446-448;

2.5. ყურაშვილი თ., ღვალაძე ე., არსენაშვილი ი. ნიადაგი, როგორც დაავადების აღმძვრელის მეორადი წყარო. – სამეცნიერო კონფერენციის „ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“-ს მასალები. თბილისი 2015.

3. ჩაბარებულია გამოსაქვეყნებლად:

3.1. ცხოველთა დაწყურვების ორგანიზაცია, ჟურნალი „აგრობაზისი“;

3.2. ცხოველთა პარაზიტული დაავადებები და მასთან ბრძოლა, ჟურნალი „აგრობაზისი“;

3.3. საძვრის ვეტერინარიულ-სანიტარიული შეფასება. ჟურნალი „აგრობაზისი“;

3.4. მესაქონლეობა გლეხურ (საოჯახო) მეურნეობებში. ჟურნალი „კვალი“;

3.5. ვიზრუნოთ ცხოველთა კეთილდღეობაზე. ჟურნალი „კვალი“;

3.6. ყურაშვილი თ., ღვალაძე ე., თურმანიძე მ., არსენაშვილი ი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უცნობი ეთიოლოგიის დაავადება. ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“;

3.7. ყურაშვილი თ., ღვალაძე ე., არსენაშვილი ი., სულხანიშვილი მ. კალციუმის და ფოსფორის ცვლის დარღვევით გამოწვეული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები მეცხოველეობაში. ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“.

3.8. ყურაშვილი თ., კერესელიძე მ. ფართოდ გამოვიყენოთ ცხოველთა ინფექციური დაავადებების ეპიზოოტოლოგიური კვლევა. ჟურნალი „კვალი“.

4. მონაწილეობა კონფერენციებში.

4.1. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კვალიფიციური სპეციალისტი – წარმატების გარანტი“. თბილისი 20.11.2015.

მოსხენებები:

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის პირველი კერე-ბი კავკასიაში;

2. რძის შემკრებ და გადამამუშავებელ საწარმოებში ნედლეულის კონტროლი ბრუცელოზზე;

4.2. გამოფენის „AGRO FOOD DRINK TECH“ პროგრამა. თბილისი 18.11.2015. სხვადასხვა საკითხებზე დისკუსიებში მონაწილეობა.

4.3. საერთაშორისო კონფერენცია „გლობალური დათობა და აგრობიომრავალფეროვნება“. თბილისი, 4–5–6 ნოემბერი, 2015 წ.

მოსხენებები:

1. გლობალური დათობა და ცხოველთა ჯანმრთელობა.

2. გვალვის გავლენა ცხოველთა ჯანმრთელობაზე და პროდუქტიულობაზე.

4.4. პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში პროფესიის ანალიზსა და პროფესიული სტანდარტების შემუშავების პროცესში მონაწილეობა. თბილისი 2015.

4.5. სემინარი „Modern Veterinary Medical Diagnostic Laboratory-Achievement and Prospect of New Technologies“. თბილისი 22.02.2015;

მოსხენებები:

1. ინფექციური პათოლოგიები ცხოველებში და მათი დიაგნოსტიკა;

2. ცხოველური სურსათის (რძე, ხორცი, კვერცხი) უვნებლობის კონტროლის ორგანიზაციის შესახებ;

4.6. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში“;

მოსხენება:

1. ნიადაგი, როგორც დაავადების აღმძვრელის მეორადი წყარო.

4.7. სემინარი „Anthrax countermeasures: Vaccine and environmental decontamination“. თბილისი 29.09.2015. დისკუსიაში მონაწილეობა.

4.8. სემინარი „ბრუცელოზის კონტროლის სტრატეგია“. თბილისი 07.05.2015. განხილვაში და დისკუსიაში მონაწილეობა.

5. წარდგენილი საგრანტო პროექტები.

5.1. ცხოველთა აღწარმოების დაქვეითების (უნაყოფობისა და ბერწიანობის) მიზეზების შესწავლა და მისი თავიდან აცილების გზები. ძირითადი პერსონალი. რუსთაველის მეცნიერების ეროვნული ფონდი;

5.2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უცნობი დაავადების ეთიოლოგიის დადგენა. ენეჯერი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

6. განყოფილებაში და აკადემიურ საბჭოზე გაკეთებულია მოხსენება: „წყლის დაბინძურება და მისი გავლენა ცხოველთა ჯანმრთელობაზე და პროდუქტიულობაზე“.

7.1. საქართველოს ვეტერნარ ექიმთა გაერთიანებული ასოციაცია – წევრი.

7.2. საქართველოს მემამულეთა კავშირი – ვიცე-პრეზიდენტი.

7.3. ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია – წევრი.

7.4. ჟურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ რედაქცია – წევრი.

7.5. მრავალი სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის და ბროშურის რედაქტორი ან რეცენზენტი.

8.1. სასწავლო გარემოს მინიმალური სტანდარტების შემუშავება (ვეტერინარული მომსახურეობის სპეციალისტი). – საქართველოს განათლების სამინისტრო.

8.2. ცხოველთა ბრუცელოზის წინააღმდეგ ბრძოლის გრძელვადიანი პროგრამის მომზადების სამუშაო ჯგუფის წევრობა. საქ. სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №04–9, 08.01. 2015.

8.3. თურქულის დაავადებასთან ბრძოლის პროფილაქტიკური და საკარანტინო ღონისძიებათა წესის განხილვა.

8.4. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“-ს მოწვევით პროექტის „მცირე ფერმერთა კოოპერირებისა და წარმოების ხელშეწყობა იმერეთსა და რაჭის რეგიონებში“ ფარგლებში ტრენინგების ჩატარება.

1–4 მარტი – ქუთაისი, ზესტაფონი, ონი;

15–16 ივნისი – ქუთაისი, ონი;

20–24 ივლისი – ქუთაისი, ტყიბული, ონი;

8.5. თბილისში ჩატარებულ მრავალ პრეზენტაციაში და შეხვედრებში მონაწილეობა.

8.6. სურსათის ეროვნული სააგენტოს კომისიებში მუდმივი მონაწილეობა.

### **წინადადებები.**

ვეტერინარია კვლავ უნდა გახდეს რეგულირებადი დარგი და ვეტერინარი ექიმის მომზადება კვლავ უნდა დაუბრუნდეს 5-წლიან (300-კრედიტიან) სწავლებას;

– აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული კანონი „სავეტერინარო მედიცინის შესახებ“;

– მისაღებია ასევე კანონი „ვეტერინარ ექიმთა სერტიფიცირების შესახებ“;

– ვეტერინარ ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება მოხდეს ყოველ 5 წელიწადში ერთხელ;

– რეზიდენტურის ან სპეციალური კურსებით უნდა დავიწყოთ ვეტერინარ ექიმთა გადამზადება (ვიწრო სპეციალიზაცია). მეცხოველეობის ცალკეულ დარგებში (მეფერინველეობა, მეცხოველეობა და სხვა) და სასაკლაოზე, ცხოველური პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში სამუშაოდ და ა. შ.

**2016 წელს მიზანშეწონილია ჩატარდეს:**



1. მრგვალი მაგიდა ან კონფერენცია:
  - „ვეტერინარია დღეს და ხვალ“;
  - „ცხოველთა სასმელი წყლის კონტროლის მეთოდები“.
2. მრგვალი მაგიდა - მსოფლიოში გავრცელებული საქართველოსათვის საშიში ცხოველთა ინფექციური დაავადებები;
3. სემინარები: - ეპიზოოტიური პროცესი და მისი მართვა.;
  - ცხოველთა ნიადაგოვანი დაავადებები;
  - ბრუცელოზთან ბრძოლის ღონისძიებები.



### 5.3. აბროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება

**აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე  
სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე,  
დოქტორი ანატოლი გიორგაძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 8 წევრი. მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 6 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 2.

**აკადემიკოსები:** დიდებულიძე ალექსანდრე, ვაშაკიძე არჩილი, კაციტაძე ჯემალი, მახარობლიძე რევაზი, შაფაქიძე ელგუჯა, ჭალაგანიძე შოთა.

**წევრ-კორესპონდენტები:** გაბუნია ნოდარი (გარდაიცვალა 2015 წლის ოქტომბერში), სარიშვილი დავითი.

#### 5.3.1. აბროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის სამუშაო გეგმა

№	საკითხების (თემების დასახელება)	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2014 წელს გაწეული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმისა შესახებ	იანვარი	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე	

2	აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულისი	
3	აკადემიკოს არჩილ ვაშაკიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე	
4	აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე	
5	აკადემიის აგროსაინჟინრო მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ	მარტი	აკადემიის აგროსაინჟინრო მიმართულების ეროვნული კოორდინატორები	
6	აკადემიკოს რევაზ მახარობლის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე	
7	აკადემიკოს შოთა ჭალაგანიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე	
8	აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ელგუჯა შაფაქიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მაისი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე	
9	საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის მუშაობის შედეგების შესახებ (ქ. ვარნა, ბულგარეთი)	ივლისი	აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე	
10	შპს “მექანიზატორის” როლი სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სერვისის ათვისებაში	სექტემბერი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახარობლიძე	

11	მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები და მათი დანერგვის პერსპექტივები.	ნოემბერი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე	
----	--	----------	--	--

**აბროსაინჟინრო სამეცნიერო ბანყოფილების მიერ 2015 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა**

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	2	3	4	5	6
1	საქართველოში მელიორაციის არსებული მდგომარეობა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები	მრგვალი მაგიდა	მაისი	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება	
2	აგროსაინჟინრო სფეროში რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების როლის შესახებ	მრგვალი მაგიდა	ივნისი	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება	
3	საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების პოლიტიკის შესახებ	მრგვალი მაგიდა	ივლისი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება	
4	რუსთაველის ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებული საგრანტო თემების შესახებ	მრგვალი მაგიდა	სექტემბერი	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება	

5	საქართველოს აგროსაინჟინრო დარგის პრობლემები და მათი გადაჭრის თეორიული და პრაქტიკული ხედვები	სემინარი	ნომერი	აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება	
---	---	----------	--------	--------------------------------------	--

განყოფილებაში 2015 წელს ჩატარდა 10 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 20 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოს მდივანი რევაზ მახარობლიძე; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2. აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოს მდივანი რევაზ მახარობლიძე; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე;

მეორე სხდომა ჩატარდა 20 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიკოს არჩილ ვაშაკიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

მესამე სხდომა ჩატარდა 25 მარტს და განხილული იქნა საკითხი: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებლები:** აგროსაინჟინრო მიმართულების ეროვნული კოორდინატორები; 2. შპს მექანიზატორის საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახარობლიძე.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 22 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიკოს შოთა ჭალაგანიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

მეხუთე სხდომა ჩატარდა 28 მაისს და განხილული იქნა საკითხი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ელგუჯა შაფაქიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

მექვსე სხდომა ჩატარდა 10 ივნისს გაერთიანებული აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილებასთან ერთად და განხილული იქნა საკითხები: 1. მოქალაქე ვასილ ჩხიკვაძის წერილის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; 2. აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს იუზა ვასაძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის

შესახებ; 4. აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 5. აკადემიკოს გივი ბადრიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 8 ივლისს და განხილული იქნა საკითხები:

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის (ქ. ვარნა, ბულგარეთი) მუშაობის შედეგების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე; **თანამომხსენებელი:** შპს “საქაგროსერვისის” დირექტორი გივი ქურდიანი 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნუგზარ ებანოძე.

მერვე სხდომა ჩატარდა 29 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: მოქალაქე გელა კობაიძის მიერ წარმოდგენილი პროექტის “ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორის წარმოების შესახებ.” მომხსენებელი: აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 11 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ელგუჯა შაფაქიძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ; 2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ელგუჯა შაფაქიძისათვის აკადემიის ნამდვილი წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ. (ფარული კენჭისყრა).

მეათე სხდომა ჩატარდა 11 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა კუნძულ ხოკაიდოზე (იაპონია). **მომხსენებელი:** საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრის უფროსი, ტექნიკის დოქტორი ნიკოლოზ ჯაფახიშვილი; 2. საქართველოში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებისათვის. **მომხსენებელი:** არასამთავრობო ორგანიზაციის “მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა კავშირის” თავმჯდომარე, ტექნიკის დოქტორი ირაკლი დვალი.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მრგვალი მაგიდა: “აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ“; “აგროსაინჟინრო სფეროში რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების როლის გაზრდისა და მეცნიერული უზრუნველყოფის შესახებ”. “რუსთაველის ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებული საგრანტო თემების შესახებ”.

## 5.3.2. აბროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების წევრების მოკლე ანბარიშები

### 5.3.2.1. აკადემიკოსი ალექსანდრე დიდუბულიძე



#### 1. პედაგოგიური საქმიანობა.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში აკად. ა.დიდუბულიძის აკადემიური დატვირთვა 2014/2015 სასწავლო წლის მეორე სემესტრში შეადგენდა კვირაში 5 საათს, 2015/2016 წლის პირველ სემესტრში – 3 საათს. არის ორი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

კითხულობს შემდეგ საგნებს:

➤ ელექტროამძრავი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, ელექტროინჟინერიის სპეციალობის მე-IV კურსის მეორე სემესტრები, 3 საათი კვირაში;

➤ მექატრონიკა. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, ელექტროინჟინერიის სპეციალობა, IV კურსის პირველი სემესტრი, 3 საათი კვირაში;

➤ ბიომეცნიერებების საკანონმდებლო, კომერციული და ეთიკური პრინციპები და უფლება ინტელექტუალურ საკუთრებაზე. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრატურის I კურსის მეორე სემესტრი, 3 საათი;

არის ორი დოქტორანტის (ზურაბ ბრეგვაძე, ბიძინა იმნაძე) სამეცნიერო ხელმძღვანელი.

#### 2. გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები

2.1. Influence of Live Sheep Export on the Sheep Breeding in Kakheti Region of Georgia. Fourth International Conference: “Problems of Biosafe Food and Business Environment”, Kutaisi, 2014. – pp. 12 – 19.

ცოცხალი ცხვრის ექსპორტის გავლენა კახეთის მეცხვარეობაზე. დიდუბულიძე ა., ბრეგვაძე ზ., იმნაძე ბ. მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია „ბიოუსაფრთხო კვების პროდუქტთა პრობლემები და ბიყნეს გარემო“, ქუთაისი, 2014. გვ. 12–19;

ცხვრის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში, რომელიც მასობრივად დაიწყო 2009 წელს, როდესაც დღემდე სარეკორდო 266.000 სულს მიაღწია, ხელს უწყობს მეცხვარეობის განვითარებას საქართველოს ამ დარგის ძირითად რეგიონში – კახეთში. შედეგად, თუ განვიხილავთ წლებში ცხვრის რაოდენობა მთლიანად საქართველოში გაიზარდა 120 ათასი სულით, კახეთში იგი გაიზარდა 300 ათასიდან 469 ათასამდე, ე.ი. 169 ათასი სულით და მაშასადამე, დანარჩენი რეგიონებისგან განსხვავებით, ექსპორტმა კახეთზე დადებითი ზეგავლენა იქონია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ბაზარმა თავად იპოვა პროდუქტი; საქართველოში ზამთრის საძოვრებზე დეფიციტის პირობებში ექსპორტი, რომელიც ძირითადად ხორციელდება აგვისტო-ნოემბერში,

ამცირებს ცხვრის იძულებით დაკვლას, რასაც ასევე ხელს უწყობენ ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე ჩამოყალიბებული ხელსაყრელი ფასები.

2.2. Повышение устойчивости сельского хозяйства Грузии. Международная научная конференция: “Глобальное потепление и агробиоразнообразие”, Тбилиси, 2015. – стр. 128-132.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადობის ამაღლება. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“, თბილისი, 2015. გვ. 128-132.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალფუნქციურობის გათვალისწინებით, განხილულია ქვეყნის მოქმედი აგრარული პოლიტიკა და აქცენტი გამახვილებულია სასოფლო-სამეურნეო და არააგრარული საქმიანობის დივერსიფიკაციაზე, მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების შენარჩუნებაზე, სასოფლო ობიექტების ენერგომომარაგების საკითხებზე. თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობის წარმატებული გაძღოლის ძირითად კრიტერიუმად მიღებულია პროდუქციის შიდა და გარე ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმი, ამავე დროს, გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით, აუცილებელია, უზრუნველყოფილი იქნეს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. შეფასებულია ურთიერთკავშირის ხარისხი სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის დონეს შორის, გამოკვეთილია პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების რეზერვები.

2.3. ასინქრონული ელექტროძრავის მუშაობა მაღალმთიანეთის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“, თბილისი, 2015, გვ. 133–136;

გაანალიზებულია ელექტროძრავების მუშაობა მაღალმთიანეთის ექსტრემალურ სიტუაციებში, კერძოდ გარემოს რთული პირობების იზოლაციის მდგომარეობაზე უარყოფითი მოქმედება. ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი წლიური და დღეღამური ცვლილებები მნიშვნელოვნად ართულებენ ძრავების ექსპლუატაციას. დადგენილია, რომ ზაფხულის საძოვრებზე ძრავას ხშირად მუშაობა უხდება გარემოს ტემპერატურებზე, რომლებიც აღემატება სტანდარტულს, ანუ 40°C და ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება ძრავისგან მოთხოვნილი სიმძლავრის შემცირება ან მუშაობის ხანმოკლე რეჟიმზე გადასვლა, რათა თავიდან ავიცილოთ სტატორის გრაფნილის ტემპერატურის დაუშვებელი მატება. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ ელექტროძრავები მუშაობენ ზღვის დონიდან 1000 მეტრის უფრო მაღალ სიმაღლეზე, მათი სიმძლავრე ასევე უნდა შემცირდეს, რადგან ვენტილატორით გაგრილების პირობები უარესდება. შესაბამისად, მოთხოვნილი სიმძლავრის შემცირება საჭირო ხდება უკვე მაშინ, როდესაც გარე ტემპერატურა აღემატება + 30°C, ხოლო 2000 მეტრზე უფრო მაღალ სიმაღლეზე - + 20°C; ამ დროს ძაბვის ნომინალურ მნიშვნელობასთან გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს.

### 3. გამოქვეყნებული სახელმძღვანელო

მექატრონიკა. ელექტრონული სახელმძღვანელო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 132 გვ.

მექატრონიკა არის მეცნიერების და ტექნიკის სფერო, რომელიც ზუსტი მექანიკის, კვანძების ელექტრონულ, ელექტროტექნიკურ და კომპიუტერულ კომპონენტებთან სინერგიულ გაერთიანებას და სრულ ინტეგრირებას ეფუძნება. სახელმძღვანელოში ახსნილია ელექტრული იმ მიკრომანქანების კონსტრუქციები და მოქმედების პრინციპები, რომლებიც მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მ.შ. ხელის იარაღებსა და ავტოსატრაქტორო ელექტრომთავრობილობაში, ასევე ავტომატიკის და გამოთვლითი ტექნიკის სისტემებში, გამოიყენებიან რობოტოტექნიკასა და ტელემეტრიაში, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ტექნიკაში. კურსში დიდი ყურადღება ეთმობა შესასრულებელი მუშა პროცესების სიზუსტის დაცვას, მუშაობის რეჟიმებს, ელექტრომაგნიტურ, ელექტრომექანიკურ და თბურ გარდამავალ პროცესებს, ელექტროენერჯის ეკონომიას.

#### **4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა**

➤ საერთაშორისო ინტერნეტ-კონფერენცია: „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“, ქუთაისი;

➤ რეგიონული კონფერენცია: „პრაქტიკა იწვევს კვლევას - საძოვრებთან დაკავშირებული ცოდნა, გამოცდილება და ტრადიციები სამხრეთ კავკასიაში“, კაჭრეთი;

➤ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“, თბილისი;

#### **5. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა. მიუთითეთ საგრანტო ფონდი, გრანტის დასახელება.**

აკად. ა. დიდებულიძე არის გერმანიის ფოლქსვაგენის ფონდის საგრანტო პროექტის № 88504 “სოფლების საერთო საძოვრების კოლექტიური გამოყენება და კონფლიქტები – პრობლემის შედარებითი კვლევები აზერბაიჯანსა და საქართველოში“ ხელმძღვანელი (2015 წლის 1 თებერვალი – 2018 წლის 31 იანვარი), საქართველოს ჯგუფის ჯამური დაფინანსება – 123,8 ათასი ევრო.

#### **6. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის და ა.შ. საბჭოსა და რედაქციის წევრობა.**

არის არასამთავრობო ორგანიზაციის – პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

აგრძელებდა მუშაობას სამეცნიერო გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში – ჟურნალი: "Annals of Agrarian Sciences", თბილისი;

არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო საბჭოს წევრი;

არის ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში „სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტის, ასევე თს ფონდის საგრანტო კომიტეტების წევრი.

#### **7. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.**

აკად. ა. დიდებულიძე არის ენციკლოპედია "საქართველოს" კონსულტანტი, მონაწილეობდა ენციკლოპედიის მასალებთან დაკავშირებული შენიშვნების მომზადებაში.



**8. როგორ წარმოგიდგენიათ სოფლის მეურნეობის იმ დარგების განვითარების მომავალი, რომელშიც თქვენ მუშაობთ**

საქართველოს სოფლის მეურნეობა ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური, სისტემური მხარდაჭერის შედეგად დარგში გაიზარდა ინვესტიციები, ვრცელდება ახალი ტექნოლოგიები. აღინიშნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვანი ზრდა 2878 ლარიდან (2011 წელი) 3583 ლარამდე (2014 წელი). განვითარების ამგვარი დინამიკის და ქვეყნის მნიშვნელოვანი ბუნებრივ-სარესურსო პოტენციალის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ სექტორის ზრდის განმსაზღვრელი მიმართულება ხანგრძლივადიან პერსპექტივაში უნდა იყოს ორიენტაცია ძვირადღირებული, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადი გადამუშავებული პროდუქციის (გარჩეული თხილი, ღვინო, მინერალური წყლები, კონსერვები, წვენები და ა.შ.) წარმოებასა და ექსპორტზე. ამ ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია სოფლად ტერიტორიების მდგრადი განვითარების ფონზე დარგის შემდეგი სტრატეგიული მიმართულებების სახელმწიფო მხარდაჭერა:

- ლოგისტიკა და ინფრასტრუქტურა;
- პროდუქციის შენახვა და გადამუშავება;
- მეღიორაცია;
- აგროდაზღვევა.

ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის შენარჩუნების პირობებში მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას, სოფლად მოსახლეობის სიღარიბის დაძლევას და კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციას, აქ ძირითადი ყუეადღება უნდა დაეთმოს აგრარული პროდუქციის, პირველ რიგში ექსპორტისთვის განკუთვნილი მემცენარეობის ისეთი პროდუქციის, როგორისაა ხურმა, დაფნა, თხილი, ასკილი და ა.შ., შენახვისა და შრობის მეთოდების შერჩევასა და ტექნოლოგიური პროცესების რეჟიმების ავტომატიზაციის კვლევას, შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას. მეჩაიეობის აღდგენის პერსპექტივების გათვალისწინებით აუცილებელი გახდება ხელის ჩაის აპარატების კომპლექსის შერჩევასა და მათი ავტონომიური კვების წყაროების დამუშავების საკითხების გადაწყვეტა

მეცხოველეობაში აუცილებელია მეცხვარეთა მუშაობის პირობების გასაადვილებელი მოწყობილობის (ელექტროტრიმერები, ხელის ელექტროსაკრეჭები, ცხვრის საწველი და რძის გადამამუშავებელი მოწყობილობა და ა.შ.) შერჩევისა და გამოყენების საკუთხების დამუშავება.

**9.საკითხები, რომელთა განხილვა გსურთ დარგობრივი განყოფილებებისა და აკადემიური საბჭოს სხდომებზე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება გლობალიზაციის პირობებში; საქართველოს აგრარული სექტორის სტატისტიკა.



### 5.3.2.2. აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე



1. თემის დასახელება რომლის კვლევებსაც ასრულებს აკად. ა. ვაშაკიძე:

1.1. „ბიოენერგეტიკის (ბიოდიზელი, ბიობენზინი) განვითარება საქართველოში“;

1.2. „საქართველოში ლოკალური განაწილებული სასოფლო-სამეურნეო ქსელების შექმნისათვის მოწყობილობების და პარამეტრების შერჩევის ანგარიში მართვის ალგორითმის არჩევით“;

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ასწავლის შემდეგ სასწავლო კურსებს:

„აგრარულ წარმოების ელექტრიფიკაცია“;

„ელექტროტექნოლოგიური დანადგარების, კომპლექსების და ელექტრომომარაგების სისტემების მონტაჟი“;

„ავტომატური მართვის საფუძვლები“;

„ექსპერიმენტის დაგეგმვის მეთოდები“;

„ მემცენარეობის საწარმოთა ელექტრომოწყობილობები“;

ხელმძღვანელობს: ორ – მაგისტრს; სამ – დოქტორანტს.

არის სამეცნიერო ჟურნალების რედაქციების წევრი: ჟურნალი „ინტელექტი“, „აგრარულ მეცნიერებათა უწყებანი“, ~Bulletin of Armenian Agricultural Academ“, „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“;

დაჯილდოებულია: „საპატიო ნიშნის ორდენით“, „ღირსების ორდენით“ , მედლებით და სიგელებით.



### 5.3.2.3. აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე



1. სამეცნიერო-კვლევითი თემა: „ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების დამუშავება მანქანების საიმედოობის გაზრდისათვის“ – სამეცნიერო ხელმძღვანელი;

2. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი-საგნები: მანქანების რემონტი, მანქანათა საიმედოობის თეორიული საფუძვლები. აღნიშნულ საგნებში კითხულობს ლექციებს და ხელმძღვანელობს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

3. გამოქვეყნებული სტატიები:

3.1. "Теория подобия и размерностей в исследовании процесса восстановления деталей сельскохозяйственной техники наплавкой под флюсом"; საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონგრესის შრომათა კრებული „მანქანები სოფლის მეურნეობაში“, ვარნა, ბულგარეთი, 2015, გვ.5...8;

სტატიაში დამუშავებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაცვეთილი დეტალების აღდგენის ინოვაციური რესურსდამზოგი ტექნოლოგია მდნობის ქვეშ ავტომატური დადულებით და მსგავსობითობისა და განზომილებათა თეორიის გამოყენებით დადგენილია აღდგენის ოპტიმალური რეჟიმები.

3.2. "Исследование процесса восстановления деталей сельскохозяйственной техники наплавкой под флюсом"; საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "Mechanization in Agriculture", სოფია, 2015, გვ. 2...5;

წარმოდგენილია თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების შედეგად დამუშავებული ოპტიმალური რეჟიმები და პარამეტრები სასოფლო სამეურნეო ტექნიკის გაცვეთილი დეტალების მდნობის ქვეშ ავტომატური დადულებისათვის;

3.3. დავნერგოთ ერთეულთა საერთაშორისო სისტემა ყოფა-ცხოვრებაში, სამეცნიერო ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №3(28), გვ. 67...70;

დასაბუთებულია ერთეულთა საერთაშორისო სისტემის გამოყენების აუცილებლობა ყოველდღიურ საქმიანობასა და ყოფა-ცხოვრებაში;

3.4. გუთნების სახნისების აღდგენის ინოვაციური ტექნოლოგია, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი, 2015, 8 გვ. ( ელექტრონული ვერსია);

მოცემულია ახალი რესურსდამზოგი ტექნოლოგია გუთნების სახნისების აღდგენისათვის და დამუშავებულია შესაბამისი მოწყობილობა და სამარჯვები;

3.5. სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების თეორიული საკითხები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის "მოამბე", თბილისი, 2015;

სტატიაში წარმოდგენილია სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების თავისებურებანი მათი რთულ კლიმატურ - ნიადაგობრივ პირობებში მუშაობის გათვალისწინებით. მასობრივი მომსახურების თეორიისა და ალბათურ-სტა-

ტიკური მოდელირების გამოყენებით მიღებულია შესაბამისი კოლმოგოროვის დიფერენციალური განტოლებები და საიმედოობის მაჩვენებლების საანგარიშო მათემატიკური მოდელები

3.6. Некоторые проблемы применения новой международной системы единиц(SI) в научных исследованиях и практике, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“ შრომათა კრებული, თბილისი, 2015, გვ.173...176;

ნაშრომში წარმოდგენილია ძირითადი მიმართულებები და ღონისძიებანი საქართველოში შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომებსა და პრაქტიკაში ერთეულთა საერთაშორისო სისტემის დანერგვისათვის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას;

3.7. რუსულ-ქართული აგროსაინჟინრო ტერმინოლოგიური და განმარტებითი ლექსიკონი, აკადემიური გამოცემა, ბათუმი, 2015, 306 გვ.;

ეს არის სრულტანიანი აკადემიური ნაშრომი, რომელსაც ანალოგი არა აქვს ქართულ აგროსაინჟინრო სფეროში და ამიტომ პირველი გამოცემაა. ლექსიკონი 4 წლის განმავლობაში შესრულებული შრომის შედეგია და მიზნად ისახავს საქართველოს აგროსაინჟინრო პრაქტიკასა და ყოფაცხოვრებაში წლების განმავლობაში უსამართლოდ დამკვიდრებული რუსული ბარბარიზმების შეცვლას შესაბამისი ქართული ტერმინებით;

4. აკად. ჯ. კაციტაძე საანგარიშო პერიოდში მოხსენებით გამოვიდ 2 საერთაშორისო და ერთ ადგილობრივ სამეცნიერო კონგრესსა და კონფერენციებზე.

4.1. ბულგარეთის ქალაქ ვარნაში 2015 წლის 22.25 ივნისს ჩატარებულ მეორე სამეცნიერო-ტექნიკურ კონგრესზე „მანქანები სოფლის მეურნეობაში“, სადაც იყო საერთაშორისო სამეცნიერო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. მოხსენება - Теория подобия и размерностей в исследовании процесса восстановления деталей сельскохозяйственной техники наплавкой под флюсом; წარდგენილ იქნა პლენალურ სხდომაზე, დაიმსახურა პირველი ადგილი და შესაბამისი დიპლომი;

4.2. ქალაქ თბილისში 2015 წლის 4,5 და 6 ნოემბერს ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“ მოხსენებით - Некоторые проблемы применения новой международной системы единиц(SI) в научных исследованиях и практике;

4.3. ქალაქ თბილისში 2015 წლის 24-25 ნოემბერს ჩატარებულ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოხსენება - გუთნების სახნისების აღდგენის ინოვაციური ტექნოლოგია;

მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ მოწოდებულ გამოფენაში“ მეცნიერული შედეგების კომერციალიზაცია“, სადაც წარდგენილო იყო გამოგონების დონეზე დამუშავებული 3 წინადადება, რომლებიც მოწონებული იქნა და დაიმსახურა სპეციალური დიპლომები;

5. არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის №FR/60/10-140/14 „თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო

ტექნიკის საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდის რესურსდამზოგი ინოვაციური ტექნოლოგიების თეორიულ-ექსპერიმენტული გამოკვლევა და ოპტიმიზაცია“- სამეცნიერო ხელმძღვანელი და გაეროს მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „აჭარის რეგიონში არსებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საექსპლუატაციო საიმედოობის მაჩვენებლების გამოკვლევა და ტექნიკური სერვისის რაციონალური ფორმების დამუშავება“ - მთავარი შემსრულებელი;

6. ორჯერ გამოვიდა მოხსენებით აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომებზე; თემა: „ბულგარეთის ქალაქ ვარნაში 2015 წლის 22-25 ივნისს ჩატარებულ მეორე სამეცნიერო-ტექნიკური კონგრესის „მანქანები სოფლის მეურნეობაში“ მუშაობის შედეგები. წარდგენილი იქნა შესაბამისი რეკომენდაციები აკადემიის მეცნიერების მომავალ კონგრესზე აქტიური ჩართვისათვის.

7. აკად. ჯ. კაციტაძე არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის "Mechanization in Agriculture" და ასევე ჟურნალების „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის "მოამბე“, "აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, "ახალი აგრარული საქართველო“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, რომლებიც ტარდება 2016 წლის 4-5 მარტს სოფიაში და 22-25 მარტს ვარნაში;

8. წარდგენილია საქართველოს პატენტზე ერთი გამოგონება „მაკოპირებელი მოწყობილობა გუთნების სახნისების მდნობის ქვეშ ავტომატური დადუღებით აღდგენისათვის“, რომელმაც უკვე გაიარა წინასწარი ექსპერტიზა;

9. არის ღირსების ორდენის კავალერი და "აგრარული მიმართულების 2014 წლის საქართველოს საუკეთესო მეცნიერის" წოდების მფლობელი აგროსაინჟინრო დარგში;


10. არის საქართველოს აგრარული და აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროსაინჟინრო სადისერტაციო საბჭოების წევრი და ხელმძღვანელობს ორ დოქტორანტს – გიორგი ქუთელიას და იოსებ აბულაძეს;

11. აკად. ჯ. კაციტაძის აზრით საჭიროა დაჩქარდეს შპს „მექანიზატორის“ განსახელმწიფოებრიობა, კატეგორიულად აიკრძალოს უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე ქართული მიწის გაყიდვა, საქართველოს მთავრობამ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოსცენ საკანონმდებლო დოკუმენტები და უზრუნველყონ ერთეულთა საერთაშორისო სისტემის (SI) დანერგვა სასწალო და სამეცნიერო დაწესებულებებში;

12. 2016 წელს დარგობრივ სექციაზე წარმოადგენს მოხსენებას „აგროსაინჟინრო დარგში ქართული ტერმინების დანერგვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“.



#### 5.3.2.4. აკად. რევაზ მახარობლიძე



1. აკად. რევაზ მახარობლიძე ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა შემდეგი პრობლემის შესრულებაში: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამანქანო ტექნოლოგიების, მანქანათა სისტემის და მათი ეფექტური გამოყენების მეცნიერული საფუძვლების დამუშავება“.

2. ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს მაგისტრებთან შემდეგ საგნებში:

2.1. „ექსპერიმენტების დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები“;

2.2. „სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია“;

2.3. „მცირე მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში“.

3. გამოქვეყნებული სტატიები:

3.1. მცენარეული მასალის გამკვრივების თეორია ვერტიკალური დარტყმის დროს. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალური დათბობა და აგრობიო მრავალფეროვნება“ მასალები, თბილისი, 2015;

მცენარეული მასალის გამკვრივების პროცესისათვის, მუშა ორგანოს ვერტიკალური დარტყმის შემთხვევისათვის, მიღებულია დაწინააღმდეგებელი მასალის სიმკვრივის საანგარიშო ფორმულა მისი რეოლოგიური თვისებების და დარტყმის პროცესის კინემატიკური და დინამიკური რეჟიმების გათვალისწინებით.

3.2. დარტყმითი ქმედების მუშა ორგანოებით ნიადაგის დაქუცმაცების თეორია. საერთაშორისო ჟურნალი „მექანიკის პრობლემები“, №2 (59), 2015 (ინგლისურ ენაზე);

ნიადაგის რეოლოგიური თვისებების გათვალისწინებით, ასევე დარტყმის თეორიისა და მყარი ტანების მსხვრევის კანონების გამოყენებით შემოთავაზებულია დარტყმითი მოქმედების მუშა ორგანოებით ნიადაგის დაქუცმაცების თეორია. ნიადაგის დამსხვრევის ხარისხი ფუნქციონალურად დაკავშირებულია მუშა ორგანოს კონსტრუქციულ, კინემატიკურ და დინამიკურ პარამეტრებთან, ასევე ნიადაგის ფიზიკო-მექანიკურ თვისებებთან. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნოლოგიური პროცესების დამუშავების დროს სოფლის მეურნეობაში და როტაციული მუშა ორგანოების მქონე მანქანების გაანგარიშებისათვის;

3.3. მცენარეული მასალის გამკვრივების თეორია ვერტიკალური და ჰორიზონტალური დარტყმის დროს. საერთაშორისო ჟურნალი „მექანიკის პრობლემები“ №3 (60), 2015 (ინგლისურ ენაზე).

მცენარეული მასალების რეოლოგიური თვისებების გათვალისწინებით, ასევე დარტყმის თეორიისა და ოპერაციული აღრიცხვის მათემატიკური აპარატის გამოყენებით, დამუშავებულია მცენარეული მასალის გამკვრივების თეორია. მიღებულია საანგარიშო ფორმულები, რომლებიც მასალის მიმდინარე სიმკვრივეს აკავშირებს მასალის რეოლოგიურ თვისებებთან და დარტყმითი პროცესის კინემატიკურ და დინამიკურ რეჟიმებთან;

3.4. მცენარეული მასალის ვიბრაციული დატვირთვით გამკვრივების თეორია. საერთაშორისო ჟურნალი „მექანიკის პრობლემები“ №4 (61), 2015 (ინგლისურ ენაზე);

დამუშავებულია ვიბრაციული დატვირთვით მცენარეული მასალის გამკვრივების თეორია, როცა ვიბრაციული ქმედების მუშა ორგანო (დგუში) მოძრაობაში მოდის მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმით, ხოლო რხევას ასრულებს ურთიერთ საწინააღმდეგო მიმართულებით მბრუნავი დებალანსებით. დამტკიცებულია, რომ რხევითი მოძრაობა ზრდის მასალის სიმკვრივეს 0-დან 65 %-მდე;

3.5. სამთაბარო თვითმავალი შასის სავალი სისტემის ნიადაგთან ურთიერთქმედება რეოლოგიური მეთოდების საფუძველზე. „აგრარული მეცნიერების მაცნე“, ტომი 13, №3 2015 (ინგლისურ ენაზე);

შემოთავაზებულია ექსპერიმენტული ადაპტური სამთაბარო თვითმავალი შასის სავალი სისტემის ნიადაგთან ურთიერთქმედების მათემატიკური მოდელი. ნიადაგის დეფორმაციის კანონად გამოყენებულია ფოიგტის რეოლოგიური მოდელი და წრფივი დეფორმაციის განზოგადოებული კანონი. გამოყვანილია ნიადაგის დეფორმაციის სიდიდის საანგარიშო ფორმულა, რომელიც ითვალისწინებს წინა მიმართველი და უკანა წამყვანი ტანდემ თვლების ურთიერთგანლაგებას. დამტკიცებულია, რომ სერიულ თვითმავალ შასთან შედარებით ექსპერიმენტული სამთაბარო თვითმავალი შასი ნიადაგს ტკეპნის 20%-ით ნაკლები სიდიდით;

3.6. საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციისა და განვითარების პრიორიტეტები. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“, №9 (53) 2015;

მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის საინჟინრო სფეროს ტექნიკური გადაიარაღების პრიორიტეტები და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლამოყვანის მაღალ ტექნოლოგიებზე თანდათანობით გადასვლის სტრატეგია. შემოთავაზებულია, რომ საინჟინრო სფეროში ინოვაციისადმი სისტემური ზემოქმედებისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, რომელიც შეასრულებს სამეცნიერო კვლევის, მანქანების დაპროექტება-დამზადების, გამოცდის და სამუშაოების ნორმირების ფუნქციებს.

3.7. სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ხაზით. ჟურნალი "აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტრექნოლოგიები". №4. 2015;

მოცემულია საკითხების ჩამონათვალი და კვლევების ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც უნდა შესრულდეს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მიმართულებით სოფლის მეურნეობის არსებული ჩამორჩენის დაძლევისა და ამ დარგის მდგრადი განვითარების მიზნით.

3.8. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ნიადაგის ტკეპნა და მისი შემცირების ტექნოლოგიური და კონსტრუქციული დონისძიებანი. სამეცნიერო კონფერენციის მასალები „ნიადაგის როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში. თბილისი, 2015.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოვლა-მოყვანის თანამედროვე რესურს-დამზოგი სამანქანო ტექნოლოგიები ითვალისწინებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ნიადაგის ტკეპნის კანონზომიერებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომში მოცემულია ნიადაგის დამუშავების მაღალი ტექნოლოგიების აღწერა და მისი ტკეპნის შემცირების კონსტრუქციული ღონისძიებანი.

3.9. გადაზრდილი და დეგრადირებული ჩაის პლანტაციების მძიმედ გასხვლის სამანქანო ტექნოლოგია. (რეკომენდაციები). სსმმ აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2015.

რეკომენდაცია განკუთვნილია იმ ფერმერული მეურნეობებისათვის, რომელთა ძირითადი საქმიანობა არის ჩაის წარმოება. იგი აგრეთვე დააინტერესებს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტებს და აგროსაინჟინრო მიმართულების მაგისტრებს და დოქტორანტებს;

3.10. „შეფუთული“ სენაჟის დამზადება მცირეკონტურიან ნაკვეთებში. (რეკომენდაციები), სსმმ აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2015;

რეკომენდაცია განკუთვნილია იმ ფერმებისა და ფერმერული მეურნეობებისათვის, რომელთა ძირითადი საქმიანობა არის მეცხოველეობა. იგი აგრეთვე დააინტერესებს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტებს და მეცხოველეობის და აგროსაინჟინრო მიმართულების მაგისტრებს და დოქტორანტებს.

3.11. ალტერნატიული ენერჯია - ბიოგაზის გენერატორი. (რეკომენდაციები). სსმმ აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2015;

რეკომენდაცია განკუთვნილია ფერმერთა კოოპერატივების, დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის. მისი გამოყენება სასარგებლო იქნება აგრარული მიმართულების მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის.

3.12. ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები და ტექნიკური საშუალებები. (რეკომენდაციები), სსმმ აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2015;

რეკომენდაციების გამოყენება შეუძლია ფერმერებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ნიადაგის ეროზიისგან დაცვის სამანქანო ტექნოლოგიებით. იგი სასარგებლო იქნება ასევე აგრარული მიმართულების მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის.

3.13. საქართველოს სოფლის მეურნეობის საინჟინრო სრულყოფის საკითხები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. გაერთიანებული ღია კრების მასალები თემაზე: „საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები“. თბილისი, 2015;

4. მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში (თბილისი, 2015 წ.) „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“. მოხსენების თემა: „მცენარეული მასალის გამკვირვების თეორია ვერტიკალური დარტყმის დროს“.

4.1. სამეცნიერო კონფერენციაზე „ნიადაგების როლო ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი



განვითარების საქმეში“, (თბილისი, 2015) გამოვიდა მოხსენებით: „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ნიადაგების ტექნიკის თეორია და მისი შემცირების კონსტრუქციული ღონისძიებანი“.

5. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მონაწილეობს შემდეგი სამეცნიერო გრანტების დამუშავებაში:

5.1. „სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფერდობზე მუშაობის ფიზიკური და მათემატიკური მოდელირების მეთოდების დამუშავება“ (ხელმძღვანელი);

5.2. „დარტყმის თეორიისა და რეოლოგიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური პროცესების, მანქანების და იარაღების დამუშავებაში“ (ძირითადი შემსრულებელი);

5.3. „მცირე კონტურიან სათიბებში შეფუთული სენაჟის დამზადების ახალი ტექნოლოგიის დამუშავება, მცირე მექანიზაციის ბაზაზე“ (დამხმარე პერსონალი);

დ. „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ნორმატიულთან შესაბამისობის კვლევა და ანალიზი“ (დამხმარე პერსონალი);

5.4. „მრავალფუნქციური დანიშნულების მოდიფიცირებული სამთაბარო თვითმავალი შასის თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევა და ძირითადი პარამეტრების ოპტიმიზაცია“ (დამხმარე პერსონალი);

6. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი და აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ასევე ეროვნული კოორდინატორი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებში.

საინჟინრო სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე (მრგვალი მაგიდა) გამოვიდა მოხსენებით „რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდით დაფინანსებული გრანტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

7. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ რედკოლეგიის წევრი, სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ჟურნალ „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრი.

### **წინადადებები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარების შესახებ**

1. სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური გადაიარაღება უნდა მოხდეს მაღალი ტექნოლოგიის შემსრულებელი მანქანებით;

2. საზღვარგარეთიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემქნამდე საჭიროა მათი ნიმუშების წინასწარი გამოცდა ქვეყნის რეგიონების მიხედვით;

3. ქვეყანაში არსებულ და მშენებარე სერვის-ცენტრებს უნდა დაეკისროს დამატებითი ფუნქცია. კერძოდ, ისინი უნდა გახდნენ რეგიონებში მაღალი ტექნოლოგიების დემონსტრირების ორგანიზაციები. ამისათვის მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი მიწის ნაკვეთები, სადაც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლამოყვანას მაღალი ტექნოლოგიებით და ამ ტექნოლოგიების დემონსტრირებას ფერულ მეურნეობებისათვის;

4. სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა უნდა დაამუშაონ რეკომენდაციები, თუ რომელი ტიპის მაღალი ტექნოლოგია გამოდგება კულტურების მოვლა-მოყვანისათვის ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-კლიმატურ პირობების გათვალისწინებით;

5. ქვეყანაში უნდა აღდგეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა სპეციფიკური კულტურების (ჩაი, სუბტროპიკები, სამთო მიწათმოქმედება და ა.შ.) მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციისათვის;

6. ყოფილი მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, რომლის ფუნქცია იქნება:

ა) ქვეყნის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის სამანქანო ტექნოლოგიების და მანქანათა სისტემის დამუშავება;

ბ) სპეციფიკური კულტურების მოვლა-მოყვანისათვის ახალი თაობის მანქანათა კომპლექსების დაპროექტება, დამზადება და წარმოება;

გ) საზღვარგარეთიდან შემოსატანი ტექნიკის ნიმუშების გამოცდა;

დ) ტექნოლოგიური პროცესების შესრულების ოპერაციების მიხედვით სამუშაოების ნორმირება;

7. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განვითარების სახელმწიფო რეგულირებისათვის მისაღებია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები:

7.1. კანონი აგროსამრეწველო კომპლექსის მანქანათმშენებლობის შესახებ;

7.2. კანონი საქართველოს აგროსამრეწველო წარმოების ტექნოლოგიური პოლიტიკის შესახებ;

7.3. კანონი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობებისას და ხელსაწყოების სერტიფიკაციის ნორმატიული აქტების შესახებ;

7.4. კანონი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების სერტიფიკაციის ნორმატიული აქტების შესახებ;

7.5. კანონი საამორტიზაციო ანარიცხებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში ტექნიკური განახლების მიზნობრივი ფონდების ფორმირების შესახებ; კანონი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დილერების შესახებ;

8. დამუშავდეს მომხმარებელთა კრედიტირების მექანიზმი ტექნიკის შესყიდვის დაფინანსებისათვის, მათ შორის ლიზინგის საფუძველზე.



### 5.3.2.5. აკადემიკოსი ელბუჯა შაფაქიძე



1. სამეცნიერო თემა: “მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დამუშავება”; თემის ხელმძღვანელი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. შაფაქიძე;

1.1. საინვესტიციო პროექტი: ”მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში 2015-2025 წლებში”. პროექტის შედგენის და შესრულების პასუხისმგებელი პირი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. შაფაქიძე;

#### 2. გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები.

2.1. New technologies in Georgian sericulture, (ახალი ტექნოლოგიები მეაბრეშუმეობაში); (თანაავტორები გ. ნიკოლეიშვილი, ნ. ბარამიძე); 7-th BACSA internacional conference “Organic Sericulture-Now and the Future”. “Orgaseri-2015”, (Abstracts). კომფერენციის მასალები, რუმინეთი, სინაია, 2015 წელი, გვ.53;

2.2. Economic efficiency and rooting of disease resistant mulberry cuttings in warm thermal water. (დაავადებაგამძლე თუთის თესლნერგების დაფესვიანება თბილ თერმულ წყლებში და ეკონომიკური ეფექტურობა). (თანაავტორები გ. ნიკოლეიშვილი, თ. დალალიშვილი); 7-th BACSA internacional conference “Organic Sericulture-Now and the Future”. “Orgaseri-2015”, (Abstracts). კომფერენციის მასალები, რუმინეთი, სინაია, 2015 წელი, გვ. 32;

2.3. Technology, economic efficiency and production of non-traditional livestock feed out of Mulberry leaves roughened in autumn. (გვიან შემოდგომაზე თუთის ფოთლებიდან არატრადიციული საკვების დამზადების ტექნოლოგია და ეკონომიკური ეფექტურობა). (თანაავტორები გ. ნიკოლეიშვილი, თ. დალალიშვილი); 7-th BACSA internacional conference “Organic Sericulture-Now and the Future”. “Orgaseri-2015”, (Abstracts). კომფერენციის მასალები, რუმინეთი, სინაია, 2015 წელი, გვ. 34;

2.4. Sericulture enterprises integration, profit and distribution (მეაბრეშუმეობის საწარმოების ინტეგრაცია, მოგება და განაწილება); (თანაავტორები გ. ნიკოლეიშვილი, თ. კუნჭულია); 7-th BACSA internacional conference “Organic Sericulture-Now and the Future”. “Orgaseri-2015”, (Abstracts). კომფერენციის მასალები, რუმინეთი, სინაია, 2015 წელი, გვ. 54;

2.5. Sericulture production potential in Georgia, its use and economic efficiency (საქართველოში მეაბრეშუმეობის საწარმოო პოტენციალი და ეკონომიკური ეფექტურობა);

(თანაავტორები გ. ჯაფარიძე, გ. ნიკოლეიშვილი); 7-th BACSA internacional conference “Organic Sericulture-Now and the Future”. “Orgaseri-2015”, (Abstracts). კომფერენციის მასალები, რუმინეთი, სინაია, 2015 წელი, გვ. 55;

2.6. როგორ მდგომარეობაშია რეგიონებში აგროსაინჟინრო დარგი; ჟურნალი “ახალი აგრარული საქართველო”, №7(51) თბილისი, ივლისი, 2015, გვ. 19-20;

2.7. ახალი ტექნოლოგიები მეაბრეშუმეობაში; ჟურნალი “ახალი აგრარული საქართველო”, №7(51) თბილისი, ივლისი, 2015, გვ. 29-31;

2.8. აბრეშუმის პარკის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები; (თანაავტორები გ. ნიკოლეიშვილი, ნ. ბარამიძე), მე-IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია; შრომათა კრებული. ქუთაისი, 2014 წელი, გვ. 20-26;

2.9. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების სამანქანო ტექნოლოგიები (თანაავტორები გ. ჩიტაია, გ. მოსაშვილი), ჟურნალი “ახალი აგრარული საქართველო”, №8(52) თბილისი, აგვისტო, 2015, გვ. 32-34;

2.10. გლობალური დათბობა, თუთის არეალის გაფართოება, მრავალმიზნობრივი გამოყენება და ეკონომიკური ეფექტიანობა. (თანაავტორები გ. ნიკოლეიშვილი, თ. დალაღიშვილი); საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, სსმმა, ნოემბერი, 2015, გვ. 406-409;

2.11. გლობალური დათბობა და ნიადაგის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები, (თანაავტორი მ. ქვარცხავა), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, სსმმა, ნოემბერი, 2015, გვ. 343-346;

2.12. სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ხაზით. (თანაავტორები გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, თ. ქეშელაშვილი, რ. მახარობლიძე). ჟურნალი “აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები”. №4, თბილისი, 2015, გვ. 53-56.

2.13. მეაბრეშუმეობა და მისი მაპროფილბელ დარგებთან შეთანაწყობა, როლი და მნიშვნელობა (თანაავტორი გ. ნიკოლეიშვილი); სამეცნიერო ჟურნალი "საქართველოს აგრარული პოლიტიკის აქტუალური პობლემები", ქართული პოლიტიკა, თბილისი, 2015, გვ. 87-98;

3. მომზადებულია გამოსაცემად (ჩაბარებულია გამომცემლობაში) მონოგრაფია "საქართველოს მეაბრეშუმეობა-პრობლემები, რეაბილიტაცია, აღორძინება", თანაავტორი პროფ. გ. ნიკოლეიშვილი, თბილისი, "პოლიგრაფი", 2015 წელი, 260 გვ.

რედაქტორი აკად. ნ. ჭითანავა, რეცენზენტი აკად. თ. ქეშელაშვილი.

მონოგრაფია შესრულებულია შავი, კასპის ზღვების და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) პრეზიდენტის პროფესორ პანომირ ცენოვის ინიციატივით და აღმასკომის წევრების მორალური მხარდაჭერით. იგი განკუთვნილია ფერმერების, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პრაქტიკოსი მცირე მეწარმეების, მეაბრეშუმეობის დარგის ბაკალავრების, მაგისტრანტების,

დოქტორანტების, მეცნიერების და ყველა მათთვის, რომლებსაც გარკვეული წვლილი შეაქვთ საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციისა და აღორძინების საქმეში.

The monograph is carried out on the initiative of Dr. Panomir Tzenov, President of the Black, Caspian Seas and Central Asia Silk Association (BACSA) and with moral support from the executive committee members. It is designed for farmers, small entrepreneurs engaged in agriculture, BA, MA, PhD students majoring in sericulture and for all those who intend to contribute to the rehabilitation and revival of sericulture sector in Georgia.

ნაშრომის გამოცემის პერიოდი ემთხვევა შავი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის—BACSA-ს გააქტიურებას საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების მიმართულებით. დამყარებულია ქართველი მეაბრეშუმეების მჭიდრო კონტაქტები მათთან. ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტი მიესალმება დღეს მოქმედი ხელისუფლების მიერ მეაბრეშუმეობის აღორძინებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს და იზიარებს ყველა იმ მეცნიერულ სიახლეს, რომელიც ამ მიმართულებით ხორციელდება საქართველოში; უფრო მეტიც, იგი ყოველმხრივ უწყობს ხელს საქართველოს მეცნიერების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების და სხვა ტექნიკური ხასიათის სიახლეების გავრცელებას და დანერგვას BACSA-ში გაერთიანებულ ქვეყნებში, რეცენზირებას უწევს ყველა ნაშრომს, რეკომენდაციას, ტექნიკურ გადაწყვეტას და ა.შ. ავტორები უდიდეს მადლობას გამოთქვამენ BACSA-ს პრეზიდენტის, დოქტორის, პროფესორ პანომირ ცენოვის მიმართ და ხაზს უსვამენ მის დიდ წვლილს საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენასა და განვითარებაში.

4. საზღვარგარეთის და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა:

✓ მონაწილეობა მე-IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენციაში; ქ. ქუთაისი, 2015 წელი. მოხსენების თემა: " აბრეშუმის პარკის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები";

✓ მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება" - თბილისი, 4,5,6 ნოემბერი, 2015 წელი.

მოხსენებები: "გლობალური დათბობა და ნიადაგის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები", (თანამომხსენებელი მ. ქვარცხავა);

"გლობალური დათბობა, თუთის არეალის გაფართოება, მრავალმიზნობრივი გამოყენება და ეკონომიკური ეფექტიანობა",

(თანამომხსენებელი გ. ნიკოლეიშვილი, თ. დალალიშვილი, ა. ჩაგელიშვილი).

5. 2015 წელს საქართველოს შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა საგრანტო პროექტმა FR/454/10 – 140/14 "ტექნოლოგიური პროცესების ენერგოდანახარჯების გაანგარიშების საფუძველზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო წარმოებებისათვის აუცილებელი ტექნიკის ნომენკლატურისა და რაოდენობის განსაზღვრის მეთოდის დამუშავება რეგიონში კულტურათა სახეობებისა და დაკავებული ფართობების მიხედვით". გრანტის

**პროექტის ხელმძღვანელი – ე. შაფაქიძე;** ძირითადი შემსრულებლები – გ. მოსა-  
შვილი, დ. ჩიტაია;

6. მონაწილეობა სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში. აკად. ე. შა-  
ფაქიძის მონაწილეობით განხილული საკითხები:

➤ საკითხი "საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2015  
წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის განხილვა–დამტკიცება", მომხსენებელი ე.  
შაფაქიძე (ოქმი №3, 31.01.2015);

➤ საკითხი "საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიური საბჭოს სხდომების მიერ მიღებული დადგენილებების შესრულების  
მიმდინარეობის შესახებ", მომხსენებელი ე. შაფაქიძე ((ოქმი №3, 31.01.2015);

➤ საკითხი "აკადემიის მიერ 2014 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგრო-  
წესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურებისა და სხვა ბეჭდვითი და ელექ-  
ტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამო-  
მავლო პერსპექტივების შესახებ". მომხსენებელი ე. შაფაქიძე (ოქმი №7, 27.03..2015);

➤ საკითხი "აგრარულ სფეროში საუკეთესო ფუნდამენტალური, საგანმანათ-  
ლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომებისათვის აკადემიის პრემიის მინიჭების"  
დებულების შესახებ". ე. შაფაქიძე (ოქმი №7, 27.03..2015);

➤ საკითხი "საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გლობალური დათ-  
ბობა და აგრობიომრავალფეროვნება” საორგანიზაციო საკითხების შესა-  
ხებ", მომხსენებელი ე. შაფაქიძე (ოქმი №13, 02.11..2015);

➤ საკითხი "მეცნიერების დღისადმი მიძღვნილი მეცნიერებისა და ინოვაციების  
საერთაშორისო კვირეულის შესახებ". მომხსენებელი ე. შაფაქიძე (ოქმი №14, 27.11..2015);

7. **საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური  
დეპარტამენტის უფროსი;** სსმმ აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), (03  
დეკემბერი, 2015 წელი); საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (აკა-  
დემიკოსი); სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი; სსმმ აკადემიის აგროსაინ-  
ჟინრო სამეცნიერო განყოფილების წევრი; სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორი  
მეაბრეშუმეობის მიმართულებით; შავი, კასპიის ზღვების და შუა აზიის რეგიონების  
ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) კოორდინატორი საქართველოში;  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მომამბის” რედკოლე-  
გიის წევრი; ჟურნალ “ახალი აგრარული საქართველო”-ს რედკოლეგიის წევრი;  
საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის განყოფილების წევრი;

8. **გამოგონება "აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისაგან გამწმენდი მოწ-  
ყობილობა", პატენტი, P 6284, (თანაავტორი ვ. მირუაშვილი), თბილისი, 01. 07. 2015;**

9. აკად. ე. შაფაქიძის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკა-  
დემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე გაწეული საქმიანობის  
მოკლე ჩამონათვალი და დახასიათება:

➤ საგრანტო პროექტი თემაზე "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება", მომზადება და წარდგენა შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდში (პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე);

➤ სსმმ აკადემიაში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება", საორგანიზაციო საკითხების ხელმძღვანელობა;

➤ სსმმ აკადემიის 2014 წლის ანგარიშის მომზადება და გამოცემა, 364 გვ. გამომცემლობა შპს "პოლიგრაფი", იანვარი-თებერვალი 2015 წელი;

➤ სსმმ აკადემიის 2015 წლის აგრარულ სფეროში საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომის კონკურსის ორგანიზაციული სამუშაოების ხელმძღვანელობა;

➤ სსმმ აკადემიის საგამომცემლო საქმიანობის სტენდის განახლების ორგანიზაცია;

➤ სსმმ აკადემიაში აგრარული მიმართულების თვალსაჩინო მასალების დამზადების ორგანიზაცია;

➤ სსმმ აკადემიის წევრების მიერ 2015 წელს მომზადებული რეკომენდაციების რედაქტირება და გამოცემა, სულ 45 რეკომენდაცია;

➤ სსმმ აკადემიის ვებ-გვერდისათვის მასალების მომზადება;

➤ 2015 წელს სსმმ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა;

სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს მომზადების ორგანიზაცია;

➤ მონაწილეობა სსმმ აკადემიის 2015 წლის სამუშაო გეგმების შედგენაში;

➤ სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ოფიციალური სტატისტიკური და პირველადი მასალების შეკრება და ანალიზი.

➤ სსმმ აკადემიის სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმებისათვის შესაბამისი მასალების მომზადება, ოფიციალური ხელმოწერის ორგანიზება;

➤ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კვირეულში აკადემიაში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის "საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები", შრომათა კრებულის მომზადება, რედაქტირება და გამოცემა (13 ნოემბერი, 2015 წელი);

➤ აკადემიაში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის "ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში", შრომათა კრებულის მომზადება, რედაქტირება და გამოცემა (04 დეკემბერი, 2015 წელი);

10. აკად. ე. შაფაქიძის მიერ გრძელდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შემდეგ თემებზე:

**❖ აგროსაინჟინრო მიმართულებების პერსპექტივები საქართველოში:**

➤ საჭიროა ძირეულად შეიცვალოს ქვეყანაში აგროსაინჟინრო მიმართულების სპეციალისტთა სწავლების და პრაქტიკის არსებული სისტემა, რისთვისაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეწოდოს დასაბუთებული წინადადებები ამ მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ (შემსრულებელი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია);

➤ აუცილებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ჩამოყალიბდეს აგროსაინჟინრო სამსახურის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის ფუნქცია იქნება საქართველოს ფერმერული მეურნეობების პირობებისათვის მანქანათა სისტემების და მცენარეთა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რუქების დამუშავება, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისათვის მექანიზებული სამუშაოების ტექნიკური საშუალებების რეაბილიტაცია ან ახლის შექმნა, სახელმწიფო ან კერძო კომპანიების მიერ ქვეყანაში შემოსული საზღვარგარეთის ტექნიკის პირველი ნიმუშების გამოცდა და შესაბამისი დასკვნების გაცემა მათი შემდგომი დიდი პარტიებით შესაძენად, საკვლევი-საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმართვა;

➤ მიზანშეწონილია შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო რეგიონალური სერვის ცენტრები, რომელთა საქმიანობა (რემონტი, გამოსახმარისება და სხვა ოპერაციები) განხორციელდება აგროსაინჟინრო სამსახურის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეთოდის მიხედვით;

➤ სასურველია უახლოეს პერიოდში რეგიონალური მასშტაბით განხორციელდეს მექანიზატორთა კადრების მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ფუნქციონირება აგროსაინჟინრო სამსახურის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დამუშავებული პროგრამებისა და მეთოდის მიხედვით;

➤ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ უზრუნველყოს აგროსაინჟინრო სფეროს სპეციალისტებისათვის შესაბამისი ლიტერატურის დამუშავება, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მათი სტამბური წესით დაბეჭვდა და ფერემერებისათვის მიწოდება;

➤ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აუცილებელია აგროინჟინერიის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შექმნა, რომელიც განსაზღვრავს იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელიც საჭიროა იმ პერიოდისათვის ქვეყნის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის აგროსაინჟინრო სამსახურის ფუნქციების განსახორციელებლად.

**❖ მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების და ტექნიკური საშუალებების განვითარების, პერსპექტივები საქართველოში:**

➤ აუცილებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში დანქარდეს მეაბრეშუმეობაში მიზნობრივი პროგრამის დამუშავება, რომლის საფუძველი იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დამუშავებული კონცეფცია “საქართველოს მეაბრეშუმეობა 2012-2020 წლებში” (თანაავტორი ე. შაფაქიძე);

➤ აუცილებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გარკვეული სამუშაოები ჩაატაროს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დამუშავებული საინვესტიციო პროექტის “მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში (I ეტაპი – 2015-20120 წ.წ და II ეტაპი – 2021-2025 წ.წ.)”, განხორციელებისათვის (თანაავტორი ე. შაფაქიძე);



➤ ფერმერულ მეურნეობებში ან ინდივიდუალურ საწარმოებში ფართოდ დაინერგოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დამუშავებული “მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვების, პარკის გაწმენდის და პირველადი დამუშავების, ნედლი პარკიდან აბრეშუმის ძაფის ამოხვევის ტექნოლოგიები მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით” (თანაავტორი ე. შაფაქიძე).

## **11. წინადადებები მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-აღორძინების დაჩქარებისათვის:**

➤ სახელმწიფომ მეაბრეშუმეობა უნდა მიიჩნიოს პროირიტეტულ დარგად და გავრცელდეს მასზე პროტექციონიზმის პოლიტიკა, საგადასახადო შეღავათები და ა.შ.;

➤ აბრეშუმის პარკის წარმოების ძირითად ორგანიზაციულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ სხვადასხვა დონეზე შექმნილი კოოპერატივები, ამხანაგობები და სხვა გაერთიანებები. კოოპერატივების (ამხანაგობების) ინიციატივით უნდა შეიქმნას ტერიტორიული ინტეგრირებული საწარმოები (საკარმიდამო მეაბრეშუმეობა+ძაფის რეგიონალური ამოხვევა), რითაც მოხდება საბოლოო პროდუქციის წარმოებაზე მეაბრეშუმეობის ეკონომიკური ინტერესების მიბმა ძაფის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ნაწილის მეაბრეშუმეებზე გაცემის გზით. ამასთან, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, ხელი უნდა შეუწყონ მათ ბაზრების მოძიებისა და პროდუქციის რეალიზაციის საქმეში.

➤ ხელი შეეწყოს და ყოველმხრივ დაჩქარდეს მეაბრეშუმეობაში მაღალ-პროდუქტიული ჯიშების, მცირე მექანიზაციის ტექნოლოგიების და ტექნიკურ საშუალებათა დანერგვას, აგრეთვე სააბრეშუმო მრეწველობაში უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების მოძიება-წარმოებაში დანერგვას;

➤ საერთაშორისო მასშტაბით BACSA-სთან მჭიდრო ინტეგრაცია უნდა განვითარდეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის სფეროში შემოქმედებითი კავშირის განხორციელების და ბიზნესის საქმეში-უცხოეთის ფირმებთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების მიმართულებით;

➤ მეაბრეშუმეობის აღორძინება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის ადგილზე დამაგრება და მძიმე ეკონომიური პირობების შემსუბუქების ინტერესებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგება ხონის სასელექციო სადგურისა და ჩოხატაურის საგრენაუო ქარხნის აღდგენის დაჩქარება, რისთვისაც საჭიროა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამ მიმართულებით გაითვალისწინოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის რეკომენდაციები და პრაქტიკული წინადადებები, რომლებიც მეცნიერული დასაბუთებებით იქნებიან გამყარებული.

## **12. სსმმ აკადემიის 2016 წლის სამუშაო გეგმებში მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი საკითხები:**

12.1. საქართველოს რაიონებში აგროსაინჟინრო სფეროს მუშაობის გაუმჯობესებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

12.2. მრგვალი მაგიდა – “სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ოპტიმალური პირობების შესახებ”.

12.3. საქართველოს სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილების " მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში" საინვესტიციო პროექტის განხორციელების შესახებ;

12.4. მარტვილის რაიონის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მუშაობის გამოცდილების შესახებ.



### 5.3.2.6. აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე



#### 1. 2015 წელს მონაწილეობა მიიღო:

1.1. მრგვალი მაგიდის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა საკითხს “სეტყვისაგან დაზიანებული ვენახის მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ”- 14 ივლისი 2015 წ.

1.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა საკითხს “გლობალური დათბობა და აგრომრავალფეროვნება” – 4-5-6 ნოემბერი 2015 წ.

1.3. სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში “ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში”, 4 დეკემბერი 2015 წ.

#### 2. აკადემიის აკადემური საბჭოსათვის მომზადებული საკითხები:

2.1. ენერგეტიკის არატრადიციული წყაროების გამოყენების არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ;

2.2. “სეტყვა და მასთან ბრძოლის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები”.

#### 3. 2015 წელს შემუშავებული იქნა:

3.1. სამთო სოფლის მეურნეობის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით – საკითხის არგუმენტაცია, პროგრამა, რეკომენდაციები, დეკლარაცია.

#### 4. 2015 წელს გამოქვეყნებული შრომები:

4.1. თეორიული საფუძვლები თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოების გაანგარიშებისა და გაზრდისათვის გაცვეთილი დეტალების აღდგენის რესურსდამზოგი ტექნოლოგიის გამოყენებით – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის "მოამბე", №35, 2015, თბილისი;

4.2. სამთო სოფლის მეურნეობა (განვითარების თავისებურებები, ტენდენციები და პრიორიტეტული ამოცანა) – ჟურნალი “აგრარულ – ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები”, №3, 2015, თბილისი.

5. 2015 წელს აკად. შ. ჭალაგანიძის რედაქტორობით გამოვიდა “რუსულ-ქართული აგროტექნიკური ტერმინოლოგიური და განმარტებითი ლექსიკონი”.

სულ გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი ნაშრომი, 14 წიგნი, 2 მონოგრაფია. არის 10 გამოგონების ავტორი;

არის საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს სამეცნიერო-საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმების წევრი, საქართველოს სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბის”, ჟურნალების “საქართველოს საინჟინრო სიახლეები”, “ახალი აგრარული საქართველო” და “სატყეო მოამბეს”-ს რედაქციების წევრი.

**6. სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურების წოდებები:**

აკად. შ. ჭალაგანიძე დაჯილდოებულია 4 ორდენით, მ.შ. “მეგობრობის” და “ღირსების” ორდენებით, 2 მედლით და 2 საპატიო ნიშნით. არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მინიჭებული აქვს “წლის ინჟინერისა” და “წლის საუკეთესო მეცნიერის” საპატიო წოდებები.



**5.3.2.7. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით სარიშვილი**



აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. სარიშვილის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს აგროსაინჟინრო სფეროს გაუმჯობესებისა და სტაბილიზაციის ღონისძიებების დამუშავება და მათი ფერმერულ მეურნეობებში დანერგვის საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათიბ-საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების საკითხებზე კვლევების ჩატარება სათანადო მანქანა-იარაღების შექმნით. აგრეთვე აღსანიშნავია მის მიერ დანერგილი საქართველოში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება ქვეყნის ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით და შექმნილია მოსავლის აღების ოპტიმალური მათემატიკური მოდელი. მის კვლევებს შორის მრავალი შრომა ეძღვნება სოფლად მრავალწახ-

ნაგოვან საინჟინრო მომსახურებას და ა.შ.



**5.4. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების  
სამეცნიერო განყოფილება**

აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია  
სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე,  
დოქტორი ანატოლი გიორგაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 3 წევრი - 3 აკადემიკოსი.

აკადემიკოსები: ბალათურია ნუგზარი, ნანიტაშვილი თენგიზი, პაპუნძე გურამი.

**5.4.1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების  
სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის სამუშაო გეგმა**

№	საკითხების (თემების დასახელება)	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2014 წელს გაწეული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ	იანვარი	სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე	
2	აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ	თებერვალი	აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორები	

3	აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია	
4	აკადემიკოს გურამ პაპუნძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მარტი	აკადემიკოსი გურამ პაპუნძე	
5	აკადემიკოს თენგიზ ნანიტაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მარტი	აკადემიკოსი თენგიზ ნანიტაშვილი	
6	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ	აპრილი	აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია	
7	ციტრუსოვანთა ნაყოფების უნარჩენო გადამუშავების ტექნოლოგიის შესახებ	აპრილი	აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია	
8	პურის ნატურალური დანამატების მიღებისა და გამოყენების შესახებ	აპრილი	ტექნიკის დოქტ. ლია კოტორაშვილი ტექნიკის დოქტ. მაკა ორმოცაძე	
9	ატმის არყის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების შესახებ	მაისი	ტექნიკის დოქტ. ელენე კალატოზიშვილი	
10	ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების შესახებ	ივნისი	ტექნიკის დოქტ. აელიტა ხოტივარი	
11	ცხიმზეთების წარმოების განვითარების	ივნისი	აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო	

	პერსპექტივები საქართველოში		განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათური	
12	ქართული ჭაჭის არყის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ	ივლისი	აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათური	
13	ქართული ღვინის ნატურალურობის მაჩვენებლები, ფიზიკურ-ქიმიური კრიტერიუმები	ივლისი	ტექნიკის მეცნ. დოქტ. ნანა ბეგიაშვილი	
14	პექტინოვანი ნივთიერებები ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტებში	სექტემბერი	ტექნიკის დოქტ. ეთერი უთურაშვილი	
15	ბუნებრივი ბიოსტიმულატორების მიღება ყურძნის ნარჩენებიდან	ოქტომბერი	აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათური	
16	სამამულო შაქრის წარმოების მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში	ნოემბერი	აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათური	

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2015 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	2	3	4	5	6
1	ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტები და მათი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები	სემინარი	აპრილი	სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების განყოფილება;	
2	კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ნარჩენები და მათი უტილიზაცია	სემინარი	ივლისი	სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამამუშავების განყოფილება;	

განყოფილებაში 2015 წელს ჩატარდა 11 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 16 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოს მდივანი ნუგზარ ბაღათურია; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე. 2. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოს მდივანი ნუგზარ ბაღათურია; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

მეორე სხდომა ჩატარდა 10 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ; **მომხსენებლები:** აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორები.

მესამე სხდომა ჩატარდა 24 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია ვაზისა და ღვინის კანონში შესწორებების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია. 2. აკადემიკოს გურამ პაპუნძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს თენგიზ ნანიტაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

მეოთხე სხდომა ჩატარდა 17 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია; 2. ციტრუსოვანთა ნაყოფების უნარჩენო გადამუშავების ტექნოლოგიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია; 3. პურის ნატურალური დანამატების მიღებისა და გამოყენების შესახებ. **მომხსენებლები:** ტექნიკის დოქტორი ლია კოტორაშვილი; ტექნიკის დოქტორი მაკა ორმოცაძე;

მეხუთე სხდომა ჩატარდა 21 მაისს და განხილული იქნა საკითხი: ატმის არყის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების შესახებ. **მომხსენებელი:** დოქტორი ელენე კალატოზიშვილი.

მექვსე სხდომა ჩატარდა 9 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: ცხიმ-ზეთების წარმოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში.

**მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 10 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: 1. ქართული ღვინის ნატურალურობის მაჩვენებლები, ფიზიკურ-ქიმიური კრიტერიუმები. **მომხსენებელი:** მეცნ. დოქტ. ნანა ბეგიაშვილი. 2. სანელებელი და არომატული მცენარეების შრობის საკითხები.

**მომხსენებელი: დოქტორი ნაზი ალხანიშვილი.**

მერვე სხდომა ჩატარდა 21 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: **პექტინოვანი ნივთიერებები ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტებში.** მომხსენებელი: ტექნიკის დოქტორი ეთერი უთურაშვილი.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 13 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: **ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების შესახებ.** მომხსენებელი: ტექნიკის დოქტორი აელიტა ხოტივარი.

მეათე სხდომა ჩატარდა 18 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ქართული შაქრის წარმოების მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია. 2. შესწორებები კვების პროდუქტების სანიტარულ ნორმებსა და წესებში. მომხსენებელი: დოქტორი ეთერი ედიბერიძე.

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 24 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: **ყურძნის ნარჩენებიდან ბუნებრივი ბიოსტიმულატორების მიღების შესახებ.** მომხსენებელი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია.

#### **5.4.2. სოფლის მეურნეობის პროდუქტების უვნახვისა და გაღამუშავების სამეცნიერო განყოფილების წევრების მოკლე ანბარიშები**

##### **5.4.2.1. აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია**



**I. 1. სამეცნიერო მიმართულება:** “დამუშავდეს ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების მიღების რაციონალური ტექნოლოგიები ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით”, ხელმძღვანელი აკად. ნ. ბაღათურია.

**2. სამეცნიერო მიმართულება:** ”შეიქმნას სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანი ღვინო და ალკოჰოლიანი სასმელები”, ხელმძღვანელი აკად. ნ. ბაღათურია.

**3. სამეცნიერო მიმართულება:** “გამოკვლეულ იქნას ეკოლოგიურად სუფთა საკვები დანამატების: საღებავების, არომატიზატორების, შემასქელებლების წარმოების რაციონალური ტექნოლოგიები”, ხელმძღვანელი აკად. ნ. ბაღათურია.

**4. გარდამავალი კვლევითი სამუშაოს (ეტაპის)**

**შედეგები (ანოტაცია):**

**4.1. დავალების დასახელება:** “ყურძნისა და ღვინის გაღამუშავების ნარჩენების გამოყენებით ანტიოქსიდანტური უალკოჰოლო ღვინის მიღების რაციონალური ტექნოლოგიის გამოკვლევა”.

გამოკვლეულ იქნა ღვინომასალების დისტილაციის ტექნოლოგიური რეჟიმების (გადაღვინის ტემპერატურა, პროცესი ხანგრძლივობა) გავლენა ალკოჰოლ მოშორებული სითხის ქიმიურ შედგენილობასა და ანტიოქსიდანტურ თვისებებზე

**4.2. დავალების დასახელება:** “ციტრუსოვანთა ნაყოფებიდან რადიოპროტექტორულ თვისებების მქონე კონსერვების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება”



გამოკვლევულ იქნა ციტრუსოვანთა ნაყოფებიდან ტერპენული ნივთიერებების (ეთეროვანი ზეთების) წყლის ორთქლით გამოხდის პროცესი და მასზე სხვადასხვა ფაქტორების მოქმედება.

- გარდა თემატიური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებისა, შესწავლილ იქნა ფუნქციური დანიშნულების სასმელების მიღების ტექნოლოგიები; დამზადდა ექსპერიმენტული პროდუქციის ქვემოთ ნაჩვენები ნიმუშები.



4.3. დავალების დასახელება: **პრევენციული საკვები პროდუქტების მიღება რკინადეფიციტური ანემიის კორექციისთვის ბავშვთა კონტიგენტში.**

შესწავლილ იქნა მარწყვის, გარგარის, ალუბალის, ტყემალის, სამკურნალო მცენარე ჭინჭრის ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვლილებები ეკოლოგიურად უსაფრთხო ზონების დადგენის მიზნით.

დამუშავდა მათგან ფუნქციური თვისებების მქონე წველების, ხილფაფების მიღების ტექნოლოგია.

**5.1. ატმის სასმელების დამზადების ტექნოლოგიის გამოკვლევა**

შეიქმნა ატმის წვენის ალკოჰოლური დუღილის მათემატიკური მოდელი, ეთანოლისა და თანმდევი პროდუქტების დაგროვების ოპტიმალური ტექნოლოგიური რეჟიმები.

- გამოკვლევულ იქნა დადუღებული ატმის წვენის ქიმიური შედგენილობა, შერჩეულ იქნა ნედლი სპირტის მიღების ტექნოლოგიური დანადგარები;

**5.2. გარდა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებისა, ასევე შესწავლილ იქნა**

ჭაჭის არყის მიღების ახალი ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მიზნობრივი პროდუქტის მიღებას მთელი ყურძნის მტევნის გადამუშავებით. ახალი ტექნოლოგია უზრუნველყოფს ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ასორტიმენტის გაფართოებასა და მათ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. დამზადდა ახალი სასმელების ექსპერიმენტული ნიმუშები.

6.1. თემა: **“დისტილაციური ეთეროვანი ზეთების მიღების ახალი ტექნოლოგიის გამოკვლევა ენერგეტიკული დანახარჯების 50-60%-ით შემცირების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნედლეულის კომპლექსური გამოყენების მიზნით”;**

გამოკვლევულ იქნა: ა) ეთერზეთოვანი მცენარეებიდან უჯრედული წვენის გამოწნეხვის პროცესი;

ბ) დადგინდა პიტნისა და ტარხუნის უჯრედული წველების ქიმიური შედგენილობები.

**6.2. “მანდარინის ნედლეულისაგან ჰიდრატოპექტინების მიღების რაციონალური ტექნოლოგიის დამუშავება და მათ საფუძველზე რადიოპროტექტორული კვების პროდუქტების მიღება”.**

შესწავლილ იქნა ჰიდრატოპექტინების პურ-ფუნთუშეულში შეყვანის ოპტიმალური რეცეპტურები და მათი გავლენა მზა პროდუქტის ხარისხზე;

დამუშავდა პურფუნთუშეულის ახალი ასორტიმენტი და მომზადდა ტექნოლოგიური მენტაციები რადიოპროტექტორულ პურ-ფუნთუშეულზე (რეცეპტურა, ტექნოლოგიური ინსტრუქცია, ტექნიკური პირობები);

განხორციელებულ იქნა ახალი სახის პურ-ფუნთუშეულის სამრეწველო აპრობაცია და შეფასებულ იქნა დამუშავებული ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების ეკონომიკური ეფექტურობა.

II. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის კვების ინდუსტრიის დეპარტამენტში აკად. ნ. ბაღათურია არის საგანმანათლებლო პროგრამის – “ კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები” - ხელმძღვანელი.

**III. მონოგრაფია:**

3.1. ნ. ბაღათურია - "ენოლოგია", თბილისი, გამომც.“ქართული აკადემიური წიგნი, 2015, 419 გვ;

ენოლოგია – კომპლექსური მეცნიერება ღვინის შესახებ – ეფუძნება კაცობრიობის მიერ ამ სასმელთან დაკავშირებით მოპოვებულ მრავალმხრივ ცოდნას.

ენოლოგია თავის თავში მოიცავს მეღვინეობას – ალკოჰოლური დუდილის გზით ყურძნის წვენის ღვინოდ გარდაქმნის კონტროლირებულ პროცესს. ის ასევე შეისწავლის მიღებული პროდუქტის შემდგომი მოვლისა და შენახვის დროს მიმდინარე გარდაქმნებს. ამასთან, ენოლოგიის სფეროს არ განეკუთვნება საკუთრივ მევენახეობა.

აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას მონოგრაფია არის პირველი ფუნდამენტური ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია ქვევრის ღვინის მიღების ქართული ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები. ტექნოლოგიისა, რომელსაც იუნესკომ 2013 წელს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. წიგნში დეტალურადაა აღწერილი ღვინის წარმოქმნის, ფორმირების, დავარგებისა და დამწვლელების სტადიებზე მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური გარდაქმნები; განხილულია ალკოჰოლური დუდილის პროცესზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები; აღწერილია ღვინის მიღების ევროპული და ქართული ტექნოლოგიებისა და ამ ტექნოლოგიებით მიღებული ღვინოების თავისებურებანი; წარმოდგენილია მონაცემები ღვინის დაავადებებისა და მათი გამოსწორების გზების შესახებ; მონოგრაფიაში დეტალურადაა გამოკვლეული როგორც ევროპული, ასევე ქართული ტიპის ღვინოების ფალსიფიკაციისას მიმდინარე ცვლილებები, შემოთავაზებულია ღვინის ნატურალობის მანქნებელი ფიზიკურ-ქიმიური კრიტერიუმები.

წიგნი განკუთვნილია მეღვინეობის სფეროში დასაქმებული მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის. ის ასევე დიდ დახმარებას გაუწევს პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კურსის ათვისებისა და პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებაში.

#### **IV. სახელმძღვანელო:**

ნ. ბაღათურია, ნ. ბეგიაშვილი, გ. გოლეტიანი და სხვ. - "კვების პროდუქტების ტექნოლოგია", თბილისი, გამომც. "ქართული აკადემიური წიგნი, 2015, 570 გვ;

კვების მრეწველობა – ესაა მრავალპროფილიანი, ეფექტური და საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პოტენციალი, რომლის განვითარებაზე ბევრადაა დამოკიდებული აქ არსებული სოციალური პრობლემებისა და ეროვნულ-ეთნიკურ ურთიერთობათა პრობლემების მოგვარების საკითხიც.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ გზას წარმოადგენს მისი წამყვანი დარგის – კვების მრეწველობის ამოქმედება. დარგისა, რომელიც გასულ წლებში იძლეოდა ეროვნული შემოსავლის 50%-ზე მეტს.

საქართველოში კვების მრეწველობის ცალკეული დარგების აღორძინება მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას, რაც თავის მხრივ შეუძლებელი იქნება კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების სფეროში თანამედროვე ქართულენოვანი სახელმძღვანელოების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის გარეშე.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მიეცა შესაძლებლობა მის ბაზაზე, კვების მრეწველობის ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ქვეყნის წამყვანი მეცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით შეედგინა ამჟამად მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა „კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები“, რომლის შემდგომი განვითარების მიზნით ქართველ და უცხოელ ავტორთა ჯგუფის მიერ დაიწერა წინამდებარე სახელმძღვანელო ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. მასში განახლებულადაა წარმოდგენილი აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის ისეთი საგნები, როგორებიცაა საკვები მცენარეული ზეთების, ეთერზეთების, პურის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის, სუფრის ღვინოებისა და სხვა კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიები.

წიგნი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს კვების პროდუქტების წარმოების ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სფეროში სხვა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და ათვისების საქმეში.

#### **V. სტატიები:**

5.1. ნ. ბაღათურია - საკვლევი არეალი სოფლის მეურნეობის შენახვისა და გადამუშავების მიმართულებით. ჟურნალი "აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები". №3, 2015;

5.2. ნ. ბაღათურია, თ. ნანიტაშვილი, ნ. ბეგიაშვილი - ევროპული ტიპის სუფრის ღვინოების პეპტიდების ამინომჟავები. ჟურნალი "აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები". №2, 2015;

#### **VI. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა:**

6.1. ნ. ბაღათურია, ნ. ბეგიაშვილი, ნ. აღსანაშვილი - მთის აგროსისტემების ბიომრავალფეროვნება – ფუნქციური კვების პროდუქტების წყარო; თბილისი, 4,5,6 ნოემბერი, 2015 წელი;

დადგენილია ფუნქციური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების სანედლეულო ბაზა საქართველოში;

6.2. ნ. ბაღათურია - საქართველოს კვების მრეწველობის საექსპორტო პოტენციალი და მისი ამოქმედების ინოვაციური ტექნოლოგიები; აშშ, ნიუ-იორკი, 8.9 დეკემბერი, 2015 წელი;

მოსხენებაში მოყვანილია საექსპორტო პროდუქციის წარმოების რეზერვები საქართველოს ღვინის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების, საკონსერვო პროდუქციისა და ნატურალური საკვები დანამატების წარმოების სფეროებში. შემოთავაზებულია ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები.

VII. აკად. ნ. ბაღათურიამ, როგორც ეროვნულმა კოორდინატორმა, შეიტანა შესწორება კანონში "ვახისა და ღვინის შესახებ". კერძოდ, კანონში პირველად იქნა განმარტება იმის შესახებ, რომ ჭაჭის არაყი შეიძლება მიღებულ იქნას არა მარტო ჭაჭის გადამუშავებით, არამედ საამისოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას მთლიანი ყურძენი. კანონში შეტანილი აღნიშნული სიახლე საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ჭაჭის არყის ხარისხი, გაფართოვდეს მისი ასორტიმენტი.



#### 5.4.2.1. აბაღმიძის თემაზე ნანიტაშვილი



აკად. თ. ნანიტაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მუშაობს მთავარ მეცნიერ კონსულტანტად; იგი მონაწილეობდა, როგორც მეცნიერ – ხელმძღვანელი და უშუალო შემსრულებელი, ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი თემატიკური გეგმით გათვალისწინებული შემდეგი თემის დამუშავებაში:

**"დამუშავდეს ღვინის სტაბილიზაციის რაციონალური ტექნოლოგია პროტეოლიზური და პექტოლიზური ფერმენტების გამოყენებით კომპლექსში სხვა მეთოდებთან ერთად".**

საანგარიშო პერიოდში გამოყენებულია ერთი სამეცნიერო ნაშრომი: ნ. ბაღათურია, თ. ნანიტაშვილი, ნ. ბეგიაშვილი, ც. შილაკაძე, ბ. ბაღათურია – „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, 2015წ. გვ. 51.

#### ანოტაცია:

აღნიშნულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებულ ნაშრომში პირველად არის გამოკვლეული ევროპული ტიპის თეთრი სუფრის ღვინოების შემადგენლობაში არსებული ძირითადი პეპტიდების ამინომჟავები. დადგენილია მათი რაოდენობითი და თვისობრივი ცვლილებები ყურძნის გადამუშავების, ალკოჰოლური ღუღილის ტექნოლოგიური დამუშავებისა და ღვინის სტაბილიზაციის პროცესში, აგრეთვე მათი როლი ღვინის ხარისხობრივი მაჩვენებლების ჩამოყალიბებაში.

აკად. თ. ნანიტაშვილი არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი და ეროვნული კოორდინატორი "მევენახეობა-მელვინეობის" მიმართულებით.

არის სამეცნიერო ჟურნალის – „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ს სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრი.



#### 5.4.2.1. აკადემიკოსი გურამ პაპუნძიძე



2015 წელს აკადემიკოს გურამ პაპუნძიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სამუშაოები ხორციელდებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის აგრარული დარგობრივი კომისიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მელვინეობის ეროვნულ კოორდინატორთა ჯგუფის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის თემატური გეგმების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა წინა წლებში დაწყებული სამუშაოების შესრულების პროცესი და ხორციელდებოდა ახალი პროექტებისა და პროგრამების ცალკეული ეტაპების მიხედვით საჭირო მასალების მოძიება, მონაცემთა ბაზის ფორმირების დაწყება, საბოლოო და შუალედური დასკვნებისა და რეკომენდაციების შედგენა.

გურამ პაპუნძიძის მიერ უშუალო ხელმძღვანელობასა და შესრულებაში აქტიურად ჩართულობის ფორმით სამეცნიერო კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სამუშაოები მოიცავდა სხვადასხვა დონეებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების, ცალკეული დარგების მიხედვით. სამუშაოთა განხორციელების პროცესში ხორციელდებოდა კვლევის ობიექტების სისტემური ანალიზის ფორმებით შესწავლა, აქტიურ პრობლემათა წარმოჩენა და მათი გადაჭრის გზებისა და რესურსების განსაზღვრა.

წარმოდგენილი ანგარიში რამდენიმე ძირითადი მიმართულებით განხორციელებული სამუშაოთა ნუსხას მოიცავს.

1. მევენახეობა-მელვინეობის მიმართულებით - მნიშვნელოვანია ბათუმი და ზეთის ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის მეუფე დიმიტრის ინიციატივით მოწყობილი ყოველწლიური ოჯახში დამზადებული ღვინოების ტრადიციული ტექნოლოგიებით დამზადებული ღვინის ფესტივალი „2015 წელი“, რომლის

ძირითადი ორგანიზატორი და სადევუსტაციო კომისიის უცვლელი თავმჯდომარე არის აკად. გურამ პაპუნძიძე.

ფესტივალის შედეგებმა დაადასტურა ამ პროექტის აქტუალობა და მნიშვნელოვანი როლი სფეროს განვითარებაში. რაზედაც მეტყველებს წარმოდგენილი საკონკურსო ნიმუშების დიდი რაოდენობა, მონაწილეთა დიდი რიცხვი და რაც მთავარია წარმოდგენილი ღვინოების მრავალფეროვნება და გაუმჯობესებული ხარისხი. ღონისძიების მაღალი იმიჯი განპირობებულია სადევუსტაციო კომისიის შემადგენლობის მაღალ მეცნიერული და პროფესიული კომპეტენციით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მატერიალური ტექნიკური ბაზისა და საკადრო პოტენციალის აქტიური ჩართვით, ობიექტური და სრულფასოვან მონაწილეთა მოზიდვით.

ფესტივალმა ყოველწლიური სასწავლო საკონსულტაციო და მეცნიერული კვლევების მიმართულებების განსაზღვრის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის სტიმულირების პრობლემებთან დაკავშირებული ფორუმის სახე მიიღო. შექმნილია მუდმივმოქმედი საორგანიზაციო ჯგუფი რომლის წევრებთან უშუალო მიმართვა შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, მიაწოდონ თავიანთი წინადადებები და მიიღონ რეკომენდაცია-დახმარებები. ფესტივალის ჩარჩოებში ტარდება სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია მეწარმეების აქტიური მონაწილეობით. მეწარმეების მიერ დასმულ პრობლემატურ საკითხებს პასუხობენ სადევუსტაციო კომისიის ცნობილი მეცნიერები და დამსახურებული მეღვინე სპეციალისტები, ასევე სადევუსტაციო კომისიის მონაწილეობით ტარდება სამეცნიერო კონფერენცია შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მონაწილეობით.

აკად. გურამ პაპუნძიძის მიერ მომზადებული იქნა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში ჩატარებული ყველა ღვინის ფესტივალის ყოველწლიური მასალების სისტემატიზაციას და ანალიტიკური მონაცემთა ბაზას. შემუშავდა წინადადებები ჩხავერის ჯიშის ყურძნის ჯიშობრივი სიწმინდის დაცვისა და მოსახლეობისათვის წმინდა ჯიშის ნერგების მიწოდების თაობაზე. შემუშავებული იქნა რეკომენდაციები და წინადადებები ღვინის ტურიზმის განვითარების, ღვინის მწარმოებელი საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობისა და ღვინის ხარისხის ამაღლების, რეალიზაციის გაფართოების პრობლემებზე.

გურამ პაპუნძიძემ საჯარო ლექციები წაიკითხა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის.

2. მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის დარგების რეაბილიტაცია-განვითარების მიმართულებით – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-დანერგვითი თემატური გეგმის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელებაში მონაწილეობა.

ამ დარგების შენარჩუნება განვითარების, რენტაბელობის ამაღლების, ნარგაობათა ფართობების ოპტიმიზაციის, მოსახლეობის დასაქმებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პრობლემებზე სამუშაოები წლების განმავლობაში მიმდინარეობს და გრძელდებოდა 2015 წელსაც.

კვლევები მოიცავდა საქართველოს სუბტროპიკული ზონის რეგიონებს. შესწავლილი იქნა მეციტრუსეობის ზონებში სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების პროცესში ოჯახური და ფერმერული მეურნეობების ჩართულობის დინამიკა, მოსალოდ-

ნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, ჯიშობრივი განახლების, ახალი პლანტაციების გაშენებისა და ამორტიზირებული ნარგავების შევსება-მოწესრიგების საკითხების გადაწყვეტა.

მომზადდა წინადადებები და რეკომენდაციები მეცნიერული კვლევების შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესახებ.

კვლევებისას გამოყენებული იქნა ციტრუსოვანთა ახალი ჯიშების გამოცდა დანერგვის მიმართულებით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის-ცენტრის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები.

ჩატარდა შეხვედრები ციტრუსების ნაყოფის დამზადება-გადამუშავებისა და რეალიზაციის სფეროში მომუშავე ინვესტორებთან და მეწარმეებთან. მათ მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია არსებული ტექნოლოგიების შესახებ, რომლებიც მაღალეფექტური და რენტაბელური იქნება სტანდარტული ნაყოფის სასაქონლო სახის გაუმჯობესებისათვის, შენახვისუნარიანობისა და ტრანსპორტაბელურობის ამაღლებისათვის, ასევე არასტანდარტული ნაყოფის სამრეწველო გადამუშავებისათვის.

გურამ პაპუნძის მიერ მომზადდა რეკომენდაციები და წინადადებები ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავების კომპლექსური და უნარჩუნო ტექნოლოგიების დანერგვის, პროდუქციის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის გაფართოების და თანამედროვე არმატიზატორების გამოყენების პრობლემებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი იყო საქართველოში მეჩაიეობის დარგის რეალური პოტენციალის განსაზღვრისა და ოპტიმალური წარმოების მოცულობის პროგნოზირების, ახალი ტექნოლოგიების შემუშავება დანერგვის მიმართულებით გაწეული სამუშაოები. კვლევები ეხებოდა ძირითადად გადამუშავების ტექნოლოგიების სრულყოფას, ნედლეულის უნარჩუნო გამოყენებას, გადამამუშავებელი საწარმოო ობიექტების ამოქმედებას, ასორტიმენტისა და ნომენკლატურის გაფართოებას. რეკომენდებულ ტექნოლოგიებს შორის პრიორიტეტულად მიჩნეული იქნა მწვანე ჩაის, უალკოჰოლო სასმელების, საერთო მოხმარებისა და სპეციალური დანიშნულების კვების პროდუქტების დამზადება.

3. განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინსტიტუტის მიმართულებით - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ეკონომიკური კვლევებისა და ტურიზმის დარგობრივი კომისიის მიერ „საქართველოში განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის ანალიზი და გაუმჯობესების დონისძიებების შემუშავება“ პროექტში მონაწილეობა. პროექტი ითვალისწინებს მრავალმხრივი ინფორმაციული მასალების მოძიებას, სისტემატიზაცია-დამუშავებას და რეკომენდაციების შემუშავებას. ინფორმაციული მასალების მომწოდებლებად განსაზღვრულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციები, ბიზნესის სუბიექტები. შეფასებული იქნება მეცნიერული სიახლეების შემუშავებისა და მის მომხმარებელ სუბიექტებს შორის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების დონე, ეროვნული მეცნიერების პოტენციალის გამოყენების რეალური მდგომარეობა.

4. ქვეყანაში მოქმედი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია და ქვეყნის გარეთ მეცნიერულ წრეებთან თანამშრომლობის მიმართულებით – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა სუბიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა ერთობლივი სამუშაოები აგრო და

გადამუშავების ტექნოლოგიების, აგრო და ღვინის ტურიზმის, ადგილობრივი რესურსების ათვისების, რეგიონული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის პრობლემებზე.

აკად. გურამ პაპუნძე მეცნიერთა ჯგუფებთან ერთად თანამშრომლობდა ბალტიისპირეთის ქვეყნების, საბერძნეთის, თურქეთის, რუსეთის, ბელარუსიის, შუა აზიის ქვეყნების მეცნიერული კვლევების ცენტრებთან. ორგანიზაციებს უკეთებდა მათი წარმომადგენლების მოწვევას საქართველოში, ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, მუშა შეხვედრების და სხვა სახის ფორუმების ჩატარებას.

გურამ პაპუნძე თავის მეცნიერულ პოტენციალს და პრაქტიკულ გამოცდილებას აქტიურად იყენებდა სტუმრებთან, პროფესორ-პედაგოგებთან და სხვა კატეგორიის პირებთან თანამშრომლობისათვის, სასწავლო პროგრამების შემუშავების, საჯარო ლექციების ჩატარებას, რეკომენდაციებსა და წინადადებების მიწოდების, აზრთა გაზიარების სახით. ის აქტიურად მონაწილეობდა აჭარის რეგიონის სოციალურ-ეკონომური განვითარების პროგრამების შემუშავება განხორციელებაში საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივებისათვის.

აკად. გურამ პაპუნძის მიერ მომზადდა რეცენზიები აგრობიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, კონცეფციებსა და პროგრამებზე. საანგარიშო პეიოდში მის მიერ და სხვა მეცნიერებთან ერთად მომზადებული იქნა სამეცნიერო სტატიები სხვადასხვა პრობლემებზე. მონაწილეობდა სადოქტორო დისერტაციების მომზადებასა და დაცვაში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიის საბჭოსთან არსებული მევენახეობა-მეღვინეობის ეროვნული კოორდინატორთა ჯგუფის ხელმძღვანელის გურამ პაპუნძის მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში**

მევენახეობა-მეღვინეობის ეროვნულ კოორდინატორთა ჯგუფი 2015 წელს აწარმოებდა სამუშაოებს ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონებში დარგის განვითარების აქტუალური პრობლემების გამოვლენის, მათი გადაჭრის გზების ძიებისა და ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიმართულებით. სამუშაოთა

განხორციელებაში გამოყენებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების, რეგიონული და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების, აგრობიზნესის სუბიექტებთან ურთირთობების რესურსები.

სხვადასხვა მონაწილე მხარეების მევენახეობა-მეღვინეობის ეროვნული კოორდინატორთა ჯგუფის მუშაობის ჩართულობამ საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა შემდგომი პერიოდის პროექტებისა და პროგრამების შემუშავების პრიორიტეტული მიმართულებები.

კოორდინატორთა ჯგუფმა თავისი მუშაობა ძირითადადში მიმართა აგრო და გადამამუშავების ტექნოლოგიების შემუშავება დანერგვის, სწავლება-კონსულტირების, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის პოპულარიზაციის, რენტაბელობის, ჯიშთა დარაიონების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების და სხვა მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაზე.

მიწების პრივატიზაციის პირობებში საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში ზვრების მოწყობა დაიწყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და ქალაქებიდან დაინტერესებულმა პირებმა.



როგორც ბათუმში ჩატარებული ოჯახური ტექნოლოგიებით დამზადებული ღვინოების ფესტივალების შედეგებმა აჩვენა, საკონკურსოდ წარმოდგენილი ღვინოების ნიმუშები მეწარმეთა მიერ თავიანთ ოჯახებში დაყენებული ღვინოებია და ხშირ შემთხვევაში არ პასუხობს მოთხოვნებს, პროდუქცია დაბალხარისხიანია და გააჩნიათ მთელი რიგი ნაკლოვანებები.

ასეთი მდგომარეობის ძირითად ნიზეზებად მიჩნეულია მოსავლის აღებისას, კრევის ტექნიკური სიმწიფის, ტრანსპორტირების, გადამუშავების რეგლამენტის დაცვის, ღვინის დაყენება-შენახვის წესებისა და სხვა მეთოდური მითითებების შესახებ ცოდნის დაბალი დონე.

ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა მოკვლეული მასალები, შემუშავდა პროგრამული ხედვები ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელებისა და სწავლება-კონსულტირების სისტემის ეფექტური ფორმით წარმართვასთან დაკავშირებით. ყოველწლიურად გამოდის საცნობარო-სასწავლო შინაარსის წიგნი, რომელიც საინტერესო და სასარგებლოა მევენახეობა-მეღვინეობისათვის დაინტერესებული საქართველოს ყველა მეწარმისათვის.

კოორდინატორთა ჯგუფის სამუშაო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა კვლევები საქართველოში ჩხავერის ჯიშის ყურძნის გავრცელებისას ჯიშთა სიწმინდის დაცვის მიმართულებით.

როგორც ცნობილია ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ამ ჯიშის მიმართ გამომდინარე იქიდან, რომ მეცნიერულმა კვლევებმა და პრაქტიკულმა გამოცდილებამ გამოავლინა საკმაოდ მაღალი პოტენციალი ამ ჯიშის ყურძნისაგან მაღალხარისხოვანი და უნიკალური თვისებების მქონე ღვინოების დამზადების თვალსაზრისით. აჭარა-გურიის რეგიონები ნამყენი მასალების ძირითადი მიმწოდებელია, რაზედაც დიდია მოთხოვნა. ნერგების გამოყვანას აწარმოებენ ცალკეული პირები, რომელთაც არ შეუძლიათ იზრუნონ წმინდა ჯიშის ჩხავერის ნერგების გამოყვანა მიწოდებაზე. ეს კი საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს წარმოებული ყურძნის ნედლეულის არაერთგვაროვნებასა და ხარისხზე.

როგორც გამოირკვა კვლევების ჩატარების პროცესში ყოველწლიურად სხვადასხვა სოფლებიდან გაიტანება ან ადგილზე გამოიყენება კალმები, რომელთა ჯიშობრივი სიწმინდის დასაბუთება არ არსებობს.

დადგინდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ე.წ. ჩხავერად წოდებული, მაგრამ განსხვავებული მახასიათებლების მქონე არაწმინდა ჯიშები ხასიათდება ნაყოფის ბიოქიმიური შემადგენლობის, მოსავლიანობის, ნედლეულის ხარისხის, მისგან დამზადებული ღვინოების კონკურენტუნარიანობის დამაკმაყოფილებელი დონით. ამ მიმართულებით მომზადდა საცნობარო-საინფორმაციო და სარეკომენდაციო მასალები. განისაზღვრა კერძო და ფერმერულ მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მოთხოვნა ნერგებზე და რეალურად სასურველი ჯიშის კალმების დამზადების პოტენციალი. შემუშავდა წინადადებები სანერგე მეურნეობების მოწყობის თაობაზე.

აჭარა ბოლო წლებში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს დგამს და ეს პროცესი განპირობებულია ადგილობრივი რესურსების არსებობით.

კოორდინატორთა ჯგუფმა გაითაღისწინა აჭარაში ჯიშთა დარაიონების ოპტიმალური, ეფექტური მოდელის ჩამოყალიბების აუცილებლობა და ჩაატარა კვლევები ადგილობრივი და ინტროდუცირებული ყურძნის ჯიშების მიხედვით.

კვლევების მთავარი მიზანი იყო ქედის ახლად აშენებული ღვინის ქარხნის ფუნქციონირების ხელშემწყობი გარემოს შექმნა საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივების გათვალისწინებით. ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ნიადაგების ნაყოფიერების, გავრცელებული დაავადებათა და მავნებლების შესწავლის საფუძველზე მომზადდა მევენახეობაში აგროტექნოლოგიების გატარების რეკომენდაციები. ჩატარდა შეხვედრები ქარხნის წარმომადგენლებთან და მევენახე-მეღვინეებთან. ქარხნის ხელმძღვანელობა თავის საწარმოო პროგრამის განხორციელებაში იყენებს ჯგუფის რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის ფარგლებში განხორციელდა ჩხავერისაგან ბოთლური მეთოდით დამზადდა ცქრიალა ღვინის საწარმოო ექსპერიმენტული ნიმუშები. კვლევები ეხებოდა აგრო და გადამუშავების ტექნოლოგიების სრულყოფას. მათ შორის სასუქების, შხამქიმიკატების, ბიოპრეპარატების, ტექნიკური საშუალებების და მეღვინეობაში გამოყენებული თანამედროვე საშუალებების დანერგვას. აღნიშნული კვლევების შედეგების გამოყენება მიმართულია ფერმერულ და ოჯახურ მეურნეობაში, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებში მევენახეობა-მეღვინეობის დონის ამაღლებისაკენ. კვლევების შედეგები სასარგებლო იქნება ჩხავერის ჯიშის ყურძნის გაშენებისა და ღვინის წარმოებით დაინტერესებული მეწარმე სუბიექტებისათვის.

კოორდინატორთა ჯგუფის სამუშაო პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველწლიურად ბათუმში ჩატარებული ოჯახური ტექნოლოგიებით დამზადებული ღვინოების ფესტივალები. 2015 წელს წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოდგენილი საკონკურსო ღვინოების სახეობათა რაოდენობა, გაფართოვდა მონაწილეთა გეოგრაფია. სადეგუსტაციო კომისიის მუშაობის ეფექტურობას დიდად შეუწყო ხელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საკადრო პოტენციალის გამოყენებამ. მეცნიერებმა და სპეციალისტებმა მაღალმეცნიერულ და პროფესიონალურ დონეზე მოახდინეს ანალიზური მასალების მომზადება. გარდა ამისა მომზადდა ინფორმაციული მასალები და დასკვნები იმის შესახებ თუ რა ტექნოლოგიებს და ტექნიკურ საშუალებებს იყენებდნენ მეღვინეები ოჯახურ პირობებში ღვინის დაყენებისას, როგორი იყო სრული ციკლი ვაზის ყვავილობიდან მოსავლის აღებამდე, რა აგროტექნოლოგიებს იყენებდნენ, როგორ მართავდნენ დაღვინებისა და შენახვის პროცესებს, როგორი იყო წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურა, რეალიზაციის რეალური პირობები და ა.შ.

ფესტივალზე მოეწყო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, რომელზედაც მიმდინარეობდა მსჯელობა საქართველოს მასშტაბით მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის თაობაზე. ფესტივალზე საკონკურსოდ ღვინოების წარმომდგენ პირებს მიეცათ ინდივიდუალური შეფასებები მათ პროდუქციაზე. კოორდინატორთა ჯგუფის მიერ გადაწყდა უახლოეს პერიოდში, შემდგომი მუშაობის პროგრამის ფარგლებში მომზადდეს ერთიანი ანალიტიკური მასალები საქართველოში ჩატარებული ღვინის ფესტივალების მასალებზე დაყრდნობით.

კოორდინატორთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა თავის ხედვა მევენახეობა-მეღვინეობაში აგრო და გადამუშავების ტექნოლოგიების განხორციელებისათვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფის თაობაზე და შეიმუშავა მეცნიერული

კვლევების ჩატარებისა და მაღალკომპეტენტური რეკომენდაციების და წინადადებების მომზადების მეთოდური საფუძვლები. საკითხი ეხება სასუქების, შხამქიმიკატების, ბიოპრეპარატების, ღვინოპროდუქციის მიღების პროცესში გამოყენებული სხვადასხვა საშუალებების პრაქტიკული შედეგების შეფასებას.

- წინასწარ მოსამზადებელი დაკვირვებითი სამუშაოები სხვადასხვა რეგიონებში ადასტურებენ, რომ ჯერ კიდევ დაბალია მევენახე-მეღვინეობის საქმიანობით დაკავებული პირების ცოდნის დონე, ასევე სერიოზული ხარვეზები არსებობს სავაჭრო ქსელში შემოტანილი პროდუქციის ხარისხის მიმართ. შედარებით ჯანსაღი მდგომარეობაა საქართველოს სოფლის მეურნეობის აგროსერვისცენტრების ობიექტებში, მაგრამ ამ მიმართულებით სერიოზული პროგრამები და პროექტები უნდა განხორციელდეს. მომზადდა მეთოდური მასალები, რომელთა გამოყენებითაც განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით.

- ქვეყანაში კონკურენტუნარიანობისა და დივერსიფიკაციის მაღალი პოტენციალის დონის მქონე ყურძნის ჯიშებისა და ღვინოპროდუქციის სახეობების დადგენა, სხვადასხვა ინფორმაციულ წყაროებზე დაყრდნობით;

- ტურისტებისა და სხვა უცხოელი ვიზიტორების მიერ ქვეყანაში დამზადებული ღვინოების ცალკეული სახეობების მოხმარების სტრუქტურის მოცულობის დადგენა;

- ქვეყნის შიგა ბაზარზე საქარხნო და ოჯახური ტექნოლოგიებით დამზადებული ღვინოების მოხმარების სტრუქტურის და მოცულობითი მაჩვენებლების დადგენა;

- ქვეყანაში ღვინის ტურიზმის განვითარების მიღწეული დონისა და შესაძლო პოტენციალის განსაზღვრა რეგიონების მიხედვით;

- ღვინის ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზური შეფასებების მომზადება რუსეთისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე ექსპორტის მიღწევები ფორმებისა და ამ ქვეყნის მიერ მოთხოვნილი ხარისხობრივი სტანდარტების დაცვის არ შემძლე ფორმების ნუსხის დადგენა. არსებული ბარიერების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება;

- სახელმწიფოს მიერ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების სახელმწიფო სტრუქტურისა და ხელშემწყობი პოლიტიკის სრულყოფისა და გაფართოების წინადადებების შემუშავება;

- მევენახეობა-მეღვინეობის ბიზნეს სფეროში განათლებისა და მეცნიერების ჩართულობის ხარისხის დადგენა და საჭირო ღონისძიებების შემუშავება;

- საქართველოში ცალკეულ რეგიონებში სუფრის ყურძნის ჯიშების დარაიონება გაშენების რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება. ქვეყანაში შემოტანილი და მოხმარებული ყურძნის სახეობებისა და მოცულობის შესწავლა;

საანგარიშო პერიოდში კოორდინატორთა ჯგუფის მიერ ხორციელდებოდა მონიტორინგი და ანალიტიკური შეფასებები ყურძნის მოსავლის შესყიდვის ორგანიზაციისა და პროდუქციის შესყიდვის ფასების მოძიების მიმართ.



## 5.5. სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილება

### აკადემიკოს-მდივანი - აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილება შეიქმნა პრეზიდენტის ბრძანების (№01/22 24.07.2015) საფუძველზე. მასში გაერთიანდნენ აკადემიკოსები ზურაბ ცქიტიშვილი, რევაზ ასათიანი, ზაურ ჩანქსელიანი, რევაზ ჩაგელიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე. სულ 5 წევრი. ამავე დროს ისინი არიან სხვა სამეცნიერო განყოფილების წევრები, მაგრამ აკადემიის წესდება იძლევა ამის შესაძლებლობას. აღნიშნული განყოფილების შექმნა მნიშვნელოვანია რადგანაც იგი პასუხობს თანამედროვე ევროკავშირთან დაახლოებული კანონმდებლობისა და გამოწვევების მოთხოვნებს.

**აკადემიკოსები:** ზურაბ ცქიტიშვილი, რევაზ ასათიანი, ზაურ ჩანქსელიანი, რევაზ ჩაგელიშვილი.

**წევრ-კორესპონდენტები:** თამაზ თურმანიძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილება შეიქმნა პრეზიდენტის ბრძანების (№01/22 24.07.2015) საფუძველზე. მასში გაერთიანდნენ აკადემიკოსები ზურაბ ცქიტიშვილი, რევაზ ასათიანი, ზაურ ჩანქსელიანი, რევაზ ჩაგელიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე. სულ 5 წევრი. ამავე დროს ისინი არიან სხვა სამეცნიერო განყოფილების წევრები, მაგრამ აკადემიის წესდება იძლევა ამის შესაძლებლობას. აღნიშნული განყოფილების შექმნა მნიშვნელოვანია რადგანაც იგი პასუხობს თანამედროვე ევროკავშირთან დაახლოებული კანონმდებლობისა და გამოწვევების მოთხოვნებს.

**აკადემიკოსები:** ზურაბ ცქიტიშვილი, რევაზ ასათიანი, ზაურ ჩანქსელიანი, რევაზ ჩაგელიშვილი.

**წევრ-კორესპონდენტები:** თამაზ თურმანიძე.

განყოფილებაში 2015 წელს ჩატარდა 3 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 9 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნის არჩევნები.

მეორე სხდომა ჩატარდა 16 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები. მოხსენებელი: სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი. 2. სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების დებულების განხილვა-დამტკიცება. მოხსენებლები: სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდი-

ვანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი. პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

მესამე სხდომა ჩატარდა 10 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: “სურსათში დარიშხანის ზღვრული ოდენობის დადგენის შესახებ”. მომხსენებლები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ინგა ღვინერია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მანანა ჟურული, ქიმიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დარეჯან დულაშვილი.

### 5.5.1. სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების წევრების მოკლე ანბარიში

#### 5.5.1.1. აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი



2015 წელს სექტემბრის ჩათვლით აკად. ზ. ცქიტიშვილი აგრძელებდა თავის საქმიანობას მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის თანამდებობაზე. 2015 წლის სექტემბრიდან იგი არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. გარდა ამისა მიმდინარე 2015 წელს იყო სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების სამეცნიერო - საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

აკად. ზ. ცქიტიშვილის მიერ მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე გაკეთებული იქნა მოხსენებები:

1. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის შესახებ;

2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;

3. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების სამსახურის სტრუქტურა, მიზნები, ამოცანები.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების აკადემიკოს მდივნის ზურაბ ცქიტიშვილის მიერ აკადემიის სახელით ინიცირებული იქნა ნორმატიული აქტი ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის რეგულაციის შესახებ. ჩატარდა ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოები განყოფილების მიერ. 2015 წლის 27 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მოაწერა ხელი განკარგულებას, რომელშიც განისაზღვრა სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის რეგულაცია. (იხილეთ განკარგულება №2567). ამ განკარგულებით განისაზღვრა: 1. მცენარეულ ცხიმში ინდუსტრიული ტრანსცხიმების დასაშვები რაოდენობა - ყოველ 100 გრამ მცენარეულ

ცხიმში 2 გრ ტრანსცხიმი; 2. აიკრძალა ამ ცხიმების შემცველობა ბავშვთა კვებაში; 3. აუცილებელი გახდა ეტიკტირება.

აკად. ზ. ცქიტიშვილი მიერ აკადემიის აკადემიურ საბჭოზე გაკეთებული იქნა მოხსენებები:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ინიცირებული მცენარეულ ცხიმებში ინდუსტრიული ტრანს ცხიმების შემცველობის ნორმატიული აქტის დამტკიცების შესახებ;

2. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების სამსახურის სტრუქტურა, მიზნები, ამოცანები.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის რანგში შესრულებული პროექტები: 1. ინდუსტრიული ტრანსცხიმები; 2. სურსათის ეროვნული სააგენტო – პოტენციური საფრთხეები; 3. ფრინველის გრიპი; 4. სურსათში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ნორმირების პროექტი; 5. „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვარის დადგენის წესის“ პროექტი; 6. საკვებდანამატები;

საკანონმდებლო საქმიანობა:

1. სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილებების, კერძოდ ACCP-ს სისტემის სავალდებულო დანერგვის მოთხოვნები;

2. სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის ანალიზის ახალი ნორმატიული აქტის მომზადება;

3. რძისა და რძის პროდუქტების ტექნიკური რეგლამენტის მიმართ შენიშვნები.



## 5.6. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება

აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი  
სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე,  
დოქტორი ანატოლი გიორგაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 8 წევრი. მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 7 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 1.

აკადემიკოსები: ასათიანი რევაზი, კოლუაშვილი პაატა, კუნჭულია თამაზი, ქარქაშაძე ნაპოლეონი, ქეშელაშვილი ომარი, ჭითანავა ნოდარი, ჯაფარიძე გივი.

წევრ-კორესპონდენტები: ნიკოლეიშვილი გიორგი.

**5.6.1. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის  
სამუშაო გეგმა**

№	საკითხების (თემების დასახელება)	განხილვის დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2014 წელს გაწეული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ	იანვარი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე	
2	აკადემიკოს რევაზ ასათიანის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი რევაზ ასათიანი	
3	აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	თებერვალი	აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია	
4	აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მარტი	აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე	
5	აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	მარტი	აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა	
6	აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე	
7	აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი	
8	აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პაატა კოლუაშვილის ანგარიში	აპრილი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პაატა	

	2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ		კოლუაშვილი	
9	აკადემიის წევრ კორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილისანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ	აპრილი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი	
10	ბუნებათსარგებლობის აქტუალური პრობლემები	მაისი	აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე	
11	რა უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამერიკული გამოცდილებიდან	ივნისი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი	
12	ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო “სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსების პროექტის” შესრულების მიმდინარეობისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ	სექტემბერი	აკადემიკოსი რევაზ ასათიანი	
13	სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული პროგრამა (ეკონომიკურ-ტექნოლოგ.რეკომენდაციები და მართვის მექანიზმი-სამეცნ. გამოყენებითი პროექტი)	სექტემბერი	აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი	
14	სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ	ოქტომბერი	აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე	
15	საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა სისტემის შესახებ	ოქტომბერი	აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა	
16	სოფლად კოოპერაციის პროცესების სტიმულირებისა და განვითარების შესახებ	ნოემბერი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი	



**ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2015 წელს  
ჩასატარებელი ღონისძიებების ბეზმა**

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
№	2	3	4	5	6
1	სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები	მრგვალი მაგიდა	ოქტომბერი	ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება	

განყოფილებაში 2015 წელს ჩატარდა 8 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 21 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოს მდივანი ომარ ქეშელაშვილი, პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოს მდივანი ომარ ქეშელაშვილი; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

მეორე სხდომა ჩატარდა 23 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს რევაზ ასათიანის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 29 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 4. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პაატა კოლუაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 5. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 17 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. სოციალიზაცია და ეკონომიკა. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე. 2. რა უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამერიკული გამოცდილებიდან. **მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 15 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო “სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსების პროექტის” შესრულების მიმდინარეობა და მოსალოდნელი შედეგები. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი რევაზ

ასათიანი. 2. სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული პროგრამა (ეკონომიკურ-ტექნოლოგ. რეკომენდაციები და მართვის მექანიზმი- სამეცნ. გამოყენებითი პროექტი). მოხსენებელი: აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 23 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. 2. საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა სისტემის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 19 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პაატა კოლუაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ; 2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ; 3. აკადემიის წევრ-კორესპონდენტებისათვის პაატა კოლუაშვილისა და გიორგი ნიკოლეიშვილისათვის აკადემიის ნამდვილი წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ. (ფარული კენჭისყრა).

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მრგვალი მაგიდა: “სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები”.

## 5.6.2. ეკონომიკის სამეცნიერო ბანყოფილების წევრების მოკლე ანბარიშეზი

### 5.6.2.1. აკადემიკოსი რეზა ასათიანი



საანგარიშო პერიოდში აკად. რ. ასათიანის მიერ გაწეული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

- სისტემატურად იღებდა მონაწილეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომებში, აგრეთვე აკადემიის მიერ მოწოდებულ სემინარებში, სამეცნიერო კონფერენციებში და სხვა სახის შეხვედრებში;

- მონაწილეობა მიიღო ქ. კიევში გამართულ სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებით მეცნიერებათა საერთაშორისო ფორუმის მუშაობაში თემაზე: “ევროპულ აგრარულ მეცნიერებათა სტრატეგიის განვითარება – პოლიტიკა, კანონმდებლობა, კარგი პრაქტიკა და გაკვეთილები”. ამ

ფორუმზე გაკეთდა მოხსენება თემაზე “სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა აგრარულ მეცნიერებაში”;

- აკადემიის პრეზიდენტის სხდომაზე გაკეთდა მოხსენება თემაზე “სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის” მიმდინარეობის შესახებ;

- როგორც მიწვეულმა ექსპერტმა სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში შეფასება/ექსპერტიზა გაუკეთდა “სეზონური სკოლების პროგრამით” წარმოდგენილ საპროექტო განაცხადებს, ისევე როგორც “სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის” ფარგლებში ეკონომიკური და აგრარული მიმართულებით წარმოდგენილ საპროექტო განაცხადებს;

- როგორც პროექტის – „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება“ მენეჯერმა, მონაწილეობა მიიღო პროექტის სახელმძღვანელო დოკუმენტაციის ცვლილებათა პაკეტის მომზადებასა და საქართველოს მთავრობაში დასამტკიცებლად წარდგენაში, რის შედეგადაც შეიცვალა პროექტის დასახელება, დაზუსტდა ტექნიკური დახმარების მიმართულებები, დაემატა ახალი კომპონენტი და დაიხვეწა ზოგადი სტრუქტურა;

- როგორც პროექტის მენეჯერმა აკად. რ. ასათიანმა მოაწყო 9 პრეზენტაცია, მათ შორის 5 იუსტიციის სასაწავლო ცენტრის მსმენელთათვის, 6 სატელევიზიო გამოსვლა, 3 საგაზეთო ინტერვიუ, 2 პრაქტიკული ხასიათის სწავლება ზემოაღნიშნული პროექტის შესახებ. მონაწილეობა მიიღო პროექტების წინასწარი განხილვის კომისიის 22 სხდომისა და საგრანტო კომიტეტის 4 სხდომის მუშაობაში;

- დღეისათვის აკად. რ. ასათიანი ხელმძღვანელობს 3 დოქტორანტს;



### 5.6.2.2. აკადემიკოსი პაატა კოლუაშვილი



#### I. გამოქვეყნებული შრომები:

1. „აგროწარმოების პარალიზება და სოფლიდან გლეხობის აყრა უნდა შეჩერდეს!“

„ახალი აგრარული საქართველო“, ივლისი, №7 2015წ;

2. „ გაქცევის რეჟიმში, „ხათრით“ კანონის წერა დაუშვებელია!“ „ახალი აგრარული საქართველო“, ივნისი, №6 2015წ;

3. „რომელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციზიკა“, „ახალი აგრარული საქართველო“, აგვისტო, №8 2015 წ;

4. ჩამოვყალიბოთ სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფელი სოფლის მეურნეობის რაციონალური სტრუქტურა. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, 2015წ;

5. სრულფასოვანი კანონმდებლობა და მივიღოთ ეროვნული ინტერესების გამომხატველი მიწის კოდექსი. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, გვ. 34-42. 2015წ;

6. საქართველო – მეტალურგიის და ოქროს წარმოების სამშობლო. „ეკონომიკა“, №7-9, 2015წ;

7. სწორი აგრარული პოლიტიკა წარმატების გარანტიაა, „ახალი აგრარული საქართველო“, №6, 2015წ.

8. For The Stimulation of the Cooprrative Process in a Village. Annals of Agrarian Science" , Vol. 13, # 2, 2015;

9. მიწა უფლის მიერ მობარებული ფასდაუდებელი ღირებული საგანია. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №6, 2015 წ;

10. ხსნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაშია. „ახალი აგრარული საქართველო“, №11, 2015 წ;

11. რამდენი ადამიანი შეიძლება ცხოვრობდეს და საქმიანობდეს სოფლად. „ახალი აგრარული საქართველო“, №11, 2015 წ;

12. საქართველოს მიწა განსაცდელშია. „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, №1, 2015 წ;

13. რა უნდა გავიზიაროთ ამერიკული გამოცდილებიდან. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 19-38გვ. №1, 2015 წ;

14. „მიწის მართვის სისტემის გაუმჯობესებისთვის“, „ახალი აგრარული საქართველო“, თებერვალი, №2, 2015 წ;

15. „მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია მისი მიწის კანონმდებლობის სტრუქტურა“, „ახალი აგრარული საქართველო“, მარტი, №3, 2015 წ;

16. „მიწის კადასტრი და მიწის ბალანსი“. „ახალი აგრარული საქართველო“, აპრილი, №4, 2015წ.

17. გადავაქციოთ ყოველი სოფელი მწარმოებელ ბრენდად. „ეკონომიკა“, №1-2, 2015 წ;

**II. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:**

2.1. თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო - პრაქტიკული კონფერენცია – „ერკონული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, 10-11 ივლისი, 2015 წ.

2.2. მოვიყვანოთ მიწის კანონმდებლობა იდეალურ კონდიციამდე;

სტუ საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტი, მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია – „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. 16-17 ოქტომბერი, თბილისი-ქუთაისი, 2015 წელი.

1.სასურსათო უსაფრთხოება და აგროსასურსათო პოლიტიკა;

2.აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი ფაქტორები;

3.სოფლის მეურნეობის სპეციფიკური ნიშან-თვისებები ეკონომიკის დარგთა შორის;

2.3. საქართველოში მიწის კონსოლიდაციის განხორციელება აუცილებელია.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 25 წლისადმი მიძღვნილი უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები.“ ახალციხე, 5-6 ივნისი, 2015.

2.4. ბიზნეს მენეჯმენტის როლი ბიზნეს პროცესების მართვაში.

მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“. ბათუმი 5-6 სექტემბერი 2015წ.

2.5. მოვუფრთხილდეთ მიწას – უფლის საჩუქარს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალ-

ფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში“, 04 დეკემბერი, 2015 წ.

### **2.6. მიწის მართვის გაუმჯობესების საჭიროება;**

2015 წელს გამოქვეყნებული შრომები ძირითადად მიეძღვნა მიწისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებისა და მიწის მართვის გაუმჯობესების საკითხებს, მის მარეგულირებელ კანონმდებლობას, ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილებას. რამდენიმე შრომა მიეძღვნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობასა და მისი კანონმდებლობის სრულყოფას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების სტრატეგიის პრობლემებს. ასევე, აგრარული პოლიტიკის, სასურსათო უსაფრთხოებისა და ბიზნეს მენეჯმენტის პრობლემებს, აგრარული წარმოების სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

### **III. პედაგოგიური საქმიანობა:**

აკად. პ. კოდუაშვილი კითხულობ სალექციო კურსს სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე ბაკალავრებთან – "უძრავი ქონების ეკონომიკა", "მიწის ადმინისტრირება".

აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ფაკულტეტზე დოქტორანტებთან – "საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება", "სოფლის განვითარების პოლიტიკა".

მაგისტრანტებთან – "მიწის მმართველობა და მიწათსარგებლობის სავალდებულო პრინციპები".

- ამზადებს 3 (სამ) დოქტორანტს, ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობაში;

- 2 (ორ) დოქტორანტს, საჯარო მმართველობის სპეციალობაში;

- 2 (ორ) დოქტორანტს, აგრარულ ეკონომიკაში;

- 1 (ერთ) მაგისტრანტს, ეკონომიკის სპეციალობაში.

### **V. სარედაქციო (სამეცნიერო) კოლეგიის (საბჭოს) წევრობა, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების რედაქტორობა:**

5.1. გ. მაღაშხია – „უქმი ეკონომიკა“, „უნივერსალი“ 2015.

5.2. გ. მაღაშხია – „დიდი ილია“ სტუ, თბ. 2015

5.3. ნ. ტურაბელიძე, შ. ცაავა – „მიწათმოწყობა“ (აგრონომებისთვის), „საზოგადოება ცოდნა“, თბილისი, 2015.

5.4. პ. ლემუნჯავა – „ბუნების გამოყენების ეკონომიკა“, სტუ, თბილისი. 2015.

5.5. ი. პ. გუროვა – „მსოფლიო ეკონომიკა“ (ქართული რედაქცია), „დარბევი“ თბილისი. 2015

5.6. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, სამეცნიერო – ანალიტიკური ჟურნალი.

„ეკონომიკა“, სამეცნიერო ჟურნალი.

### **სარედაქციო კოლეგიის წევრი:**

„აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი;

„ახალი ეკონომისტი“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი;

„ახალი აგრარული საქართველო“, სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი;

„ბიზნეს-ინჟინერინგი“, სტუ, სამეცნიერო ჟურნალი;

„სოციალური ეკონომიკა – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, სამეცნიერო ჟურნალი;

„საქართველოს ეკონომიკა“ სამეცნიერო – ანალიტიკური ჟურნალი.

VI. აკად. პ. კოდუაშვილს 2015 წელს ჰქონდა ოცამდე საგაზეთო პუბლიკაცია, ათამდე სატელევიზიო გამოსვლა აგრარული და მიწის პოლიტიკის პრობლემებზე;

მონაწილეობა მიიღო „სასოფლო-სამეურნეო კოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის მომზადებაში.

VII. 2015 წლის 02 თებერლის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით პ. კოლუაშვილს მიენიჭა 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება აგრარული სფეროს ეკონომიკის დარგში;

2015 წლის 03 დეკემბერს პ. კოლუაშვილი აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.



### 5.6.2.3. აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია



1. გამოქვეყნებულია სტატია “საქართველოს მეჩაიეობის რეაბილიტაციის შესახებ” საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის "მოამბე", 2015 წელი, № 34.

სტატიაში მეჩაიეობის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით წარმოდგენილია საქართველოში მეჩაიეობის რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც სახელმწიფოს მონაწილეობით ითვალისწინებს როგორც პრივატიზებულ ისე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების აღდგენას. მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნის ზრდის ფონზე დასაბუთებულია ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა;

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ სოფლის მეურნეობის განვითარების

სტრატეგიის განხილვაში მონაწილეობას იღებდა ყვარელში, კაჭრეთში და ბორჯომში გამართულ შეხვედრებში;

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას წარედგინა რეკომენდაციები ყურძნის შესყიდვაზე ფასდანიამატის ეფექტიანად გამოყენებისა და მცირე კაპიტალის დაბანდებით ბროილერის ხორცის ოჯახურ მეურნეობებში წარმოების შესახებ;

4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საკონკურსო კომისიის წევრი;

5. წინადადებები:

შესაცვლელია იაფი კრედიტის მიღების პირობები, იგი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ფართო ფენებისათვის. ამისათვის ჩამოსაყალიბებელია საგირაფო სახელმწიფო ფონდი, რომელიც გირაფობის სანაცვლოდ წელში ჩაუჯდება მომავალ მეწარმეს. ხელსაყრელი ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები უნდა შეიქმნას საბოლოო პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებული ოჯახების ან ამხანაგური

წარმოებისათვის, რომელიც საბოლოოდ ბრენდული პროდუქციის გამოშვებით იქნება დაინტერესებული;

6. სასურველია სსმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოზე განხილული იქნეს საკითხები:

6.1. ოჯახურ მეურნეობებში ფრინველისა და ღორის ხორცის წარმოების ეფექტიანობის შესახებ;

6.2. მოეწიოს მრგვალი მაგიდა:

6.2.1. საქართველოში რძის წარმოების გადიდების შესაძლებლობები; მცირე და 6.2.2. საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები.



#### 5.6.2.4. აკადემიკოსი ნაკოლეონ ქარქაშაძე



##### I. სამეცნიერო შრომების სია

1.1. გრძელდება მუშაობა წიგნზე “სოფლიო სოფლის მეურნეობა”; მიმდინარე წელს დამუშავდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა;

შედარებითმა ანალიზმა, რომელიც მოიცავდა 1990-2015 წლებს, საშუალება მოგვცა გაგვეჩვენა ჩინეთის სოფლის მეურნეობის ნახტომისებური განვითარების ძირითადი ასპექტები, კერძოდ: 2000 წლიდან, ჩინეთმა დაიწყო ეკონომიკის ზოგიერთი დარგის პერმანენტული გადანაწილება სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის. ყველაზე ადრე ეს რეფორმა სოფლის მეურნეობაში დაიწყო, სადაც სახელმწიფომ შეინარჩუნა სახელმწიფო მნიშვნელობის დიდი მეურნეობები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი იყო კვლევითი დაწესებულებების საცდელი ნაკვეთებითა და საცდელი

მეურნეობების სახით.

თუ 1990 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო ქვეყნის მოსახლეობის 72% - 2015 წლისათვის ეს მაჩვენებელი 51%-მდე შემცირდა. და ეს ტენდენცია შენარჩუნებულია, სახნავეის რაოდენობა გაიზარდა 120 მლნ. ჰა-დან 142 მლნ. ჰა-მდე.

კერძო სექტორი, რომელიც ჯერ-ჯერობით ფლობს მიწისა და ასევე ძირითადი საშუალებების 45-48%-ს, იძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 68%, თითქმის ორჯერ გაიზარდა სარწყავი მიწების რაოდენობა, ინდივიდუალურმა მეურნეობებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს შეღავათიანი კრედიტები, მათ შორის უპროცენტოც. ფაქტიურად შემცირდა ეროზიული მოვლენები, სასუქების გამოყენება გაიზარდა 40%-დან 56%-მდე, ენერჯო შეიარაღება 12 ცხ ძალიდან 32 ცხ. ძალამდე. ჩინეთი წარმოებაში იყენებს უახლეს სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებს, რომელთა ნაწილი დამუშავებულია სხვა ქვეყნებში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ (მოსახლეობა 1,2 მილიარდი), ფაქტიურად მოახერხა ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა ძირითად საკვებ პრო-

დუქტებზე, თუმცა მიწით უზრუნველყოფა 0,11 ჰა-ია. ამჟამად იგი ორიენტირებულია საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე, ჯერ-ჯერობით მსოფლიო ბაზარზე მისი ხვედრითი წილი მხოლოდ 8-9%-ია.

დაფინანსების მიღების შემთხვევაში, აკად. ნ. ქარქაშიაძე აპირებს მონოგრაფიის ამ მონაკვეთის ცალკე წიგნად გამოშვებას.

**12. გამოიცა ბროშურა** – “სოციალიზაცია და ეკონომიკა”, რომელიც განკუთვნილია, როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოების მოხმარებისათვის. ნაშრომში განხილულია საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ადამიანების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ეკონომიკის როლი და მნიშვნელობა. დეტალურადაა შესწავლილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეტაპები, როგორც სოციალურ ისე საბაზრო ეკონომიკის პირობებში. გაკეთებულია დასკვნა, რომ ქვეყანაში მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით, ჯერ-ჯერობით არ არსებობს ერთიანი ნაციონალური იდეოლოგია, რომელიც გააერთიანებდა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას საერთო მიზნისაკენ.

სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მსოფლმხედველობის გავლენის ქვეშაა. წინა თაობა, რომელიც ცხოვრობდა სოციალისტურ სისტემაში და აქვს შედარების საშუალება დღევანდლობასთან, ჯერ კიდევ ე.წ. “დავარცხნილი” სოციალისტური სისტემის გავლენის ქვეშაა, ხოლო ახალგაზრდები, რომლებიც დაიბადნენ ახალი ეკონომიკური ურთიერთობების რეალობაში, არ ქონდათ შეხება ცხოვრების სოციალისტურ სისტემასთან, მათ უკვე გააცნობიერეს ე.წ. საბაზრო ეკონომიკის დეტალები, მოსწონთ თავისუფალი აზროვნება, ადამიანის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის პროცესები, კანონზომიერად თვლიან მდიდართა და ღარიბთა ფენას და ა.შ. მათ “დასავლური” ცხოვრების წესი უფრო მოსწონთ და მასთან ადაპტირება არ უჭირთ.

დასკვნა, რომელიც შედარებითი ანალიზის მეშვეობით გაკეთდა, შემდეგია: დროთა განმავლობაში, მოხდება საზოგადოების სოციალიზაცია და ეს პროცესი ძველი თაობის ასპარეზიდან გასვლის პროპორციული იქნება, თუმცა საკითხავია, რამდენად მომზადებული შეხვდა ქართული საზოგადოება ცხოვრების ახალ წესს, როგორი იქნება საზოგადოების სოციალიზაციის ეტაპები, რა შედეგით დამთავრდება ადამიანების აზროვნების ფორმირების პროცესი და ა.შ. სამწუხაროდ ეს პრობლემები ჯერ-ჯერობით არსებობს.

**13. ჟურნალში “აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები”,** დაიბეჭდა აკად. ნ. ქარქაშიაძის ნაშრომი: “ბუნებათსარგებლობის გაუმჯობესების მეცნიერული საფუძვლები”.

ნაშრომში განხილულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ადამიანებისა და ბუნების ურთიერთობის საკითხები. გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ბუნებათსარგებლობის პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი საფუძველი, ადამიანების საწარმოო საქმიანობაა, რომ ბუნებაზე ზრუნვა, ეკოსისტემების მდგრადობის შენარჩუნება, მსოფლიო ქვეყნების საერთო ძალისხმევის შედეგად მიიღწევა, რომელშიც ყველა ქვეყანამ უნდა შეასრულოს თავისი როლი. ბუნებრივი რესურსების რაციონალური და გონივრული გამოყენების პრინციპები, ადამიანების საქმიანობის საწარმოო (და არა მარტო) საქმიანობის ძირითადი საფუძველი უნდა გახდეს.

აქვე გამოთქმულია აზრი, თუ როგორ ამცირებს საწარმოო ხარჯებს ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება და შესაბამისად როგორ იზრდება წარმოების ეფექტიანობა და რაც მთავარია, ამ დროს მაქსიმალურად დაცულია გარე სამყარო.



დასაბუთებულია ის მარეგულირებელი როლი, რომელიც უნდა შეასრულოს ბუნებათსარგებლობის ეკონომიკამ, კერძოდ - საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნაში, ფასწარმოქმნაში, საფინანსო-საკრედიტო სისტემის სრულყოფაში და სხვა.

14. ინგლისურენოვან ჟურნალ “Annals of Agrarian Science (აგრარული მეცნიერების მაცნე)” – 2015 წლის მე-4 ნომერში დაიბეჭდა სტატია “ეკოლოგიური პრობლემები საქართველოში”. სტატია ინგლისურ ენაზეა და მასში განხილულია საქართველოს ეკოლოგიური სისტემების მდგრადობის პრობლემები გლობალური დათბობის ფონზე;

15. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებულში “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება”, დაიბეჭდა აკად. ნ. ქარქაშაძის სტატია “**Окружающая среда и проблемы экологии**”;

სტატიაში განხილულია ბუნებათსარგებლობის ააქტუალური პრობლემები. მყინვარების ინტენსიური დნობის ფონზე, განხილულია ქვეყნის წყლის რესურსების ბალანსი. დეტალურადაა შესწავლილი მიწათსარგებლობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა, რომლებიც ითვალისწინებენ შეცვლილ ეკოლოგიურ პირობებში მიწისა და წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას და სხვა.

### 2. მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სიმპოზიუმებში

2.1. ქ. თბილისი – 2015 წლის 2 – 6 ნოემბერი, ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება” - იყო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; ნაშრომების კრებულში გამოქვეყნებულია. ქარქაშაძის შრომაც (იხ. ზემოთ), გაკეთდა რამოდენიმე შრომაზე რეცენზია, რამოდენიმეჯერ გამოვიდა სიტყვით და ა.შ.

2.2. ქ. პოზნანში (პოლონეთი) ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციის შრომათა კრებულში დაიბეჭდა აკად. ქარქაშაძის სტატია: “აგრარული მეცნიერების პრობლემები გლობალური დათბობის პირობებში” (რუსულ ენაზე);

### 3. სამეცნიერო გრანტები

3.1. 2015 წელს, აკად. ჯ. კაციტაძესთან ერთად გაიმარჯვეს საგრანტო კონკურსში და მიიღეს 3 წლიანი გრანტი თემაზე: “თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საექსპლუატაციო საიმედობის გაზრდის რესურსდამზოგი ინოვაციური ტექნოლოგიების თეორიულ-ექსპერიმენტული გამოკვლევა და ოპტიმიზაცია”. 2015 წელს მუშავდებოდა თეორიული ხასიათის მასალა, ხდებოდა საჭირო ლიტერატურის და მონაცემების შერჩევა, რომელიც უკვე დამთავრებულია. სამუშაოებს აფინანსებს საქართველოს რუსთაველის მეცნიერების ეროვნული ფონდი.

4. აკად. ქარქაშაძე არის აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (რომლის ანგარიში ცალკეა წარმოდგენილი). აკადემიურ საბჭოზე ორჯერ გაკეთდა მოხსენება.

5. არის რამოდენიმე ჟურნალის რედკოლეგიის წევრი (“Annals of Agrarian Science”, “მაცნე”).

6. სისტემატურად აქვეყნებს პუბლიკაციებს ბეჭდურ მედიაში, აქვს სატელევიზიო გამოსვლები, მონაწილეობს ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში;

7. 2015 წელს აკად. ნ. ქარქაშაძეს ასპირანტები და დოქტორანტები არ ჰყოლია, ლექციებს აღარ კითხულობს და ამის მიზეზია ასაკი. ამ პერიოდში არც სამთავრობო ჯილდოები აქვს მიღებული.

8. აკად. ნ. ქარქაშაძის ხედვა სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ.

იგი შემდეგია:

8.1. ჩვენი შესაძლებლობების შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა ვაწარმოოთ სტრატეგიული პროდუქცია (მარცვლეული, მეცხოველეობა);

8.2. უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საექსპორტო პროდუქციის წარმოებას (ღვინოს, ჩაის პროდუქცია, ციტრუსები, ეთერზეთები);

8.3. საკურორტო-ტურისტულ ცენტრებთან უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ფერმები (ინდივიდუალური მეურნეობები), რომლებიც მათ მიაწვდიან ახალ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას.

9. **საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ:**

9.1. ისეთი საკითხების განხილვას, რომლებიც ადამიანების ჯანმრთელობას უკავშირდება, კერძოდ - წარმოებულ და ექსპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხზე კონტროლს;

9.2. სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და მეცნიერების მდგომარეობის შესწავლას;

9.3. მოვისმინეთ სასოფლო-სამეურნეო დარგში მომუშავე ადამიანების მოხსენებები და ა.შ.



#### 5.6.2.5. აკადემიკოსი ომარ ქუშელაშვილი



1. **თემის დასახელება:**

აკად. ო. ქუშელაშვილმა 2015 წელს, აკადემიაში წარადგინა 1 მიზნობრივი მოხსენება: „სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული პროგრამა (ეკონომიკურ-ტექნიკური რეკომენდაციები და მართვის მექანიზმი)“ „სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტი, რომლის საფუძველზეც შესაძლოა მომზადდეს სამეცნიერ-პრაქტიკული ხასიათის პროექტი სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის.

3. **გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები:**

წარმოდგენილია ცალკე დანართის სახით.

4. **გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები:**

**ნელოები:**

წარმოდგენილია ცალკე დანართის სახით.

8. **სმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა (საკითხის მომზადება):**

1. მონაწილეობას ღებულობდა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე განხილულ ყველა საკითხში. 2015 წლის იანვარში მოსმენილი იქნა საკითხი: "ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ";

2. 2015 წლის 5 მარტს მისი მონაწილეობითა და თანახელმძღვანელობით, აგრონომიისა და საინჟინრო სამეცნიერო განყოფილებებთან ერთად მოეწყო მრგვალი

მაგიდა მიწის ყიდვა-გაყიდვის პრობლემებზე. რომელშიც აკადემიის წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა მეცნიერებმა;

3. 2015 წლის 23 ივნისს, ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ, ჩატარდა მრგვალი მაგიდა „აგრარულ სფეროში მეცნიერებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ“.

4. 2015 წლის 28 ოქტომბერს, ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ. ჩატარდა მრგვალი მაგიდა-და „სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები“;

5. 2015 წლის აპრილში მომზადდა მოხსენება: "Продовольственная безопасность в Грузии и инновационный подход её обеспечения", რომელიც გაკეთდა ჩეხეთის საელჩოს მიერ მოწვობილ კონფერენციაზე;

6. მომზადდა ავტორთა კოლექტივის ნაშრომი „სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზი“, რომელიც გამოიცა მასობრივი ტირაჟით;

7. მომზადდა ავტორთა კოლექტივის ნაშრომი „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (განვლილი გზა, დღევანდელი სურათი, ახალი თვალსაწიერი და პრიორიტეტები).

9. სამეცნიერო საბჭოებში, კომისიებში, სარედაქციო კოლეგიებში მონაწილეობა. საბჭოს, კომისიის, სარედაქციო კოლეგიის დასახელება. საბჭოს, კომისიის, სარედაქციო კოლეგიის დანიშნულება. როლი საბჭოს, კომისიის, სარედაქციო კოლეგიის საქმიანობაში.

1. საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის დამფუძნებელ-გამომცემელი, სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი;

2. აკადემიის სამეცნიერო კრებულის „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

### **13. როგორ წარმოგიდგენიათ სოფლის მეურნეობის განვითარება.**

წარმოდგენილია ცალკე დანართების სახით.

#### **სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, სამეცნიერო საბჭოს წევრობა:**

არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი და საქართველოს მეცნიერთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;

### **14. საკითხები, რომელიც უნდა განიხილოს დარგობრივი განყოფილების სხდომაზე:**

1. პროგრამირებულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის ეკონომიკური გააზრება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების გათვალისწინებით;

2. ფერმერთა კავლიფიკაციის ამალგების ცენტრის შესახებ.

2015 წელს გამოქვეყნებული შრომები (აკად. ო. ქეშელაშვილი)

№	შრომების დასახელება	დაბეჭდილია თუ ხელნაწერი	დასახელება, გამოცემლობის, ჟურნალის, გამოცემის წელი, ჟურნალის №	ნაბეჭდი თაბახების რაოდენობა	შენიშვნა (უჩვენეთ თანაავტორი)
1	ბიზნესის საიდუმლო, ადმინისტრირება და მომავლის მოდელი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2015	0.5	მ.ქეშელაშვილი, ნ.სილიკაშვილი, გ.ლობჯანიძე
2	საფინანსო-საბანკო და ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სისტემის ფუნქციონირების საბაზო მახასიათებლები და განვითარების ტენდენციები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2015	0.5	-
3	ჩამოვყალიბოთ სასურსათო უში-შროების უზრუნველყოფელი სოფლის მეურნეობის რაციონალური სტრუქტურა	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2015	0.7	პ.კოლუაშვილი
4	მარკეტინგის არსი, კლასიფიკაცია და პრინციპები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2015	0.2	-
5	მარკეტინგის გარემო და სუბიექტები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2015	0.1	-
6	მარკეტინგის სახეები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2015	0.1	-
7	ზოგადი უნარები (ეკონომიკისა და ბიზნესის სფერო)	დაბეჭდ	გამომცემლობა „არეალი“, თბილისი, 2015	2.8	-

8	ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა	დაბეჭდ	ს/მ მეცნიერებთა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 2015	1.1	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე
9	საქართველოს სოფლის მეურნეობის ზოგად-ეკონომიკური დახასიათება და სტრატეგიული მიმართულებები	დაბეჭდ	გამომცემლობა „არეალი“, თბილი-სი, 2015	4.7	–
10	თუ აგრარულ მეცნიერებას ვერ გა-დავარჩენთ, ბედის ანაბარად დარჩება ჩვენი სოფელი	დაბეჭდ	ჟურნალი „ისტორი-ული მემკვიდრეობა“ №3,2015.	0.8	–
11	ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2,თბილისი, 2015	0.4	–
12	მარკეტინგის სტრატეგია და ტაქტიკა	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2,თბილისი, 2015	0.2	–
13	მარკეტინგის ფუნქციები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2,თბილისი, 2015	0.1	–
14	მარკეტინგული სამსახური	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2,თბილისი, 2015	0.1	–
15	თანამშრომელთა შერჩევა და მიღება ბიზნესის ადმინისტრირების განმსაზღველი პირობა	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2,თბილისი, 2015	0.3	მ.ქეშელაშვილი
16	ეს ყველამ უნდა იცოდეს	დაბეჭდ	გამომცემლობა „არეალი“, თბილი-სი, 2015	4.4	–
17	Экономическая безопасность в Грузии	печатн.	Издательство «Ареал», Тбилиси, 2015	2.4	–

18	დღევანდელი ახალ ეკონომიკურ მექანიზმს მოითხოვს	დაბეჭდ	ჟურნალი „ისტორი-ული მემკვიდრეობა“ №4,2015.	0.8	–
19	ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების სიმწვავე მსოფლიოსა და საქართველოში	დაბეჭდ	ჟურნალი „ისტორი-ული მემკვიდრეობა“ №5,2015.	0.8	–
20	სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები	დაბეჭდ	სმმ აკადემიის მოა-მბე, თბილისი, 2015, №34	0.4	გ.ჯაფარიძე
21	მალე აღარ გვეყოლება სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მეცნიერ-მკვლევარები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2015	0.4	–
22	საბანკო სისტემის განვითარების პერსპექტივები ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2015	0.4	–
23	სამთო სოფლის მეურნეობა (განვითარების თავისებურებები, ტენდენციები, და პრიორიტეტული ამოცანა)	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2015	0.5	შ.ჭალაგანიძე
24	მოთხოვნა და მიწოდება	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2015	0.1	–
25	მომხმარებლის არჩევანის თეორია	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2015	0.2	–
26	მომხმარებელთა კლასიფიკაცია	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2015	0.1	–

27	თამაზ კუნჭულია—80 მეცნიერული და ფსიქოლოგიური პორტრეტი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექ- ნოლოგიები“, №3,თბილისი, 2015	0.1	–
28	Сельское хозяйство Грузии (Для беседы с иностранцами)	печатн.	Издательство «Ареал», Тбилиси, 2015	0.8	-
29	დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობას განვითარების ახალი თვალსაწიერი გააჩნია	დაბეჭდ	ჟურნალი „ისტორი-ული მემკვიდრეობა“ №8,2015.	0.7	–
30	ეკონომიკის ახალი თვალსაწიერი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექ- ნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.4	–
31	საქართველოს საგადაამხდელო ბალანსი და აგრარული სფეროს როლი მისი გაუმჯობესების მიმართულებით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექ- ნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.3	–
32	ბაზრის სეგმენტაცია	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექ- ნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.2	–
33	პროგნოზირება და რისკის ფაქტორი	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექ- ნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.1	–
34	მარკეტინგული კომუნიკაცია	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექ- ნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.1	–
35	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები მიწათმოქმედებისა და მემცენარეობის ხაზით		ჟურნალი „აგრა-რულ- ეკონომიკური მეცნიერება და ტექ- ნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.2	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, გ.ცაგურიშვილი, ო.ლიპარტელიანი

36	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები  მევენახეობისა და მეხილეობის საზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.2	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, ჩხარტიშვილი, ი.ვასაძე, გ.ბადრიშვილი, ვ.კვალიაშვილი
37	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები მეჩაიეობის საზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.1	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, ვ.ცანავა, თ.კუნჭულია
38	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები მეციტრუსეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის საზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.2	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, რ.ჯაბინძე
39	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები მებოსტნეობა-მებაღეობისა და მეკარტოფილეობის საზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.2	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, ნ.კაკაბაძე
40	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები ტექნიკური კულტურების საზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.1	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, ნ.კაკაბაძე
41	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები მიწის მართვისა და საადგილმამულო ურთიერთობათა საზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.2	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, ნ.ტურაბელიძე, თ.ჩიკვაძე



42	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები ნიადაგის დაცვისა და მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების ხაზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.2	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, გ.მარგველაშვილი
43	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები სასოფლო-სამეურნეო ჰიდროტექნიკური მედიორაციის ხაზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.1	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, ი.ყრუაშვილი
44	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები მცენარეთა დაცვის ხაზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.2	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი
45	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები აგროეკოლოგიის ხაზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.1	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, თ.თურმანიძე
46	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები მექანიზაციისა და ელექტიფიკაციის ხაზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.2	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, რ.მასარობლიძე, ე.შაფაქიძე
47	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები მეცხოველეობის ხაზით	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2015	0.2	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი, ჯ.გუგუშვილი, ა.გიორგაძე
48	აგრარულ სფეროში ექსპერტთა შერჩევის საჭიროება, მინიჭების კრიტერიუმები და უფლებება-მოვალეობები	დაბეჭდ	ჟურნალი „აგრა-რულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4, თბილისი, 2015	0.5	გ.ალექსიძე, გ.ჯაფარიძე, ო.ქეშელაშვილი

49	საქართველოში ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის შესახებ	დაბეჭდ	ს/მ მეცნიერებთა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 2015	1.1	გალექსიძე, გ.ჯაფარიძე
50	სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზი	დაბეჭდ	გამომცემელი სოფ.მეურნ. მეცნ. აკადემია, თბილისი, 2015	4.1	გალექსიძე, გ.ჯაფარიძე ო. ქეშელაშვილი
51	სოფლის მეურნეობის ისტორიული გზა და ახალი თვალსაწიერი	დაბეჭდ	გამომცემელი ჟი-ული შარტავას სა-ხელობის სახელმ-წიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა; თბილისი, 2015	0.4	–

**სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის, დარგთა შეთანაწყოებისა და მათი განვითარების რეგიონული ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემების ირგვლივ მრავალი ათეული წლის განმავლობაში დიდი და ნაყოფიერი მეცნიერული და გამოყენებითი ხასიათის სამუშაოები შესრულდა, ამჟამად, ამ საკითხებისადმი მიდგომა ახლებურ ხედვასა და გადაწყვეტას მოითხოვს, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს ორი ძირითადი ამოსავალი კრიტერიუმი, პირველ ყოვლისა ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და მეორე მხრივ – საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი და ეტაპობრივად ცვალებადი, ქვეყნის შიდა და გარე მარკეტინგული მოტივაციები, მოთხოვნები, შეზღუდვები, სტრატეგია.

უკანასკნელ წლებში, ქართველ მეცნიერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შორის კამათი და აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ რომელი დარგები უნდა გამოიყოს პრიორიტეტულად საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მდგრადი განვითარებისათვის სარეკომენდაციო კვლევის შედეგად მიღებული შემდეგი დასკვნები:**

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყო დიდი ტრადიციებისა და ფართო პოტენციური (როგორც ბუნებრივი ისე ეკონომიკური) შესაძლებლობების, აგრეთვე დიდი პერსპექტივების მქონე ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები, როგორიცაა: მევენახეობა და ნიშანდობლივ სამრეწველო მევენახეობა, ასევე სამრეწველო მეხილეობა და სუბტროპიკული მიწათმო-ქმედების

ძირითადი დარგები: მეჩაიეობა და მეციტრუსეობა და მათ ბაზაზე მომუშავე კვების მრეწველობის დარგები.

ამ პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების განვითარება შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალური ეფექტიანობითა და უკუგებით იქნას გამოყენებული საქართველოს უნიკალური ბიო-კლიმატური პოტენციალი, ამასთან მაქსიმალურად იქნას ათვისებული მხოლოდ ის მიკროზონალური სივრცე, სადაც მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები არსებობს.

ეს დარგები, რომლებიც საექსპორტო და პოტენციურად კონკურენტუნარიან პროდუქციას აწარმოებენ, საქართველოს სოფლის მეურნეობის გლობალური სტრატეგიის შესაბამისად მიეკუთვნა ე.წ. “ენერგომომტანი” დარგების ჯგუფს. ამ დარგებს სწორედ იმიტომ ეწოდა “ენერგომომტანი”, რომ მათი განვითარება საშუალებას იძლევა პროდუქციის ექვივალენტური, ბარტერული და სხვა ფორმის გაცვლების საფუძველზე და ამ ინტერესების შესაბამისად, ინტეგრირებულ საწარმოთა მოწყობითა და სხვა პროგრესული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გამოყენებით გარკვეულწილად გადავჭრათ სტრატეგიული ენერგეტიკული რესურსებით (ნავთობ-პროდუქტები, გაზი, ელექტროენერჯია) აგრეთვე კალორიატევადი სასურსათო პროდუქტებით (მარცვალი, შაქარი, ცხიმი, ზეთი, კარაქი და სხვა) უზრუნველყოფის პრობლემა.

როგორც ჩანს, ეს გლობალიზაციის პროცესში ჩართვისა და ფუნქციონირების სავსებით მისაღები და რეალური ფორმაა, ამავდროულად საქართველოს სოფლის მეურნეობას უნარჩუნებს თავის სპეციალიზაციასა და თვითმყოფადობას.

ამ პრიორიტეტულ დარგებთან, ადგილობრივი პირობების შესაბამისად, თანაბარი უპირატესობის მიცემით, ნიადაგურ-კლიმატური ფაქტორებისა და მიწათმოქმედების გაძღოლის ისტო-იული ტრადიციების მხედველობაში მიღებით, შეთანაწყობილი უნდა იყოს ე.წ. “კალორიატევადი” პროდუქციის მომცემი კულტურების მოვლა-მოყვანა, კერძოდ: თავთავიანი პურეულის, სიმინდის, მარვლეულ-პარკოსნების, ბოსტნეულის, კარტოფილის, აგრეთვე ტექნიკური და საკვები კულტურებისა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიული პოზიცია გვკარნახობს, რომ წარმოების ინტეგრირების, კოოპერირებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების, როგორც დღევანდელი, ისე თვალსაწიერი პერსპექტივის ბიზნესური მოთხოვნებიდან გამომდინარე, მისი სპეციალიზაცია, ისტორიულ-ტრადიციული მოდელიდან დიდ და რადიკალურ გადახრას არ ექვემდებარება. ეს იმას ნიშნავს, რომ სავენახე ფართობებს კვლავ ვენახი დაიკავებს, სახორბლეს – ხორბალი, სასიმინდეს – სიმინდი, სუბტროპიკული ზონის სივრცეს–ჩაი, ციტრუსი, სუბტროპიკული ხილი და ა.შ

**სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების რეალიზაციის ინტენსიური გზები და მეცნიერული რეკომენდაციები:**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებისა და მდგრადი განვითარებისათვის პრიორიტეტული მიჯნებისა და მასშტაბების მისაღწევად საჭიროა:

- სელექციისა და მეთესლეობის გაუმჯობესებისთვის ხელის შეწყობა და სასოფლო-სამეურნეო კულ-ტურათა თესვა მაღალმოსავლიანი ჯიშებით;

- სარგავი მასალის წარმოების ტექნიკური ბაზის გადაიარაღება და სრულყოფა;

- მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის ზედმიწევნით მიზნობრივი და სრულყოფილი გატარება;

- არსებული სარწყავი სისტემებისა და მცირე ქსელების სრულ მზადყოფნაში მოყვანა, მათი რეაბილიტაციისა და განახლების საფუძველზე;

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგებისა და გამოყენების ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციების დამუშავება და დანერგვა;

- პროდუქციის გადამუშავების (მ.შ. ექსპრეს-გადამუშავების), გასაღების, წარმოების საშუალებებით მომარაგებისა და საწარმოო მომსახურების ტიპის დამოუკიდებელი და მინიინტეგრირებული საწარმოების (კოოპერატივების და სხვა ფორმის) შექმნა;

- სახელმწიფო დაკვეთებისა და შესყიდვების მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება;

- საბაზრო სეგმენტების სწორად შერჩევა და პროდუქციით გაჯერების სტაბილურობის მიღწევა;

- სამეურნეო რისკის მართვა;

- წარმოების ოპტიმიზაციისა და მდგრადი განვითარების ეკონომიკური მოდელების შექმნა და მისი რეალიზაციის ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება.

ზემოთ აღნიშნული, პროგნოზული მარკეტინგული მოდელით დადგენილი პარამეტრები შეესაბამება იმ პოზიციას, რომ, ჯერ თანდათან უნდა დავძლიოთ წლობით დაგროვილი კრიზისული ვითარება და დონე, არაინტენსიური განვითარების ტემპი და თანდათან გადავიდეთ პროგრესულ ტექნოლოგიებზე.

ასეთი მიდგომითა და სტრატეგიული მომართულებების რეალიზაციით საქართველოს შეუძლია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა გახდეს.

### **სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისათვის აუცილებელია:**

- ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს სწორი მეცნიერული შესწავლა და შეფასება;

- ნიადაგური და ბიოკლიმატური პოტენციალის მაღალი დატვირთვითა და მაღალი უკუგებით, ზონალურ-დიფერენცირებული სპეციფიკის შესაბამისი გამოყენება;

- ახალი, ინტენსიურ ტექნოლოგიებზე მორგებული ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა და მათი ინტენსიური და ინდუსტრიული ტექნოლოგიებით მოვლა-მოყვანა;

- წარმოების ტექნოლოგიური კომპლექსის მართვის ავტომატიზებულ, პროგრამირებულ სისტემებზე გადაყვანა;

- მთელი რესურსული პოტენციალის: მიწის, წარმოების ძირითადი საშუალებების, ინტენსიფიკაციის ფაქტორების, შრომითი რესურსების, ახლებური, თანამედროვე, ინტენსიური ტექნოლოგიების შესაბამის ნორმატივებსა და ენერგეტიკულ კრიტერიუმებზე, ამასთან, ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ მოთხოვნებზე დაყრდნობილი, ზონალურ-დიფერენცირებული და მოდიფიცირებული გამოყენება;

• ინტენსიურ საფუძვლებზე მოწყობილი და მართვის ავტომატიზებულ სისტემურ მოდელებზე დაფუძნებული საწარმოო ინფრასტრუქტურა, რასაც ამჟამად არანაკლები როლი მიეკუთვნება, ვიდრე თვით წარმოების პროცესს.

• წარმოების მართვაში რისკ-მენეჯმენტის ფაქტორის აუცილებელი გათვალისწინება;

• ძლიერი ინვესტიციური გარემოს შექმნა და რეგულირებული გამოყენება;

• ინოვაციური (ცოდნის) ეკონომიკის თანდათანობითი და მიზნობრივი გამოყენება.

**განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის შექმნისა და მისი ფუნქციონირების საზიო.**

ცენტრის მიზანი უნდა იყოს: სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე და მუშაობის მსურველ სპეციალისტთა მრავლმხრივი მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რომელიც დაეყრდნობა მომავალზე ორიენტირებულ, უწყვეტი სწავლების პრინციპებზე აგებული და ინფორმაციული ტექნოლოგიებით გაჯერებული სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, დარგობრივ-რეგიონულ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ საფუძვლებს, გრძელვადიან მარკეტინგულ სტრატეგიას.

ცენტრის ამოცანები და ძირითადი შედეგები იქნება:

• სწავლების ახლებური, პროგრესული, ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დამყარებული ფორმებისა და მეთოდების შემოღება და დანერგვა;

• სოფლად მომუშავე სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოებისა და ნორმატიულ-საცნობარო კრებულების გამოცემა;

• ახალგაზრდა მეცნიერთა ფართო ფენის მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლება;

• სოფლად მომუშავე სპეციალისტთა ფართო ფენის მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლება;

• საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო და ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, მისი დონისა და ეფექტურობის ამაღლება;

• სოფლის მეურნეობის მტკიცე საწარმოო-ტექნიკური ბაზის შექმნა და მისი რაციონალური გამოყენება;

• თითოეული რეგიონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების ურთიერთშეწონასწორებული გამოყენება.



### 5.6.2.6. აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა



2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა:

1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში აკად. ნ. ჭითანავა ასწავლის შემდეგ საგნებს: „ეკონომიკის პრინციპები“ (ეკონომიკური თეორია), „საქართველოს ეკონომიკა“, „სოციალური პოლიტიკა“, „ეკონომიკური გლობალიზაცია“, „ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება“;

2. 2015 წელს გამოქვეყნებული სტატიები:

2.1. საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის გეოეკონომიკური ასპექტები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები, ტომი 12. გამომცემლობა „უნივერსალი“.

სტატიაში განხილულია თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებები, ტენდენციები. ნაჩვენებია გეოეკონომიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა, იგი მიხნეულია ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ რესურსად.

2.2. მიწის რესურსის გამოყენების პრობლემები საქართველოში (ინგლისურ ენაზე). ჟურნალი „აგრარული მეცნიერების მაცნე“ (ინგლისურ და რუსულ ენებზე), თბილისი, ტომი 13, 3, 2015 წ. გვ. 91-94;

სტატიაში განხილულია მიწის რესურსების გამოყენების პრობლემები. შემოთავაზებულია მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსისა და წარმოების ფაქტორის ეფექტიანად გამოყენების რეკომენდაციები. გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია ქვეყანაში შეიქმნას მიწის რესურსების მართვის ერთიანი სამსახური.

3. 2015 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფია „საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები“, თბილისი, 2015,

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში. ახსნილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრად შემცირების მიზეზები, შეფასებულია დაშვებული შეცდომები, შემოთავაზებულია რეკომენდაციები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

4. აკად. ნ. ჭითანავას ხელმძღვანელობით 2015 წელს დაცულ იქნა 3 საბაკალავრო და 2 სამაგისტრო ნაშრომი.

საბაკალავრო ნაშრომები:

1. სიღარიბე – სოციალური პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები საქართველოში;

2. მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ძირითადი მიმართულებები;

3. სამეგრელოს ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პრობლემები.

სამაგისტრო ნაშრომები:

1. ევროკავშირი – საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების გავლენა ბიზნეს-გარემოზე;

2. სასურსათო უსაფრთხოება და ქართული ბიზნესის განვითარების მიმართულებები;

5. აკად. ნ. ჭითანავა არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ჟურნალების „ეკონომიკის“, „ეკონომისტი“, „ბიზნესისა და კანონმდებლობის“ რედკოლეგიის წევრი. არის სამი მონოგრაფიის მთავარი რედაქტორი, ორი მონოგრაფიის რეცენზენტი;

6. მოხსენებები კონფერენციებზე:

6.1. მოხსენება თემაზე „საქართველოს მიწის რესურსები: თანამედროვე მდგომარეობა და გამოყენების პერსპექტივები“, სამეცნიერო კონფერენცია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მედიორაციის ინსტიტუტი. საქართველოს ნიადაგმცოდნეთა საზოგადოება. თბილისი, 2015 წ.

6.2. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია (ოქტომბერი) - სამეცნიერო მოხსენება თემაზე „საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაცია“;

6.3. საქართველოს პოლიტიკური აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია (ნოემბერი), მოხსენება თემაზე: "სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა (კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები)".

7. მიზანშეწონილია მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით სოფლის მეურნეობის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებთან ერთად ჩატარდეს სიმპოზიუმი თემაზე: „საქართველოს სოფლის მეურნეობა ახალი გამოწვევების წინაშე.“ განხილულ იქნას ყველა საკვანძო საკითხი, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას. განსაკუთრებით გამოიკვეთოს აგრარული მეცნიერების როლი და საკადრო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების ძირითადი მიმართულებები. მიღებულ იქნას შესაბამისი რეკომენდაციები.



### 5.6.2.7. აბაღეშიძის ბიზი ჯაფარიძე



2015 წელს აკად. გ. ჯაფარიძე მუშაობას განაგრძობდა სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე; სატყეო დარგის მეცნიერ-სპეციალისტებთან ერთობლივად მუშაობდა საქართველოს კანონის - “საქართველოს ტყის კოდექსის” ახალი რედაქციის პროექტზე და პარალელურად საქართველოს სატყეო დარგის განვითარების სტრატეგიის საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში მისი უშუალო მონაწილეობით შემუშავებული და დამტკიცებული იქნა ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის დებულება და სასწავლო პროგრამები, აგრეთვე

დამტკიცდა აგრარულ სფეროში ექსპერტის წოდების მიმნიჭებელი კომისიის დებულება.

როგორც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი პრაქტიკულად მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობის ორგანიზაციას, აკადემიური საბჭოს და მის სხდომებზე სამეცნიერო განყოფილებების განსახილველი საკითხების დაგეგმვას, აკადემიასა და საზღვარგარეთის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების მომზადებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

- “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება”;
- “ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მდგრადი განვითარების საქმეში”;
- “საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები” და სხვა.

აღსანიშნავია აკადემიის ინიციატივით ჩატარებული მრგვალი მაგიდები თემებზე:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა დღეს და მისი სამომავლო პერსპექტივები;
- აგრარულ სფეროში მეცნიერებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ;
- აგროსაინჟინრო სფეროში რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების როლის გაზრდისა და მეცნიერული უზრუნველყოფის შესახებ;
- სექციისაგან დაზიანებული ვენახის მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ;
- სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები;
- რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებული საგრანტო თემების შესახებ.

#### **სემინარები:**

1. სიმინდის სელექციაში მიღწეული შედეგები და მათი გამოყენების შესაძლებლობები;
2. აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში.

ნიშანდობლივია აკადემიის მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე სპეციალური გამოფენის წარდგენა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულზე, რამაც მთავრობის წევრთა მაღალი შეფასება დაიმსახურა და სხვა.

საანგარიშო პერიოდში აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უშუალო მონაწილეობით გამოცემული იქნა 45 რეკომენდაცია სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც პრაქტიკული გამოყენებისათვის (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური და რაიონული საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრები, კოოპერატივების ხელმძღვანელები, ფერმერები) გადაეგზავნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.



როგორც დამოუკიდებელი პირი, აკად. გ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობს საგრანტო პროგრამის დამუშავებას - “კლიმატის ცვლილებების გავლენა ვაზის განვითარებასა და მოსავალზე” (კახეთი).

**აკად. გ. ჯაფარიძეს საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებული აქვს 17 სამეცნიერო შრომა, მათ შორის:**

- სატყეო განათლება საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები;
- კლიმატის ცვლილება და ხარისხოვანი ღვინის საწარმოო პოტენციალი შიგნიკახეთში;
- სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო მომსახურების სისტემა საქართველოში;
- სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები;
- გეოგრაფიული გარემო და აგრარული წარმოების თავისებურებები;
- სწორი აგრარული პოლიტიკა წარმატების გარანტიაა;
- სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზი;
- საქართველოში ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის შესახებ;
- გლობალური დათბობა და სიმაღლითი ზონალობით აგრობიოკლიმატური პარამეტრების ცვლილება;
- სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზული მიმართულებები მიწათმოქმედებისა და მემცენარეობის ხაზით;
- საქართველოს ტყეების გენეტიკური რესურსები;
- საქართველოს წაბლის ტყის ნიადაგები და სხვა.

აკად. გ. ჯაფარიძე არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ “მოამბის” მთავარი რედაქტორის მოადგილე და აკადემიის სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენის “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორი.

ამჟამად აკადემიის აკადემიური დეპარტამენტსა და აკადემიის პრეზიდენტის მოადგილესთან, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორთან და აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნებთან ერთობლივად ვმუშაობთ აკადემიის წესდების სრულყოფაზე, აკადემიის 2016 წლის პერსპექტიულ სამუშაო გეგმისა და აკადემიისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პროექტზე, რომელიც განსახილველად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.



### 5.6.2.8. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი



2015 წელს, საანგარიშო პროფ. გ. ნიკოლეიშვილის საქმიანობა ძირითადად მიმდინარეობდა:

1. საგრანტო თემის (2014-2015 წ.წ.): „თუთის მრავალ-მიზნობრივი გამოყენების მიზანშეწონილობა და ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს მთისა და ბარის პირობებში“ (დამფინანსებელი შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (გრანტი ARI1(323)10-100(12)), რომელიც სრულყოფილი ანგარიშის გაფორმებით დასრულდა;

ჩატარებული მუშაობის შედეგები პრაქტიკულად დაინერგა ქედის რაიონის, სოფ. მერისის ფერმერთა საკარმიდამო ნაკვეთებზე და სწრაფად ვრცელდება მიმდებარე სოფლებში (რაიონებში).

2. შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის დაფინანსებით დამუშავდა რამდენიმე პრობლემა, საიდანაც განსაკუთრებით საზგასასმელია დაავადება "ფოთლის სისუჭუჭის" შედარებით გამძლე ჯიშების მორფოლოგიურ-ანატომიური დახასიათება და ადრეული დიაგნოსტიკა, შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლისაგან (ყლორტი, ტოტის) მეცხოველეობისათვის არატრადიციული საკვების (ნეკერის) წარმოების მიზანშეწონილობა და ეკონომიკური ეფექტიანობა, რასაც საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით კიდევ მრავალი საკითხია შესასწავლი, რაც ალბათ მომავალ წლებში გაკეთდება;

3. საინვესტიციო პროგრამა „მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში 2015-2025 წლებში.“

(გ. ნიკოლეიშვილი გ. ჯაფარიძე, თ. კუნჭულია, ე. შაფაქიძე) განიხილა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ და მოიწონა. აღნიშნული პროგრამა გაეგზავნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მეაბრეშუმეობის რაიონებს წარმოებაში დანერგვის მიზნით.

4. პროფ. გ. ნიკოლეიშვილის (თანაავტორი ე. შაფაქიძე) მიერ დამუშავებული და რეცენზირებული რეკომენდაციებიდან, სულ შვიდი (7), განსაკუთრებით მაღალმეცნიერული ღირებულებით აღინიშნა:

4.1. თუთის ანატომია. BACSA-ს პრეზიდენტი, პროფესორი პ.ცენოვი გაეცნო ნაშრომს, მოიწონა და გამოგზავნა წერილი, სადაც გვთხოვდა, გაგვეგზავნა საინტერესო მასალები დარგის მეცნიერების საერთო მიზნებისა და ინტერესებისათვის;

2015 წელს მომზადდა აგრეთვე სქელტანიანი ნაშრომი 100-მდე სურათით, რაც კიდევ უფრო საინტერესო იქნება უცხოელი მეკვლევარებისათვის.

4.2. რეკომენდაცია "შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადების შესაძლებლობა, ტექნოლოგიები და ეკონომიკური ეფექტიანობა." ავტორები: გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, თ. დალალიშვილი, ა. ჩაგელიშვილი. რედაქტორი თ. კუნჭულია. თბილისი, 2014წ. გვ. 16;

4.3. რეკომენდაცია "თერმული წყლით გამთბარ სუბსტრატში თუთის გამძლე ჯიშების ნაზამთრი კალმით დაფესვიანება და ეკონომიკური ეფექტიანობა." ავტორები: გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, თ. დალალიშვილი. რედაქტორი თ. კუნჭულია. თბილისი, 2014წ. გვ. 16;

4.4. რეკომენდაცია "პირველ ორ ასაკში თუთის აბრეშუმხვევიას ცენტრალიზებული გამოკვება და უპირატესობა ინდივიდუალურ გამოკვებასთან შედარებით" (გ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაქიძე, ნ. ბარამიძე). თბილისი, 2014, გვ. 7;

აღნიშნული რეკომენდაციები იმდენად საინტერესო აღმოჩნდა BACS -ს ხელმძღვანელობისათვის, რომ აღმასკომის წევრების თანხმობით, შესაძლებლად მიიჩნია მისი გაგზავნა მონაწილე ქვეყნებისათვის წარმოებაში დანერგვის რეკომენდაციით. ამ აღიარებით დარგის მეცნიერთა მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა.

5. საანგარიშო პერიოდში გამოიცა 11 სამეცნიერო შრომა, მათ შორის:

5.1. მონოგრაფია „საქართველოს მთისა და ბარის ზონებში თუთის მრავალმიზნობრივი გამოყენების მიზანშეწონილობა“ (თ. დალალიშვილი), რითაც ნაწილობრივ მაინც შეივსო ლიტერატურის ნაკლებობა თუთის მორფოლოგიაში-ანატომიაში, მრავალმიზნობრივი გამოყენების და ეკონომიკური ეფექტიანობის შესწავლის მიმართულებით. მონოგრაფია მოიცავს 151 გვერდს, 7 თავს და შედარებით გამძლე ჯიშების მორფოლოგიურ-ანატომიური აგებულების ამსახველ სურათებს, რაც უდიდესი შენაძენია მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის. ნაშრომში განხილულია აგრეთვე თუთის მცენარის მრავალმიზნობრივი გამოყენების ზოგიერთი ფაქტორი:

- ნაყოფის მრავალმიზნობრივი გამოყენება (ჯემი, არაყი, ღვინო, წვენი, ბექმეზი, ტკბილი კვერი და სხვა) და მოტანილია შესაბამისი მეცნიერული დასკვნა (ტექნოლოგიების მონაწილეობით);

- რეცეპტები, რაც საკარმიდამო მეაბრეშუმეობის ეკონომიკური ეფექტიანობის ხელშემწყობი ფაქტორია;

- შერჩეულია ძლიერმოზარდი თუთის ჰიბრიდების ეფექტურობა აჭარის მეწყერსაშიშ ზონებში;

- შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლის მიზანშეწონილი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა მეცხოველეობაში, მეხორცულ მეფრინველეობაში, მეთევზეობაში და ა.შ.

- თუთის ტოლერანტული ჯიშების გავრცელება (კონკრეტული რეგიონებისათვის) ახალი სანედლეულო ბაზის გაძლიერება და ნატურალური პროდუქციის წარმოება სასიკეთოდ წაადგება სოფლის მოსახლეობის საოჯახო ბიუჯეტს;

5.2. „დავუბრუნოთ ქართულ აბრეშუმს ძველი დიდება, აღვადგინოთ ასობით ახალი სამუშაო ადგილი.“ (თანაავტორი ე. შაფაქიძე), ჟურნალი "ახალი აგრარული საქართველო", № 2015.

5.3. „მეაბრეშუმეობის სისტემის საწარმოების ინტეგრირება, მოგება და განაწილება.“ BACSA -ს მე-7 კონფერენციის მასალები. 2015წ. რუმინეთი, ქ. სინაია;

5.4. „რეკომენდაცია "თუთის, თესლნერგის, ნაყოფის და ფოთლის მიზანმიმართული გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ.“ თანაავტორობით. თბილისი, 2015წ. გვ.18;

5.5. „მეაბრეშუმეობაში მეურნეობის ახალი ფორმები (კოოპერატივები, გაერთიანებები და სხვა) და როლი დარგის რეაბილიტაციის აღორძინების საქმეში“. BACSA-ს მე-7 კონფერენციის მასალები 2015 წ. რუმინეთი, ქ. სინაია;

5.6. „გლობალური დათბობა, თუთის არეალის გაფართოება, მრავალმიზნობრივი გამოყენება და ეკონომიკური ეფექტიანობა“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“, თბილისი, 2015. გვ. 405-409;

5.7. რამდენიმე სამეცნიერო სტატია დაიბეჭდა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (2015წ. აგვისტო, №31) და სხვა გაზეთებში.

BACSA-ს მე-7 საერთაშორისო კონფერენციაში (2015წ. აპრილი, რუმინეთი) მონაწილეობა მივიღეთ სამეცნიერო სტატიებით (6) და რეკომენდაციის გაგზავნით, რაც დიდი წარმატებით იქნა აღიარებული;

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გ. ნიკოლეიშვილი ასრულებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული მეაბრეშუმეობის ეროვნული კოორდინატორის ფუნქციას, ხელმძღვანელობს დარგობრივ ჯგუფს;

არის ჟურნალ „აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ს სარედაქციო საბჭოს წევრი და ასრულებს სხვა დავალებებს;

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, საქპატენტის მიერ გაცემულია მოწმობა (პატენტი) 053 ქუთაისური-1 და 054 ქუთაისური-2 თარიღით 2014-07-30;

დამთავრდა მუშაობა (თანაავტორი ე. შაფაქიძე) მონოგრაფიაზე „საქართველოს მეაბრეშუმეობა-პრობლემები, რეაბილიტაცია, აღორძინება“, გვ. 257;

საქართველოს მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის სრულყოფილი პროგრამა წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2010 წლის 20 ივლისის

04 ბრძანების საფუძველზე შემუშავებული ღონისძიების „საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წ.წ.“ და საინვესტიციო პროექტი „მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში“ და სხვ.

წინადადება:

სასურველია 2016 წელს (სექტემბერ-ოქტომბერი) აკადემიური საბჭოს ან ეკონომიკური სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე მოეწყოს საკითხის „მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია, კოოპერირება და ნედლეულის წარმოება-აბრეშუმის მრეწველობის ინტეგრაცია“ - განხილვა.



თავი 6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მენეჯერებთან აკადემიის  
ეროვნული კოორდინატორები

6.1. სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორები მიმართულუბების  
მიხედვით

1. მევენახეობა – აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი; აკად. დოქტ. ლევან უჯმაჯურიძე;
2. მეღვინეობა – აკადემიკოსი გურამ პაპუნძე, აკად. დოქტ. ზურაბ ტყემალაძე;
3. მეხილეობა – აკადემიკოსი იუზა ვასაძე;
4. ჩაი და ციტრუსები – აკადემიკოსი ვალერიან ცანავა;
5. მინდვრის კულტურები - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტიელიანი; აკად. დოქტ. კახა ლაშხი;
6. ბოსტნეული კულტურები - ს.მ. მეც. დოქტ. ვალერი სუხიშვილი; აკად. დოქტ. ნატო კაკაბაძე;
7. მცენარეთა დაცვა – აკადემიკოსი გურამ ალექსიძე;
8. მიწათმოქმედება – აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი;
9. სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია – აკადემიის წ/კ თამაზ თურმანიძე
10. აგროქიმიკა-ნიადაგმცოდნეობა – აკად. გოგოლა მარგველაშვილი;
11. მიწათსარგებლობა – ტექ. მეცნ. დოქტ. ანზორ მესხიშვილი;
12. მეცხოველეობა – აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი;
13. საკვებწარმოება – სოფლ მეურ. მეცნ. დოქტ. იოსებ სარჯველაძე;
14. ვეტერინარია – აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი;
15. მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავება – აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;
16. მებაღეობა – აკადემიის წ/კ გიორგი ნიკოლეიშვილი;  
აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია; აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე;
17. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია – აკადემიკოსი რეზო მახარობლიძე;
18. სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია –  
აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე;
19. სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია – ტექნიკის მეცნიერებათა  
დოქტორი,  
პროფესორი ირაკლი ყრუაშვილი;
20. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვა და გადამუშავება –  
აკადემიკოსი ნუგზარ ბადათურია; აკადემიკოსი თენგიზ ნანიტაშვილი
21. მეტყევეობა – აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი; აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი გაგოშიძე;
22. მეფუტკრეობა – ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ბორის წითლიძე;

## 6.2. სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორების მოკლე ანგარიშები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2015 წლის ანგარიშში რეკოლაციის გადაწყვეტილებით პირველად ქვეყნდება აკადემიის იმ ეროვნული კოორდინატორების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები, რომლებიც არ არიან აკადემიის წევრები.

### 6.2.1. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან სუხიშვილი (მიმართულება "ბოსტნეული კულტურები")

როგორც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კოორდინატორი მებოსტნეობის მიმართულებით, პროფ. ვ. სუხიშვილის მიერ გატარებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები აღნიშნული დარგის პოპულარიზაციისა და მისი განვითარების საკითხებში. კერძოდ, 2014 წლის 14 ნოემბერს ჩატარდა შიდა ქართლის სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია მებოსტნეობასა და მეხილეობის განვითარების საკითხებზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კოორდინატორ, აკად. იუზა ვასაძესთან ერთად.

ამ კონფერენციაზე, სადაც მოწვეულები იყვნენ შიდა ქართლის ფერმერები და დაინტერესებული პირები, პროფ. ვ. სუხიშვილმა მოხსენება გააკეთა თემაზე: "მებოსტნეობის მდგომარეობისა და მისი განვითარების მეცნიერული კვლევის შედეგები და პერსპექტივები". კერძოდ, განხილული იქნა ბოსტნეული კულტურები, მისი ენდემური სახეობები და სელექციური ჯიშები. აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო სსმმ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ერთწლოვანი კულტურების კვლევის დეპარტამენტის უფროსმა, ბოსტნეული კულტურების ეროვნული კოორდინაციის დარგში სოფლის მეურნეობის დოქტორმა ნატო კაკაბაძემ. ამ საკითხებზე თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინეს ფერმერებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

აღნიშნული კონფერენციის მასალების შესახებ გამოიცა შრომათა კრებული საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვეგდით, სადაც მოცემულია სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მოხსენებები მებოსტნეობისა და მეხილეობის განვითარების არსებული მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

აღსანიშნავია ის, რომ პროფ. ვ. სუხიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის – მებოსტნეობა, მებაღეობა, მეკარტოფილეობასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის მუშაობაში. აღნიშნულ კომისიას წარედგინა მოსაზრებები და წინადადებები წარმოდგენილი პროგრამის მიმართ. (აღნიშნულ საკითხებზე პროფ. ვ. სუხიშვილის მოსაზრებების და წინადადებების ტექსტი თან ერთვის.)

გარდა ამისა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გაკეთდა ინფორმაცია სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ, სადაც პრიორიტეტული საკითხი იყო კადრების მომზადებისა და გადამზადების საკითხები.

აღსანიშნავია ის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღო ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის აგროწესების ნაშრომთან დაკავშირებით, რომელიც შედგენილია ავტორთა ჯგუფის: ლერი ნოზაძის, ალექსანდრე სარალიძის, ნატო კაკაბაძის, ეთერ ფიფიას, ზურაბ საპატოვის, ნუნუ ჟვანიას, ნანული ჩხოვაძის და ციური ბიჭიაშვილის მიერ. აღნიშნულ ნაშრომზე წარდგენილია შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებული იქნებოდა ნაშრომის საბოლოო ვარიანტში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროფ. ვ. სუხიშვილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებში აქტიურად მონაწილეობს და წარდგენილ აქვს სამეცნიერო შრომები და კვლევები შემდეგ საკითხებზე “კლიმატის ცვლილებების შესაბამისად მუტაციის გზით ახალი ჯიშების გამოყვანა გამა-დასხივების გამოყენებით“, „გლობალური დათბობა და მცენარეთა ადაპტაციები მაღალი ტემპერატურისადმი“; “გლობალური დათბობის პირობებში ახალი მუტანტური თვისებების ჯიშების გამოყვანის მნიშვნელობის შესახებ“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწოდებულ სემინარზე 2014 წლის 24 ოქტომბერს პროფ. ვ. სუხიშვილმა წარადგინა მოხსენება: "ბოსტნეული კულტურების ენდემური სახეობები, აბორიგენული და სელექციური ჯიშები", რომელიც ძალზე აქტუალურია მებოსტნეობის შემდგომი განვითარებისათვის. მომავალში გასათვალისწინებელია რეგიონების მიხედვით ჩატარდეს შესაბამისი სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიებები სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის სამსახურებთან ერთად. ამასთან ერთად, კარგი იქნება თუ აკადემიის შესაბამისი სამსახურები გაითვალისწინებენ პროფ. ვ. სუხიშვილის ჩართულობას მათ მიერ ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებში.

### **სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის-მებოსტნეობა, მებაღჩეობა, მეკარტოფილეობასთან დაკავშირებით მოსაზრებები და წინადადებები**

პირველ რიგში მისასაღმებელია ხელისუფლების მიერ მკვეთრი ღონისძიებების განხორციელება სოფლის მეურნეობაში წლების განმავლობაში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

ამის დასტურია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიზანდასახული პროგრამების ამოქმედება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდისა და სამეცნიერო დარგის ამოქმედებისათვის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ცალკეული დარგების პერსპექტიული განვითარებისათვის შექმნილი კომისიების მიერ შემუშავებული პროგრამები. მათ შორის ნაყოფიერი მუშაობა გასწია სახელმწიფო მიზნობრივმა პროგრამამ – "მებოსტნეობა, მებაღჩეობა, მეკარტოფილეობა", რომელმაც მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში განსაზღვრა ამ დარგების პერსპექტიული შესაძლებლობები და გასატარებელი ღონისძიებები.

გასათვალისწინებელია ის, რომ საქართველოს ნიადაგური, კლიმატური და რელიეფური სივრცე მრავალფეროვანია და თითქმის ყველა რეგიონი წამყვან კულტურებთან ერთად წარმოდგენილია დამხმარე დარგებით. ამიტომ მებოსტნეობა, მებაღჩეობა, მეკარტოფილეობის პერსპექტიული გეგმები თავსებადი უნდა იყოს სხვა

დარგების პერსპექტიულ გეგმებთან ერთობლიობაში, რადგან მიწის რესურსი იყოს ბალანსირებული და არა შეუთავსებელი.

უნდა გაკეთდეს ნიადაგობრივი რუქები სად რომელი და რა ფართობის კულტურა განთავსდება თავისი თესლბრუნვების გათვალისწინებით.

იმის გამო, რომ პერსპექტიულ გეგმაში ვითვალისწინებთ 500 ათასი ტონა ბოსტნეულის წარმოებას, დღევანდელი გადამამუშავებელი სიმძლავრეებით შეუძლებელია მისი რეალიზაცია და გადამამუშავება, რადგან 1985-1990 წლებში, როცა საქართველოში იწარმოებოდა 350-370 ათასი ტონა ბოსტნეული, მაშინდელი ინფრასტრუქტურის პირობებშიც კი ვერ ხერხდებოდა ამ პროდუქტების სრულყოფილად გადამამუშავება და რეალიზაცია, მით უმეტეს თავისუფალი იყო პოსტსაბჭოთა ბაზარი.

ამიტომ, სრულიად შესაძლებელია 500 ათასი ტონა ბოსტნეულის მიღება, თუ პირველ რიგში პერსპექტივაში გავითვალისწინებთ მცირე გადამამუშავებელი საწარმოების და მიმღები ორგანიზაციების დაფუძნებას სხვადასხვა რაიონულ ცენტრებში და დიდ სოფლებში. ამის საჭიროებას ისიც განაპირობებს, რომ ფერმერს, გლეხს მისი რეალიზაციისათვის დიდი დრო ეკარგება და ტრანსპორტის ხარჯიც იზრდება შორს მანძილზე გადატანის გამო.

ამ დარგის განვითარებისა და დასახული მიზნის მისაღწევად უნდა გავითვალისწინოთ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების დაარსება წამყვან რეგიონებში თავისი საცდელი სადგურებით ზონების მიხედვით. მიზანშეწონილია ამასთან ერთად შეიქმნას სტრუქტურული მართვის ორგანოები რეგიონალური კოოპერაციული გაერთიანების სახით, რომლებშიც ჩამოყალიბდება პასუხისმგებელი მართვის განყოფილებები: თესლის კონტროლზე, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე, მოწვეული პროდუქციის რეალიზაციაზე, მცენარეთა დაცვაზე, მეცნიერული მიღწევების დანერგვაზე და სხვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი აგრონომიული კადრების მოსამზადებლად. გათვალისწინებული უნდა იყოს მათი დასაქმების პერსპექტივები. უმაღლესი და ტექნიკური სასწავლებლების ეს სპეციალობები დღევანდელ პირობებში ვერ კომპლექტდება, რაც იწვევს ამ ფაკულტეტების მიმართ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა ნაკლებ დაინტერესებას.

ბოსტნეულ-ბაღჩეული და კარტოფილის მოვლა-მოყვანის კვალიფიციური მომსახურე პერსონალის მოსამზადებლად პირველ ეტაპზე საჭიროა დაფუძნდეს მუდმივ მოქმედი კურსები რეგიონების მიხედვით.

საერთო ჯამში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისა და მსოფლიო სტანდარტების დაკმაყოფილებისათვის გაგვაჩნია საუკეთესო ნიადაგურ, კლიმატური პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა, მაგრამ არა გვაქვს რეგიონული მართვის სრულყოფილი სტრუქტურა. რეგიონებში ჯერ კიდევ არიან გამოცდილი და კვალიფიციური კადრები, რომელთა გონივრული გამოყენებით შეგვიძლია მოკლე ხანში მივაღწიოთ სასურველ შედეგებს.





## 6.2.2. აკადემიური დოქტორი ნატო კაკაბაძე (მიმართულება "ბოსტნეული კულტურები")

2015 წელს მებოსტნეობის ჯგუფის წევრებმა: ნ. კაკაბაძე, ვ. ჯაფარიძე, ვ. სუხი-შვილი აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებით მებოსტნეობის და მეკარტოფილეობის სახელმწიფო პროგრამის მომზადებაში, აგრეთვე სეზონზე კარტოფილის ორი მოსავლის მიღების ტექნოლოგიის შემუშავებაში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებით ნ. კაკაბაძის მიერ მომზადდა ბროშურა "კარტოფილის და სიმინდის მოყვანის ეფექტური ტექნოლოგია". ბროშურა ფერმერებისათვის "ერთწლოვანი კულტურების-პამიდორი, კიტრი, ხახვი, ნიორი, ბალჩეულის, ტექნიკური კულტურების და სხვა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები". ნ. კაკაბაძემ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში „მებოსტნეობის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში“. აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულ კონფერენციებში, ეროვნულ კორდინატორთა მე-8 თათბირ-სემინარზე უზბეკეთში, ქალაქ ტაშკენტში.

აკადემიის პრეზიდენტის, აკად. ვ. ალექსიძის ხელმძღვანელობით ნ. კაკაბაძემ და ვ. ჯაფარიძემ იმუშავეს პროექტზე "კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ბოსტნეულზე".

აკად. ო. ქეშელაშვილის დავალებით ნ. კაკაბაძემ შეადგინა აქტუალური საკითხები კვალიფიკაციის ამაღლების კურსებისათვის, თუ რა გამოკვლევები უნდა შესრულდეს მებოსტნეობა-მებაღეობა-მეკარტოფილეობის მიმართულებით და რას უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება.

აკად. გურამ ალექსიძის ხელმძღვანელობით ნ. კაკაბაძემ კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების სამეცნიერო ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად მიიღო მონაწილეობა ექსპედიციაში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ბოსტნეულ-ბალჩეულ და ყველა ერთწლოვანი კულტურების სათესლე მასალის მოძიებასთან დაკავშირებით და შემდეგ იმყოფებოდა სამხრეთ კორეის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრში, საიდანაც უნდა მივიღოთ სხვადასხვა კულტურების სათესლე მასალა კვლევებში ჩასართავად.

სამხრეთ კორეაში გასაგზავნად ნ. კაკაბაძემ გაამზადა შემდეგი კულტურების სათესლე მასალა:

- |                                  |                                 |
|----------------------------------|---------------------------------|
| 1. Phaseolus Vulgaris            | - ჩვეულებრივი ღობიო, 20 ნიმუში; |
| 2. Capsicum Annum                | - ბულგარული წიწაკა, 3 ნიმუში;   |
| 3. Anethum Graveolens            | - ცერეცო, 1 ნიმუში;             |
| 4. Lycopersicum esculentum Mill  | - პამიდორი, 4 ნიმუში;           |
| 5. Allium cepa                   | - თავიანი ხახვი, 2 ნიმუში;      |
| 6. Cucurbita Pepo                | - მაგარკანიანი გოგრა; 2 ნიმუში; |
| 7. Cucurbita Moschita Duch       | - თაფლა გოგრა, 4 ნიმუში;        |
| 8. rassica Capitata Lizg(Likani) | - თავიანი კომბოსტო, 2 ნიმუში;   |
| 9. Cucumis Sativus (Nejini)      | - კიტრი, 5 ნიმუში;              |
| 10. Cucumis Melo L(Megruli)      | - ნესვი, 4 ნიმუში;              |
| 11. Aucus Carota L (Nantis)      | - სტაფილო, 2 ნიმუში;            |
| 12. Beta Vulgaris L (Bordo)      | - ჭარხალი, 2 ნიმუში.            |

ნ. კაკაბაძის მიერ მომზადდა ბოსტნეული კულტურების გენეტიკური რესურსები საქართველოში - აგრობიომრავალფეროვნების კატალოგში გამოსაქვეყნებლად.

ნ. კაკაბაძის, ვ. ჯაფარიძის, ლ. ნოზაძის და სხვათა მიერ მომზადდა გამოსაცემად "მეზოსტნის ცნობარი", ხოლო ნ. კაკაბაძის და ვ. ჯაფარიძის ავტორობით სახელმძღვანელო "მეზოსტნეობა".



### 6.2.3. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი შაჰრო ყანჩაველი (მიმართულება "მცენარეთა დაცვა")

მცენარეთა დაცვის ეროვნულ კორდინატორთა დარგობრივი ჯგუფის შემადგენლობაში შედის 11-წევრი, აქედან 1-აკადემიკოსი, 4-მეცნიერებათა დოქტორი და 6-აკადემიური დოქტორი.

2015 წელს რეგულარულად ტარდებოდა ჯგუფის სხდომები, რომლებზედაც წაკითხული იქნა მცენარეთა დაცვის აქტუალურ საკითხებზე მიძღვნილი მოხსენებები. სხდომებზე ასევე მოსმენილი იქნა დამთავრებული სამეცნიერო გრანტების ანგარიშები.

შედგენილია სასწავლო პროგრამა საგანში: „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“, რომლის სწავლება ჩატარდებოდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწოდებულ კვალიფიკაციის ამალღების კურსებზე მყოფ ფერმერებს.

შემუშავდა მცენარეთა დაცვის ახალი კონცეფცია, რაც დამყარებულია მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ქიმიური პესტიციდების გამოყენების შემცირებაზე და შესაბამისად ბიოლოგიური საშუალებების გაზრდაზე.

შემუშავებული ზოგიერთი კულტურების (ხეხილი, ვაზი, ხორბალი და კარტოფილი) მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ინტეგრირებული სისტემები, რომლებიც დაფუძნებულია თვითმარეგულირებელი მექანიზმების მაქსიმალურ გამოყენებაზე, რაც გულისხმობს მავნე მწერების ბუნებრივი მტრების (ენტომოფაგები, პარაზიტული ნემატოდები, პათოგენური მოკროორგანიზმები) მაქსიმალურ გამოყენებას და მათ საფუძველზე, აქტიურ მტაცებლურ, პარაზიტულ თუ ინფექციურ საწყისზე, ახალი ბიოპრეპარატებისა და პრეპარატული ფორმების შექმნას და გამოყენებას.

შემუშავებულია ასევე მცენარეთა დაცვის ზოგიერთი ღონისძიებათა სისტემა დახურული გრუნტისათვის.

განსახილველია ის ძირითადი მოთხოვნები, რაც წაყენებულია თანამედროვე ქიმიური პესტიციდების მიმართ.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ორ საერთაშორისო კონფერენციაში. გამოქვეყნებულია 16-სამეცნიერო შრომა, როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ჟურნალებში.

გადაცემულია რამოდენიმე ინტელექტუალური პროდუქცია მომდევნო წელს წარმოებაში დასანერგად.

დარგობრივი ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქის მწვანე საფარის ფიტოსანიტარულ მონიტორინგში. გამოვლინებულია, როგორც წიწვოვნების, ასევე ფოთლოვნების ძირითადი მავნე ორგანიზმები და შემუშავებულია მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა, რომელშიც დიდი ადგილი დათმობილი აქვს ბიოლოგიურ პრეპარატებს.

ჯგუფის წევრებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საგამოფენო დარბაზში მოაწვევეს პოსტერების, მცენარეთა დაზიანებული და დაავადებული ნიმუშების გამოფენა.



#### 6.2.4. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბიორბი ბაბოშიძე (მიმართულება "მეტყვეობა")

##### 1. სამეცნიერო პუბლიკაციები

2015 წელს ინდივიდუალურად და თანაავტორობით გამოქვეყნებული იქნა სამეცნიერო შრომები:

- „სატყეო განათლება საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები (აკად. გ. ჯაფარიძესთან და მეტყვევ-სპეციალისტ გ. ჭყონიასთან თანაავტორობით)“ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, №34, თბილისი, 2015 წ. გვ. 143-147;

- „ხატის ტყეები“ და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია (გ. არონი-შიძესთან და გ. ლოლუასთან თანაავტორობით)“ - აკად. ი.ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“ - მასალები, თბილისი, 2015 წ. გვ. 626-628;

- „საქართველოს ტყეების გენეტიკური რესურსები (აკად. გ.ჯაფარიძესთან და აკად. რ. ჩაგელიშვილთან თანაავტორობით)“ - სამეცნიერო კონფერენციის - „საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები“ - მასალები, თბილისი, 2015 წ., გვ.გვ. 25-32,

- „საქართველოს წაბლის ტყის ნიადაგები (აკად. გ. ჯაფარიძესთან და აკად. რ. ჩაგელიშვილთან თანაავტორობით)“ - სამეცნიერო კონფერენციის - „ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში“ - მასალები, თბილისი, 2015 წ. გვ. 30-37;

- „სატყეო მეურნეობის დარგის მდგრადი განვითარების პრინციპები (აკად. გ. ჯაფარიძესთან და აკად. რ. ჩაგელიშვილთან თანაავტორობით)“- სამეცნიერო ჟურნალი „ქართული პოლიტიკა“, მიმართულება - „საქართველოს აგრარული პოლიტიკის აქტუალური პრობლემები“, თბილისი, 2015 წ., გვ. 45-51;

- „ქარსაფარი დაცვითი ტყის ზოლების მდგომარეობა ბოლნისის რაიონის ზოგიერთი აგრარული (ბოლნისი, რაჭისუბანი, ფოლადაური) სავარგულებზე (მაგის-

ტრანტ დ. სახვიაშვილთან თანაავტორობით) - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“- მასალები, თბილისი, 2015 წ. გვ. 98-101;

- „ძირითადი აბორიგენი მერქნიანი ტყემცენარეულობის თანამედროვე მდგომარეობა და გაუმჯობესების გზები“- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“-მასალები, თბილისი, 2015 წ., გვ.101-104;

- „საქართველოს სატყეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი და დარგის განვითარების პერსპექტივები“ - სამეცნიერო კონფერენციის - „სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანები“, მიმართულება - „სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის და ქვეყნის სექტორული ეკონომიკის განვითარების პრობლემები“- მასალები, თბილისი, 2015 წ.

## **2. სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული-მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორის რანგში (სრული საშტატო ერთეული, წლიური პედაგოგიური დატვირთვა 554 საათი), მაპროფილექტული დისციპლინების - „დენდროლოგია (შიშველთესლოვანები)“ და „დენდროლოგია (ფარულთესლოვანები)“, - სატყეო სამეურნეო და სატყეო ეკოლოგიის სპეციალობების ბაკალავრიატის II კურსზე და „დენდრომორფოლოგია“ - სატყეო სამეურნეო და სატყეო ეკოლოგიის სპეციალობების მაგისტრატურის I კურსზე - წამყვანი პედაგოგი;

### **2.1. დოქტორანტებთან მუშაობა**

- „სატყეო მეურნეობის“ სპეციალობის დოქტორანტმა მაია გოგოტიშვილმა დაიცვა დისერტაცია;

- „სატყეო მეურნეობის“ სპეციალობის ერთი და „სატყეო ეკოლოგიის“ სპეციალობის ორი დოქტორანტი მუშაობს სადოქტორო - საკვალიფიკაციო თემებზე;

### **2.2. მაგისტრანტებთან მუშაობა**

- დასაცავად მზადაა ორი სამაგისტრო ნაშრომი;

- მზადდება დასაცავად სამი სამაგისტრო ნაშრომი;

## **3. საკანონმდებლო საქმიანობა**

აკადემიკოსების გ. ჯაფარიძისა და რ.ჩაგელიშვილის ხელმძღვანელობით დამუშავდა და საქართველოს პარლამენტს გადაეცა კანონპროექტი - „ქარსაცავი ზოლების შესახებ“;

## **4. მონაწილეობა სამეცნიერო ფორუმებში**

- გასვლითი სემინარი კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში (2015 წ-ს 20 მარტი) - მონაწილე;

- მრგვალი მაგიდა მეთევზეობაში (2015 წ-ს 3 აპრილი) - მონაწილე;

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „საქართველოს მთის ტყეების დღევანდელი მდგომარეობა“ – მონაწილე, აკად. რ. ჩაგელიშვილის ძირითადი მოხსენების - „სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპები“ - თანამომხსენებელი, თემა: „საქართველოში სატყეო განათლების თანამედროვე მდგომარეობა და მის სრულყოფის გზები (2015 წ. 3 აპრილი);

- მრგვალი მაგიდა - „აგრარულ სფეროში მეცნიერებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივის შესახებ“ (2015 წ. 14 ივნისი) - მონაწილე;

- მრგვალი მაგიდა - „საქართველოში ქარსაფარი ზოლების არსებული მდგომარეობა და მომავლის პერსპექტივები (2015 წ. 24 ივნისი) - ძირითადი მომხსენებელი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზებით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“ (2015 წ-ს 4,5,6 ნოემბერი)“ - მონაწილე;
- აკად. ი. ფრანგიშვილის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა (2015 წლის 4,5,6,7 ნოემბერი)“ - მონაწილე;
- სამეცნიერო კონფერენციის - „საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები (2015 წლის 13 ნოემბერი)“ - მონაწილე;
- სამეცნიერო კონფერენცია (გაეროს ეგიდით) -“ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში (2015 წ-ს 04 დეკემბერი) - მონაწილე;
- საერთაშორისო კონფერენციის - „საქართველოს ტყის ეკოსისტემების აღდგენა და მდგრადი მართვა (2015 წ-ს 18 ნოემბერი)“ - მონაწილე;
- საერთაშორისო კონფერენციის - „საქართველოს ტყეების ეკოსისტემების აღდგენა (2015 წ. 26 ნოემბერი)“ - მონაწილე;

**5. სამეცნიერო - პრაქტიკული რეკომენდაციების მომზადება**

„რეკომენდაციები ქარსაფარი ზოლების გაშენებისა და მოვლისათვის (აკად. გ. ჯაფარიძესთან, აკად. რ. ჩაგელიშვილთან, პროფ. გ. ხარაიშვილთან თანაავტორობით)“- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2015 წ. გვ. 1-13;

**6. სხვა აქტივობები**

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის წევრი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს წევრი;
- საქართველოს ჟ.შარტავას სახელობის პოლიტიკური აკადემიის, ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სადოქტორო სკოლის კოორდინატორი;
- საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო საგრანტო პროექტის ფარგლებში - „პოლონეთის სახელმწიფოს დახმარება მეორე რიგის ქვეყნებს“ - საქართველოს ტყეების მონიტორინგის კომისიის კოორდინატორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან;
- საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის პროგრამა - „რეალური სივრცე“ - მონაწილე (თემა: „ქ. თბილისისა და მისი შემოგარენის მცენარეული საფარის მდგომარეობა და პრევენციის ღონისძიებები“);
- სატყეო პრობლემებისადმი მიძღვნილი გადაცემა ტელეარხ „ობიექტივში“ - მონაწილე;
- სატყეო პრობლემებისადმი მიძღვნილი გადაცემა ტელეარხ „დროში“ - მონაწილე;
- და სხვა ადგილობრივი ღონისძიებების მონაწილე.



**6.2.5. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი იოსებ სარჯველაძე  
(მიმართულება "საკვებწარმოება")**

საკვებწარმოების მიმართულებით მიერ 2015 წელს შესრულებული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაავალებით შედგენილია ფერმერთა სწავლების სასწავლო პროგრამა „საკვები ბაზის ორგანიზაცია“;

2. საკვებწარმოებაში მომზადებულია სალექციო მასალა რაიონის ფერმერებისათვის;

3. მომზადებულია პროგრამა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის - „საკვებწარმოების დარგის ძირითადი მიმართულებები“;

4. მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში საერთაშორისო კონფერენციაში „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“, წარდგენილია 2 შრომა;

5. მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარებულ დარგობრივი კომისიის თავჯდომარეების შეხვედრაში, სადაც განხილული იქნა საკვებწარმოების დარგში არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ ჩასატარებელი ღონისძიებები;

6. გაეროს ეგით მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში - „ბიოწარმოება, ფერმერთა სწავლება ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესახებ“;

7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის გოჩა ცოფურაშვილის 8.12. 7389/01 წერილზე მომზადებულია პასუხი - ფერმერებისათვის ზამთრის და ზაფხულის საძოვრების მდგომარეობის შესახებ, რეკომენდაციები გაუმჯობესების შესახებ.

8. მონაწილეობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „CENN“-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში - „ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირების შესახებ“, გაკეთდა მოხსენება და წარდგენილია სოფელ ბულაჩაურის საძოვრების მართვის გეგმა;

9. მონაწილეობდა მეოთხე საკორდინაციო შეხვედრაში - „საქართველოში საძოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“.

10. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ეგიდით შედგენილია ჭაჭუნას ალკვეთილის მიმდებარე ზამთრის საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებები, რომლის საფუძველზეც ჩატარდა სამუშაოები სადემონსტრაციო ნაკვეთების მოსაწყობად - რამდენიმე ვარიანტზე, დაითესა საშემოდგომო ჭვავი მწვანე მასის მისაღებად გაზაფხულზე მაკე და დედა ცხვრის გასაძოვებლად, მოხდა ბალახების შეთესვა ბუნებრივ კორდში, შეტანილი იქნა ცხვრის ნაკელი საძოვარზე, ბალახების შეთესვა მოხდა ცხვრის გადატარებით;

11. დმანისში, ბაშკიჩეთის ბუნებრივ სათიბ-საძოვრებზე დაყენებული იქნა მინდვრის 10 ვარიანტიანი ცდა, სადაც შესწავლილი იქნება სრული მინერალური სასუ-

ქისა და პრეპარატ "სტიმუფუნგის" შედარებითი ეფექტურობა ბუნებრივი მდელოს ბალახნარის მოსავალზე, ბოტანიკურ და ქიმიურ შემადგენლობაზე.

12. გამოცემულია წიგნი- „სარეველა მცენარეები“, გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო შრომა, მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება" (4-6 ნოემბერი, 2015 წ.).



#### **6.2.6. ტექნიკის მენეჯერებთან დოქტორი, პროფესორი ირაკლი ყრუაშვილი (მიმართულება "სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია")**

სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის დარგობრივი ჯგუფის მიერ, რომელშიც დარგში მომუშავე მეცნიერ-პედაგოგთა გარდა შედიან აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული პირები, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამელიორაციო სისტემების მართვის კომპანიის ცნობილი სპეციალისტები და ფერმერები, 2015 წელს შესწავლილი და გაანალიზებული იქნა დარგში შექმნილი სიტუაცია.

საქართველოს მთავრობის IFAD-ის (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი) ფინანსური მხარდაჭერით და დარგობრივი ჯგუფის წევრების ექსპერტობით განხორციელდა „სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი (ASP)“.

პროექტი მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობაში ჩართული სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლის გაზრდას, იმ ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლიან ეკონომიკურად აქტიურ დარიბ მოსახლეობას მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის განვითარებაში. პროექტის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა სოფლად „მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურის განვითარება“.

პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სარწყავი სისტემების რეაბილიტაციაზე, ვინაიდან სარწყავი არხების ამუშაინდელი სუსტი მდგომარეობით გამოწვეული შეზღუდვების აღმოფხვრა ხელს შეუწყობს მცირე ფერმების განვითარებას, განსაკუთრებით დარიბ რაიონებში, რომლებსაც აქვთ კომერციულად რეალიზებადი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი.

პროექტის მოქმედების არეალს შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტები წარმოადგენდა, სადაც რეაბილიტაცია ჩატარდა 6 სარწყავ სისტემას, კერძოდ: სათავე ნაგებობებს, მაგისტრალურ არხებს, გამანაწილებელ არხებს, გამშვებებს და შიდა ქსელებს.

#### **გაწეული სამეცნიერო მუშაობა**

ჯგუფის წევრების სამეცნიერო მუშაობა ეხებოდა ეროზიულ-დვარცოფული მოვლენებისა და ნიადაგში წყლის მოძრაობის შესწავლას, რაზედაც გამოქვეყნებულია შემდეგი სტატიები:

1. ნატიშვილი ო.გ., კრუაშვილი ი.გ. Экологические проблемы защиты объектов от вредного воздействия селевых потоков. //Ж. “Экологические системы и приборы”, №7, 2015, с. 20-30.

2. ი. ყრუაშვილი, ი. ინაშვილი, ი. კლიმიაშვილი. “დვარცოფსაწინააღმდეგო ბარიერების საპროექტო პარამეტრების კომპიუტერული მოდელირება”. საერთაშორისო

სამეცნიერო კონფერენცია “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება”, თბილისი, 2015, 4 გვ.

3. ე. კუხალაშვილი, ი. ინაშვილი, კ. ბზიავა, ი. ყრუაშვილი, დ. ლორთქიფანიძე “ღვარცოფსადინარში ტალღურად მოძრავი ბმული ღვარცოფის მახასიათებლების დადგენა”. ჰიდროინჟინერია, № 1-2 (19-20), თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2015, 5 გვ.

**მიღებულია შემდეგი ძირითადი შედეგები:**

მიღებული დამოკიდებულებებით და კომპიუტერული პროგრამა DEBFLOW-ს გამოყენებით შესაძლებელია დრეკადი ღვარცოფსაწინააღმდეგო ბარიერების საპროექტო პარამეტრების გაანგარიშება კონსტრუქციის მახასიათებლების, მასზე მოსული დატვირთვის, სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტისა და ღვარცოფული კერიდან დაძრული მასის მახასიათებლების დროსთან კავშირში გათვალისწინებით.

მთის რელიეფის პირობებში კაშხლის გარღვევა იწვევს დიდი გამრეცხი ენერჯის მქონე გამრღვევი ტალღის წარმოქმნას, რომელიც სწრაფად გარდაიქმნება ღვარცოფულ ნაკადად. ნაშრომში მიმდინარეობს მცდელობა გადაწყვეტილ იქნას ღვარცოფული ნაკადის ერთი მიმართულების გრძივი ტალღების გაანგარიშების საკითხი. მიღებულია საანგარიშო დამოკიდებულებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია განსაზღვრულ იქნას ნაკადის სიმაღლე ტალღის სიმაღლის გათვალისწინებით, როგორც რეოლოგიური მახვენებლის გათვალისწინებით, ისე მათ გარეშე.

გამოცემული იქნა “მეთოდური რეკომენდაციები ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების პროექტირებისათვის (ჰიდრაულიკური გაანგარიშებები)” (ავტორები: ნათიშვილი ო., ყრუაშვილი ი., გავარდაშვილი გ., ინაშვილი ი.; თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2015, 50 გვ.)

მეთოდულ რეკომენდაციებში განხილულია:

ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების პროექტირების პრინციპები;

ღვარცოფშემკავებელი ნაგებობები;

ღვარცოფგამტარი ნაგებობები;

ღვარცოფმიმართველი ნაგებობები;

მასტაბილიზირებელი ნაგებობები;

ბმული ღვარცოფული ნაკადის დამრტყმელი ძალის განსაზღვრა ყრუ და გამჭოლ ღვარცოფგადამღობ ნაგებობაზე;

ბმული ღვარცოფის გამოტანის კონუსზე გაფართოება და გაჩერება;

ღვარცოფული ნაკადის ამმალღებელი უკუტალღის სიმაღლის განსაზღვრა განივ ყრუ ზღუდარზე;

ბმული ღვარცოფის უდაწნეო მოძრაობა გალერეაში;

წყლის ნაკადის ზემოქმედება კალაპოტის ფსკერზე მდებარე დიდ ქვაზე;

მსხვილგაბარიტიანი კლდის მონატეხის ღვარცოფული ნაკადით გადაადგილების მექანიზმი;

ზეავისებრი ბმული ღვარცოფული ნაკადის დინამიკური მახასიათებლების პროგნოზი;

„მონოსოლური“ ტალღური ნაკადები;

ბმული ღვარცოფის თანაბარი მოძრაობის მდგრადობადი ქანობის მქონე კალაპოტებში;

დაბალი მიწის კაშხლების გამრღვევი ტალღის სიმაღლის დადგენა.

„მეთოდურ რეკომენდაციებში“ გათვალისწინებული მოთხოვნები უნდა სრულდებოდეს ღვარცოფსაწინააღმდეგო დამცავი ნაგებობების პროექტირების, ღვარცოფულ



რეგიონებში ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისა და ასევე, მშენებლობისთვის ჩატარებული საინჟინრო კვლევების დროს.

#### **მონაწილეობა კონფერენციებში**

2015 წელს ჯგუფის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში - “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება”. გაკეთებულ იქნა მოხსენება თემაზე: “ღვარცოფსაწინააღმდეგო ბარიერების საპროექტო პარამეტრების კომპიუტერული მოდელირება”

#### **მონაწილეობა სამეცნიერო გრანტებში**

დარგობრივი ჯგუფის წევრების მიერ, შოთა რუსთაველის ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში (საგრანტო ხელშეკრულება № დ/607/10-170/13 (10.04.2014)) „ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების თეორიული კვლევა“ დამუშავებლ იქნა შემდეგი საკითხები:

1. ღვარცოფულ კერებში დაგროვილი მასის წონასწორობის რღვევის კვლევა და მათი საანგარიშო დამოკიდებულებებით აღწერის მეთოდების დამუშავება ხარისხობრივი ფუნქციების გამოყენების საფუძველზე;

2. ზღვრული წონასწორული პირობების გათვალისწინებით ღვარცოფსადინართა განივი კვეთის მდგრადი ფორმის შერჩევა და შესაძლო გვერდითი კუმშვის კოეფიციენტის დაზუსტება: ა) ღვარცოფსადინართა განივი კვეთის მდგრადი ზღვრული სიგანის შერჩევა დაძაბულობის თეორიის გამოყენებით; ბ) ღვარცოფსადინართა განივი კვეთის მდგრადი ზღვრული სიგანის შერჩევა დაძაბულობის თეორიის გამოყენებით; გ) ღვარცოფის გვერდითი კუმშვის კოეფიციენტის დადგენა ნაკადის მახასიათებლებთან კავშირში; დ) ღვარცოფსადინარის გვერდითი კუმშვის კოეფიციენტის დადგენა;

აგრეთვე, დარგობრივი ჯგუფის წევრების მიერ მოპოვებულ იქნა PPEAR-ის (ავსტრიის თანამშრომლობის პროგრამის უმაღლესი განათლების და კვლევის განვითარებისთვის) საგრანტო პროექტი „რეკ136 - აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოსდაცვით სწავლებაში (ACCES)“.

გრანტის მიმღები წამყვანი ორგანიზაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხოლო თანამონაწილე - ავსტრიის ქ. ვენის ბუნებრივი რესურსებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტი (BOKU).

გრანტის გეგმის მიხედვით 2015 წლის ნოემბერში დარგობრივი ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ BOKU-ს უნივერსიტეტში სამუშაო შეხვედრაზე, სადაც, პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, დაგეგმილი იქნა შემდეგი სამუშაოების გატარება:

სამაგისტრო (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება გარემოს დაცვის მიმართულებით;

თანამედროვე სასწავლო მასალების შემუშავება;

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების განხორციელება;

დისტანციური და ელექტრონული სწავლების დანერგვა-განვითარება.



**თავი 7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2015 წელს მომზადებული რეკომენდაციები**



**1. საინვესტიციო პროექტი – მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში**

ავტორები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია -აკად.წ/კ გ. ნიკოლეიშვილი - ხელმძღვანელი, აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. თ. კუნჭულია, აკად. წ/კ ე. შაფაქიძე, დოქტორები თ. დალაღიშვილი, ნ. ბარამიძე, ე. ჭოლაძე; ხონის რაიონის გამგეობა; ხონის მეაბრეშუმეობის მეურნეობა. რედაქტორი-აკადემიის წევრ კორესპონდენტი ე. შაფაქიძე - 2015 წელი.



**2. სახორცე ჯიშური ჯგუფის გამოყვანის მეთოდოლოგია**

ავტორები: აკად. ჯ. გუგუშვილი, დოქტორი ს. ლომიძე, ზოოტექნიკოსი თ. ედიშერაშვილი; რედაქტორი-აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე - 2015 წელი.



**3. ჯიშთაშორისი შეჯვარების მეთოდები და მისი გამოყენება მებოცვრეობაში**

ავტორი აკად. ჯ. გუგუშვილი; რედაქტორი-აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე) - 2015 წელი.



**4. მწვერი-ბიოლოგიური თავისებურებები, ჯიშები, მოვლა-შენახვა, კვერცხის ინკუბაცია, კვება, დაავადებები**

ავტორი - ა. გიორგაძე - დოქტორი, ს.მ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, ლ. ჯიქია, დოქტორი მ. ბარვენაშვილი; რედაქტორი-აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე) - 2015 წელი.



**5. მაწოვარი ნუზებისა და კუძუთა გოჭის შესანახავი მექანიზირებული დოღფარა.**

ავტორები-აკად. რ. მახარობლიძე, პროფ. რ. რუსიეშვილი, დოქტ. რ. ჯაფარიძე, ტ. უშარიძე; რედაქტორი-აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე- 2015 წელი.



**6. “შეფუთული” სენაჟის დამზადება მცირეკონტურიან ნაკვეთებში**

ავტორები-აკად. რ. მახარობლიძე, პროფ. რ. რუსიეშვილი, დოქტ. რ. ჯაფარიძე, ტ. უშარიძე; რედაქტორი-აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე - 2015 წელი.




**7. გადაზრდილი და დეგრადირებული ჩაის პლანტაციების მძიმედ გასხვლის სამანქანო ტექნოლოგია**

ავტორები აკად. რ. მახარობლიძე, ტექნ. მეცნ. დოქტორი ზ. მახარობლიძე; რედაქტორი-აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე) - 2015 წელი.



**8. ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები და ტექნიკური საშუალებები**

ავტორები-აკად. რ. მახარობლიძე, დოქტორები თ. ტატიშვილი, რ. ჯაფარიძე და ა. ფანჩულიძე, ი. კალანდაძე; რედაქტორი-აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე - 2015 წელი.




**9. ნამყენი ნერგის წარმოების მექანიზაცია ვაზის სანერგე მეურნეობაში**

ავტორი- ტექნიკის მეცნ. დოქტორი შ. ლევსვერიძე; რედაქტორი-აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე - 2015 წელი.



**10. ცვლადი მოდეების განის ვენახის კულტივატორი ტელესკოპური ჩარჩოთი**

ავტორი-ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი შ. ლევსვერიძე; რედაქტორი-აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე - 2015 წელი.



**11. სამუშაოთა მექანიზაცია მევენახეობაში**

ავტორი- ტექნიკის მეცნ. დოქტორი შ. ლევსვერიძე; რედაქტორი-აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე - 2015 წელი.




**12. მანდარინის მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია**

ავტორი- აკადემიის წ/კ ს.მ მეცნ. დოქტორი, პროფესორი რეზო ჯაბნძე; რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



**13. საქართველოში მინდვრის კულტურების სწორი მორიგეობის საფუძველზე შემოსაღები თესობრუნვების სანიმუშო სქემების შესახებ**

ავტორები-აკადემიკოსი გ. ცაგურიშვილი, შ. დევდარიანი, ზ. მახარაშვილი, ჯ. სარალიძე. რედაქტორი-აკადემიის წ.კ. ე. შაფაქიძე - 2015 წელი.



**14. სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე ქარსაცავი ზოლების გაშენებისა და მოვლისათვის**

ავტორები- სსმმ აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი, ს.მ. მეცნ. დოქტორი გერონტი ხარაიშვილი, ს.მ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გ. გაგოშიძე; რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.




**15. შუალედური კულტურები და მათი როლი წიხის ბრუნვაში და მათი მოვლის მისაღებად**

ავტორი -აკადემიკოსი, ს.მ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გ. ცაგურიშვილი, რედაქტორი-აკადემიის წ.კ. ე. შაფაქიძე - 2015 წ.



**16. ქართული მეფუტკრეობის აწმყო და მომავლის პერსპექტივები**

ავტორი – ს.მ.მეცნიერებათა დოქტორი გ. მაძღარაშვილი რედაქტორი-აკადემიის წ.კ. ე. შაფაქიძე - 2015 წ.



17. კვიციანი (აპტიინილია) მოვლა მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიები  
ავტორი- აკადემიის წ/კ, ს.მ მეცნ. დოქტორი, პროფესორი რეზო ჯაბნიძე;  
რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



18. ნუში კულტურის ნერგის გამოყვანა, ბაღების გაშენება და მოვლა

ავტორები- აკადემიკოსი, პროფ. ი. ვასაძე, აკადემიკოსი, პროფ. გ. ბადრიშვილი, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. შენგელია, ს.მ მეცნ. დოქტორი ლ. გოგინავა, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიქაძე.  
რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



19. მარწყვის კულტურის ბაღების გაშენება და მოვლა.

ავტორები- აკადემიკოსი, პროფ. ი. ვასაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. შენგელია, ს.მ მეცნ. დოქტორი ლ. გოგინავა, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიქაძე.  
რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



20. აღმოსავლური ხურმის ნერგის გამოყვანა, ბაღების გაშენება და მოვლა

ავტორები- აკადემიკოსი, პროფ. ი. ვასაძე, აკადემიკოსი, პროფ. გ. ბადრიშვილი, ს.მ მეცნ. დოქტორი მ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ლ. გოგინავა, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიქაძე.  
რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



21. ბროწეულის კულტურის ნერგის წარმოება და ბაღების გაშენება  
ავტორები- აკადემიკოსი, პროფ. ი. ვასაძე, აკადემიკოსი, პროფ. გ. ბადრიშვილი, ს.მ მეცნ. დოქტ. თ. ტრაპაიძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ლ. გოგინავა, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიქაძე.  
რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.




**22. ბამბუკის კულტურის გაშენება და მოვლა ავტორები-** აკადემიის წ/კ, ს.მ მეცნ. დოქტორი, პროფესორი **რ. ჯაბნიძე, ს.მ აკად. დოქტორი, პროფესორი ნ. ჯაბნიძე, რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.**



**23. CENTRALIZED FEEDING IN THE FIRST TWO AGE OF THE MULBERRY SILKWORM AND ITS ADVANTAGE OVER THE INDIVIDUAL FEEDING**

**AUTHORS:** (G. Nikoleishvili – Cor. member of the GAAS. Prof, Dr of economics. E. Shapakidze – Cor. member of the GAAS, Prof, Dr of technical sciences; T. Dalalishvili – Dr of Biology; **Editor:** T. Kunchulia - Academician of the GAAS, Prf, Dr of economics.



**24. ROOTING OF MULBERRY CUTTINGS OF RESISTANT VARIETIES IN THERMAL WATER HEATED SUBSTRATE AND THE ECONOMIC EFFICIENCY**

**AUTHORS:** (G. Nikoleishvili – Cor. member of the GAAS. Prof, Dr of economics. E. Shapakidze – Cor. member of the GAAS, Prof, Dr of technical sciences; T. Dalalishvili – Dr of Biology; **Consultant:** Dr. Panomir Tzenov (Bulgaria) - President of BACSA.



**25. ECONOMIC EFFICIENCY, TECHNOLOGY AND PRODUCTION OF NON-TRADITIONAL LIVESTOCK FEED OUT OF MULBERRY LEAVES ROUGHENED IN AUTUMN**

**AUTHORS:** (G. Nikoleishvili – Cor. member of the GAAS. Prof. Dr of economics. E. Shapakidze – Cor. member of the GAAS, Prof. Dr of technical sciences; T. Dalalishvili – Dr of Biology; A. Chagelishvili – Dr of Agric. sciences. **Consultant:** Dr. Panomir Tzenov (Bulgaria) - President of BACSA. **Editor:** Tamaz Kunchulia – Academician of GAAS, Proffesor, Doctor of economics.



**26. კაკლის ნამყენის გამოყვანა და ხურული ფესვთა სისტემით და კაკლის ბაღების გაშენება მწვანე ნერგით ავტორები-** აკადემიკოსი, პროფ. ი. ვასაძე, აკადემიკოსი, პროფ. გ. ბადრიშვილი, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. შენგელია, ს.მ მეცნ. დოქტორი მ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ლ. გოგინავა, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიქაძე. რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



**27. თხილის ნერგის გამოყვანა, ბაღების გაშენება და მოვლა ავტორები-** აკადემიკოსი, პროფ. ი. ვასაძე, აკადემიკოსი, პროფ. გ. ბადრიშვილი, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. შენგელია, ს.მ მეცნ. დოქტორი მ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ლ. გოგინავა, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიქაძე.  
 რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



**28. გნოლი – ბიოლოგიური თავისებურებები, ჯიშები, მოვლა-შენახვა, კვერცხის ინკუბაცია, კვება, დაავადებები.**  
 ავტორი – ა. გიორგაძე – დოქტორი, ს.მ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი; რედაქტორი აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე, 2015.



**29. ციცარი - ბიოლოგიური თავისებურებები, ჯიშები, მოვლა-შენახვა, კვერცხის ინკუბაცია, კვება, დაავადებები.**  
 ავტორი – ა. გიორგაძე – დოქტორი, ს.მ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი; რედაქტორი აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე, 2015.



**30. კეთილშობილი დაფნის კულტურის აგროტექნოლოგია**  
 ავტორები: აკადემიის წ/კ, ს.მ მეცნ. დოქტორი, პროფესორი რეზო ჯაბინძე; ს.მ.აკად. დოქტორი, პროფ. ნ. ჯაბინძე.  
 რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.




**31. ალტერნატიული ენერჯია – ბიოგაზის გენერატორი**  
 ავტორები - აკად. რ. მახარობლიძე, აკად. დოქტ. რ. ჯაფარიძე, აკად. დოქტ. ი. აფციაური, აკად. დოქტ. გ. მოსაშვილი, აკად. დოქტ. კ. მჭედლიშვილი; რედაქტორი - აკადემიის წ.კ. ე. შაფაქიძე - 2015 წელი.





**32. მცირე აგრობიზნესი – მარცვლეულის გადამუშავება**  
ავტორები - აკად. რ. მახარობლიძე, აკად. დოქტ. რ. ჯაფარიძე, აკად. დოქტ. ი. აფციაური, აკად. დოქტ. გ. მოსაშვილი, აკად. დოქტ. კ. მჭედლიშვილი; აკად. დოქტ. ვ. ჩიჩუა,  
რედაქტორი - აკადემიის წ.კ. ე. შაფაქიძე - 2015 წელი.




**33. კივის კულტურის (Actinidia) ნერგის გამოყვანა, ბაღების გაშენება და მოვლა**  
ავტორები- აკადემიკოსი, პროფ. ი. ვასაძე, აკადემიკოსი, პროფ. გ. ბადრიშვილი, ს.მ მეცნ. დოქტ. ი. ბასილია, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. შენგელია, ს.მ მეცნ. დოქტორი ლ. გოგინავა, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიქაძე. რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



**34. ლეღვის კულტურის (Ficus Carical) ნერგის გამოყვანა, ბაღების გაშენება და მოვლა**  
ავტორები- აკადემიკოსი, პროფ. ი. ვასაძე, აკადემიკოსი, პროფ. გ. ბადრიშვილი, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. შენგელია, ს.მ მეცნ. დოქტორი ლ. გოგინავა, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიქაძე.  
რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



**35. ფეიხოსას კულტურის (Feijoa Sellowiana Berg) ნერგის გამოყვანა, ბაღების გაშენება და მოვლა**  
ავტორები- აკადემიკოსი, პროფ. ი. ვასაძე, აკადემიკოსი, პროფ. გ. ბადრიშვილი, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. შენგელია, ს.მ მეცნ. დოქტ. ი. ბასილია, ს.მ მეცნ. დოქტორი ლ. გოგინავა, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიქაძე.  
რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



**36. ქაჯვის ნერვის წარმოების, გაშენებისა და მოვლის ტექნოლოგია**

ავტორები- აკადემიკოსი, პროფ. ი. ვასაძე, აკადემიკოსი, პროფ. გ. ბადრიშვილი, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. შენგელია, ს.მ მეცნ. დოქტ. ი. ბასილია, ს.მ მეცნ. დოქტორი ლ. გოგინავა, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიროტაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი ნ. მიქაძე, ს.მ მეცნ. დოქტორი თ. კურტანიძე. რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



**37. ევკალიპტის (Eucalyptus) კულტურა**

ავტორი- აკადემიის წ/კ, ს.მ მეცნ. დოქტორი, პროფესორი რეზო ჯაბნიძე, რედაქტორი- ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კ - 2015 წელი.



**38. სასელექციო - სანაშენე საქმე მეფრინველეობაში**

ავტორები: ა. გიორგაძე – დოქტორი, სსმმ აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი მ. ბარვენაშვილი – დოქტორი, სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორის ჯგუფის წევრი; რედაქტორი აკად. ე. შაფაქიძე, 2015.



**39. მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია**

ავტორები: თ. ლიპარტელიანი - სსმმ აკად. წ/კ, ს.მ მეცნ. დოქტორი, პროფესორი; გ. ჩხუტიაშვილი - ს.მ. აკად. დოქტორი; ნ. კაკაბაძე – ს.მ. აკად დოქტორი; ფ. ბეგოძე - ს.მ. აკად დოქტორი; ზ. სარაღიძე -ს.მ. აკად დოქტორი; რედაქტორი აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე, 2015.

# აბაღუმის იუბილარები

## აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ურუშაძე



2015 წლის 14 იანვარს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს თენგიზ ურუშაძეს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო თენგიზ! ჩვენთვის ქართველი აგრარიკოს მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი თქვენი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

1963 წელს წარჩინებით დაამთავრეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი და შემდეგ მთლიანად ეზიარეთ აგრარულ მეცნიერებას, გაიარეთ მეცნიერების რთული და შრომატევადი გზა ასპირანტურიდან ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორობამდე, პროფესორობამდე. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტამდე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრობამდე (აკადემიკოსობამდე).

1967-1982 წლებში მუშაობდით სამთო მეტყვევების ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ და 1982 წლიდან საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში – ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგედ, პრორექტორად სამეცნიერო დარგში, უნივერსიტეტის რექტორად. 2004-2009 წლებში ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბრძანდებოდით ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე, სრული პროფესორი.

მნიშვნელოვანია თქვენი დამსახურება ახალგაზრდა თაობისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. თქვენი ხელმძღვანელობით მომზადებულია 6 მეცნიერებათა დოქტორი და 20 მეცნიერებათა კანდიდატი. თქვენი მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნებული გაქვთ 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 30 მონოგრაფია და 20-მდე სახელმძღვანელო.

თქვენი ძირითადი ავტორობით გამოიცა თბილისის ეკოლოგიური რუქა და მთავარი რედაქტორობით – საქართველოს ნიადაგების რუქა. ხართ საერთაშორისო დონეზე აღიარებული სპეციალისტი და ექსპერტი, დიდი წვლილი შეგაქვთ და მონაწილეობთ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში, კონგრესებში და სიმპოზიუმებში.

დაჯილდოებული ბრძანდებით მთავრობის ჯილდოებით და პრემიებით. ამჟამად ნაყოფიერად მოღვაწეობთ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, ხართ სრული პროფესორი და მ. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორი.

აკადემიის აკადემიური საბჭოს სახელით გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლტობისა და განვითარების საპატიო საქმეში.

პატივისცემით,  
აკადემიის პრეზიდენტი,  
აკადემიკოსი გ. ალექსიძე,  
14 იანვარი, 2015 წელი



1935 წლის 23 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვალერიან (ვოვა) ცანავას დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო ვალერიან! ჩვენთვის, ქართველი აგრორიკოს მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი თქვენი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. 1953 წელს სოხუმის №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრეთ 1958 წელს აგროქიმიკოს-ნიადამცოდნეობის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაგზავნილი იყავით ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ანასეული). 1961-1964 წლებში გაიარეთ ასპირანტურის სრული კურსი სასუქებისა და ინსექტო-ფუნგიციდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ქ. მოსკოვი) დოღგოპრუდის საცდელ სადგურში პროფესორ თეოდორე ტურჩინის ხელმძღვანელობით. 1966 წელს წარმატებით დაიცავით საკანდიდატო დისერტაცია და დაუბრუნდით თქვენს მშობლიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ანასეულში, სადაც გაიარეთ მეტად შინაარსიანი და მეცნიერულად რთული გზა უფროსი მეცნიერ მუშაკიდან, სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილეობამდე; ბრძანდებოდით ორი ინსტიტუტის გაერთიანების ბაზაზე შექმნილი ჩაის, სუბტროპიკულ კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე, ხოლო შემდეგ 1995 წლიდან 2006 წლამდე – გენერალური დირექტორი. 2006 წლიდან გააგრძელეთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გაერთიანების აგროქიმიკოს-ნიადამცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელად და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ, სადაც დღესაც ახალგაზრდული ენერჯით მოღვაწეობთ.

1988 წელს წარმატებით დაიცავით დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: “ჩაის მცენარის აზოტოვანი კვების აგროქიმიური საფუძვლები.”

1992 წლიდან ბრძანდებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 1995 წლიდან – აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).

თქვენი კვლევითი საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან, როგორცაა ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა. კვლევის ძირითადი მიმართულებაა აზოტიანი სასუქების ეფექტურობის დადგენა, გავლენა ნიადაგის ფიზიკო-ქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებებზე, აზოტის ბალანსზე სისტემაში “სასუქი-ნიადაგი-მცენარე”. ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება გადატანილი

გაქვთ ორგანულ-მინერალური სასუქების შესწავლაზე, მასში ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებზე, როგორც ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავენ მცენარისათვის შესათვისებელი აზოტის წარმოქმნის მასშტაბებს.

მნიშვნელოვანია თქვენი დამსახურება ახალგაზრდა თაობისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. თქვენი ხელმძღვანელობით მომზადებულია 20 მეცნიერებათა კანდიდატი და 7 დოქტორი. ბრძანდებით მრავალი სამეცნიერო ნაშრომის (200-ზე მეტი), სახელმძღვანელოს, მონოგრაფიისა და გამოგონების ავტორი. დიდი წვლილი შეგაქვთ და მონაწილეობთ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში, კონგრესებსა და სიმპოზიუმებში. დაჯილდოებული ბრძანდებით “ღირსების” ორდენით და მედლებით.

ბატონო ვალერიან, მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მეცნიერი – პირველ რიგში საქმის ერთგული, საკუთარი თავისადმი მაღალი მოთხოვნისა და აღჭურვილი, ქვეყნის წინაშე მოვალეობის გამძაფრებული გრძნობით გამორჩეული, რაც განსაზღვრავს პიროვნების როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თქვენ ამშვენებთ იმ ქართველ მეცნიერთა რიგებს, რომლებმაც შექმნეს მთელი ეპოქა სოფლის მეურნეობაში, რომელთა სახელი ასოცირდება კონკრეტულ დარგთან–სუბტროპიკულ კულტურებთან, მის განვითარებასთან ჩვენს ქვეყანაში. თქვენ ბრძანდებით ეროვნული კოორდინატორი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით, წარმოადგენთ აკადემიის სრულფუნქციონირებელ წარმომადგენელს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის კვლევის საკითხებში და როგორც თქვენ გჩვენიათ ამ დავალებასაც პირნათლად ასრულებთ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს და აკადემიის მთელი შემადგენლობის სახელით გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას აგრარული მეცნიერებისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**პატივისცემით,  
აკადემიის პრეზიდენტი,  
აკადემიკოსი გ. ალექსიძე,  
23 თებერვალი, 2015 წელი.**



2015 წლის 14 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ჯემალ ბუბუშვილს დაბადებიდან 70 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 45-ე წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო ჯემალ! ჩვენთვის, ქართველი აგრარიკოს მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი თქვენი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

1971 წელს თქვენ დაამთავრეთ საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტი სპეციალობით სწავლული ზოოტექნიკოსი.

1974 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ზოოტექნიკოსად, უმცროს მეცნიერ

თანამშრომლად. თქვენს მიერ პირველად იქნა შესწავლილი საქართველოში გავრცელებული ბოცვის ჯიშები საბჭოური შინშილა, რუხი გოლიათი, თეთრი გოლიათი, ვერცხლისებრი, აგრეთვე აშშ-ში გამოყვანილი კალიფორნიული და ახალზელანდიური თეთრი, როგორც ხალასჯიშისანი მოშენებით, ისე ჯიშთაშორისი მარტივი, რთული, შთანთქმითი და საახალჯიშო შეჯვარებითი ჰიბრიდიზაციით.

1984 წელს დაიცავით საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1990 წელს კი – სადოქტორო და მოგენიჭათ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, შემდეგ-პროფესორის წოდება; 2013 წელს არჩეული ბრძანდებოდით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსი).

სხვადასხვა წლებში მუშაობდით საქართველოს ზოოვეტერინარულ უნივერსიტეტში კათედრის გამგედ, რექტორის მოვალეობის შემსრულებლად, რექტორად, ხელმძღვანელობდით მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სადისერტაციო საბჭოს, იყავით საერთაშორისო ჟურნალების და ადგილობრივი გამოცემების სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს განათლების სისტემის ასოციაციის პრეზიდენტი. არჩეული ბრძანდებით საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად და ხართ ნიუ-ორკის აკადემიის წევრი. მუშაობდით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილედ, იყავით საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი, ხელმძღვანელობდით ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო სპორტულ ცენტრს, როგორც მისი დირექტორი.

მნიშვნელოვანია თქვენი დამსახურება ახალგაზრდა თაობისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. თქვენი ხელმძღვანელობით დაცულია შვიდი საკანდიდატო დისერტაცია. გამოქვეყნებული გაქვთ 152 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ორი წიგნი და მონოგრაფია, მიღებული გაქვთ ორი საავტორო მოწმობა გამოგონებაზე და პატენტი. ბრძანდებით საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, დაჯილდოებული ხართ მთავრობის ჯილდოებით, “ღირსების ორდენით” და მედლებით.

ამჟამად ნაყოფიერად მოღვაწეობთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

აკადემიის აკადემიური საბჭოს სახელით გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარღებს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

პატივისცემით,  
აკადემიის პრეზიდენტი,  
აკადემიკოსი გ. ალექსიძე,  
2015 წლის 14 აპრილი.



2015 წლის 15 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ნაპოლეონ ქარქაშაძეს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო ნაპოლეონ! ჩვენთვის, ქართველ აგრარიკოს მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი თქვენი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

1935 წელს 15 მაისს დაიბადეთ ქ. თბილისში პედაგოგების ოჯახში. 1951 წელს ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მედალზე დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1959 წელს დაიწყო მუშაობა საწავლო კომბინატში მასწავლებლად. 1961 წელს ჩაირიცხეთ ქ. მოსკოვის ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც მოხდა თქვენი საკანდიდატო დისერტაციის აპრობაცია, ხოლო დაცვა - სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 1965 წელს.

1964 წლიდან მუშაობთ უფროს მეცნიერ მუშაკად სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

1972-1975 წლებში მუშაობდით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგედ და ამავდროულად – ინსტიტუტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ.

1975 წელს თქვენ დაინიშნეთ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად და ოჯახთან ერთად გადახვედით საცხოვრებლად ქ.სოხუმში, სადაც გაატარეთ 16 წელი. თქვენი რექტორობის დროს აშენდა სასტუმროს ტიპის 4 საერთო საცხოვრებელი, ინსტიტუტის მეურნეობა “ეშერაში” ზღვის ნაპირზე სტუდენტთა დასასვენებელი კომპლექსი, ექსპერიმენტალური ჩაის ფაბრიკა, საკონფერენციო და სადეგუსტაციო დარბაზები, კვლევითი ლაბორატორიები; ფუნქციონირება დაიწყო სადისერტაციო საბჭოებმა. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი გახდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრი.

აფხაზეთში ყოფნის დროს, 1982 წელს დაიცავით სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1984 წელს გახდით სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

1990 წლის ივლისში თქვენ აგირჩიეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად, რომელსაც შემდეგ შეეცვალა სახელი და იწოდებოდა



საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტად, სადაც 14 წელი იმუშავებ. მიუხედავად იმდროინდელი მრავალი პრობლემისა, თქვენ შეინარჩუნეთ ინსტიტუტის კადრები, გახსენით ახალი სპეციალობები, დაამყარეთ კონტაქტები ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან, უნივერსიტეტის ბაზაზე ტარდებოდა საერთაშორისო სიმპოზიუმები, არჩეული იყავით საერთაშორისო ორგანიზაცია "ICARDA"-ს თანათავმჯდომარედ, უმაღლესი სკოლების მსოფლიო ასოციაციის (ქ. სან-ფრანცისკო) ევროპის სექციის პრეზიდენტის წევრად, აგრეთვე საზღვარგარეთის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად, პროფესორად, სან-ფრანცისკოს უმაღლესი სკოლების და საერთაშორისო აკადემიების ნამდვილ წევრად და ა.შ.

1992 წელს თქვენ არჩეული იყავით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, მისი პრეზიდენტის წევრად, ხოლო 2004 წელს არჩეული იყავით ამავე აკადემიის პრეზიდენტად. ფართოა თქვენი სამეცნიერო კვლევის არეალი, ბრძანდებით 300-ზე მეტი შრომის ავტორი, მათ შორისა არის 5 მონოგრაფია, 7 სახელმძღვანელო, ერთი გამოგონება, აგრეთვე 3 პოლიტიკური ხასიათის და ერთი სათავგადასავლო რომანი, მრავალი სტატია და წერილი ადგილობრივ და უცხოეთის პრესაში. თქვენი კვლევების ძირითადი მიმართულებაა მსოფლიო სოფლის მეურნეობა, სადაც თქვენ დიდ წარმატებებს მიაღწიეთ. თქვენ აღზარდეთ ასპირანტებისა და დოქტორანტების მთელი პლეადა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1980-1992 წლებში იყავით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი, დაჯილდოებული ბრძანდებით "საპატიო ნიშნის" და "ღირსების" ორდენებით, სამთავრობო სიგელებით, სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებისა და ქართული ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სექციის წევრი და ა.შ.

დღესაც ეწეით აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, ბრძანდებით აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სახელით გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**პატივისცემით,**  
**აკადემიის პრეზიდენტი**  
**აკადემიკოსი ბურამ ალექსიძე**  
*2015 წლის 15 მაისი.*



2015 წლის 01 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო თამაზ! ჩვენთვის, ქართველ აგრარიკოს მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი თქვენი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. 1935 წლის 1 ივლისს დაიბადეთ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღესაში, პედაგოგების ოჯახში, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ღირსებითა და პატიოსნებით. 1954

წელს სოფელ ჯურუყვეთის საშუალო სკოლის ვერცხლის მადალზე დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1959 წელს დაიწყეთ მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად. სხვადასხვა წლებში მუშაობდით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ; იყავით ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტების პოლიტეკონომიის კათედრის უფროსი მასწავლებელი; 1977–1981 წლებში საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ანალიზისა და მეცნიერების სექტორის გამგედ; 1981 წელს დაინიშნეთ ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარედ და იმავე წელს აგირჩიეს საქართველოს კვ. ლანჩხუთის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1985 წელს – საქართველოს კვ. ოზურგეთის რაიკომის პირველ მდივნად; 1990 წელს ბრძანდებოდით საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ეკონომიკის დარგში. 1994-1996 წლებში მუშაობდით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ ეკონომიკისა და ფინანსების დარგში; 1997-1998 წლებში იყავით სააქციო საზოგადოება "ქართული ჩაის" გენერალური დირექტორი, 1999-2005 წლებში – სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ჯერ საფინანსო-ეკონომიკური, შემდეგ სტრატეგიული განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი; 2005-2008 წლებში მუშაობდით აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. 2008 – 2012 წლებში იმუშავეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსად, ხოლო შემდეგ დღემდე მუშაობთ მთავარ სპეციალისტად; 2012 წელს დაინიშნეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველად.

თქვენ ბრძანდებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), 200-ზე მეტი შრომის, მათ შორის 5 მონოგრაფიისა და 2 გამოგონების ავტორი. თქვენი სადოქტორო დისერტაცია “საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები”, არის საქართველოში ამ თემისადმი მიძღვნილი პირველი ნაშრომი. იგი გამოცემულია წიგნად.

თქვენი შრომები და პრაქტიკული საქმიანობა მიძღვნილია აგრარული ეკონომიკის ისეთი საკითხებისადმი, როგორცაა მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობების ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში, გლეხური (ფერმერული) მეურნეობების განვითარების პრობლემები, საადგილმამულო რეფორმა, აგრარული სფეროს საწარმოთა პრივატიზება, საგადასახადო სისტემის (ფისკალური პოლიტიკის) სრულყოფა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლი აგრარული სფეროს განვითარებაში, მცირე ბიზნესის პრობლემები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა, მეცნიერების მიღწევების და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვა. ცალკე აღნიშვნის ღირსია სოფლის მეურნეობის ბიუჯეტის, პროგრამული დაფინანსების პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები. თქვენი თანაავტორობით დამუშავებულია საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, აგრეთვე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და სურსათის უსაფრთხოების სტრატეგია. მონაწილეობა გაქვთ მიღებული მრავალ სამთავრობო დადგენილებით და პრეზიდენტის ბრძანებულებებით აგრარული ეკონომიკის მიმართულებით პროექტების მომზადებაში; უძღვებოდით რუბრიკას გაზეთში “საქართველოს რესპუბლიკა” მიწის პრივატიზაციის საკითხებზე; თქვენი ხელმძღვანელობით დამუშავებულია სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა “ჩაი” და მისი რეალიზაციის ღონისძიებები. მნიშვნელოვანი წვლილი გაქვთ შეტანილი საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის რეაბილიტაციასა და განვითარებაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ ახალგაზრდა კადრების მომზადებას, თქვენი ხელმძღვანელობით დაცულია 3 სადოქტორო და 6 საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომები. დაჯილდოებული ბრძანდებით “ღირსების” ორდენით. დღესაც ეწევიტ აქტიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას, ხართ არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა.

საქართველოს სოფლის მეურნეობი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სახელით გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების კეთილშობილურ საქმეში.

**პატივისცემით,  
აკადემიის პრეზიდენტი  
აკადემიკოსი გურამ ალექსიძე  
01 ივლისი, 2015 წელი..**



2015 წლის 08 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, აკადემიკოს ნუზარ ბალათურიას დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო ნუზარ! ჩვენთვის, ქართველი აგრარიკოს მეცნიერებისათვის, კარგადაა ცნობილი თქვენი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა. თქვენ 1971 წელს წარმატებით დაამთავრეთ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ქალაქ სოხუმში დაკონსერვების ტექნოლოგიის სპეციალობით და იმავე წელს დაიწყეთ მუშაობა ქალაქ თბილისში საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ჯერ ინჟინრის, ხოლო მომდევნო წლებში უფროსი მეცნიერ მუშაკის, სექტორისა და განყოფილების გამგედ; შემდეგ ბრძანდებოდით დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “კვებარომატკომპლექსის” გენერალური დირექტორი, ხოლო 1991 წლიდან დღემდე ხართ საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

თქვენ, 1989 წელს დაიცავით სადოქტორო დისერტაცია და მოგენიჭათ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1991 წელს არჩეული ბრძანდებოდით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1992 წელს კი აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

დიდია თქვენი დამსახურება კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარების საქმეში. საქართველოს ეთერზეთების მრეწველობაში არსებული ტექნოლოგიები ძირითადად შექმნილი ან სრულყოფილია თქვენს მიერ. წარმატებით მუშაობთ კვების მრეწველობის სხვა დარგებშიც (ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება, საკონსერვო მრეწველობა და სხვა). მნიშვნელოვანია თქვენი დამსახურება ახალგაზრდა თაობისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში - თქვენი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები; ეწვეით ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ამჟამადაც აგრძელებთ ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ბრძანდებით "სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვის და გადამუშავების ტექნოლოგიის" სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

გამოქვეყნებული გაქვთ 330-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 6 მონოგრაფია, მიღებული გაქვთ 34 საავტორო მოწმობა გამოგონებებზე და 3 პატენტი. დაჯილდოვებული ბრძანდებით "ღირსების ორდენით" ორჯერ - 1990 და 2013 წლებში.

აკადემიის აკადემიური საბჭოს სახელით გილოცავთ ამ მეტად ღირსშესანიშნავ თარიღებს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის კვების მრეწველობის აღმავლობისა და განვითარების საპატიო საქმეში.

პატივისცემით,  
აკადემიის პრეზიდენტი  
აკადემიკოსი გურამ ალექსიძე  
2015 წლის 08 აგვისტო.

### აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი - 85



2015 წლის 17 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილს დაბადებიდან 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო ნოდარ, ჩვენთვის, ქართველი აგრარიკოს მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი თქვენი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

1930 წლის 17 სექტემბერს დაიბადეთ ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში. 1948 წელს სოფელ ჯუმათის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებთ საქართველოს სასოფლო – სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1957 წელს მუშაობა დაიწყეთ ქედის რაიონის სოფელ მერისას უბნის აგრონომის თანამდებობაზე. იმავე წელს ჩაირიცხეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში, მევენახეობის კათედრაზე. 1959 წელს დაიცავით დისერტაცია და მოგენიჭათ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

სხვადასხვა წლებში მუშაობდით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრაზე ჯერ ლაბორანტის, შემდეგ ასისტენტის თანამდებობაზე; ხოლო 1964 წლიდან – მეხაღებობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ მუშაკად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში და დირექტორად. იყავით ინსტიტუტის სპეციალიზებული სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე, ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებულის რედაქტორი, საერთაშორისო სპეციალური ჟურნალ-

ლებისა და მოლდავეთის მევენახეობის ენციკლოპედიის რედაქციის წევრი. ამავე დროს კითხულობდით ლექციებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც 1974 წელს აგირჩიეს მევენახეობის კათედრის გამგედ, დოცენტად, პროფესორად.

ბრძანდებოდა თბილისის მევენახეობა-მეღვინეობის, ხილბოსტნეულის წარმოებისა და სპეციალისტთა გადამზადების სასწავლო ინსტიტუტის რექტორი (1992-2013 წ.). 2007 წლიდან დღემდე ბრძანდებით თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, შ.პ.ს. “მეღვინეობა ხარება”-ს კონსულტანტი, არასაწარმოო (არაკომერციული) იურიდიული პირის “აგრო”-ს კონსულტანტი (მცხეთის რაიონის სოფელი ჯიდაურა); შ.პ.ს. “მატო მუხრანი”-ს კონსულტანტი.

1990 წელს აგირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1995 წელს – ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად, 1998 წელს აგირჩიეს მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად და ვიცე-პრეზიდენტად.

თქვენი შრომები და პრაქტიკული საქმიანობა მიძღვნილია ისეთი საკითხებისადმი, როგორცაა: ვაზის ეკოლოგია და მიკროდარაიონება; ვენახებში შრომითი და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დამუშავება; ვაზის კლონური გამრავლებისა და ნამყენის წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიების სრულყოფა; ვენახში ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემუშავება; ვაზის გენოფონდის დაცვა – აღდგენა და სხვა მრავალი.

ბრძანდებით 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და 15 გამოგონების ავტორი.

დიდა თქვენი წვლილი სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში. თქვენი ხელმძღვანელობით დაცულია 30 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ბრძანდებით საერთაშორისო დონეზე აღიარებული სპეციალისტი და ექსპერტი. აქტიურად მონაწილეობთ, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში, კონგრესებსა და სიმპოზიუმებში.

დაჯილდოებული ბრძანდებით “საპატიო ნიშნის” და “ღირსების” ორდენებით, მედლით “შრომითი მამაცობისათვის” და “ღირსების მედლით”.

ხართ სახელმწიფო პრემიის ღაურეატი, რომელიც მოგენიჭათ ნამყენის გამოყვანის, ახალშენი ვენახების გაშენებისა და მოვლის პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გაწეული დიდი ღვაწლისათვის უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II დაგაჯილდოვათ საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – “წმინდა გიორგის” ოქროს ორდენით. ასევე მიღებული გაქვთ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის “მადლობის” სიგელი.

სასიხარულოა, რომ დღესაც ეწევით აქტიურ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სახელით გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობისა და განვითარების საქმეში.

პატივისცემით,  
აკადემიის პრეზიდენტი  
აკადემიკოსი გურამ ალექსიძე  
17 სექტემბერი 2015 წელი.

### აკადემიკოსი იუზა ვასაძე



2015 წლის 27 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს იუზა ვასაძეს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავი შეუსრულდა.

ბატონო იუზა! ჩვენი საზოგადოებისათვის და სოფლის მეურნეობის დარგში მოღვაწე ქართველი მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი თქვენი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

1935 წლის 27 დეკემბერს დაიბადეთ ქ. ქუთაისში სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრეთ ქ. ქუთაისის № 6 საშუალო სკოლა, ხოლო 1959 წელს – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეზღვეობის, მევენახეობისა და მეხილეობის ფაკულტეტი და მოგენიჭათ სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1956 წელს და 1961 წლამდე მუშაობდით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფკომიტეტის თავმჯდომარედ, ალკკ კომიტეტის მდივნად. იმავე პერიოდში, 1961 წელს დაუსწრებლად დაამთავრეთ საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი და მიიღეთ ინჟინერ-ტექნოლოგის დიპლომი.

1963-1967 წლებში მუშაობდით საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს “სამტრესტის” სისტემაში ბათუმის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინის, ბოლნისის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, თბილისის ლიქიორის ქარხნის ტექნოლოგის თანამდებობებზე. 1968 წლიდან ეწვეით სამეცნიერო საქმიანობას. 1968–1982 წლებში მუშაობდით საქართველოს

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ მუშაკის, საწარმოო განყოფილების გამგის, ფერდობების ათვისებისა და აგრომეტეოროლოგიური განყოფილების გამგის თანამდებობებზე, გალავნის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორად. 1982–1992 წლებში იყავით მცხეთის მევენახეობის და საგურამოს ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორი, ხოლო 1992–1996 წლებში – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე; 1996-1998 წლებში – რესპუბლიკური გაერთიანება “სამტრესტის” მმართველი; 1992-2002 წლებში – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი ჩრდილო ოსეთში და მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე; 2002-2012 წლებში ისევ იწვებთ მუშაობას მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკად, მეხილეობის აგროტექნოლოგიური კვლევის განყოფილების გამგედ; იყავით ამავე ინსტიტუტის სადისერტაციო და სამეცნიერო საბჭოების წევრი. 2011 წლიდან დღემდე ბრძანდებით “საქართველოს მევენახეთა, მეღვინეთა და მებაღეთა სამეცნიერო-კვლევითი საწარმოო კავშირის” პრეზიდენტი.

თქვენ გაიარეთ მეცნიერის რთული და შრომატევადი გზა ასპირანტურიდან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორობამდე, პროფესორობამდე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობამდე (აკადემიკოსობამდე). თქვენს მიერ შესრულებულ სამუშაოებში პირველად საქართველოს პირობებში წარმოდგენილი და გაანალიზებულია თესლოვან კულტურათა მრავალმხრივი ექსპერიმენტული და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ამ კულტურათა დასაბუთებული სამეცნიერო მეთოდოლოგიური რეკომენდაციებით, რომელზედაც დამყარებულია რესპუბლიკაში ინტენსიური მებაღეობის რაციონალურად გაადგილება მეხილეობის ზონების მიხედვით, აგრეთვე კონკრეტულ რეგიონებსა და ბაღებში მათი ჯიშური შემადგენლობისა და ასორტიმენტის გათვალისწინებით მათი ბიოლოგიური, სამეურნეო და ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით. თქვენს მიერ პირველადაა გამოვლინებული და აღწერილი 20-ზე მეტი პერსპექტიული თესლოვან კულტურათა ადგილობრივი ჯიში,

ასევე, თქვენს მიერ პირველად იქნა გამოყენებული საქართველოში ჩატარებული სამუშაოების შესაკრებად, დასამუშავებლად და შესანახად ავტომატიზებული ინფორმაციის სისტემა.

მნიშვნელოვანია თქვენი დამსახურება ახალგაზრდა თაობისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. თქვენი ხელმძღვანელობით მომზადებულია 12 მეცნიერებათა კანდიდატი და მეცნიერებათა დოქტორი.

თქვენი მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნებული გაქვთ 156 სამეცნიერო შრომა, ბრძანდებით 7 გამოგონებისა და 5 პატენტის ავტორი. მონაწილეობა გაქვთ მიღებული მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში. დაჯილდოებული ბრძანდებით “საპატიო ნიშნის” მედალით და ორდენით. ამჟამად ნაყოფიერად აგრძელებთ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას. ხართ შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სახელით გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

პატივისცემით  
აკადემიის პრეზიდენტი,  
აკადემიკოსი გ. ალექსიძე  
27 დეკემბერი, 2015 წელი.

### აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი



2015 წლის 30 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გიორგი ნიკოლეიშვილს დაბადებიდან 85 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავი შეუსრულდა.

გიორგი ნიკოლეიშვილი დაიბადა 1930 წლის 30 დეკემბერს საქართველოში, ვანის რაიონის სოფელ ტყელვანში. სკოლის დამთავრების შემდეგ 1948–1951 წლებში სწავლობდა ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საბუღალტრო აღრიცხვის ფაკულტეტზე.

1951-1956 წლებში იგი სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა აგრონომ-ეკონომისტის კვალიფიკაცია. 1956-1959 წლებში მუშაობდა ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში სპეცსაგნების მასწავლებლად.

გიორგი ნიკოლეიშვილმა 1962 წელს წარმატებით დაამთავრა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა ეკონომიკის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. 1963 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1975 წელს სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი; 1967 წელს მიენიჭ უფროსი მეცნიერ მუშაკის, ხოლო 1981 წელს პროფესორის სამეცნიერო წოდებები. 1963-1969 წლებში არჩეული იყო მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის ეკონომიკის განყოფილების გამგედ; 1969-1975 წლებში მუშაობდა ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური საცდელი სადგურის დირექტორად, ხოლო შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციის კათედრაზე დოცენტის, შემდეგ პროფესორის თანამდებობაზე და ასრულებდა ზემოთაღნიშნული განყოფილების გამგის

მოვალეობასაც. 1995 წელს აირჩიეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1900-2006 წლებში იყო მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის დეკანი. ხოლო 2007-2010 წლებში ეკავა საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში მეცნიერ-კონსულტანტის თანამდებობა.

პროფესორ გ. ნიკოლეიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1956 წელს ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, სადაც ასწავლიდა საგანს “სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლებით”. შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა მისი პედაგოგიური საქმიანობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც კითხულობდა ლექციებს საგნებში “მსოფლიო სოფლის მეურნეობა” და “წარმოების ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში”, ხელმძღვანელობდა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებს, საკურსო პროექტებს და სადიპლომო ნაშრომებს.

პროფესორი გ. ნიკოლეიშვილი 32 წლის განმავლობაში იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (სსაუ) აგრარული ეკონომიკის განხრით სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს მდივანი, სხვადასხვა დროს იყო აგრეთვე სსაუ სამეცნიერო და ეკონომიკის ფაკულტეტის საბჭოების წევრი და მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 2005-2013 წლებში იყო FAO-ს რეგიონალური ორგანიზაციის – შავი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) კოორდინატორი საქართველოში. პროფ. გ. ნიკოლეიშვილი წარსულშიც და ახლაც მჭიდროდ თანამშრომლობს უზბეკეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების მეაბრეშუმეობის პროფილის ინსტიტუტებთან. პროფ. გ. ნიკოლეიშვილის ხელმძღვანელობით მომზადებულმა ასპირანტებმა და მაძიებლებმა წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გ. ნიკოლეიშვილი ეკუთვნის იმ გამოჩენილ მეცნიერ-მოღვაწეთა წარმომადგენლებს, რომლებმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მეაბრეშუმეობის დარგის მეცნიერულ განვითარებაში. იგი არის მეაბრეშუმეობის დარგის ეკონომიკის პრობლემების ცნობილი მკვლევარი არამარტო საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, არამედ მის ფარგლებ გარეთაც.

პროფ. გ. ნიკოლეიშვილს გამოქვეყნებული აქვს 167 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 12 მონოგრაფია, ორი სახელმძღვანელო (თანაავტორობით), ერთი დამხმარე სახელმძღვანელო, რამდენიმე სალექციო კურსი, მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია, მრავალი რეკომენდაცია, ინსტრუქცია, მეთოდური მითითება, სასწავლო პროგრამა, ასზე მეტი საგაზეთო სამეცნიერო-პოპულარული სტატია.

გ. ნიკოლეიშვილი არის თუთის დაავადება “ფოთლის სიხუტუჭისადმი” შედარებით გამძლე დარაიონებული თუთის სამი ჯიშის (ოშიმა, ქუთაისური და ქუთაისური-2) თანაავტორი.

პროფესორმა გ.ნიკოლეიშვილმა მეაბრეშუმეობის საერთაშორისო სიმპოზიუმებში (კონფერენციებში) მონაწილეობით კიდევ უფრო ნათლად წარმოადგინა ქართული აბრეშუმის ღირსება და განვითარების პერსპექტივები.

2005 წელს მონაწილეობა მიიღო შავი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის FAO-ს რეგიონალური ორგანიზაციის სიმპოზიუმების საქმიანობაში და ხელი მოაწერა დამფუძნებელ დოკუმენტებს.

განსაკუთრებით ფასეულია მისი ხელმძღვანელობით დამუშავებული “საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012–2025 წლების პერიოდისათვის” და საინვესტიციო პროგრამა “მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში”. მითითებული პროგრამების საფუძველზე მუშავდება (გ. ნიკოლეიშვილის მონაწილეობით) ქვეყანაში დარგის განვითარების პროგრამა, რომელიც პირველია უკანასკნელ პერიოდში.

ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის პროფესორი გ. ნიკოლეიშვილი დაჯილდოვებულია “ღირსების” ორდენით, მედლებით და საპატიო სიგელებით. იგი არის სამაგალითო ოჯახის კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა.

ბატონო გიორგი! აკადემიის აკადემიური საბჭოს სახელით გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას საქართველოს სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციისა და აღდგენის საქმეში.

**პატივისცემით,  
აკადემიის პრეზიდენტი,  
აკადემიკოსი გ. ალექსიძე.  
30 დეკემბერი, 2015 წელი.**

აბაღუმის  
წესების  
ხსოვნა

## აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის ხსოვნა



საქართველოს აგრარულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო და ლ. დეკაპრელევიჩის სახელობის პრემიების ლაურეატი პეტრე ნასყიდაშვილი.

აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი დაიბადა ახალციხის რაიონის სოფელ ვალეში 1927 წლის 10 იანვარს. აღიზენის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია. შემდეგ იყო ბატონი პეტრეს დიდი და ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა ასპირანტურიდან დაწყებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსობამდე. იგი ბრძანდებოდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დეკანი, პრორექტორი, კათედრის გამგე, სამეცნიერო საბჭოს წევრი, სამეცნიერო შრომების და ჟურნალების რედკოლეგიის წევრი. მრავალი წლის მანძილზე ასრულებდა ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მოვალეობას.

აკად. პეტრე ნასყიდაშვილს მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნებული ჰქონდა 650-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 15 მონოგრაფია, 16 სახელმძღვანელო, 35-ზე მეტი მეთოდური მითითება და რეკომენდაციები. ბატონი პეტრე ბრძანდებოდა 19 ჯიშის და ჰიბრიდის ავტორი.

აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ და „ღირსების“ ორდენებით, საპატრიარქოს სიგელით, ისტორიის საზოგადოების და ნ. ვავილოვის სახელობის მედლებით.

საქართველოს და საერთაშორისო აგრარულ მეცნიერების დიდ ოჯახს გამოაკლდა ქვეყნისადმი ვალმოხდელი ადამიანი, საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი, სპეტაკი ადამიანი, თავის ქვეყანაზე უაღრესად შეყვარებული, კარგი მეოჯახე, სტუდენტების და ახალგაზრდა მეცნიერების უსაყვარლესი პედაგოგი და ხელმძღვანელი, დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საყვარელი აღმზრდელი და მეგობარი.

აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლების, კოლეგების და მეგობრების გულებში.

საქართველოს სოფლის  
მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

## აკადემიკოს ვლადიმერ ქვეხიშვილის ხსოვნა



საქართველოს აგრარულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა – ტრაგიკულად გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ერთწლოვანი კულტურების მეკლევარი და მრავალი ჯიშის ავტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ ქვეხიშვილი.

ბატონი ვლადიმერი დაიბადა 1928 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. კალაურში. სოფ. შრომის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1947 წელს მან სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ იგი განაწილებით გაგზავნილი იქნა საქართველოს მიწათმოქმედების კვლევითი ინსტიტუტის კახეთის საცდელ სადგურში მეცნიერ-მუშაკად.

1957 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა და მუშაობა განაგრძო კახეთის საცდელ სადგურში სწავლული მდივნის თანამდებობაზე, ხოლო 1960 წლიდან იგი მუშაობდა ამავე სადგურის დირექტორად.

1960 წელს ვ. ქვეხიშვილი იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: “მზესუმზირის აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი შირაქის ველის პირობებში”, ხოლო 1988 წელს ვ. იურიევის სახელობის უკრაინის მემცენარეობის, სელექციისა და გენეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: “მინდვრის კულტურების მოყვანის ტექნოლოგიის თავისებურებანი აღმოსავლეთ საქართველოს ურწყავებში და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1969 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერ მუშაკის სამეცნიერო წოდება, ხოლო 1996 წელს პროფესორის წოდება.

2003 წელს პროფ. ვლადიმერ ქვეხიშვილი არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად.

გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 5 მონოგრაფია: “მზესუმზირა”, “ხორბალი”, “მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია”, “მზესუმზირის წარმოების ტექნოლოგია”, რომლებიც სამაგიდო წიგნი გახდა არა მარტო ახარგაზრდა დამწყები მეცნიერისათვის, არამედ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფერმერებისა და სპეციალისტებისათვის.

ქვეყანამ დაუფასა მეცნიერს დიდი შრომითი საქმიანობა, რისთვისაც აკად. ვ. ქვეხიშვილი დაჯილდოებული იყო “საპატიო ნიშნის” და “ღირსების” ორდენებით, მედლით “შრომითი მამაცობისათვის”.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი დედაწამული მეცნიერი, კარგი პედაგოგი, ახალგაზრდა მეცნიერების საყვარელი აღმზრდელი, მაგრამ თავისი წიგნების სახით დაგვიტოვა შრომები, რომელიც კიდევ ათეული წლის განმავლობაში გაუკაფავს გზას ახალგაზრდა მეცნიერებს და აგრარული დარგის სპეციალისტებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი და დედაწამული მეცნიერის, აკადემიკოსის ვლადიმერ ქვეხიშვილის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია

## ნოდარ გაბუნია სსოშნა



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აგროსაინჟინრო დარგის გამორჩენილი მეცნიერი და მკვლევარი, საქართველოში მეჩაიეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ბატონი ნოდარ გაბუნია.

ბატონი ნოდარი დაიბადა 1936 წელს ვანის რაიონის სოფელ ამაღლებაში მოსამსახურის ოჯახში. სოფ. ამაღლების საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ

1958 წელს დატოვებული იქნა იმავე ინსტიტუტის ტრაქტორების და ავტომობილების კათედრაზე ასისტენტის, ხოლო შემდეგ უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე. 1962 წელს ნ. გაბუნია გადმოიყვანეს კ. ამირაჯიბის სახელობის საქართველოს მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაის საპრობლემო ლაბორატორიის მანქანათა თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო 1968 წელს დაინიშნა ამავე ინსტიტუტის ჩაის მოვლამოყვანის და ფოთლის კრეფის მექანიზაციის განყოფილების გამგედ. გამორჩენილი მეცნიერისა და კონსტრუქტორის, ლენინური პრემიის ლაურეატის, პროფესორ შალვა კერესელიძის ხელმძღვანელობით ნ. გაბუნია გახდა ჩაის მოვლამოყვანის და ფოთლის კრეფის მანქანათა კომპლექსების შექმნისა და დანერგვის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ინიციატორი.

1967 წელს ნოდარ გაბუნია დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1971 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერ მუშაკის წოდება.

1971 წელს ბატონი ნოდარი მუშაობას იწყებს სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა სათაო სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (ВНИИГОРСЕЛЬМАШ), რომლის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორიც იყო, ჩაის ფოთლის საკრეფო მანქანების განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში.

1986 წელს ნ. გაბუნია გადაყვანილი იქნა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “საქსოფლმანქანმშენის” გენერალური დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში, ხოლო 1989 წელს გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ. 1991 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1994 წელს ბატონი ნოდარი აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად-აკადემიკოსად

1996 წელს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ნ. გაბუნია პროფესორის წოდება.

პროფესორი ნოდარ გაბუნიას კალამს ეკუთვნის 234 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან ერთი მონოგრაფია დაასრულა ავადმყოფობამდე - 2012 წელს; ბატონი ნოდარი 74 გამოგონებისა და პატენტის ავტორი იყო, რომელთა ნაწილი დანერგილია როგორც სამანქანათმშენებლო, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პრობლემატურ საკითხებზე.

პროფ. ნ. გაბუნია იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საერთაშორისო გამოფენების არაერთგზის მონაწილე, რისთვისაც დაჯილდოებულია ოქროსა და ვერცხლის მედლებით, აგრეთვე მედლებით “საპატიო გამოგონებელი” და “შრომის ვეტერანი”. 1999 წელს პროფ. ნოდარ გაბუნია სამეცნიერო და პედაგოგიურ სფეროში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის დაჯილდოებული იქნა “ღირსების ორდენით”.

წავიდა ჩვენგან ღირსეული მოქალაქე, წარმატებული მეცნიერი და პედაგოგი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მოვლა მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის და ამ მიმართულებით მრავალი ტექნიკური საშუალებების დამუშავებასა და წარმოებაში დანერგვის საქმეში; ბატონი ნოდარი იყო ახალგაზრდა სპეციალისტების და მექანიზატორთა კადრების უანგარო მასწავლებელი, დიდებული მეოჯახე - კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა, ერთგული მეგობარი და თავის ქვეყანაზე უაღრესად შეყვარებული პატრიოტი.

გამოჩენილი მეცნიერის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის კონსტრუქტორის, პედაგოგის, პროფესორ ნოდარ გაბუნიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების და კოლეგების გულეში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია.**